

114
953

საქართველოს
საბჭოთავო
საბჭოთავო

მეათედი

9

საბჭოთავო



1953



ენათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საპარტიო საბჭოს მხარეების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათე

9



საქართველო

საპარტიო საბჭოს
კავშირის ორგანოს
გამომცემელი

სახელმწიფო
თბილისი

53

4935





მხატვრული ლიტერატურა

სიმონ ჩიქოვანი — ახალი ლექსები	3
ბორის ჩხიძე — არეზიშვილები, მოთხრობა	7
ხარბონ ვარდოშვილი — სტალინის ხიდი, ლექსი	19
მარლამ შურული — ოთხი ლექსი	20
დავით სულიაშვილი — დაეცხრომელი გული, ბიოგრაფიული მოთხრობა	22
შალვა ამისულაშვილი — ბაღდა სიკოცხლის გამარჯვებისა, ლექსი	60
სილოვან ახვლედიანი — ლექსები რუსთავეზე	63
მუხრან მამუკაშვილი — ორი ლექსი	66
ბ. ი. კუპრინი — ანათემა, მოთხრობა, თარგმანი აკაკი ბეღლიაშვილისა	68
ი. ტყეშელაშვილი — ზღურბლი, თარგმანი ალ. ნეიშანისა	75
ბაკრაძე — ლექსები: მზე, ვოლგა (თარგმანი გიორგი ხუბაშვილისა); ჩემო მარჯვენა (თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა); მიწა (თარგმანი ელადიშვილისა)	77
იონა შაქელი — რელი. პიესა	80
მ. ლომონოსოვი — კავკასიის ტყე, პოემა, თარგმანი ნიკოლოზ ნადირაძისა	109

ქრტიბა და ავბლიცისტობა

ანა ნიკოლაძე — ლევ ტოლსტოი, წერილი	117
ი. ენაქოლოვაშვილი — ლევ ტოლსტოი კავკასიასა და საქართველოში, წერილი	126
შალვა გოჯაშვილი — იულიუს ფუჩიკი, წერილი	132
შალვა კვანციაშვილი — მოსე თოძე, წერილი	137
მ. გომოლაძე — ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფია, წერილი	142

ბიბლიოგრაფია

პ. ბატუნიძე — რომანი ქართველ მემკვიდრეებზე	147
სიმონ წმინდა — რომანი აფხაზეთის ეხოვრებიდან	149
ბრ. ჩიქოვანი — აკაკი საბაშვილი ლექსები	151
შოთა სულაბერიძე — ახალგაზრდა პეტრის ლექსები	153
მასკო გორბაძე — შენიშვნები ნეკრასოვის პოემის ქართული თარგმანის გამო	156
ნ. გუბარაძე — მონოგრაფია გამოჩენილ საბჭოთა მსახიობზე	159
ალ. სიგუა — წიგნი შალვა დადიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე	164
მ. ითორიშვილი — „საისტორიო მთაბის“ მეექვსე ტომი“	165
შოთა შინდუარი — ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართული მეტალურგიის ისტორიიდან	167

რედაქტორი

ალიო შირცხუაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო ხანთიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სარგი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 1/2. უფ 06079. შვე. № 689. ტირაჟი 6.000.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიულ-სტატისტიკის განყოფილების ბეჭდითი სტუდიის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

გზავილი ღიბეკაბუკი

საქართველოს

სიონი ჩიქოვანი

ახალი ლექსები



პურის მკა

მზე ახურებს მკაში ხორბალს,
კომბაინთან აქვითქვითდნენ მწყურები,
მანქანა ჰგავს მინდერის ხომალდს,
მიცურავს და ხელით თავთავს ეწვდები.

არ გეკვირდება შეკვრა ძნების,
არ სრიალებს ამ კალოზე კევრი.
კომბაინზე დგანან ძმები
და მგონია, მალლიდან ჩანს კრემლი.

როგორ თრთიან თავთავეები,
თითქოს ხელი უჩინარი კაფავს
და თავთავეში ვარსკვლავები
ეჩვენება ბრიგადირს და პაპას.

მკაში შრომობს მთელი მხარე,
ხორბალს სკლიან ბუნკერიდან დები.
მარცვალს სინჯავს თავმჯდომარე
მკრელი თვალთ და ხორკლიან ნებით.

თვალს გადაჰკრავს მერმე გაზეთს,
ჩაფიქრდება წუთით თვალი წყვილი
და სამშობლოს ნათელ გზაზე
მომკელს შეაქვს მშვიდობისთვის
წვლილი.

მკა და ლეწვა არ დაყოვნდეს,
ბრიგადირმა ძრავს მიაპყროს ყური.
თავმჯდომარევე, არ დალონდე,
დაღამდება, დახვედდება პური.

დღე გრძელია, ჩემო კარგო,
შენს სისწრაფეს არ ანელებს ხარი.
იქეთ მიდექ, ამხანაგო,
კომბაინმა არ მოგტეხოს მხარი.

ვდგები გვერდზე, სილამაზე
შრომაშია და სამშობლო ხარობს.
როგორც გემი ზღვის ტალღაზე
შებუბუნებს ეს მანქანა კალოს.

მალა წმინდა ცის ქერია,
მომკელი წყლით გაგრილებას
ცდილობს.
კალო წალკოტს მირჩენია
და მთის წყარო ხიდისთავეურ ღვინოს.

წყლის ღარი ჰგავს სოფლის წიბოს,
მომკელს მკაში დაუამა გული
და მშობლიურ სახელმწიფოს
ხვალ ქარავენით ჩაბარდება პური.

საუბარი წვიმაში



ჯერ წვიმის გამო ვერაფერს გეტყვი,
თუმცა თბილისში მოვარდა თქეში.
თუთა ცვივა თუ იზნევა ფტევი,
შე წყლით მევესება გაწვდილი პეშვი.

წვეთი წყდება თუ იზნევა ფტევი,
თუ ფრთის შრიალი მოუნდა არწივს.

შე პირველ ქუჩილს სიყრმიდან ვეტრფი,
აწვიმს კრწანისს და მთაწმინდას აწვიმს.

სმენა და ფიქრი მივაპყარ წვეთებს,
გაშლილი ქოლგით ქადრებთან შევდგეთ.
წვიმა ეხვევა იმელის სვეტებს
და მთაწმინდისკენ მიფრინავს შემდეგ.

წვიმა მიპყრობს თუ წკრიალი შუშის,
თუ ცით ეშვება ბეწვები ფესვის,
შენი თვალები მინთია გულში,
წვიმაში შენი ძახილი მესმის.

წვიმა წაეა და გაქრება ნესტი,
ხეალ ცისარტყელა შეგხედება ორი.
წვიმის ლოდინში მრავალგზის შევედი,
შენი ფეხის ხმა მეგონა თქორი.

მე მეშინია მთის გაღმა სეტყვის,
სადაც ვაზებზე მტევნები ბრწყინავს.
შენ ჩემზე უკეთ ვერაფერს გატყვის,
როგორ მოჰყვება ტრფიალი წვიმას.

პირველ ქუხილზე ვერაფერს გატყვი,
სანამ არ ენახავ ჯეჯილნებს მწვანეს.
ეუუუნა წვიმას გვალვამი ვეტყვებ,
და ნაწვიმარზე ვეწვიოთ ყანებს.

შენს წამწამებზე წვეთები ბრწყინავს,
გულს ეფრქვევა და ანელებს ხანძარს.
შინ სიყმაწვილე შემოაქვს წვიმას
და მწვანე ჯეჯილს შრიალით ბძავს.

თუთა ცვივა თუ იბნევა ფეტვი,
მგონია, წვიმა გისველებს ღიმილს.
მე სიყვარულზე ვერაფერს გატყვი,
თავად გატყვიან ჰანგები წვიმის.

ეგ საუბარი შევწყვიტოთ წუთით...



ეგ საუბარი შევწყვიტოთ წუთით,
წვიმა ისმენს და გადასცემს ვისმეს.
ხილთან ხმაურობს რტოები თუთის
და ხილზე გამვლელს უსველებს კისერს.
ქოლგები ჰგვანან ფრინველებს სოველს,
დავუხვდეთ წვიმას, ვერისკენ გაჭირლს.
ქარხნის დაზგებზე აბრეშუმს ქსოვენ,
თუ თქორში მესმის შრიალი ყაჭის.

წვიმა აწივლებს უთვალავ წიწილს,
წვიმა კრწანისში ეფრქვევა ბოსტანს.
ჯერ სამგორს ნამავს წვეთები წვიმის,
მერმე ეწვივა რუსთავეში ოსტატს.

მარცვლები სცვივა თუთისხის რტოებს,
წვიმის გზას ვერვინ ვერსად შელობავს.
თუმცა ეს წვიმა რიყზე მტოვებს —
მე არ გშორდები ყანის მეგობარს.

აგრე წვიმაში სიყრმეს მივწვდები,
თქორი ორივეს გვრგებია წილად.
შენ, მეგობარო, ხომ არ მიწყრები,
წავიდეთ, როგორც გვივლია წინათ.

გავყვით, დავხედოთ სამგორის მიწას,
თქორი არა ჰგავს წარსულის ისხარს.

მტკვართან მივყვები წარმავალ წვიმას,
და არწივის ფრთას ოცნება ისხამს.

მთებიდან თქორი ესტუმრა თბილისს,
მოგვალულ მიწას ანიჭებს ზალისს.
ჩვენ ვართ მწყემსები ღლევიანდელ
წვიმის
და შრომით ვხდებით მკვიდრები
ხვალის.

ეცრცვი ცვივა თუ ჩხრიალებს
ვერცხლი.

მთაწმინდას წვიმის აცვივა თორი.
სად არის ჩემი აპრილის ცეცხლი,
შევიანელო და ვაპყრო თქორი.

გაგიტყუო და მოგხვიო მკლავიც,
თბილისის ზღვასთან გავშალოთ
ფრთები.

თქორში წითელი ვარდები ჰყვავის
და თქორს ჰგავს შენი მსუბუქი თამბი.

მღერის წვიმაში ფოთლები თუთის,
ეგებ სამგორში ღალანებს პური.
ეგ საუბარი შევწყვიტოთ წუთით
და წვიმის მხაპუნს დავუგდოთ ყური.

ალმისსმ



ზღვის პირას მდგარი ალვა ნათელი
შრიალით ბაძავს ღამეში ტალღას.
ხან გაფითრდება, როგორც სანთელი
და მთვარის შუქზე ხმაურობს მაღლა.

ხან გაყუჩდება, მუქდება წუთით,
ზღვის ხმაურს თითქოს მიაპყრო ყური.
ტალღის მოვარდნას სარკმელთან

მეცდი,
მისი შრიალით მევსება გული.

ნაცნობს ვამგვანებ აღერილ ალვას,
იმეორებენ ზღვის შრიალს რტონი.
რაც ხმები დაბლა გაშალა ტალღამ,
ალვის რტომ მაღლა ასწია მგონი.

ვინ დარგო მაინც ალვები ასე,
ვინ მიუყენა მწყემსებად ყანას.

ალამაზებენ მზის ჩასვლას ზღვაზე
და მზის ამოსვლას უმღერენ ნანას.

ალვა მახსენებს ჯეჯილს და სიყრმეს,
როინის პირად შრიალა ქვიშას.
ალვის მშვენიება აჩნია რიყეს
და ეს ბავშვობის სიხარულს ნიშნავს.

სიყრმის წყვილია მაღალი ალვა,
მშვიდი შრიალით აწყდება კარებს.
მომენტარება ხის ძირში გავლა,
ქუდს ვიზურავ და გავდივარ გარეთ.

ტალღა მიყვება ბავშვობის ზღაპარს,
რისთვის გაყუჩდნენ რტოები ნეტავ?
ალვები ჰქმნიან ყანების საფარს
და ალვის მიღმა ჯეჯილებს ვხედავ.

მეზმანებთან ლაზები ზღვაზე



სამხრეთის მხრიდან ეშვება ბინდი.
ნაკლული მთვარე გადადის მთაზე.
ზღვასთან ვდგავარ და ნისლიან კილით
მეზმანებთან ლაზები ზღვაზე.

ქალარა აფრებს სანდლებზე შლიან,
ვარჩევ ნაპირზე ჩხავერის ვაზებს.
ვყურობ ჭოროხთან ქადრების შრიალს,
მელანდებიან ლაზები ზღვაზე.

ლაზური კილო ქართულის რტოა,
გული იმედით სანამდის ვკვებო.
შრომის, ძმობის და გალობის დროა
და თქვენ სადა ხართ, ტანჯულო ძმებო.

მთვარის ნატეხი დანათის კბოდეს.
მუმილი ეხვევა მუხლმაგარ ლაზებს.
მთაში მდინარე ჩუმი ხმით გოდებს,
მელანდებიან ლაზები ზღვაზე.

მესმის მწუხარე სიმღერა ლაზის,
ზღვისფერი ცრემლი მომწყდება თვალზე.

ზღვას პატარძალი შესტირის ნაზი,
მეზმანებთან ლაზები ზღვაზე.

ანძას თლიან თუ ჭიმავენ აფრას,
ფიჭვიდან თითებს ედება წებო.
დედა დასტირის ბავშვების საფლავს
და თქვენ დოლარზე გყიდიან, ძმებო.

ზღვიდან მოცვივა ურიცხვი შხეფი,
ვინ სდევნის გაღმა მენავე ლაზებს?
ნაპირს ატყვია მენავის ტერფი,
მეზმანებთან ლაზები ზღვაზე.

სამხრეთის ღამე ეშვება მთებზე,
ლაზის ოჯახში შიმშილი მეფობს.
ზღვაზე ოცნებით გიხმობთ და გეძებთ
და ზღვას პასუხი გაეციოთ, ძმებო.

არ გატყდეთ, შეება მოჰყვება ჯაფას,
ვერ დახრავს მუმილი მუხას და ვაზებს.
შევყურებ ზღვაზე დარჩეულ აფრას
და მეძახიან ლაზები ზღვაზე.

დასასვენებელ სახლში



ზღვისპირად ისხდნენ მზისგან შავები,
მეზღვაურები და მფრინავეები.

შებოლილები, შერუჯულები,
მაგიდის ირგვლივ შექუჩულები.

ზღვამ დაარხია მათი ლანდები,
როგორც ღრუბლები და ხომალდები.

ისხდნენ უხეფებით დანაკურები
მფრინავეები და მეზღვაურები.

და აღბეჭდოდათ ზღვისფერ თვალებში
ქარიშხლების და ელვის თარეში.

წვიმის ღრუბლები, როგორც ჯიქნები,
ზღვით აფრენილი წრფელი ფიქრები.

ხომლის ქალები, უცხო კენჭები,
ნიჟარები და ზღვაზე ეჭვები.

ღომინოს უსხდნენ შექუჩულები,
მზით და ბრძოლებით შერუჯულები.

მერმე დაირხა ისევ ლანდები,
როგორც ღრუბლები და ხომალდები.

წამოიშალნენ მზისგან შავები,
მეზღვაურები და მფრინავეები.

ქუდებს ამკობდა თეთრი ზოლები,
ჰორიზონტის თუ ცისკრის ტოლები.

ტანის ტარება ჰქონდათ ტალღების
და გაღიმება მთიელ ბაღების.

ფიქრში აენთო, როგორც სანთლები,
სამშობლოს ზღვის და მთების ნაკვთები.

არეზიზვილები

მოთხრობა



წვიმდა. ანკარა წვეთები აღმასივბური კამკამით ეპკურებოდნენ ზაფხულის სიციხით ნამმოწყურებულ ბაღს.

სივრილისაგან გამოფხიზლებული, მწვანით შემოსილი ხუჭუქა თუთის ტოტები თავის წვერებს მეორე სართულის ღია ფანჯრის ჩარჩოებს უცაცუნებდნენ.

ფანჯარასთან ახალგაზრდა ქალი იდგა. სახელად გულიყო ერქვა. მისი სახე ლითონის თეთრი ვარვარით ანათებდა, თვალები სიხარულით უბრწყინავდა.

დანამულ, ფოთლოვან რტოებს ქალი ხელებს ხვევდა, თაიგულივით ერთად აგროვებდა, ხან ყნოსავდა, ხან მკერდს ინამავდა, ხტოდა, იცინოდა, სიამისაგან ვერხვის ფოთლოვით კანკალებდა.

ოთახში, საიდანაც ეს სანახაობა მოჩანდა, რკინის საწოლზე წამოწოლილიყო სამოცი წლის მამაკაცი, ეკონომისტი ივანე არეზიშვილი, გულიკოს მამა. შვილს შესცქეროდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

— მზად ხარ გასაფრენად? მაშ გაფრინდი, გაფრინდი, ჩემო თეთრო თოლია. მტლად დაგედება მამაშენი, შენი ბედნიერებისათვის ზრუნვაში დალევს სიცოცხლეს. ეს იქნება მისი სიხარული.

ივანე ოცდახუთი წლის მანძილზე თბილისის ერთი ვეებერთელა საწარმოს მგეგმავი იყო. შინ მზის ჩასვლისას, შვიდ საათზე მოდიოდა. ცოლ-შვილთან ერთად სადილობდა. ნასადილევს თავის ოთახში წამოწებოდა. თვალს მოატყუებდა, რომ ჯანმოკრებილი კვლავ საწარმოში დაბრუნებულყო სამუშაოდ.

ამ დროს გულიკო მერცხალივით შემოიფრთხილებდა მამის ოთახში, გარს შემოუვლიდა მოხუცს. ეკითხებოდა რალაც-რალაცებს, რასაც ივანე გამოღვიძების შემდეგ ვერც კი გაიხსენებდა ზოლმე. ეს შეკითხვები მგეგმავს ჰკუაში არ უჯდებოდა, მაგრამ ყურს მიანც ვერ ამორებდა. რალაც ტკბილი, დამაამებელი მუსიკა მოდიოდა მათგან; შვილის ხმა, რაგინდ უხეშიც არ იყოს, მშობლის გულის მკურნალია. ივანეს კი გულიკოს წრფელი სიცილით შეფერადებული, მელოდორი საუბარი ამშვიდებდა და აძინებდა კიდევაც. ამასთან იგი ერთადერთი ხმაური იყო არიფომეტრის კრიალის შემდეგ. მაგრამ ამ დღეს გულიკოს ლაპარაკმა საწინააღმდეგოდ იმოქმედა ივანეზე. მცირე ხნის დასვენება და ჩვეული სიმშვიდე დაეკარგა. არეული გუნებით უნდა წასულიყო საწარმოში. ივანე ძალიან უფრთხილდებოდა თავის პროფესიას, არ აკადრებდა თავის თავს, დაქანცული მიჯდომოდა არიფომეტრს და უნაყოფოდ ეფათურებინა ხელები ქალაღებში. ის ამ პროფესიით ცხოვრობდა. ივანე თბილისელ მგეგმავთა შორის გამოირჩეოდა.

— მომიწყვიტე თუთის ცვრიანი ფოთლები, — სთხოვა ივანემ შვილს, რომელიც ფანჯარასთან იდგა. გულიკო შეშინებულვით მობრუნდა მამისაკენ. თხოვნა ეუცხოვა, ამიტომ ფანჯარას მოსცილდა, მამას თავზე დაადგა.

— რა მოგივიდა, მამილო, შეუძლოდ ხომ არა ხარ?

— არა, ასე კარგად, მგონია, ჩემს დღეში არა ვყოფილვარ, — მიუგო შეილს ივანემ. — ზღაზვნით კი წამოდგა, საწოლზე ჩამოჯდა, და ფეხებით ფოსტლებს დაუწყო ძებნა.

გულიყო ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა. მარჯვენა ხელი შუბლზე დაადო, მარცხენათი კი მაჯისცემა გაუსინჯა. როცა დარწმუნდა, სამიში არა იყო რა, ვენურ სკამს სწვდა, წინ დაუჯდა და ხშირ ქალარა წარბებში მიმაღულ თვალებში ჩააჩერდა.

— არ მჯერა, მამილო, უღონობაზე მეტი გაწუხებს რაღაცა, თორემ, — უთხრა კვლავ.

— არა-მეთქი! — ისევ იუარა ივანემ. — თუმცა, რა დასაფიქია, ერთი სადარდელი მაქვს.

— შე ხომ არ შემეხება?

— სწორედ შენ! — მიუგო ივანემ და წარბები მოღუშა.

— თუ აგრეა, გამაგებინე, რა არის ის სადარდელი მე რომ შემეხება, და იქნება ორივე ერთად მოვერიოთ. — შეეხვეწა გულიყო.

ნეოფიტე ჭვავიაშვილი დიდი ხანია არ გინახავს? — შეეკითხა ქალს მამა.

გულიყო შეკრთა.

— გულმა მაშინვე მითხრა, რომ მაგას მკითხავდი!

— ჰმ... დიდი ხანია არ შეხვედრიხარ?

— ხშირად, ხშირად ვართ ერთად. გუშინაც გამოიარა, გუშინწინაც აქ იყო.

— ჩანს, ერთმანეთს კარგად გაეცანით, — კიდევ უნდოდა განეგრძო ივანეს ეს საუბარი, მაგრამ უცერად სიტყვა სულ სხვაზე გადაიტანა. — ადგომა მიჭირს, შენს გაზრდას, მომიკრიფე თუთის ფოთლები. რაო! წვიმამ გადაიღო! ასე იცის თბილისში ყოველთვის. კოჯრის ქედიდან შუაგულ ქალაქში ჩამოდის ღრუბლები. სამხრეთით მეტეხ-ორთაქალისაკენ ფეთხაინს არ ჩასცილდებიან, დასავლეთით ვარაზის ხევის არ გადააბიჯებენ, პირდაპირ ხომ მახათას მთასაც არ მიაღწევენ.

სანამ მამა ამას ამბობდა, გულიყო წამოდგა, ფანჯრიდან თუთის სველ ფოთლებს სწვდა, დაკრიფა, ერთად შეკონილი მამას მიაწოდა. ივანემ გამოართვა, ჯერ გაღიღილ გულ-მკერდზე, შემდეგ გახურებულ შუბლზე და საფეთქლებზე მიისვ-მოისვა.

— ჰო, იმას ეამბობდი, — განაგრძო ივანემ, — ქალაქს დაასხამს წვიმა. გარეუბნამდე კი ვერ აღწევს. როცა ვერის დაღმართზე წვიმს, ნავთლულსა და ორთაქალას მაშინ სიციხით აღმური ასდის, გახურებული მიწა სკდება. მწვანე ფოთოლი ყურებჩამოყრილი ჰკილია ხეზე, ბალახი იწვის. თუმცა... ამას რისთვის ვლაპარაკობ!

— მამილო! — ცივად წამოიძახა გულიყომ. — ველარ გცნობ, შენ და ასეთი შეუსაბამო ლაპარაკი! რა მოგივიდა?!

— ნამდვილად მე ვარ, ჰო, რა მინდოდა მეთქვა და სად წავედი, რას მივედ-მოვედები. სმენამ თუ არ მიღალატა, მგონია, ასე მითხარი, ხშირად ერთად ვართო. ეს მე, ხნიერ კაცს, და კიდევ ის, რომ ჩემი ქალი ხარ, მათამამებს და პირდაპირ გეკითხები, არ დამიმალო, საბოლოოდ ხომ არაფერი გადაგიწყვეტიათ?

— ჯერ არა, მამილო!

— როგორღაც კიანურდება ეგ ამბავი. ჩვენ (ივანე გულუგოს დედას, თეოს, გულისხმობდა) არა ვართ თქვენი სიყვარულის წინააღმდეგი. გვახარებს კიდევაც ეგ დამოყვება. ნეოფიტე კვავიაშვილს, შენმა პრევიცი, თორემ სხვა ჩემზე უკეთ არაფერ იცნობს ქალაქში. ექვსი წლის მანძილზე სულ ერთად ვმუშაობთ. უმაღლესი სკოლიდან პირდაპირ ჩვენთან მოვიდა. უმაღლესი საქმეს დაუტრიალდა. სულ მცირე თანამდებობიდან დაიწყო მუშაობა. ახლა ზედავ, თავი სანამდე ჰკრა? დღევანდელივით კარგად მახსოვს, პირველად როგორ შემოვიდა კანტორაში. შემებრალა კიდევაც. მის სამსახურში მიღებას, შემდეგ დაწინაურებას მეც შევეუწყვე ხელი, თუმცა ხეირიანად არც ვიცნობდი. გარეგნულად მომეწონა, გონიერი ყმაწვილი ჩანდა.

— აი, მამილო, რა თქვი, გონიერი იყო, სხვა კი არაფერი. განა ეგ საკმაოა? შინ, მგონია, ჩვენს გარდა დედაჩემი და მამიდა არიან.

— ჩვენს გარდა კიდევ არიან შინაო! — თქვა ივანემ. — დედაშენი, პო, მესმის, სამ ქმარგანაყარ მამიდაშენს, ელიას, კი რა ესაქმება? ჩემი და ძალიან მიყვარს, მაგრამ ამ საქმეში კი, ნურას უკაცრავად, მას არ ჩავერე.

— მამილო, მამიდაჩემის აგრე ხსენება...

— არ გამაგონო კვლავ, — წაართვა შვილს სიტყვა ივანემ. — ახლა ჩვენი თავსატეხი გვაქვს. ნეოფიტემ ყველაფერი მითხრა, სიტყვაც მიგიცია. ის ამით გახარებულია. მითხრა და, როგორც რიგიან კაცს შეპყვრის, მთელი ჩვენი ოჯახის თანხმობაც მთხოვა. ასეც უნდა, სწორად მოიქცა, შენ კი საკმაოაო! რაღა დროს ეგ არის. ხომ არ გგონია, ადრე იყოს?! ოცდაორი წელიწადი გისრულდება. არის ქვეყანაზე ხალხი, ვინც ამ ხნოვანების ქალს ახალგაზრდად ადარ თვლის. მათ შორის პირველი მე ვარ, მამაშენი.

— მამილო, მათქმევიწე!

— გასწი დედაშენთან! — აღწია ხმას ივანემ. — კარგი, ელიასაც მოვლა-პარაკეთ. მე კი დღეს არა, ზვალ, ზევ მითხარით პასუხი, როგორ და როდის გაპყვები? ნეოფიტეც ამას უცდის.

ივანემ შვილს მკლავში ხელი მოჰკიდა, წამოაყენა ზეზე, კარებამდე მიიყვანა. იქიდან დედამისის ოთახში შესასვლელი უჩვენა, მერე ისევ ფანჯარასთან მივიდა.

ნამით შეგრილებულმა ნიავმა გაჰკრა ივანეს. გულს ეფონა.

— მაინც ვინ უნდა უკეთესი გულიკოს? რა აკლია ნეოფიტეს? არაფერი, არაფერი! ჩანს, ვიღაცა, მესამე, ჩაერთა საქმეში. ეს ვიღაცა უთუოდ ელია არის. პაი, პაი, ჩემო დაო, რას მერჩი, რა დაგიშავე ასეთი, რომ არ გინდა გამახარო. შენს თავს დიდი სიყვითე კი უყავი და ახლა ძმისწულს და ძმას მისდევნი. მიფრთხილდი, მიფრთხილდი, ივანე საშიში კაცია, დაგსჯის, განანებს. ახლავე მოძებნის ივანე ჩაქუჩს, ლურსმნებით ჩაქედავს კარებს, აღარ შემოგვიშვებს შინ, ქუჩაზედაც აღარ შეგზვდება, სალამს აღარ მოგცემს. ამისი ღირსი იქნები, ქალბატონო! იქ ნემსივით გაბნევა გჩვევია, სადაც ადრევე საიმედოდ არის გავლებული გვირისტი მიგარი ძაფით.

II

ხუთ ქალ-ვაჟს შორის გულიკო ყველაზე უმცროსი იყო. ორი უფროსი ქალი ივანემ და თეომ ადრევე გაათხოვეს. ორივენი მახლობლად ცხოვრობდნენ დედაქალაქში. ერთს ვაკის ბოლოს, ახალ სახლში აქვს ბინა, მეორეს — ანჩისტატის უბანში. ორივეს ქმრები და მოზრდილი შვილები ჰყავთ. შაბათო-

ბით, საღამოხანს მოდიან ხოლმე მშობლების სანახავად. სიბერის მოახლოების
 ემს ივანემ და თეომ დაასკვნეს: მათი ყველაზე დიდი ბედნიერება ხუთი შვი-
 ლის გაზრდა იყო. ყველანი თავიანთ ოჯახებში და სამსახურში არიან. ერთი
 გულიყო დარჩათ გაუთხოვარი. მისმა ღრმამც მოაღწია. და აი, საქმაოაო! ეს
 რა ხდება? სწორედ იმ ქალს უგვიანდება გათხოვება, რომელიც მშობლებს
 სიცოცხლეს და სხვა შვილებს ერჩიათ. ასეთი სიყვარულის მიზეზი თვითონ
 გულიყო გახდა. ბავშობიდანვე დიდი ადამიანის გონება დაჰყვა, თილისმა ენა-
 ჰქონდა. გამოჩნდებოდა შინ და კედელიც კი გაიხარებდა, ბუხარს გააციებდა,
 ქვას დუმილს მოჰბერდა. ოჯახში ერთხელაც არავის ახსოვდა, რომ სკოლაში
 წასვლა-მოსვლა დაჰგვიანებოდა. მშობლებმა იმ სკოლის კარი არც კი იცოდნენ,
 რომელიც მან დაამთავრა. უმაღლეს სასწავლებელშიც ასე იყო. თვითონ ამო-
 ირჩია დარგი. გამოცდა ჩააბარა. ხუთი წელიწადი სწავლობდა. ეხერხებოდა სა-
 ოჯახო საქმე. ერთსა და იმავე კაბას, ქუდს თუ სხვა მორთულობას ცხრაჯერ
 შეუცვლიდა სახეს. ივანეს იმედი ჰქონდა, რომ უმცროსი ქალი უფროს დებზე
 უკეთესი ქალი გამოვა. ერთი სიტყვით, გულიყო შეუმჩნევლად გაიზარდა, და-
 ქალდა, სამსახურშიც ასევე შეუმჩნევლად, სხვის დაუხმარებლად მოეწყო.
 სკოლაში ასწავლიდა არითმეტიკას. ახლა კი ივანე შეილისთვის საქმროს ეძებდა.
 „ისეთ კაცს უნდა ჩავაბარო, ბედნიერზე ბედნიერი იყოსო“, ეტყოდა ხშირად
 თეოს. აკი აურჩია კიდევ ნეოფიტე ჰეავიაშვილი, მისი საწარმოს ინჟინერი.
 აურჩია და შინაც მიიბატოცა ჰეავიაშვილი. გულიყო გააცნო. მერე ბედი სა-
 სურველად დატრიალდა, გაზაფხულის ნაკადულივით გაიკვლია გზა. ახალ-
 გაზრდებს ერთმანეთი მოეწონათ, დამეგობრდნენ. არა, ივანეს არ ეგულებოდა
 თბილისში უკეთესი და უფრო ღირსეული საქმრო თავისი გულიყოსათვის.
 მის ამ აზრს იზიარებდნენ თეო, გათხოვილი ქალები და ცოლშვილიანი ვაჟები.

ექვსი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ნეოფიტე ჰეავიაშვილი საწარ-
 მოში გამოჩნდა, სამეურნეო მუშაკთა შორის ცნობილ კაცად იქცა. ეს მან, ჰეა-
 ვიაშვილმა, შეამცირა ნახშირის ხარჯი, დეტალების დამუშავების მეთოდის
 შეცვლის გზით ელექტროენერჯის მოხმარების ნორმა გაანახევრა. ნეოფიტე
 ჰეავიაშვილს სამინისტროში ეძახიან, ეთათბირებიან, ეკითხებიან, უიმისოდ
 ერთი ტექნიკური დავაც არ გადაწყდება. მასთან სამუშაოდ მიუხარიათ წარ-
 მოების ოსტატებს, ძველ ზეინკლებს, ლითონის ჩამომსხმელებს, მეყალიბებებს
 და ყველას. ზედამს ამას ივანე არეზიშვილი. ესმის ასეთი კაცის ფასი. წარ-
 მოების მგეგმავს, აბა, რა გამოებარება. ასეთი საქმრო შეურჩია თავის ქალს,
 უკეთესი არ ეგულებოდა ქალაქში. მაშ, რაღა აყოვნებს გულიყოს? რად იდგამს
 ფეხს უკან? რაღას უცდის? იქნება გულიყოს სხვა ვინმეზე შევარდნია გული?
 ივანე ამასაც გაიგებს. ბოლოს და ბოლოს, რა გაეწყობა, დაუთმობს თავის
 უმცროს ქალს, ოღონდ ერთი პირობით: თუ ნეოფიტე ჰეავიაშვილზე არა, სხვა-
 ზე მაინც გათხოვდეს; ვინც ამოურჩევია, მას გაჰყვეს, ქმარს ჩაბარდეს. ქალი
 უკვე ოცდაორი წლისა გახდა...

ყველაფერს ხომ თვითონ არ გადაწყვეტს! თეოსაც მოეთათბირება. კე-
 ტავს არიფომეტრს, მოდის შინისაკენ. აგერ, ურბნისის ქუჩაზე, მისი ბინაც.
 ნაწვიმარი ასფალტი ჯერაც არ გამშრალა. შესასვლელი კარი ღიაა. მგეგმავი
 შედის თავის ოჯახში.

— ვინ მოვიდა! — იძახის სამზარეულოდან თეო.

— მე ვარ, მე!

— ასე მაღე რამ დაგაბრუნა? — კითხულობს სამზარეულოდან თეო.



— აბა რას გავუჩერდებოდი! — ლულულულებს ივანე.

— სამახარობლოს რას მომცემ, ივანე?

— რაც გინდა.

— მაშ, იცოდე, გულივო თანახმაა გაჰყვეს ნოფიტე ქვაკვამვილს.

— თანახმაა?

— მაშ, აბა, რა იქნება! — ეუბნება თეო. — შენი ამორჩეულიც ის არის და აკი იცი, მეც მომწონს.

მგეგმავი მძიმედ ხენეშის, სიხარულით ტოკავს.

— ის-ლა დაგვრჩენია, ხელი მოვეუწყოთ ახალგაზრდებს, მალე დავაქორწინოთ! — განაგრძობს უდარდელად თეო.

— დავაქორწინოთ, დავაქორწინოთ, — გაიძახის ივანე.

— რალა გაწუხებებს, კაცო! — არ უსვენებს თეო. — ხარჯი? ასეთი საქმისათვის ხარჯი ვის დანანებია?!

— ვაჰ, აი, როგორები ხართ, თქვენ, ქალები. ხარჯი რა სათქმელია. მაშინ ქვეყანაზე ვინ ეშმაკისთვის მინდა რამე, თუ გულიკოსთვის არა?

— აბა, აბა, რა მოხდა, რა გახენეშებს?!

— ნოფიტე მზად არის გულიკოს წასაყვანად. მეც მზად ვარ, თუნდაც დღეს დაბოლოვდეს ეგ საქმე. საწუხარი ის არის, შევატყვე, ქალს ეს გათხოვება არ ახარებს. მეშინია, თეო, ჩემი დის, შენი მულის ამბავი არ განმეორდეს ჩემს სახლში.

— გულიკომ თანხმობა განაცხადა, ნოფიტე მზად არის, აქ კიდევ რალაა საფიქრალი, ჩემმა მზემ, აღარ მესმის. ელიას ბედი კი ღმერთმა ამოროს ჩემს შვილს.

— რად მინდა ასეთი თანხმობა?

— მაშ მეტი რა ჰქნას გულიკომ? ყველას გულით და სულით გვწაღია ეს საქმე.

— გულიკოსაც? — ეკითხება ცოლს მგეგმავი.

— ჰო, გულიკოსაც სწაღია, თანახმაა.

— თუ ჩემი ქალი ამ გათხოვებით უბედური იქნება, ამაზე მეტი არა წამყვება-რა სამარეში დარდად.

— მეც ეგ სადარდელი მაქვს, ივანე, — უთხრა ქალმა მეუღლეს. — ვერა გამიგია-რა გულიკოსი. უყვარს თუ არ უყვარს! ისიც არ ვიცი, როგორი დადგება ქმარ-შვილში.

— მეც ხშირად მიფიქრია, როგორი იქნება-მეთქი ჩვენი ქალი ქმარ-შვილში, საკუთარ ოჯახში. ჩემთვის ჯერ ნათელი არ არის, რა ღვინო დადგება მაგ მაჭრისაგან, ეშმაკის თუ ღმერთების სასამელი. თურმე გამოცდილება არ მყოფნის, ამას მივხვდე, დავმშვიდდე. სადაც არის, სამოცი წელიწადი შემისრულდება. ქვეყანაზე ცოტა როდი ვთრეულვარ. რა ხასიათის ქალს არ გადავყრივარ, მაგისი კი ვერა გავიგე-რა? უში კი არ არის, ძირს მიწა მოწმე, მაღლა ცა.

თეო საუბარმა დაინტერესა.

— მომიყევი, მომიყევი, როგორი ხასიათის ქალებს იცნობდიო, — შეეხვეწა ქმარს.

— თავზე ხელალებულ ქალებზე არაფერს ვამბობ. — დაიწყო ივანემ.

— რა სახსენებელი არიან! — უსაყვედურა თეომ.

— შაბატიე, შაბატიე, დედიკო! — ასე მიმართავდა ხოლმე ივანე თეოს,

როცა დიდი დანაშაულის მიტევებას ითხოვდა. — მინახავს, ვიცნობ ქალებს, რომლებიც ქმრის მოწულს ჰამენ, ქმრის ნაშოვნით პარპაშობენ და თვითონ თითს თითზე არ დაადებენ ოჯახში. ვერ მიუხვდები ასეთ ქალებს, რა სძაგთ, რა მოსწონთ. ჭორიკანობა, მეზობლებთან გაუთავებელი ჩხუბი, ქმრის გაბახება-შერცხვენა საზოგადოების თვალში მათი ნიშანდობლივი თვისებაა. არიან უსულგულო ქალებიც. ისინი დაუნანებლად ანებებენ თავს ქმრებს და ჩირად არ ადებენ საზოგადოების აზრს მათზე. ამათი წრის, შორს რომ არ წავიდეთ, შენი მული, ელია, ბრძანდება.

— ეგ აგრე არ არის, ჩემი მული ჰკვიანი ქალია, — შეაწყვეტინა თეომ.

— არიან კიდევ ქალები, რომლებსაც ეამყებათ კაბა და კეფაზე მოხვეული ნაწნავების მორგვი. მათ აქვთ მინიჭებული ამაღელვებელი, კუჭყმიუკარებელი სიყვარულის მომზიბელობა, ადამიანები რომ შთამომავლობას ანდერძად უგდებენ. იმასაც ამბობენ, მათი სიცოცხლე და ცხოვრება საინტერესო არ არისო. არ შევუდგები განსჯას. ვიცი მხოლოდ, რომ ასეთი ქალები წარმოშობენ კეთილშობილებას, ადამიანის გაჩენას აზრსა და შინაარსს რომ აძლევს.

— ვინ გყავს მხედველობაში?

— ნამდვილად ვერ გეტყვი. ისე კი, რა დაგიფიცო, როცა გულიკოს ვხედავ და მის ქცევას ვადევნებ თვალს, ყოველთვის ისეთი ქალები მაგონდებიან, რომლებზედაც ესეცაა ელპარაკობდი, — თქვა ივანემ. თეოს გაელიმა. სიხარულით აფოფინებულმა, ქმარს მარჯვენა ხელში სწვდა, გულთან მიიკრა. ეს ხომ მისი ქებაც იყო. ბედს ემადლიერებოდა, რომ ივანეს შეახვედრა... — შეახვედრა ელიამ, ივანეს დამ. ამ დროს კარებზე კაკუნი მოისმა.

— მობრძანდი! — თითქმის ერთად წამოიძახა ცოლ-ქმარმა, და თეომ მულს კარი გაუღო.

III

არეზიშვილებს ერთი ბინა ექირათ მრავალსართულიან სახლში, ურბნისის ქუჩაზე. სახლი იმ საწარმოს ეკუთვნოდა, სადაც მუშაობდა ივანე არეზიშვილი ორნახევარი ათეული წლის განმავლობაში. იმ ადგილას, სადაც ამჟამად ეს სახლი იყო, ივანეს მამას ედგა ერთსართულიანი პატარა შენობა, რომელიც მან ვაყს — ივანეს და ქალს — ელიას უანდერძა. სახლი საკმაოდ დაძველებული იყო. ელიასთან შეთანხმებით, ივანემ მამისეული ბინა იმ საწარმოს გადასცა, სადაც თვითონ მსახურობდა მკვებავად. და-ძმა თავისი ოჯახებით დროებით დაქირავებულ ბინაში გადავიდა. ივანეს მამისეული სახლი საწარმომ დაანგრია, შემოიერთა მახლობელი ცარიელი ფართობები და სულ მცირე ხანში ააგო მრავალსართულიანი შენობა. ამ ახალ სახლში, ძველის სანაზღაუროდ, ჩაასახლეს არეზიშვილები. ორი ოთახი სამზარეულოთი და სხვა მოწყობილობებით ელიასაც ჰვდა. ასე შერჩნენ ერთმანეთს კარის მეზობლად ძმა და ელია. ელიას ორი შვილი ჰყავდა. უფროსი — პირველი ქმრისაგან — უკვე ცოლშვილიანი იყო და სხვა ქალაქში ცხოვრობდა. უმცროსი — მეორე ქმრისაგან ჰყავდა და მასთან ცხოვრობდა. ელიას დედა ერქვა, თორემ ორივე შვილი თეოს დაზრდილები იყო. ელია შინ თითქმის სულ არ იყო. მესამე ქმრისაგან შვილი არ შესძენია. ელიას თეოსთან, ერთადერთი ძმის ცოლთან, აკავშირებდა ძველი, ქალიშვილობის დროინდელი მეგობრობა. ელიამ თვითონ შეურჩია და გაუთრია ძმას თავისი განუყრელი დობილი თეო შალითაშვილი. ეს იყო თუ კიდევ სხვა

რალაც უფრო მტკიცედ დამაკავშირებელი მიზეზი, დისა და ძმის ოჯახის წევრები თავდაპირილად ექცეოდნენ ერთმანეთს. კარგი და-ძმობისა და რძალ-მულობის შედეგად ორ ოჯახს შორის კარი არასოდეს არ დაკეტებოდა.

მეორე დღეს, დილის ექვს საათზე იმ გასასვლელ-გამოსასვლელი კარით შევიდა გულიკო მამიდა ელიასთან. მამიდას გაეხარდა მისი მოსვლა. გულიკოს მთელი სულითა და გულით ენდობოდა და უყვარდა მამიდა. ოდნავადაც არ ძრახვდა, რომ სამ ქმარს გასცილდა, მამიდაშვილებს თავის და-ძმებში არ არჩევდა. მამიდა ზეზე დაუხვდა; ლოგინს ალაგებდა, თან საუზმეს უმზადებდა მეთერთმეტე კლასელ შვილს, რომელიც დილაადრიანად გაკვეთილებს იმეორებდა. უთოც გახურებული ედგა ზესადგარზე. ერთი სიტყვით, სამუშაოდ წასასვლელად ემზადებოდა.

ელია სარეწაო კოოპერაციის არტელში მუშაობდა. ქმრებს არ დასდევდა საურავისა და ალიმენტებისათვის. შვილების აღსაზრდელ ფულს, რომ იტყვიან, ქვესკნელიდან აძრობდა.

— გათხოვილი ქალი! — მიაგება მამიდას საყვარელ ძმისწულს შეძახილი, მივარდა, გადაეხვია, გადასაკოცნად მიიზიდა. გულიკომ სწრაფად აიფარა ზელი შეინდისფერ ტუჩებზე.

— რას ნიშნავს! — გაიკვირვა ელიამ.

— გათხოვებას ჯერ ბევრი მიკლია.

— აქი განუცხადე მამას, თანახმა ვარო! — კვლავ გაიოცა ელიამ და მოხდენილ, ჯერ კიდევ საკმაოდ მკვირივ თეძობებზე შემოიკრა ოდესღაც ნარნარი, ახლა კი საქსოვ მანქანაზე მუშაობით გამხდარი, დაბედებულ-დამსხვილებული ხელები.

— თანხმობა მართლაც განუცხადე დედ-მამას, არ მინდა გაეუმწარო მათ მოხუცებულობის წლები.

— მაშ, — ამოიხენეშა მამიდას. — ეგ არის შენი თანხმობის მიზეზი?

— მეტი არ ვიცი და ვერც ვერაფერს ვიტყვი!

— მომიკვდეს თავი, — წამოიძახა მამიდას და გულწასულივით უღონოდ დაეშვა ლოგინზე. მერე, კარგა ხნის დუმილის შემდეგ, როცა შეხუთული სუნთქვა მოიბრუნა, კვლავ ამოთქვა: — მითხარი, ყველაფერი გამაგებინე, გამენდერა მოხდა?

— მეტი სათქმელი არა მაქვს და, აბა, რა ვთქვა!

— მიგიხვდი, მიგიხვდი! — კვლავ წამოიძახა ელიამ. — არ გიყვარს ნეოფიტე ქვაფიაშვილი ხომ?

— არ ვიცი!

— ეცადე, როგორმე სახელი დაარქვა შენს გრძნობას. შიშია იგი, სიძულვილი თუ კიდევ სხვა რამე უბედურება!

— როგორღაც გული გამიტყდა, მამიდა!

— იქნებ მას არ უყვარხარ!

— არ უყვარვარ? რას ამბობ, მამიდა! თუნდაც ამ წუთში, დღესვე, ახლაც მოვა წასაყვანად. ჩემი და მამიჩემის წუხანდელი საუბარი ნეოფიტეს თხოვნის შედეგი იყო. მან მოითხოვა ჩემი წაყვანის ვადის დანიშვნა. და ის მოვა, წამიყვანს. მე ამის ნება დავრთე, ჩვენიანებიც გახარებული ხართ.

— მერე?

— მერე-და, გათავდება ყველაფერი.

— ის წაგიყვანს, ამით მისი სურვილი დაკმაყოფილდება, ბედნიერი იქნება.

შენ კი — შენი გულისტქმის წინააღმდეგ — წაყვები, მსხვერპლი შეიქმნება, ვისი, რისი! დამიდგეს თვალები, გამისკდეს მიწა.

— წაყვები! ჩემი თავის დასალუპავად წაყვები!

— მიზეზი?

— აკი გითხარი, გული გამიტყდა-მეთქი!

— ვაი, ვაი, ეს რა დამგართია, რა მესმის, ქალო? მითხარი, რად დაეკვდი, რამ გაიძულა, მიგელო ეგ გადაწყვეტილება?

— უარს არ ვამბობ. ეგ თქვენი მოწონებული წინათ ჩემი საყვარელი კაცი, როგორც შემოსვლისას მითხარი, ჩემი ქმარი, ის არ აღმოჩნდა, რითაც მე ის მიზიდავდა. ელექტრონის ფარანივით წინიდან ბრწყინავს, ზურგისკენ კი ბნელია. მისი სახელი აღარაფერს მეუბნება. თანდათან მზარავს ფიქრი, რომ ნეოფიტეს მივთხოვდები. აი, ასეა, უბედური, ცუდი გავზრდილვარ. მამიდა, მხოლოდ მისი ცოლი შემიძლია ვიყო, ვინც მიყვარს, მხოლოდ მას მივითხოვდები, ვინც ჩემი თვალის სინათლეა.

— ალბათ ამით გინდა თქვა: გაყვები და მოიტყვევი ისე, როგორადაც გათხოვილი ქალის ზნეობა გონებითა და გრძნობით წარმოგიდგენია და გწამს. ცოლი კი არ იქნები. ის ცოლი ვერ იქნები, როგორც გინდოდა ყოფილიყავი.

— ეერა, ვერ ვიქნები, მამიდა ელო.

— როდის აპირებს სასიძო მოსვლას?

— ზეგ, კვირას!

— ორ დღეში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. კიდევ მოიფიქრე, კიდევ გასინჯე. მისიანებაც ელაპარაკე. რაც ნახო და გადაწყვიტო, დაუყოვნებლივ მაცნობე. მამიდა ელია შენს თავს არავის დაჩაგვრინებს.

— მასთან მე შინ აღარ მივალ. არ მივალ იმ ადამიანთან, რომელსაც არ უყვარს დედა, ნათესავი და რომელიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს და მშობელი დედა უპატრონოდ ჰყავს მიტოვებული.

— რა მიზეზით?

— არ ვიცი.

— გასწი, ინახულე დედამისი, გაიგე მიზეზი... საღამოს კი მე გეტყვი, გყავს თუ არა არეზიშვილებს ქვაფიაშვილზე გასათხოვარი ქალი.

— წავალ. მაგრამ არ ვიცი, რა გაეაკეთო, როგორ მოვიქცე.

— გასწი, გასწი — წამოიძახა მამიდამ. — ნახე დედა მისი, დაელაპარაკე. დედის მოძულე კაცი ვერც ცოლს შეიყვარებს.

გულიყო წამოდგა. მამიდა-ძმისწულის საუბარში კარგა ხანს გაეგლო. ყმაწვილი სკოლაში უზმოდ გაპარულიყო.

დღის პირველ საათზე გულიყოც გავიდა შინიდან. გაიარა ეზო. მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით, ფიქრით შეპყრობილი. გამოჩნდა მტკვარი. აქ ქალმა პირი აღმოსავლეთისაკენ მიიბრუნა. გვერდი აუქცია მუხრანის ხიდს, ბარათაშვილის აღმართს და იქვე, ჩუღურეთის ხევის ბოლოში, ქუჩის კუთხეში შეჩერდა. იქ ერთხელ კიდევ დაფიქრდა. სწორად იქცეოდა თუ არა? ამ ფიქრებით ბასილეთის ქუჩის და ჩუღურეთის ხევის ჰეფხოს მიაშურა.

გულიკომ კარგად იცოდა, რომ ბასილეთის ქუჩის შუაგულში, ჩუღურეთის ხევის ნაპირზე, ძველებურ სახლში, ცხოვრობდნენ ნეოფიტე ქვაფიაშვილის დედა და დიდედა. როცა გულიკოს თავისი საქმრო თავდავიწყებით უყვარდა, მაშინ ყოველი ის ადგილი, სადაც ნეოფიტეს ფეხი დაედგა, წმიდანთა წმიდად წარმოედგინა. მაშინ მისი ყველაზე მწვავე

სურვილი იყო, ენახა ის ადგილი, სადაც ნეოფიტემ ბავშვობა გაატარა, სადაც აღიზარდა, ენახა და დაეკოცნა, მკერდში ჩაეკრა ქვა, აგური, ზე. გულიც ამ უბნის ერთ ქალსაც დაუშეგობრდა. ერთხელ მასთან ერთად ნეოფიტეს სახლის შესასვლელთან გაჩერდნენ, დაფულუროებული აკაციის ქვეშ. გულიერ სასოებით მიაჩერდა იმ კიბეს, რომლითაც ჰვავიაშვილები დაიარებოდნენ, ხოლო მალე მასაც უნდა ევლო. „განა ამაზე უკეთესი საცხოვრებელი კიდეც იქნებოდა სადმე ქვეყანაზე?“ — ფიქრობდა გოგონა. უეტრად მოხუცები გამოვიდნენ გარეთ, თვალი მოჰკრეს ორ ახალგაზრდა გოგონას, რომლებიც ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მათ სახლს. „ვინ უნდა იყვნენ?“ — მოჰკრა ყური გულიკომ. ნეოფიტეს დედას ეკითხებოდა დიდება. „არ ვიცი, გავიგებო“, მიუგო რძალმა და ქუჩისაკენ წამოსვლა დააპირა, დედამთილმა მას ხელი მოაგლო, „მეც გამოვალო“, უთხრა და ბორძიკით წამოჰყვა. გოგონებმა გადაიკისკისეს, ადგილიდან მოსწყდნენ, შევლებივით ჩაირბინეს მტკვრის სანაპირომდე. ახლა როლები შეიძვალა. გულიკო თვითონ მოდის მოხუცებთან. აღმართი იღევა. აგერ მოხუცების ბინაც. გულიკო აღის კიბეზე, თვლის საფეხურებს, გული აჩქარებით უცემს, სახეზე აღმური ასდის. ნეოფიტეს დედა და დიდება აივანზე ჩაის შეექცევიან. ახალგაზრდა ქალი დაინახეს თუ არა, ეიშვიშით წამოდგნენ, მიეგებნენ, შინ შეიყვანეს, ლოგინის ჩასალაგებულ ძველ, დამკლულ ყუთზე დასვეს და თვითონაც გარშემოუსხდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. ვერაფერ ვერ ახერხებდა ხმის ამოღებას. გულიკომ თვალი მიავლ-მოავლო ბინას. მინების სანაცვლოდ ფანჯარაზე გაყვითლებული ქაღალდები იყო გაკრული. განჯინის კედლები ლოკოინის ვერცხლისებური ბრჭყვიალა კვანძებით იყო დასერილი. ოთახში ნესტის, ფორის, ობის და ძველმანების სუნი იდგა.

ახალგაზრდა ქალს გააეროლა, სიმწრის ოფლმა გამოჰყარა შუბლსა და ნიკაპზე. ნესტოებზე ცხვირსახოცი აიფარა. ეს შენიშნა ნეოფიტეს დედამ.

— ეს არის, აქ გაგზარდეთ ჩვენი ერთადერთი ბიჭი, ჩვენც აქ დაებერდით! — დაარღვია მან სიჩუმე და ოთახს სევდიანი თვალი მოავლო.

— ნეოფიტეს პაპამ, — ჩაერია საუბარში დედამთილი, — ზურგით მოზიდა ამ სახლის აგური, ბალავერიც თვითონ გათხარა. მაშინ მეც ახალგაზრდა ვიყავი. აგურს ვაწვდიდი ქმარს, მკლავზე ბავშვი მეწვინა, ნეოფიტეს მამა.

— გიყვარდათ ერთმანეთი, გიხაროდათ სიცოცხლეს, ხომ ბებო! — შეეკითხა გულიკო.

— ასე იყო, რალა დროისაა ჩემთვის იმ დაუბრუნებელი მგზავრის გახსენება, ახალგაზრდობა რომ ჰქვია. წავიდა და წავიდა. ყველა ძვირფასეულობა შემომხსნა და წაიღო თან. ახლა დასასრულს ველი. არ მოდის. სიკვდილიც გულმეიწყი ყოფილა. აი, შემხედე! რალად ვამძიმებ მიწას, ვის ვჭირდები კიდეც!

გულიკომ ხელი მოავლო ბეჭებში მთლად დაღეულ მოხუცს, ღლიაქვეშ მიიკრა. მოხუცი განაგრძობდა:

— ნუ ირჯები, შვილო, მე ველარაფერი გამათბობს, ჩემი შუე ჩადის, სადაცაა მთლად ჩაესვენება, ჩაქრება. ძარღვში სისხლი აღარ დამიდის, შემომხედე კიდეც, დამაკვირდი!

გულიკო სიბრალულით აივსო და კიდეც უფრო მიიკრა მოხუცი.

უეტრად მოხუცი შეინძრა, რალაც ძალა გამოიჩინა, თავი გაითავისუფლა, თითქოს ახალგაზრდა ქალის სიცხემ დასწვაო, გვერდით გადაიხინჭა, თვალებში შეხედა.

— მეც ვიყავი ერთ დროს ისეთი, როგორიც შენა ხარ.

ამ სიტყვებზე გულიყო მთლად აკანკალდა. აფართხალებული გული საგულედან ამოვარდნას აპირებდა. ასე უბედურად თავი ჯერ არასოდეს არ ეგრძნო.

ნეოფიტეს დედამ ეს შეატყო გულიყოს.

— თქვენ ხომ აქ არ იცხოვრებთ, არც ჩვენ ვიქნებით თქვენთან. ნეოფიტეს, ჩემს შვილს, ბინაც აქვს და... — წარმოთქვა მან.

„რატომ არა ხართ მასთან ერთად იმ ბინაში?“ — უნდოდა ეკითხა გულიყოს, მაგრამ სულ სხვა სიტყვები მოადგა ენაზე.

— ხშირად გნახულობთ ნეოფიტე?

— აბა, იმის დროს ვინ მისცემს, ჩულურეთის ბებრებისთვის რომ მოიცალოს. ბევრი საქმე აქვს, დღედაღამ გაბმულია მუშაობაში. — მიუგო დედამ.

ახალგაზრდა ქალის განრისხებას საზღვარი არა ჰქონდა. მისთვის ხომ იცლიდა ნეოფიტე! დროც ბევრი ჰქონდა. საღამოს შვიდ საათზე მოსული ზოგჯერ ღამის პირველზე წასულა. ესენი კი მისი ნახვის ნატვრით სულს ლევენ.

— ერთხელ დამანახვა კიდევ და მერე თუნდაც მოვეკდემ, აღარ ვინაღულებ. — თქვა დიდედამ.

გულიყოს მეტი აღარ შეეძლო. გამწარებული, შეურაცხყოფილი, გულარეული წამოხტა, გიყვივით გაირბინა ეზო, გაიქცა შინისაკენ. მირბის, მირბის, ეს კიდევ რაღაა? ვიღაც ქალი ხელში სწვდა და შეაჩერა.

— ერთი წუთით მომითმინეთ. თქვენ ხომ არეზიშვილის ქალი ხართ?

უცხო ქალი გულიყოს ხნოვანების იქნება. ტანსაცმელში სხეული აღარ ეტყობა. მთლად გაფხავებულია სიგამხდრისაგან. მკლავზე ძუძუთა ბავშვი უწევს.

რა უნდა? ალბათ მოწყალებას სთხოვს. გულიყოც შეიწყალებს დაეხმარება.

— თან არა მაქვს-რა, — ეუბნება უცხო ბავშვიან ქალს. — არა, როგორ არ მაქვს. აი ჩემი პიჯაკი, აი ჩემი ბროლის ყელსაკიდი. მოიხმარე, როგორც გინდა...

— არა, არა, — ეუბნება ბავშვიანი ქალი. — თქვენ მხოლოდ დაეხსენიოთ ნეოფიტე ჰევეიაშვილს, დაეხსენით!

გულიყო ხელიდან გაუსხლტა უცხო ქალს, უფრო თავგამეტებით ჩაირბინა ქედხო. სანაპირო ქუჩაზე მიმავალთ შეერია. ხალხი კი გარბის წვიმისათვის თავის გასარიდებლად. გულიყოს არც შეუნიშნავს ცაზე ტყვიისფერი ღრუბლები. წვიმამ მოულოდნელად დაუშვა. წვიმის ხშირი, ცივი წვეთები კამარკამარად ჩადიოდნენ შეთვალებული მტევნებით სავსე მკერდზე, მკლავებზე. ქუჩის შუაგულით მიდიოდა, ღვარში მიტაპუნობდა, მანქანების ხმაური არ ესმოდა, შინ თავით ბოლომდე სველი მივიდა. დერეფანი მალულად გაიარა, მამიდა ელიას ოთახის კარი შეაღო და შევიდა. მამიდა შინ დაუხვდა.

ელია სამუშაოდან ახალი დაბრუნებული იყო. ვახშამს ამზადებდა.

— ასე როგორ დასველდი! — გაიოცა მამიდამ. — მანდ ჩემი კაბა და თეთრი ული მონახე, გამოიცვალე!

გულიყო უსიტყვოდ მიდის მამიდის საწოლთან. ტანსაცმელს იცვამს. გარეთ ამინდი მკაცრდება. წვიმა მატულობს. ქუჩაზე ამაზრუნენად კვიის და გარბის სახანძრო რაზმის მანქანა. სეტყვანარევი კოკისპირული წვიმა შეუბრალებლად აყრევივნებს ნაყოფსა და ფოთოლს თეთის ხეებს. უკუნი ღამეა. ოთახში ბეუტავს წითელსაბურავიანი ელექტრონის ნათურა.

ელია და გულიკო ლოგინში წვანან. პირველი გონების ენით ლაპარაკობს. მეორე — გულის კვნესით.

— ჩემი გაკვეთილი შენ არ გამოგადგება. მე შევისწავლე იგი. მხოლოდ და მასვე მოუყევი, მას, მასწავლებელ ცხოვრებას. ყოველი ადამიანი, როცა ის მუხლს ამუშავებს, თავის საკვალაზე ახვედრებს მის ტერფს. მე სხვა ვარ, სხვა! შენ კი სხვა...

— მაშიდა, მე არ შემიძლია მიყვარდეს ის კაცი, ვისაც დედა გულიდან მოუწყვეტია, მისთვის არა გაუწირავს-რა. როგორ შეუძლია ადამიანს ისეთი უსულგულო იყოს, როგორიც კვავიაშვილია, ისეთი უგრძობი იყოს, როგორიც ის არის? ასეთი კაცი როგორ პოულობდა სიტყვებსა და გრძობებს ჩემი გულის მოსანადირებლად? ის ტყუოდა, მე ვტყუვდებოდი. მე ვერ გავძლებ მასთან. იმ საცოდავი ბავშვიანი ქალის შეხვედრამ ზომ სულ მომიწამლა წუთისოფელი, დამწვა, შემარცხვინა, სამარე მომანატრა.

— ვიცი, ვხვდები, შენს გულში ვზივარ და ვგრძობ. სხვარიგად არ შეგიძლია. ისე იყოს, როგორც გული გეუბნება. ერთი კი იცოდე, შენს უარს ჩემი ძმა და ძალი მე დამბრალებენ. — ელია წამით გაჩუბდა და მერე ხმადაბლა დაილაპარაკა:

— ნამდვილი არეზიშვილის სისხლი და ხორცი ხარ, ამოღებული ხმალი. აჰა, მარნის კვირისთავი, შედექ ზედ, დაატრიალე, შენ უთუოდ გაგგონია, მეორე მაშიდა გყავდა კიდევ. სულ ის ხარ გონებით, გულით, გარეგნობით. და ვიყოთ ჩვენ, არეზიშვილების ქალები, ასეთები, როგორებიც ვართ.

ასე გაათენეს ლამე მაშიდამ და გულიკომ მწველ საუბარში.

გათენდა კვირა დილა. არეზიშვილებისას ოთახების დალაგება არავის მოსვლია აზრად. ივანე შინ მოსაცდელად თავს ძალას ატანდა. ახლა მას ყველაფერს ერჩია თავისი არიდგომეტრი. ან თუნდაც ერთი ან ორი ბოთლი კარდანახული ან კვალითური ღვინო. ფანჯრისაკენ იხედებოდა. წვიმამ არ გადაიკარა. სულშიაც ღრუბელი ედგა.

კედლის საათმა თერთმეტი ჩამოჰკრა. ამ დროს ივანეს სახლს ავტომობილი მოადგა. იქიდან გადმოვიდა ტანადი ვაეკაცი, ლანდივით გაიელვა ტროტუარზე, კიბეზე სისწრაფით ამოიჭრა და კარზე დააკაუნა. მოსული ნეოფიტე კვავიაშვილი იყო. სტუმარი ივანემ და თეომ უღიმოდ მიიღეს. ჯერ დამსხდარნიც არ იყვნენ, რომ მაშიდა ელია შემოვიდა.

— ჩემი ძმისწული, გულიკო, გწყველით თქვენ, ნეოფიტე კვავიაშვილო. გითვლით: შორს და მშვიდობით, შორს და მშვიდობით! — უთხრა აწეული გამკივანი ხმით სტუმარს და კარიც უჩვენა.

— არა, მე ასე ვერ წავალ აქედან! — თქვა ნეოფიტემ. — გულიკო შეჩვენოს.

— გულიკო! გამოდი! — მიბრუნდა გულიკოს ოთახისაკენ ელია. — შენ ხილი იხილე, მებაღეს რას კითხულობ. აქ არის ციდან ჩამოვარდნილი წითელი თურაშოილი! გამოდი, გამოდი, რკინის კოპოტი და ტაბიკები მოგიტანეს. კოპოტს გაცმევენ, ტაბიკებს გიყრიან ლამაზ კისერში.

შემოვიდა გულიკო.

— მაშლათქვენი! — გადმოცა თქვენი გადაწყვეტილება უგრძობლი, აგრე მოხდებოდა, მივლივარ. თორღ გახსოვდეთ, მე და ჩემი მოხდებები უშენოდ უბედურები ვიქნებით. მარად ახალს და დასაბამიდან ჩახმარ სიტყვას ვაუბნები: მიყვარხარ, ამის ერთი მხეზი ისიც იყო და არის, რომ მაშიდა, თუნდაც 2. „მშობლი“ № 9.

ყველაფერი აგერია, უკეთესი იქნებოდა ჩემთვის, ისიც ვიცი, ეს ეგოიზმია. მივდივარ. გზა მასწავლე. დაგტოვებ. ერთი მითხარი მხოლოდ უკანასკნელად; რად განიზრახე შურისძიება იმ ხალხზე, რომელსაც მხოლოდ პუნქტში მტკბარი აქვთ? ან როგორი დანაშაულიც არ უნდა მიმიძლოდეს ჩემს მოხუცებთან, დედა უკვე სამოცდაათისაა, დიდება კი მეოთხმოცდაათეს მისდგომია, სხვისი ვალი კი... (ნოფიტემ თვალი მოარიდა გულიკოს) არა მაქვს.

— ხედავ! გესმით? — აღშფოთდა მამიდა ელია. თან გულიკოს გადახედა.

— მე. გულიკო. შენგან. თქვენგან განსჯა კი არა, სხვა რამ მინდოდა. რაც შეეხება სამაგიეროს, ჩემი მხრით არავის, არავის ვალს არ შევიწვევ. — მიმართა ქალს ნოფიტემ.

— რა უნდა ვქნა? — ძლივს წარმოთქვა გულიკომ ისეთი კილოთი, თითქოს ამას. ერთი მხრით, ნოფიტეს, და, მეორე მხრით, მამიდა ელიას ეკითხებოდა.

სვალინის ხილი



როს ვერის ხიდი პირველად ვნახე,
ოციოდე წლის ვიყავე ჰაბუკი.
იღგა აპრილი და ვერის ბაღებს
მწვანედ ხატავდა მდგელო ფაფუკი.

ეს იყო ომის წელი საზარი,
შორს ცეცხლით ჰქუხდა ცა ანთებული.
უკან გარბოდა მხდალი თათარი,
რუსული ხიშტი დაფეთებული.

მანინ არ იყო მტკვარზე ჰესები,
ელნათურები ბეუტავდნენ ძუნწად,
ბიჭები ბადით და ანკესებით
მტკვარში იჭერდნენ ჰანარს და მურწას.

ბაღში ისმოდა წკრიალი თარის,
მტკვარზე დაღვრილი სხივები მთვარის
აღვარებდა ზვირთს მოლივლივებს,
მადათოვისკენ ვეება ტიეებს
მოაქანებდა შრიალით მტკვარი.

დღეს ზვირთით ტიეი აღარ ნანაობს,
არ წკრიალებენ ბაღში თარები,
აღაბრისაკენ არ მიქანაობს
კუზა აქლემი ზანტი მოქნარებით.

აქ მძაფრ ტალღათა ჩოჩქოლს და
ჰიდილს
მტკიევედ ხედებთან ბურჯები სალის.
როგორ ამალღდა სტალინის ხიდი,
გახდა მკვრივი და წარმტაცი თვალის.

აი, ნაყოფი ვაყკაცურ შრომის,
რა შეუძლია გამირობას უჩვევს!
გააფთრებული მტკვარი, ვით ლომი,
აწ ვერას აენებს მის მაგარ ბურჯებს.

ახალ სივოცხლის მზის ელვარება
მომავლისაკენ დიად გზით მიდის,
გაზრდილ თბილისის მძღავრ
მღელვარებას
სჭირდება ფართო გზები და ხიდი!

კოტა ხანიც და, ჰესს ორთაჰალის
შუქთა ეინელილი ააბრიალებს,
ზღვად აზვირთდება აქ მტკვარის წყალი
და ნავთა სრბოლა მოხიბლავს თვალებს.

ჩვენი ქალაქი კვლავ გარდიქმნება.
გალამაზდება ნატვრის თვალვიით,
მის ერთ მშვენიებად მულამ ოქნება
ამაღლებული ხიდი სტალინის.

ოთხი ლექსი



ბული და რტო

გუშინ ქარმა ჩამოაგდო ფოთოლი,
რტო ამბობდა: — გაძარცული რტო
ვარო!
ჩემო ქარგო, მაინც არ ხარ ობოლი,
უფოთლებოდ რტოზე დანატოვარო!

ველავ მოისხამ, შენ ზურმუხტის
სამკაულს,
ამწვანდები, არ ხარ ისე საბრალო.
მე რა ვუყო სიყვარულით დამწვარ
გულს,
დრო მიდის და...
დარდი ვის დაეაბრალო!

ნატოს სიკვდილზე



— ვაი სიკვდილო, თურმე სად მელი! —
მწარედ ჰკიოდი ღრუბლებში, ნატო,
ელვამ მოგეტაცა ყველა სათქმელი,
მშვენიერებით ელვაზე მნათო!

ჭექა-ქუხილით დაგესხა ზეცა,
ულამაზესო ქართველო ქალო!
რა საშინელი მეხი დაგეცა,
ჩვენო მშვექალო და ნატვრის თვალო!

შენ ხომ სიციცხლის ფეთქვა იყავი,
იყავ ალაზნის უტკნობი ვარდი,
დაო ძვირფასო, ეს რა გვიყავი,
რად მოგვიტანე ამდენი დარდი!

ნატო, რა დაგრჩა სახელის გარდა!
სურათი, რასაც გრძნობით ხატავდი,

ნატო, კახეთმა ყვავილად გზარდა,
ვინ იფიქრებდა, საფლავს ნახავდი!

ვინ იფიქრებდა, ცეცხლი დაგწვავდა,
ატირდებოდა მთაში გიული!
მიგყვება ფერფლი გიშრის ნაწნავთა,
ცრემლი და ხსოვნა მარადიული.

გვშორდები, მაგრამ ხომ შეასრულე
ქართველი ქალის მაღალი ვალი!
ნატვრად ტკნებათ ჩვენში ასულებს, —
შენებრ სპეტაკი დატოვონ კვალი.

— ვაი სიკვდილო, თურმე სად მელი! —
ღრუბლებთან ომში იძახდი ნატო,
ელვამ წაგართვა ყველა სათქმელი,
მშვენიერებით ელვაზე მნათო!



ვარდის ეპალი



ციდან თქრიალებს მაისის თქეში,
მოტირის ზეცა... რა აედრებია,
შენი მეოცე ვარდობის თვეში
ვარდის ეკალიც მომნატრებია.

ლურჯად გაშლილი შავი ზღვის სარკე
შენი თვალების სიღრმე მგონია.
ზვირთნი ილტვიან ნაპირისაკენ,
ფიქრს კი ნაპირიც ვერ უბოვნია.

მეც ამ დროების შეუქთან მიცანი,
ჩემი ლექსები ბრძოლის ცდებია.
ლექსები, როგორც ზვირთნი ზღვისანი,
კვლებიან, მაგრამ კვლავ ცოცხლებიან.

თუ არ მაკმარე ტრფობის დარდები,
ლამის დამიჯდე სიცოცხლის ფასად.
რა ვქნა, წყალში ხომ ვერ ჩავეარდები
ფრთამოტეხილი ფრინველის მსგავსად!

რა ხარ! ლერწამი წამწამნაყარი,
თუ გვალვის შემდეგ მოსული წვიმა,
მგონი ეს წვიმაც შენი ხმა არი,
აჲ მოიტანა ნიაჲმა ცივმა.

ცრემლით ავსილან ღრუბლის უბენი,
წვიმს და ფოთლებზე თქრიალებს თქეში,
მიშველე. თორემ დავიღუპები
შენი მეოცე ვარდობის თვეში.

პეპელა



გაიღვიძე, პაწაწინა პეპელავ,
აფრინდი და გაგაყოლე თვალები,
ბუჩქებს უვლი, შეფარფატებ ნელ-ნელა,
ვინ რა იცის, რომელს ეტრფიალები!

რომ შეგეძლოს, საქართველოს გასძახებ:
რა კარგია შენს მიწაზე ვარდობა!

ველად ეძებ ლურჯხალიან ზამბახებს,
ვიყვარს სხივი, ბაღში მზის ფერადობა,

გზიბლავს ია, ცისთვალა და ყაყაჩო,
გინდა ნაზად ნარგიზს მიესალამო,
ყვავილების უსახლკარო დარაჯო,
სადმე შტოზე მიგაძინებს სალამო!

დაუსხროველი გული

ზიოზგრაფიული მოთხრობა *



ზამთარში, როცა ბურუსი გორაკების მწვერვალებს ტყეისფერი სარკვე-ლივით დაეხურება, როცა ვერხვის შიშველი ტოტები თეთრი სუღარით შეიმოსებინან და მლოცველებივით მკლავებს სივრცეში ალაპყრობენ, როცა მიდამო გაყუჩებულია, ერთსართულიანი ერდოიანი შენობები წიწილებივით სიცივისაგან მიიყუჩებიან და რუხი კედლებილა აეყუდებიან ქუჩების პირად, — მაშინ გორი დანგრეულ ქალაქს ემსგავსება.

სალამოხანს მიყუჩებული ციხე მოიღუშება. შავი ნაბდები მოეფინება შენობების კუნჭულებს. გორის ქუჩებზე სიარული შეწყდება. მოღრეცილ ბოძებზე კრთება ფარნების მბეუტავი სინათლე. სახლებში ადრინად შეხიზნული მცხოვრებნი, მოწყენილობითა და დღის სიავით დაღლილნი — დასაძინებლად ეშაადებიან.

რვა საათზე რუსის უბნის ყაზარმებიდან ბუკის მკვეთრი ხმა სივრცეში შექრილი ისარივით ჰაერს გააბობს, მყუდროებას დაარღვევს, კარ-ფანჯარას ზრიალს დააწყებინებს, ქუჩებსა და ეზოებს მოედება, ერთხანად ქალაქსაც სიციოცხლე დაეტყობა. ხოლო ბუკის ხმა რომ შეწყდება, სიჩუმე და მღუმარება გამეფდება ქუჩებში. ფანჯრებიდან ზოლებად მოფენილი მკრთალი შუქი უტბად ჩაქრება. გარემოს წყვედიად მოიცავს.

იძინებს გორი.

იძინებს მიხაც. გაუთხოვარი ქალიშვილის მამამ, მოხუცმა ანდრიამ, ეს იყო ახლა გაათავა გრძელი ზღაპარი და ნატოს გარდა ყველა დასაძინებლად დაწეა. ნატო კი ჩვეულებრივად მაშინ განაგრძობდა რომანების კითხვას, როცა ყველა იძინებდა.

ჯერ კიდევ ბურანში მყოფი მიხა, ზღაპრის გმირების შთაბეჭდილებით აღსავეს, მათთან ერთად ამარცხებდა ცხრათავიან დევებს, თრგუნავდა ბოროტებას და ამომავალი მზის სხივებს ესალმებოდა. „ოთხი ძმის“ ძმებივით ისიც მიდიოდა ხალხში და მათი ჭირფარამის აღმოფხვრისათვის იბრძოდა. ოცნებით რაშის ფრთებზე შემჯდარი, თავისი ცხოვრების მომავალს განჭვრეტდა...

თუმცა ის ძალიან სუსტი აგებულებისა იყო, არც მხარბეჭი და არც გულმკერდი გმირების აზოვნებას არ ეღარებოდა, მაგრამ მაინც მაღალი, შნოიანი, ყველაზე ნიჭიერი, ლაზათიანი იქნებოდა, როცა დიდი კაცი გახდებოდა. ზღაპრული გმირივით მოუხმობდა თავის მეგობრებს, წინამძღოლობას გაუწევდა, მეფეს დაამარცხებდა, საჭართველოს გაათავისუფლებდა და გლეხებს მისცემდა.

მთლიან საკუთრებად ტყესა და მიწას. თვითონ გახდებოდა მათი-მფარველი და ქომაგი. მაშინ დიდი მოწიწებით შეხედებოდა მას ყველა და თავაზიანი, ნოკოძალებული ზრდილობით ქედს მოუხდიდა. ...„გაუმარჯოს მიხას, დღეგრძელება და დიდება ჩვენს მიხას!..“ შესძახებდა ხალხი. მედიდურად გაივლიდა მათ შორის და ულამაზეს ქალს შეირთავდა ცოლად. სოფელ წრომში იცხოვრებდა და თავისი ავადმყოფი ძმის მოსარჩენად უცხოეთიდან გამოიწერდა ექიმებს, მოარჩენდა და დედის გულს გაახარებდა.

უკვე რული ეკიდებოდა მის ქუთუთოებს, რომ ეზოს კარი გაიღო და თანჯარაზე დააკაუნეს. ნატოს დაუძახეს. მეზობლის გოგონა ჩურჩულთ ეუბნებოდა:

- გაიგე, ტურაშვილის ღიზა ამაღამ რომ ჯვარს იწერს?
- მართლა?
- ოქონაში! ათ საათზე! წამოხვალ?
- მაშა! ჯერ ხომ ადრეა?
- ადრე მივიდეთ, თორემ დაგვასწრებენ!..

ნატომ ქუდი დაიხურა, მხრებზე შალი წამოისხა და კარი გაიხურა.

ოქონის გალავნით შემოვლებული ვიწრო ეზო ხალხით ივსება.

ეკლესიის კარების წინ გროვდებიან — ცალ მხარეზე გოგოები, ცალ მხარეზე ბიჭები. სიცოცხისაგან კანკალებენ. ხელებს ისრესენ. ახალმოსულები ემატებიან. მკიდროვდებიან. ბიჭები გოგოებს გადასძახებენ. გოგოები ქორიკანობენ:

— იცი შენა, რომ ღიზას არ უნდოდა თურმე სასიძოს გაჰყოლოდა? — ეუბნება ერთი გოგო მეორეს.

— ვითომ რატომო?

— მაგას თურმე ვასო ჰყვარებია! აი, ჩვენებიანთ ვასოი, იცი?

— მართლა, ქალო? მერე?

— მერე, რომ მიადგნენ თავისი ძმები, ისეთი დღე დააყენეს, რომ... აბა, რალას იზამდა?

— მდიდარია სასიძო?

— მერე, როგორი! იმიტომ უნდოდათ ძმებსაც!

— ახლა რა უჭირს ღიზასა! ნეტავი მაგასა! ქმარი თბილისში წაიყვანს, იქ აცხოვრებს!..

მომსვლელები მატულობენ. ეკლესიის რკინის კარებს ეკვრიან. კარზე კითხვითი ნიშანივით დიდი კლიტე ჰკიდია. ორი ჯგუფი ერთმანეთს თანდათან უახლოვდება.

რომელიმე თავზედი ბიჭი ხელს გააპარებს. გვერდში მდგომ გოგოს მკლავში უჩქებტს.

— შენ გაგიხმა ეგ ხელი! მოიცა ერთი ჩემს ძმას ვუთხრა?

— ძმას კი არა, გოგო, აფთიაქში გამოაცხადე!.. იტყვის რომელიმე.

— მოისვენეთ, ახლა აღარ მოისვენებთ? — შეუტყვეს მათ ხანში შესული

დედაკაცი.

დიდხანს უცდიან მნათეს მოსვლას.

აგერ ისიც მოვიდა, მაგრამ კარებამდე ვერ მისულა. ატყდება ჩოჩქოლი. ერთმანეთს მიაწევიან, იძახიან:

— გაატარეთ! მნათე გაატარეთ! გაუშვით, კარი გაგვიღოს!

ადგილიდან კი არავინ იძვრის.

მნათე შემკიდრობულ ხალხს გაარღვევს, ჯიბიდან გასაღებს ამრიღებს, კლიტეს გახსნის. გოგო-ბიჭები ბნელ ეკლესიაში შეცვივდებიან. აქეთ-იქით გაიფანტებიან. ბრტყელი ქვით დაგებული იატაკისა და ქვიტკირის კედლებისაგან ნესტიანი სიცივე ეტანება ფეხებსა და მუხლებს.

როცა მნათე ეკლესიაში შევა და სანთლებს აანთებს, შავი ჩრდილები კედლებზე ღამურის ფრთებივით აფარფატდებიან. ეკლესია მკრთალად განათდება. თითბერით მოჩუქურთმებული ხატები აზინდებიან. დაბალი ტანის მნათე გრძელწოხიანი, მოტყევილი თავით და ქალარა წვერებიანი — პავლე მოციქულს წააგავდა. ანთებული სანთლით ხელში ეკლესიაში მიმოდოდა — საცეცხლურს აღვივებდა, შუა ეკლესიაში სადავითნეს დგამდა. წინ პატარა ფარდას უშლიდა.

ეკლესიაში განიერანაფორიანი, თეთრი წვერით მოსილი, გამხდარი მღვდელი შემოვიდა.

მას მოჰყვა ნეფე თავისი მაყრებით. შეიქნა ჩოჩქოლი, ჩურჩული, მიწვე-მოწვევა. როცა დედოფალიც მოვიდა თავისი მეგობრებით, ნათესაებით და ნაცნობებით, ჩურჩული ხმამალალ ლაპარაკში გადავიდა, ყველა ცდილობდა დედოფალი კარგად დაენახათ, ჰვინტებზე დგებოდნენ. შეჯგუფულმა ბიჭებმა უცებ იხუტეს და მალალ აივანზე აცვივდნენ.

მღვდელი შეიმოსა, მოვარაყებული ფილონი ჩაიცვა და აფხორილ ინდაურს დაემსგავსა. სადავითნესთან დადგა. ჩოჩქოლი შეწყდა.

დედოფალი გრძნობდა, რომ მრავალი თვალი უმხერდა მას, მორცხვობდა და წაშწამების დახრით მეგობრებისაკენ გაიხედავდა.

სადავითნეს წინ აყუდებულმა მღვდელმა, ფილანში მომწყვედული მარჯვენა ხელი გამოიღო, სამგზის პირჯვარი გადასწერა და გალობით წარმოთქვა: „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოველდღე, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდევე!“... ჯერისწერა დაიწყო.

ეკლესიაში საკმევლისა და სანთლის სუნი დატრიალდა.

მღვდელი და დიაკვანი ერთმანეთს თითქოს ეჯიბრებოდნენ, ხან ერთად მღეროდნენ, ხან ცალ-ცალკე.

ხალხში ისევ ლაპარაკი და ჩურჩული გრძელდებოდა.

— რა ლამაზი დედოფალი ყოფილა? — იძახიან ქალები.

— ქალო, პირველად ხედავ თუ?

— სადედოფლო კაბა უხდება!

— როგორ გაფითრებულია?

— მაშ რა იქნება, ქა! ამდენი ხალხი მაგას შესცქერის!

სამგალობელო ქანდარაზე ასული ბიჭებიც ალაპარაკდნენ. და როცა მღვდელი ნეფე-დედოფლის მარჯვენა ხელებს ერთმანეთს შეაჭლობს, ანთებულ კელებტრებს მარცხენა ხელში დააჭერინებს, წინ გაუძღვება. დიაკვანთან ერთად „ისაია მხიარულობას“ იგალობებს: ამ დროს ქანდარაზე მყოფი ბიჭები შესძახებენ. „ნეფე-დედოფალი, ხიდ ქვეში! ხიდ ქვეში!“ ძახილი ეკლესიის თალებშიც გამეორდება, კედლები ახმაურდება, გამხიარულდებიან მაყრები და დედოფლის მეგობრები.

— რა საძაგლები არიან! — ამბობენ ხანშიშესული ქალები.

— ეგ კიდევ არაფერი, აბა ნახე მაგათი ღრიანცელი, მღვდელი რომ ღვინოს დაალევიანებს ნეფე-დედოფალსა!

მღვდელს გამოაქვს საკურთხეველიდან ვერცხლის პატარა თასი. სიფრთხი-

ლით მია წეფე-დედოფალთან, ლოცვას წაიბუტბუტებს. ჯერ დედოფალს, მერე წეფეს თასით ღვინოს ტუჩთან მიუტანს. ისინიც სამჯერ მოსვამენ. ამ დროს ატყდება ქანდარაზე ყვირილი: „შეხვრიბაა! შეხვრიბაა!“ ეს ძაბილად მიძღვნილად გაისმის ეკლესიის თაღებში, კედლებს ედება, მოსულთა სმენას სხვობს. დენიმე წუთით, თითქოს შხაპუნა წვიმა წამოვიდაო, გრძელდება ეს ღრიან-ეკელი. ამის შემდეგ ბიჭები ქანდარიდან დაეშვებიან. გარეთ გააცივდებიან. ჯვრისწერაც მთავრდება. მიყუჩებულ ქუჩებში მაყრების ეტლები ერთიმეორეს მოჰყვებიან...



მიხა დავითაშვილი მიდიოდა წელი ნაბიჯით, მხარზე ჩამოკიდებული აბგით. თოვლ-ჰყავში სიარულით ჩუსტები დასველებოდა. სკოლის დერეფანში შევიდა თუ არა, გოგია გლურჯიძე დაეწია. მკლავში ხელი წაავლო. შეანჯღრია. მსხვილსა და მხარბეკიანს ბამბაზიის ხალათზე დაბამბული პალტო ეცვა. დათვის ბელს წააგავდა. მოწყენილი მიხა თავისკენ მიატრიალა. შეეკითხა:

— ბიჭო! მიხო! ეგრე მოწყენილი რომ ხარ, ნეტავ რას ფიქრობ ამდენსა? არ იცი, რომ დღეს დავითხოვენი და სოფელში წაველთ?

ფიქრებში ჩაფლული დავითაშვილი ახლა-ღა გამოფხიზლდა. ტუჩები გააპო. თეთრი წერილი კბილები გამოაფინა.

მას გოგია გლურჯიძე უყვარდა მისი მუდამ მხიარული გუნებისათვის, მასთან შეხვედრისას, რაც უნდა მოწყენილი ყოფილიყო, თავს ანებებდა თავის ფიქრებს და გოგიას ოხუნჯობას და სიმხიარულეს აჰყვებოდა.

— ვიცი! მერე, რა? — უპასუხა მიხამ.

— მერე ისა, რომ სოფელში წაველთ და ერთი ლაზათიანად ვიჭეიფებთ! არ გიყვარს ნუნუა?

— ისე! არც მინცდამაინც!

— აბა, ვაეკაცი ხარ რაღა შენცა!

— ღვინის სმა რა ვაეკაცობაა?

— რატომაც არა? რომ შექეიფიანდები, იცი, რა კარგია!

ერთიმეორით სავსე დერეფანი განვლეს. თავიანთ კლასის შესასვლელში შედგნენ.

— მიხა, ცუდ ნიშანს ხომ არაფერს ელი, ბიჭო? — შეეკითხა გოგია.

— ბერძნულში სამიანი მეყოლება, სხვა საგნებში ოთხები და ხუთები.

კლასში შევიდნენ. ბიჭები მერხებზე არ ისხდნენ. ყველანი აშლილიყვნენ და ჯგუფებად შეკრებილნი ალტაცებით იგონებდნენ სოფლის ახალწლის დღეებს, ციგაობას, ყინულზე ცურაობას, ნაშუქებსა და ქაღებს. ბუხარსა და თბილ ოთახს.

დერეფანში ბუტირსკი დარბოდა. ისმოდა მისი ყვირილი: „В класс! В класс!“ ბერს მკლავში წაველებდა ხელს, უჩქმეტდა და შეაგდებდა...

საშობაო არდადეგების წინა დღეებში მოწაფეები ლაღობენ, ცელქობენ, გაკვეთილებს აღარ სწავლობენ, უხარიათ, რომ მალე სოფელში წაველენ და მშობლიურ ქერქვეშ დაისვენებენ. ყველა თავის სოფლის ამბავს ჰყვება:

— მე ყველაზე ძლიერ გოზინაყი მიყვარს! — ამბობს ერთი.

— გოზინაყი კი არა! ფოჩიან კამფეტს რა სჯობს! — დაურთავს შეთრე.
 — ეი, თქვა ამანაც! თუ ეგრეა, ჩურჩხელებზე უფრო კარგი რა არის?
 — ლახუსთაყი?
 — კაკლის მურაბა? დედაჩემმა ისეთი კაკლის მურაბის გაკეთება იცის, რომ...

— ეეე! დაიწყო ამანაც კვებნა!
 — ერთი თქვენცა! ლაპარაკობთ რაღა! აბა რა სჯობს ღორის მწვადებსა?
 — თანაც გახურებული ბუხარი და ტკბილი ღვინო! — ლაპარაკში ჩაერევა გოგია გლურჯიძე.

— აი, ეგ მართალია! ზედ დაყოლებული შენი მრავალყამიერი! — თქვა პეტამ. — „ჭაიდა, მრავალყამიერი“... წამოიწყო, მაგრამ ისევ შეჩერდა.

— გოგია! გოგია! შენ დაიწყე! — მიმართეს გლურჯიძეს.

წკრიალებს პირველი ხმა. მოჰყვება მეორე. გუგუნებს მესამე...

თითქმის ყველა მღერის.

— ბიჭებო! ერთი „შამთარი“ დასცხეთ „შამთარი“!

— არა, არა! „შაშვი კაკაბი“!

— შაშვი, შაშვი!..

მომღერლები ფეხს იცვლიან, ჩაახველებენ. ერთმანეთს უახლოვდებიან. და გუგუნებს ძველი სიმღერა: „შაშვიი კაკაააბი, შეიბნენ და... შააშვი, შაშვი, კაკაბი, შეიბნენ და... შაშვიიი მგალობელიააა!“

ჯერ კიდევ ბევრფური. ახალგაზრდული ხმები, ერთმანეთს რომ ეჯიბრებიან, ხალისობენ; გულით და სულით რომ მღერიან, მსმენელებს აჯადოებენ... სიმღერა რომ გათავდება, ერთი წამოიძახებს:

— ბიჭებო, აბა ერთი ცანგალა და გოგონა!

თქმისთანავე, თითქოს ყველა ამას მოელოდა, ჯგუფი გაიფანტება. განიერ რკალს შემოჰკრავს. ერთ მხარეს ისევ მომღერლები დადგებიან:

ცანგალა, გოგონა და.

გოგონი, გოგონა და...

ყველას თვალები გაუბრწყინდება. ტაშს შემოჰკრავენ. სათამაშოდ ერთმანეთს ეპატივებიან. ხელსა ჰკრავენ და წრისკენ აგდებენ. უცბად პეტა გადახტება, მკლავებს გაშლის, წრეს ჩამოუვლის, ერთ ადგილას შეჩერდება. ფეხს გაუსვამს, ხტის და სათამაშოდ ჩუტკერაშვილს იწვევს. წრეში ორი ბიჭი მკლავგაშლილი დარბის. გუნდი მღერის:

ეს ბიჭი კარგად თამაშობს,

ფეხის ფრჩხილებზე დგებაო,

იმან რომ ფეხი იტყინოს.

ჩვენ ხომ არ დაგებრალდებაო...

ცანგალა და გოგონა და...

ორი მოცეკვავე ბუქნავს, ხტის. ხან შეერთდებიან, ხან ერთმანეთს დაშორდებიან, წრეს ჩამოუვლიან, ისევ შეერთდებიან.

ცანგალა, გოგონა და...

აჯერ მოდის შაპა,

უცბად გახდა ტყაბა...

ცანგალა, გოგონა და...

თავის ლექსებს ჩაურთავს გლურჯიძე. სიმღერა გრძელდება. მოცეკვავეთა ხტუნვა და მკლავგაშლილი ჩამოვლა ყველას კუნთებს უთრთოლებს. ისინიც წრეში გადაცვივდებიან. ახლა სამი, ოთხი დარბის და ცეკვავს. გუნდი ძლიერს.

ტაში, სიმღერა, ცეკვა და მხიარული თვალები, ათრთოლებული კუნთები ყველას ჩაითრევს, ვინ მღერის, ვინ ცეკვავს...

ვოგნი, ვოგნი, ვოგნი...

გახურდება ცეკვა და სიმღერა! მთელი კლასი ღრეობაშია. თითქოს კედლებიც იცინიანო, ბზინავენ და მზის შუქზე ლაპლაპებენ.

— ბიჭებო, შეჩერდით, შეჩერდით! მოდის, მოდის! კლასში შემოვარდება ჩუტკერაშვილი, ხელებს აქნევს და მომღერლებს აჩუმებს. შეწყდება სიმღერა. შედგებიან მოცეკვავენიც.

— ვინ მოდის, ვინა?!

— მოდის ბუტირსკი, მოაჭვს ნიშნები.

— მოდის! მოდის!

გამოჩნდება თუ არა ბუტირსკი, ყველანი თავთავიანთი მერხისაკენ გაიქცევიან. დასხდებიან, დაწყნარდებიან.

ბუტირსკი მაგიდასთან მივა, ნიშნების უწყებებს დადებს.

მოსწავლეები სხედან. გულის ძგერით უცდიან ნიშნების მიღებას. მოელიან, რომ ბუტირსკი მალე აიღებს ხელში ფურცლებს, სათითაოდ გამოუძახებს, დაურიგებს. მაგრამ ის მაგიდის წინ დადგება. მოსწავლეებს მიმართავს. არიგებს, თუ როგორ უნდა გაატარონ არდადეგები სოფელში, წირვა-ლოცვაზე სიარულს არ უნდა მოაკლდნენ, ლოცვების დროს მღვდელს უნდა დაეხმარონ, სამოციქულო წაიკითხონ, ტრაპეზში ემსახურონ, დრო არ დაჰკარგონ, გაკვეთილები გაიმეორონ.

— ქადაგად დაეცა რალა! — ვეღარ ითმენენ მოსწავლეები. მათ ყურადღებას იქცევს დერეფნიდან მოვარდნილი ხმაური, ყივილ-ხივილი, სირბილი; სხვა კლასების მოსწავლეებმა უკვე მიიღეს ნიშნები. შინისკენ მოკურცხლეს. მოუთმენლობისაგან ბევრი ფეხზე წამოდგება, წინა რიგებისკენ წავა. ზოგი მაგიდას მიუახლოვდება, გარს უვლიან და ლამობენ ნიშნებს ხელი წაატანონ. ბუტირსკი ახლა-ღა მიხვდება, რომ მათი შეკავება აღარ შეიძლება. მაგიდასთან მიდის, ფურცლებს აიღებს და გარსშემოკრებილებს დაურიგებს.

გადახედავენ ნიშნებს და გარბიან, — ზოგი მხიარული და ზოგი დაღვრებული.

მიხა დავითაშვილმაც გადაათვალიერა თავისი ნიშნები. ბერძნულში და რუსულში უწერია სამიანები. ეწყინა.

იმდღესვე წავიდა თავის სოფელ წრომში.



სადგურ გომიდან ორი კილომეტრითაა დაშორებული სოფელი წრომი თავისი ერთსართულიანი აივნისანი სახლებით, ბოსლებით და საბძლებით გორაკის ფერდობზეა მოფენილი. გაჩერდება თუ არა მატარებელი, მგზავრები კბიებზე ჩამოცვივდებიან, სადგურის დარბაზს გაივლიან და მეორე მხრიდან სოფლისკენ გზას გაუდგებიან.

სადგურზე მიხას უფროსი ძმა პეტა დახვდა. აგერ მეორე-დღეა, მის დასახვედრად მოდის ხოლმე. ბაქანზე შეხვდნენ ერთმანეთს. პეტაც თავის ძმასავეთ გამხდარი და მალაღია. შავწვერებიანი, ჩოხაში გამოწყობილი სოფლის დიაკვანს წააგავს. ორიოდ წელია, რაც სასულიერო სკოლა დაამთავრა; მაგრამ სემინარიაში გამოცდები ვერ ჩააბარა. ახლა მამასთან ცხოვრობს.

— მარხილით მოხვედი, პეტა? — შეეკითხა მიხა.

— მაშ! სადგურის უკან გვიცდის ჩვენი გიო!

— შინ როგორ არიან, ხომ კარგად!

— კარგად, კარგად! მაგრამ ხომ იცი, გუცა რომ ავადმყოფობს!

— ეგ ვიცი, ახლა როგორ არის?

— ზეზეა, დადის, მაგრამ სიცხე მაინც აქვს ყოველდღე.

ლაპარაკიც ამაზე შეწყდა.

მემარხილე მიხას მიესალმა, გადაეხვია.

იმავე სოფლის გლეხი გიო წინათ მათ ოჯახში მოჯამაგირეობდა. მერე კი, მამა რომ გარდაეცვალა, მამისეულ სახლში დადგა. ცოლი შეირთო. მამის დატოვებულ საქონელს ცალი ხარი მიუმატა, მაგრამ მაინც ძალიან ღარიბად ცხოვრობდა.

— როგორა ხარ, გიო, ხომ კარგად! — მოეკითხა მიხამ.

— კარგად. მეოთხე ბიჭი შეეძინა! — თქვა პეტამ.

— მართლა, გიო? ყოჩაღ შენა!

მარხილთან მივიდნენ. ჩასხდნენ. გიომ ილიაში ჩაჩრილი სახრე გამოიღო. ხარებს წინ გაუძღვა. — „თბრიე!“ — შეუტია. ვაცრეცილი, სიცვიისაგან ბალანბურტგნული ხარები ნელი, ზანტი ნაბიჯით მიაბიჯებდნენ. ფიფქიანი თოვლს ჩლიქებით ჰფანტავდნენ. გიოს ნაბდის ქუდი და ქოჩორი თოვლს დაეფარა. დახეულ მანარაში გახვეული, დაბალტანიანი, ჩამჯდარი კისრით, მოღუშული სახით და მხარზე სახრით, ფიქრებში ჩაფლული მიდიოდა. — თბრიე! — შეუძახებდა. ხი, მამო, შე ვერანა! — შეუყვირებდა.

ყინულ-თქვით მოჩხრიალე მტკვარს მიადგნენ. პეტა და მიხა მარხილიდან ჩამოვიდნენ. ბორანი გაღმა ნაპირში იდგა. მალე აქეთა ნაპირს მოადგა. ფიცრით შეკრულ მცირე ბაქანს დაეჯახა და შედგა.

— მაინც რა ეშველება გუცას? სწავლასაც თავი დაანება! — ჰკითხა მიხამ, როცა ისევ მარხილში ჩასხდნენ.

— ეჰ, აბა, რა ვიცი! რა ეშველება! რა ღროს სკოლაა, ახველებს, სისხლსაც იღებს. საჭმელს არ ეტანება. მაგისტვის კი კვებაა საჭირო. ისეთი გამხდარია. ჩხირის ღეროები-ღაა ცარიელი.

— საცოდავი დედა!

— რა ქნას დედამ! მთელი დღე თან დასდევს. ხან რას გამოუცხობს. ხან რას შეუწყავს. მაგრამ, ჰე!..

გულკეთილი და ნათესაეების მოყვარული მიხა ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ შეეკითხა:

— შენ? შენ რაღას აკეთებ?

— მე უნდა მღვდლად ვეკურთხო ნათილების შემდეგ!

— ბიჭოს! მაშ ცოლიც უნდა შეირთო?

— დანიშნული მყავს!

— ერიპაა! მე კი არაფერი შემატყობინეთ! მრევლს სად გაძლევენ?!

— აგერ იქითა, აი! — მთებისკენ უჩვენა. — ოსების სოფელში!

- კარგია! იქ იცხოვრებ, რაღა!
- მაშ, რას ვიზამ!
- გეწვევი ხოლმე!
- მაშ! ისეთი ხაბიზგინა გაქვამო, რომ...



სოფელში შევიდნენ. ეკლესიის გვერდზე გაიარეს. ეკლესია — განიერი, მიწაში მკვიდრად ჩამჯდარი კედლებით, ქვიტირიანი მალალი გალავნით, კოშკივით აზიდული ოთხკუთხიანი სამრეკლოთი — მიხას ახლა უფრო ბუმბერაზი და მიმზიდველი მოეჩვენა. ახლა-ლა დაინახა მისი შესანიშნავი აღნაგობა, მისი კედლების თლილი და მძიმე ქვები, საუკუნეთა განმავლობაში რომ დაღარულან, გაცვეთილან, მოქუშულან.

სოფელს რომ გახედა, თოვლით დაფენილი ქობმახები რომ დაინახა, განცვიფრდა, ეუცნაურა: ასე საცოდავად რატომ გამოიყურებოდა მისი სოფელი? თითქოს ასი კი არა, ოციოდე კომლი მოსახლეობდა, ერთმანეთზე მიმსხდარი. შენობების ყაფრიანი სახურავები, ბოსლები, საბძლები, ბელლები თითქოს სიცივეს დაეჩუტოს, მოეკუმშოს.

მთის გახრიოკებულ ფერდობზე მიკრული, გაცრეცილი და უმწეო რამ დააქნინა ამ ბუმბერაზი ეკლესიის გვერდით? მერე-და, ასეთი მივარდნილი კუთხე რად ამოირჩიეს წინაპრებმა, — ურწყავი და უნაყოფო, ზაფხულში ცვარნაშსა და წვიმას მონატრული? საკვირველია ასეთი გიგანტური ტაძარი პატარა და უმნიშვნელო სოფელში!

მისი ფიქრები შეჩერდა, როცა მარხილი სახლის წინ შედგა.

ოთახის კარი გაიღო. აივანზე მოკლე და ჩქარი ნაბიჯით, ფუსფუსითა და ბუტბუტით, გრძელი თალხი კაბით მოსილი, დაბალი ტანის, თავშალმობვეული დედა მიეგება მიხას. ორივე მკლავი მხრებზე გადააქდო და მკერდზე მიიკრა.

— გაციებულხარ, შვილო! მთლად გაყინული ხარ! მოდი, მოდი, ჩქარა ოთახში! გათბი ცეცხლთან! შენ გენაცვალოს დედაშენი!

— არა მიჭირს რა, დედი, ნუ გეშინია! — ეუბნებოდა მიხა და თან მკლავ-მობვეული მიჰყვებოდა დედას ოთახში.

— შალი რატომ არ წაიღე, შე ჩემი ცოდვით სავსე! — მიუბრუნდა უფროს ვაჟს ფოფოდია. ღუმელთან მივიდა, მაშა აიღო, ცეცხლი ააგიზგინა.

— გათბი, შვილო! ახლო მიდი!

მიხას დედას, პელაგიას, ჯერ კიდევ ადრე ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაეღუპა. უმცროსი ბიჭი გუცა, გადადებული ავადმყოფი, შინ უჯდა. უფროსი ვაჟი პეტა სწავლადამთავრებელი დარჩა და მამის კმაყოფაზე ცხოვრობდა. ახლა მთელი იმედები, დედის გულს რომ ახარებენ, მიხაზე ჰქონდა დამყარებული. წელს სკოლას დაამთავრებდა, სემინარიაში შევიდოდა, მტერს თვალს დაუყენებდა, მოყვარეს გაახარებდა. მიხა იყო მისი სიყვარული და ნუგეში, მისი საამაყო შვილი. ისიც და მამაც მისგან მოელოდნენ სემინარიის დამთავრებასაც და უმალეს სასწავლებელში წასვლასაც. ამიტომ მეტ ყურადღებას აქცევდა მას და მეტად ზრუნავდა მასზე.

— გუცა სად არის, დედა? — იკითხა მიხამ.

— მეორე ოთახშია, შვილო. ახლა ჩაეძინა. ჯერ ნუ გააღვიძებ. იმას ენაცვალოს დედა! ისე გელის, რომ...

— მამა?

— ისიც მალე მოვა! ნათლობაშია მეზობელთან. ცოტა მოიცადე და ახლავდ მოგიტან საკმელს. გზაში მოგშივდებოდა, შვილო.

დედა დაფაცურდა, როგორც დაფაცურდებიან ხოლმე დედები სკოლიდან შეილის დაბრუნებისას. პეტამ ტახტის ქვეშიდან გამოიღო ნუგეშის მკურნალები და დასაპობად გავიდა.

მიხა ლუმელის გვერდით იჯდა. გაციებულ ტანს სითბო ესიამოვნა; მგზავრობით დაღლილი მატარებლის ხჯღრევას და ტოკვას კიდეც განიცდიდა.

ფანჯრებზე ჩამოფარებული თეთრი ფარდები, ლუმელის გუგუნო, ხალიჩა-მუთაქებით დაფენილი დიდი ტახტი, შუა ოთახში მდგარი, თეთრი სუფრით გადაფარებული მაგიდა, დაბალქერიანი ოთახი, სითბო, მყუდროება მიხას ძილსა ჰგვრიდა.

დედა ოთახიდან ოთახში გადიოდა, დაფუსფუსებდა, ჭურჭელი გამოჰქონდა, კარდას აღებდა, საინებს და დანა-ჩანგალს აჩხრიკებდა, მაგიდაზე ალაგებდა. ლუმელზე ღორის ხორცი იხარშებოდა. წვეთები გახურებულ თუნუქზე ეცემოდა. ნაზუქები, ქაღები და თონის პურები მაგიდაზე გროვდებოდა.

ოთახში მიხას მამა შემოვიდა. მალალი, შავთვალწარბა, თეთრწვერულვაშინი, ფართო ანაფორითა და გრძელი კაბით მოსილი, მკერდზე დაკიდებული ვერცხლის ჯვრის ქანაობით შეილისაკენ წავიდა.

— მოხვედი, შეილო? გამარჯობა! — მიხა ფიცხლავ წამოხტა და მამას გადაეხვია. — როგორა ხარ?

— კარგად, მამა!

— პეტა სად არის? ხომ იმან მოგიყვანა?

— პეტა შეშის დასაპობად გავიდა.

მამას უნდოდა შეილს შეჰკითხოდა, თუ როგორი ნიშნები მოიტანა, მაგრამ შემდეგისათვის გადასდო. მიხაც ამას მოელოდა, მაგრამ, რომ შეატყო, არ ეკითხებოდა, გაეხარდა.

მამამ საყინძე გაიხსნა, ანაფორა გაიხადა, იქვე კარებთან ჩამოჰკიდა, ჯვარი მოიხსნა და კაბის ჯიბეში ჩაიღო. კაბისამარა დარჩენილი გაცილებით მიშხიდეული იყო, თავისი ახოვანი ტანით და მოზღენილი წვერით, უფრო ადამიანური, უბრალო და მშობლიური.

გლეხები მას სოფელში პატივს სცემდნენ, აფასებდნენ. ავადმყოფობის მრავალი წამალი იცოდა, — სიყმაწვილის ფხვნილი, მუცლის ტკივილისა, ქარებისა, და სხე.

მძიმე ავადმყოფის პირველი დახმარებისათვის, ვიდრე ექიმს მიიყვანდნენ, გლეხები მას მიმართავდნენ. ნიკოლოზ მღვდელი იყო მათი ნუგეშისმცემელი ჭირსა და ღზინში. სხვა მღვდლებს არ ჰგავდა, ღარიბ გლეხს დრამას არ ართმევდა, შეილებს უნათლავდა, შინაურ დაეაში მედიატრობაზე უარს არ ეტყოდა, გაყრის განაჩენს დაუწერდა, გასამრჯელოს არ გამოართმევდა. „შენ რომ არ გვეყავდე, მამაო ნიკოლოზ, რაღა გვეშველებოდა მწერლისა და მამასახლისის ხელში?“ — ეტყოდნენ ხოლმე გლეხები.

— დავიგვიანე, შეილო? — შემოსვლისთანავე მიმართა დედა პელაგიამ მიხას. — მზადაა ყველაფერი! მამა ნიკოლოზიც მოსულა! აბა, დასხედით, დასხედით!

ოთახში პეტაც შემოვიდა ხელადით ხელში.

აბა დასხედით! რალას უცდით! — გაიმეორა ფოფოდიამ.

მაგიდაზე მოხარშული დედალი დასდო, ცხელი ქაღი გატეხა. ნაზუქები სათითაოდ ჩამოართვა. ორთქლიანი ღორის ხორცი დასაჭრელად პეტას გადასცა, თვითონაც სკამი მიიდგა და მიხას გვერდით დაჯდა.

— დედა მოუკცდეს გუცასა, ისე გემრიელად სძინავს, რომ არ გაეაღვიძე! —
თქვა დედას.

უკვე ბინდდებოდა, როცა სუფრიდან ადგნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილას, ფანჯრებში რომ ბინდი გაიპარება, მერთალი ნათელი მოიცავს კუთხეებს და ოთახში გამოჩნდება მაგიდა, სკამები, ღუმელი, კარადა და ტახტები, — მიხაც თვალს გაახელს, წამწამები აუციმციმდება, გვერდზე გადაბრუნდება, ოთახს მოათვალიერებს. თეთრი ფარდებით ჩამოფარებული ფანჯრის მინები ლეჩაქის არშიასავით მოქარგულან. გარეთ ცივა, ოთახში ღუმელი დაუნთითათ.

მინებზე დახატული ყინულის ქობა გამჭვირვალეა, ოცნების გამაღვიძებელი. უცნაური ხაზები ფოთლიანი შტოებით ერთმანეთს მისდევენ, მოქსოვილი ჩუქურთმებით ერთმანეთში იბლანდებიან. მაგრამ ანთებული ღუმელის სიბზოს შეოხებით შეუშინველად ქრებიან, უჩინარდებიან. მხედველობაში ისევ წყლისფერი მინები ისახებიან.

გონება ფხიზლდება და სწრაფად იწყებს შეწყვეტილი ფიქრების დენას. გაირბენენ მესხიერებაში სკოლის ამბები და ამხანაგების სახეები, მათი მხიარულები, მზზინავი თვლები, სიმღერა და ცეკვა-თამაში.

მოაგონდა გლურჯიძე. „ალბათ გუშინდელს აქეთ, ბუხრის ახლო სუფრასთან ზის და ნუნუას მიირთმევს. აი უღარდელი კაცი! მუდამ მხიარული, უნაღვლო, უზრუნველი. და თავის საქმეც კარგად მიჰყავს. არც კლასში დარჩენილა, არც ორიანები ჰყოლია“.

უცბად გაიხსენა თავისი ნიშნები — ორი სამიანი. გული მოეკუმშა, კოპები შეჭრა, ოთახი მოათვალიერა. არაფერ იყო. საკვირველია, სად წასულან?

ერთბაშად წამოჯდა. ფანჯრის ფარდას მისწვდა, გვერდზე გასწია. თოვლით მოფენილ ეზოში გაიხედა. ხილნარის ტოტებზე ბელურები ფართხალებდნენ. თოვლის ფიფქი საცერში გაცრილი ფქვილივით ცვივდებოდა. ფრთებაბურძგნული ჩიტები ხეებიდან აივანზე ჩამოსხდებოდნენ, ცმუკავდნენ, კუდებს აცანცარებდნენ, ჭიკჭიკით ისევ სივრცეში აფრინდებოდნენ.

მან ფანჯარას თავი მიანება. ისევ ლოგინში ჩაწვა. ხელები თავქვეშ ამოიღო. თვალები ერთ წერტილს მიაშტერა.

— გაიღვიძე. შვილო? — შემოესმა დედის ხმა. მისკენ მიდიოდა თავშალწაკრული, შავგერემანი, გრძელკაბიანი დედა. მივიდა, დაიღუნა, აკოცა.

— ადექი, შვილო, ადექი! ჩაი გაცივდება! — უთხრა, თავშალი გაისწორა და ისევ მეორე ოთახში გავიდა.

მიზა გაიხმორა, თითქოს დაენანა თბილი ლოგინი. წამოდგა და ტანზე ჩაცვა. ოთახში რომ შევიდა, მაგიდასთან უკვე ისხდნენ მისი ძმები — პეტა და გუცა. გუცა, გამზდარი, ძალზე შავი, ხშირი წარბებით და შექმფენი თვლებით. ავადმყოფობის გამო სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასიდან გამოიყვანეს. მეორე წელია, შინ არის. სკოლაში მას ამხანაგები „დაღამდას“ ეძახდნენ. მის შავ სახეზე ორი თეთრი გუგა ელვარებდა და, როცა გაიღიმებდა, წვრილი თეთრი კბილები კიაფობდნენ.

— რა არის, კაცო, ამ ოთახში რად დაღამდა? ჩემს ოთახში კი გათენდა. — თქვა მიხამ და ტუჩებში გაიღიმა.

— ერთი შენა ხარ გადაპენტილი ბაბბა, აი! — შეეხუმრა უმცროსი ძმაც.

— შევები ხართ, შევილებო, მაგრამ შეხები! — ჩაურთო ზამღრფელ შემოსულმა დედამ.

— მამ, როგორ გინდა, აბა. დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამონახეო, ასე არ არის? — თქვა პეტამ.

დედა სამოვარს მიუჯდა, ჩაიდანო გადმოიღო, კიქებში დაასხა. გვერდზე სარძევე ედგა, მაგიდაზე ნახუქი, ლავაშები, ღორის ხორცი, ყველი და ქაღები ეწყო.

მამას უცდიდნენ, მეორე ოთახში რომ ლოცულობდა.

აგერ შემოვიდა ისიც, საყელოსთან და მაჯებთან დუგემებით შეკრული გრძელი კაბით. ძაღალი, ჭაღარა წვერებით და შავი ლოყებით, მხრებში მოღუ-
იული, თავის მიჩნეულ სკამზე დაჯდა. შეილებს გადახედა. სიამის ელვარებამ გადაჰკრა სახეზე, სამივე ვაყი გვერდს უსხდა. წვერებზე მარჯვენა ხელი ჩამოისვა, კვანძად შეკრული გრძელი თმა კისერთან გაიმავრა. ფოფოლიამ კიქები ჩამოარიგა. გუცას რძე დაუსხა და პურზე კარაქი წაუსვა.

როცა ჩაის სმა გაათავეს, მიხა ფიცხლად წამოხტა, გუცას თვალთ ანიშ-
ნა — „აბა, წავიდეთ საციგაოდო!“ და კარებისკენ გაემართა.

მამამ შეაჩერა.

— რატომ ნიშნებს არ მაჩვენებ, შეილო? ჰა? ვითუთ სამიანები გყავს? აბა, მოიტა, მაჩვენე!

აბნეული ნაბიჯით მიხამ მეორე ოთახიდან უწყება გამოიტანა, მამას მისცა. მან სათვალეები ამოიღო, ხმამაღლა წაიკითხა:

„საღვთისაგული — 4, რუსული ენა — 3, ქართული ენა — 5, ბერძნულ-
ლი — 3, კატექიზმი — 4, არითმეტიკა — 4, გეოგრაფია — 5, გალობა — 4,
ყოფაქცევა — 5“. — ჩაათავა. სამიანები არ მოეწონა.

— არ მომწონს შენი ნიშნები! რატომ გყავს ბერძნულში და რუსულში სა-
მიანი? შენ ხომ წლებულს სემინარიაში უნდა გადახვიდე!.. სამიანებით არ მი-
გიღებენ? რა გეშველება? არ შეყოფა, რომ ერთი აგერ შინ ბრძანდება? შენც
უნდა მიემატო? ამას როგორ ვიფიქრებდი! — თანდათან ალეღდა მღვდელი.
ხმა აუწია. წამოდგა. — სხეებს კი ნუ აპყეები, შეილო! იმათგან ზოგი ხელოსნის
შვილია, — დურგალისა, კალატოზისა, და რა ვიცი, კიდევ ვისი! იმათ რომ
არ ისწავლონ, არც სემინარიაში გადავიდნენ, მამის ხელობას მოჰკიდებენ ხელსა
შენა? აბა, რას იზამ? სირცხვილი არ იქნება, დიაკვნის შვილებმა გაჯობონ?
ისინი სემინარიაში შევიდნენ და შენ კი გარეთ დარჩე? გაკვეთილებს არა
სწავლობ, თორემ რად უნდა გყავდეს სამიანები და არა ხუთიანები? ჭკვიანი
ბიჭი მეგონე. შენზე ვამყარებდი იმედსა და შენც მიღალატე? აბა, რას იტყვი?
მიხა თავდაბრილი უსმენდა. როცა მამამ გაათავა, ძლივს წაიღულულა:

— გავასწორებ, მამა, ჯერ კიდევ წლის ბოლომდე დროა!

— იქნებ გარეშე წიგნებს კითხულობ? ამას ვინ დაგიშლის! მაგრამ იმას კი
არ უნდა გადაჰყვე ჩემს ძმასავით! ჯერ გაკვეთილები უნდა ისწავლო, მერე
წიგნები იკითხო! მამა! გაიგე? სემინარიაში რომ არ შეხვიდე, რა გეშველება?
მამინ ხომ ყველამ უნდა დამპიცნოს! დამპირდები, რომ გაისწორებ? — ლმო-
ბიერი კილოთი შეეკითხა.

— დაგპირდები, მამა!

ამ დროს აივნიდან შემოისმა:

— მამაო ნიკოლოზ, ჰაი, მამაო!

— აჰა, მოვიდნენ! არ მოგასვენებენ! ალბათ წამლები უნდათ, ავადმყოფი ჰყავთ!.. შენც მაშინვე უნდა გახვიდე! არ შეიძლება, მოიცადონ? — გაჯავრებით თქვა ფოფოდიამ.

— რათა ქალო! რატომ არ უნდა გავიდე? იქნება რა უჭირთ?

— იმიტომ რომ პირველად შენს საქმეს უნდა მიხედო!

— ერთი ლაპარაკობ შენცა! — გაალო კარი და გავიდა. — ასე, შეილო, შემდეგში აღარ გამეორდეს ეს ამბავი! უსათუოდ გამოასწორე. — მიმართა მიხას და კარებს მიეფარა.

მიხამ იცოდა მამის ხასიათი: რაც უნდა გაბოროტებულიყო, შვილებს არ დატუქსავდა, მაინც ღმობიერად მოექცეოდა. ასეთი მოპყრობა უფრო მოქმედებდა მათზე. და ახლა მამის ლაპარაკში მუდარააც რომ შეესმა, ცრემლით აევსო თვალები. თავის თავს სიტყვა მისცა, მამის სურვილი შეესრულებინა. უტბად წამოხტა; თავზე და შუბლზე ხელი გადაისვა და გუცას მიმართა:

— წავიდეთ ახლა, ვიცოგაოთ!

— წავიდეთ, წავიდეთ! ისეთი საცურაო ვიცი, რომ...



წერილ თოკზე მოხმული ორი ციგა ფიფქ თოვლში მისრიალებს. ორი ძმა მირბის. ხან ერთი გაუსწრებს, ხან მეორე.

— აგერ, ხედავ? მოსულან საციგაოდ! — შესძახა გუცამ და სირბილით გაეარდა.

გორაკის ფერდობზე ერთმანეთში ირეოდნენ შავი წერტილები. ზევიდან მოსრიალებდნენ, ქვევიდან კი დაღლილი ნაბიჯით ციგებს მიათრევდნენ.

ზევით, მოტყეპნილ თოვლზე, ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ვინ პირველი დაცურებულებოდა. სუფთა პაერი, მბზინავი, ბრჭყვიალა წერტილები, თეთრი ზეწრით მოფენილი მინდორი, სიწყნარე, ბავშვების ყრიაშული, ჭისკისი და ჩიტების ჭიკჭიკი გარემოს ახალისებდა.

ციგებზე ზოგი დამჯდარი მიცურავდა, ზოგი პირქვე დამხობილი, ზოგი დანოქილი, ზოგიც გვერდით მხარზე წამოწოლილი. ერთმანეთს დაეწეოდნენ, დაეჯახებოდნენ, ციგა გადაბრუნდებოდა. თოვლში იგუნგლებოდნენ, კოტრიალებდნენ.

რამდენიმე სწრაფი ჩაცურების შემდეგ მიხამ მოინდომა, რომ ციგაობის ოსტატობაში ყველასთვის ეჯობა. ციგაზე დადგა, თოკი ხელში ისე დაიჭირა, როგორც აღვირი, და დაღმართზე დაეშვა. ყველა მას უმზერდა. ხედავდნენ: ციგაზე მდგარი მიხა ხან მოიღუნებოდა, ხან გასწორდებოდა. გაჭიმული თოკი მარცხენა ხელში ეჭირა, მარჯვენას აქანაევებდა და მიჰქროდა, როგორც ცხენზე მოჯირითე.

ბევრმა წაბახა მას, მაგრამ ბოლომდის ვერც ერთი ვერ ჩავიდა. ყველა გზაში ეცემოდა, თოვლში გუნგლაობდა.

სამხრეთისკენ გადასული მზის სხივები ფიფქ თოვლზე ირიბად ეფინებოდა. თეთრი ველ-მინდორი, გორაკები, სუფთა პაერი, ტყვიისფერი სივრცე და შორეული კავკასიონის მთები საამურ სურათს ჰქმნიდა.

საციგაოს სათავეში სოფლის გზა გადიოდა. გამვლელი გლეხები მარხილს შეაჩერებდნენ და მოცურავეებს შეაცქერდებოდნენ.

იმ დღეს დაღმართისკენ გამოისიერნეს ციციშვილიანთ სტუმრებმა, რომლებიც შობა-ახალწელზე ჩამოსულიყვნენ თბილისიდან. ისინიც საცხადოს თავში გაჩერდნენ და სოფლის ბიჭების ოსტატობას უმზერდნენ.

მიხამ მყისვე იცნო ისინი, მაგრამ არ გამოეცნაურა. კარგად იცნობდა ლევან ციციშვილის ოჯახს და მის სტუმრებსაც. ხშირად დადიოდა ლევანთან, რომელსაც დიდ პატივს სცემდა, უყვარდა და ავტორიტეტად მიაჩნდა. განათლებული, განვითარებული, სტუმართმოყვარე ლევანი ციციანთ გვარეულობაში საყოველთაოდ ცნობილ მოსახლედ ითვლებოდა. მან უმაღლესი სწავლა პარიზში მიიღო და სოფელში რომ დაბრუნდა, გატაცებით მისდევდა ბიოქიმიას, მოაწყო ლაბორატორია, გამოიწერა სამეურნეო მანქანები, შეავსო თავისი ბიბლიოთეკა პარიზიდან ჩამოტანილი წიგნებით და მიჰყვა სოფლის კულტურ-ტრეგერობას.

სოფელში მისი ყოფა როდი ემსგავსებოდა თავად-აზნაურთა ცხოვრებას. ციციანთ გვარეულობა ყველა მტრულად და შურით უმზერდა მას. ლევანს ნაკლები ურთიერთობა ჰქონდა მათთან. მხოლოდ მახლობლებსა და ცოლის ნათესაებს შეგობრობდა. მისი ცოლი, ანდრონიკაშვილის ქალი, ქმრის იდეებს პატივს სცემდა, ოჯახურ ცხოვრებას ენერგიულად ეწეოდა.

ეს ოჯახი წრომის გლეხობას უყვარდა, მაგრამ, ავ ბატონებს შეჩვეულნი, მათი წინაპრებით გაბოროტებულნი, ლევანს მაინც იჭვის თვალთ უტყუროდნენ. მის კეთილგანწყობილებას მთლად არ ენდობოდნენ, გულს არ უხსნიდნენ.

თბილისიდან ჩამოსული ცოლოურები როდი ჰგვანდნენ იმ სოფელში მცხოვრებ ჩოხა-ხანჯალში გამოწყობილ თავად-აზნაურთა ვაჟებს. იმათსავით როდი მედიდურებდნენ. გლეხებთან მოკრძალებით იქცეოდნენ და მათთან ოჯახებშიც დადიოდნენ.

მიხა ციგაობას განაგრძობდა. სოფლელი ბიჭები განგებ თოვლში იგუნგლებოდნენ, სტუმრებს აცინებდნენ.

— მიხა! მიხა! იმეც შენ უნდა დაცურდე ზეზეულა, თორემ ხომ ხედავ, დაგყინიან! — იმანაც ციგა მოიმართა, თოკი ხელში მოიმარჯვა და დაექანა.

— ნახე, ნახე რა ლამაზად მიცურავს! თითქოს მიჯირითობსო! — შესძახეს მოსულების ჯგუფში.

— უი! მართლა! რა მშვენიერია! ღმერთო ჩემო! — იძახდა შავგვრემანი გოგონა, ალტაცებით ხტოდა და ცმუკავდა.

— ვაი! როგორ მიჰქრის! — ამბობდა მისი ძმა, სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილი.

— ნეტავ ვინ არის? სოფლელს რომ არა ჰგავს?

— ჩვენი ღვდლის — ნიკოლოზის შვილია. მაგას თქვენც უნდა იცნობდეთ. — თქვა მეორე ქერა გოგონამ. — ხშირად დადის ლევანთან. იმას ძალიან უყვარს და წიგნებსაც აძლევს ხოლმე.

— ჰო, მართლა, ვიცანი, ვიცანი! — შესძახა შავგვრემანმა.

მიხა ციგაზე ამართული მიჰქროდა. ყველა მას უმზერდა, მაგრამ... მოულოდნელად დაეცა...

— ვაიმე! ვაიმე! რა დაემართა? — შესძახა შეშინებულმა შავგვრემანმა გოგონამ.

— ვაითუ იტყინა რამე? — დაურთო მეორემ.

— არა, თვითონ წამოდგა. რა კარგად მიცურავდა! ეეჰ! — წყენით თქვა სტუდენტმა.

როგორ მოხდა? რა დაემართა მიხას? რატომ მაინცადამაინც ახლა

წაიქცა? კარგად ესმოდა მიხას გოგონების წაქეზება, წახალისება, შეძახილი. და იგი უფრო ხალისით მიპქროდა. გამარჯვება ახლო იყო. მაგრამ მოსახვედში ერთ ალაგას შავი მიწა გამოჩენილიყო, მიხამ ეს ვერ შენიშნა, გაქანებული ციგებ მიწაში გაიქცედა, მოღრიცა, ფეხზე მდგარი მიხა მოსხლევით თოვლში დაეცა.

მალე წამოდგა, ციგა გუცას მიუგდო, შინისკენ მოკურცხლა.

მირბოდა. „იქნებ ვინმემ განგებ მოაცილა თოვლი და მიწა გამოაჩინა?“ — ფიქრობდა გზაში. ოთახში შეიქრა.



როცა გუცაც შინ დაბრუნდა — გათოშილი, შარვალდასველებული, გაციებული, გაფითრებული, — დედამ ლოყებზე ხელი იტაცა და შესძახა:

— ამას რას ხედავენ ჩემი თვალები? ვაიმე, რაღა ვქნა! შეილო, შეილო! ეს რა არის? ეს რა გიქნია? შარვალი დაგისველებია! სიცივისაგან კანკალებ! შენ რაღას ფიქრობდი, ჩემი ცოდვით საგვს შეილო მიხა! არ იცოდი, რომ მისთვის ეს არ შეიძლება? ეგლა აკლდა ახლა მაგას? ვაიმე! ვაიმე! — კიოდა დედა. გახურებულ ღუმელთან შარვალს ხდიდა, სუფთა საცვლებს და მშრალ შარვალს აცვამდა. გაჩუმებული, თავდახრილი იდგნენ გუცაც და მიხაც. ახლა-ღა ხედავდნენ თავის დანაშაულს. — მაინც რას ფიქრობდი, შეილო! არ იცოდი შენი თავის ამბავი? ახლა რომ აეად გამიხდე, ლოგინში ჩამიწვე? მამაშენმა რომ გაიგოს, ხომ იცი, კარგს არაფერს გეტყვის! ბავშვი ხომ აღარა ხარ! — წუწუნებდა დედა.

— აი, შე დაღამდა, შენა! აკი გუებნებოდი, ნუ წამოხვალ-მეთქი! — ტუჩებში ნელი ღიმილით შეუტია მიხამ.

გაოცებულმა გუცამ ძმას თვალები შეანათა.

— შენ თვითონ არ მითხარი, წამოდიო! აბა, ტყუილს რად ამბობ?

— არაფერიც არ მითქვამს! — განაგრძობდა მიხა ცრუობას.

— დედა, დემერთმანი, სულ მაგის ბრალია, ვი, იცოდე, ციგაობის დროს რომ არ დაცემულიყო, წამოსვლას არც კი აპირებდა! — უთხრა გუცამ დედას.

— შეილებო, აბა რა გიყოთ! აბა, რა ვქნა! მერტი რა შემიძლია!

მიხას შეეცოდა დედა. ახლა-ღა შეიცნო შეცდომა. ნანობდა. ნაღვლობდა.

საღამოს დედამ ორივე ადრე დააწვინა დასაძინებლად.

მიხას არ ეძინებოდა.

ოთახს ნავთის ლამბა ანათებდა. მკრთალი სინათლე კუთხემდის ვერ აღწევდა. ხოლო შიგადაშიგ ღუმელის კარიდან ავარდნილი ალის შუქი ელვასებრ მოედებოდა საგნებს და ისევ ჩაქრებოდა.

მიხამ ვერ შეამჩნია, როგორ გაიღო კარი და ოთახში მამამისი შემოვიდა. ანაფორა გაიხადა. გრძელკაბით ღუმელს მიუჯდა. ხელები გაითბო. რომ გათბა, წამოდგა.

— დედაკაცო, ერთი, ასანთი მომიძებნე! — მიმართა ცოლს.

ფოფოლიამ ჯიბიდან ამოიღო ასანთი და მიაწოდა. მღვდელმა კუთხეში, ლეჩაქის არშიებით ჩამოფარებული ხატის წინ, სანთელი აანთო. იქვე მიმაგრებულ ფირფიტა ფიცარზე სანთლებისაგან დამწვარი შავი წერტილები რომ ჩანდა, ანთებული სანთელი დაამაგრა. მცირე ალი აციმციმდა, ხატის მოვარაყებულო, ღვთისმშობლის ფერმიხდილი, მოღუშული სახე გამოაჩინა, კუთხეში ფარფატი იწყო და იქვე მკრთალად მოეფინა.

მაგიდის უჯრიდან შავყდიანი, სქელფურცლიანი გასანთლული ლოცვანი ამოიღო, ხატთან დადგა. ერთი ანთებული სანთელიც მარჯვენა ხელში დაიჭირა, ლოცვანი გადაშალა და გაბმული კითხვით ლოცვა დაიწყო. ხმას ხან აუწევდა, ხან დაუდაბლებდა.

ხვალ მწირველი იყო და წინა ღამით წირვისათვის უნდა მომზადებულიყო. მრავალჯერ წაკითხული და გაზეპირებული ლოცვანი თავიდან ბოლომდე უნდა გადაეკითხა. სანთლის პატარა ალი ხან გაიშლებოდა, ხან მკრთალად ბეუტავდა. გრძელი ქალარა წვერი — სიტყვების წარმოთქმასთან ერთად — ცანცარებდა, სანთლის შუქი სუნთქვისაგან თრთოდა, სასოებით და ეკლესიური ღიღინით წარმოთქმული ლოცვების სიტყვები მყუდროებით მოცულ ოთახს იღუმალებით აესებდა.

გრძელი კაბით მოსილი ფოფოღია მოკლე ნაბიჯებით ოთახის სივრცეს აჩრდილივით გაივლიდა.

მღვდელი ღალადებდა, დაწეული ბოხი ხმით გალობდა.

შეგადაშიგ მლოცველი შეჩერდება, გალობასა და ლოცვას თავს ანებებს და ჩვეულებრივი ხმით მიმართავს ცოლს: „ღედაკაცო, პეტა სად არის? ძროხას საჭმელი დაუყარა თუ არა?“

ამ შეკითხვით იღუმალი მყუდროება ირღვევა, თითქოს ფანჯარა გაიღო და ოთახში სუფთა ჰაერი შემოვიდაო.

ღუმელი ნაკვერჩხლით აივსო. მისი ვიწრო კარებიდან გაღვივებული ნალვერდალის გიზგიზი ოთახს მკრთალად ეფინება.

— აღამიანო, ბავშვს გახედე; საბანი არ გადაიხადოს! — კიდევ მიმართავს ცოლს მღვდელი. — ფურცელს გადაშლის, ფეხს მოიცვლის და განაგრძობს ბუტბუტს.

მიხა ისმენს ლოცვას, მაგრამ ვერაფერი გაუგია, რომელ ღმერთს ესაუბრება მამამისი, ვერ გარკვეულა, რატომ აუწევს და დაუწევს ხმას. წინათაც მოუსმენია მამის ლოცვები, ოღონდ მაშინ ღრმა რწმენითა და სასოებით იყო გამსჭვალული, სიტყვებს ვერ არჩევდა, ერთი მთლიანი სიმღერით, ბურუსით და იღუმალებით იყო მოცული მამის ლოცვა. ახლა კი შეპარული ეჭვი — აფორიაქებული ფიქრებით აესებს მის გონებას. ლოცვას ისმენს, აკვირდება. სიტყვებში აზრს ეძებს და რომ ვერ უბოვია, უკვირს.

პეტამ შეშა მოიტანა და ცეცხლს შეუკეთა.

— რა ჰქენი, პეტა, საქონელს მოუარე? — მიმართავს მას.

მიხა კვლავ ფიქრს განაგრძობს. უამრავი კითხვა ებადება თავში: რატომ ეხვეწება მამა ღმერთს, რომ აპატიოს მას შეცოდებანი. და განა რა ცოდვები აქვს მამას ისეთი, რომ ასეთი ვედრება და ხვეწნა სჭირდება? ღმერთი ხომ მოწყალეა და ყოვლად შემწყვალებელი!.. მერე, რა ჩაიღინა მამამ მიუტევებელი? ის ხომ კეთილია, ყველას უყვარს. იქნებ რაიმე ცოდვა მიუძღვის მამას და მიხამ კი ეს არ იცის? მამა ხომ სათნოა, გლეხებს მკურნალობს და დრამასაც აპატიებს ხოლმე! მაშ რაღად ვედრება ღმერთს, ცოდვები მამატიეო! და მერე, რატომ არის ღმერთი ასეთი ჯიუტი, უღმობელი, რომ ამდენ ხვეწნა-მუღარას მოითხოვს?

ოთახში კვლავ მყუდროებაა. კვლავ გაისმის მღვდლის ღალადისი. ახლა ეს სიმღერა მიხას ნანასავით შეესმის, რადგან ფიქრებით დაიღალა, თვალი მიღულა და ჩაეძინა.



სოფელი ზამთარშიაც კარგია. მყურროება და ღუმლი ეუფლება მას თოვლით მოფენილია მინდორი, ორობეები, ვენახები და ბოსტნები. უღელში შებმული ხარები მიასრიალებენ მარხილს. განიერ და ბალნიან ტუჩებზე ბზის ღეროები ჰკიდიათ. შიდიან, მიიცხონიან...

წიწილებივით მიყუყულან და ერთმანეთს მიჰკვირიან ერთსართულიანი, დაბალკერიანი სახლები, ბოსლები, საბძელები და ბელლები. თეთრი ზეწრით მოფენილ ყავრის სახურავებზე ბუხრის თავები აყირავებულან. ზანტი თეთრი კვამლი ზღაზვნით იფანტება ცივ ჰაერში. სიწყნარეა სოფელში.

სადმე ეზოში ძალი თუ დაიყუფს, გარემოს მოედება ხმაური და იქვე შეწყდება წკნავილი. სადმე საქათმესთან ღობეზე აფრინდება მამალი, ფრთებს შეაფართხალებს და მოედება სოფელს მისი ყვირილი.

მეზობლის გოგონა საურმე გზას გადაირბენს, მახლობელი აივნის რიკულთან შედგება და დაიძახებს:

— დიდდა, სალომე! დიდდა სალომე!

ფიცრულის განიერი კარი გაიღება, ოთახში დაგუბებული თბილი ჰაერი კარის ბჭეზე ზოლად გაჰყვება. იქვე შედგება თავშალიანი დედაკაცი, მარჯვენა ხელის გულს შუბლზე მოიჩრდილავს, მოსულს გახედავს.

— რა იყო, მარინე! შემოდი, გოგო, შინ!

— არა, დიდდა! დედამ გამომგზავნა, ორი პური გვასესხეო, ხვალ გამოვაცხოზ და მოგართმევთო.

— ასე უთხარი, შვილო, საესედა გვაქვს-თქო!

გოგო გაბრუნდება, კარიც მიიხურება.



გიოს ოჯახი ნახევრად ბნელ ოთახში ცხოვრობდა. იმ დღეს გიო დილიდანვე შინ არ იყო. ბუხრის პირად ბავშვების დედა დაფუსფუსებდა; პატარები ცეცხლს არ შორდებოდნენ. აღმოადებული შეშა გიზგიზებდა, აყუღებულ კეცებზე ჰადი ცხვებოდა.

დედამ მუგუზლები საკეცეთი მისწი-მოსწია, მარცხენა ხელის გაშლილი გული შუბლზე აიფარა და კეცებს გვერდი უცვალა. სამფეხა სკამებზე ჩამომსხდარმა ბავშვებმაც გვერდი იცვალეს. მიმწვარი ჰადის სუნი მათ გაღვიძებულ მადას აღიზიანებდა. გამოცხოზის ლოდინში წყნარად ისხდნენ და უმზერდნენ, როგორ ქრებოდა ნაბერწყლები ჰვარტლიან ღუმელში.

ბუხრის თავზე მდგარი ჰრაქი ბნელ ოთახს მკრთალად ანათებდა. ბუხარში შიგადაშიგ ავარდნილი ალი იქაურობას გაანათებდა თუ არა, გამოჩნდებოდა კარადა, მაგიდა, გრძელი ტახტი და აკვანი, ოთახს რომ ამკობდა; კედლის გადაარაზული კარებიდან საქონლის ფრუტუნი ისმოდა.

დაბალი ტანის დედა, თავსაკრავწაკრული, აკარწახებული მკლავებით და კაბით, მოკლე და სწრაფი ნაბიჯით კუთხიდან კუთხეში დადიოდა. მიწური იატაკი შემოსასვლელ კართან ატალახებული იყო. აკვანში მწოლარე ბავშვი, ცქრილა თვალებით, დედას უმზერდა, ხშირად ატირდებოდა. მაშინ დედა პირში ძუძუს ჩაუღებდა და ბავშვიც გაჩუმდებოდა.

ახალი დაღამებული იყო და ყველაფერი დაბინაგებული. ზამთრის მკურდრო ღამეს არავითარი ხმაურობა არ არღვევდა.

უეცრად ძაღლის ყეფა და წყმული მოისმა.

ბავშვები წამოცვიდნენ.

— მამა! მამა! — დაიძახეს და კარებს მიეტანენ.

დედამ ცოცხს მოჰკიდა ხელი. სახეზე ღიმი გამოჰკრთა. ოთახის დაგვა დაიწყო.

ზღუდებზე აიმატა მოკლე ჩოხიანი, გამხდარი, სიცივისაგან გათოშილი გიო. მაშინვე ცეცხლისაკენ წავიდა. სამფეხა სკამზე დაჯდა. ხელები მოითბო. უმცროსი ბიჭი მუხლებზე დაისვა. ცოლისთვის არც შეუხებდავს ისე ჰკითხა:

— ამდენი ხანი ჭადი არ გამოგიცხვია, დედაკაცო!

— შენ რომ დაპობილი შეშა დამიტოვე!

— როგორ უნდა დამეტოვებინა, ვერ დაინახე, რა სწრაფად გაგერეკეს ბეგარზე? დილას აქეთია, არაფერი მიჭამია, ღმერთი არა გწამს!

— ჩვენც არ გვიჭამია, მამა! — თქვა უფროსმა ვაჟმა.

ცოლმა კეცები შეატრიალა. ერთი კეცი წააქცია, ჭადი ააგლიჯა, გაფხიკა, მეორე მხარით ისევ კეცზე ააყუდა.

გიომ ქალამნები გაიხადა. სველი წინდები ცეცხლთან ჩამოჰკიდა, მშრალ ჩუსტებში ფეხი ჩაჰყო.

ცოლმა ორი ჯამით ხონჩაზე პრასი და ხახვი დაღო, ღოჭით წყალი მოიტანა.

— ლობიო არ მოგიხარშავს დღესა? — ჰკითხა გიომ.

— რომ აღარ არის, რას მოვხარშავდი?

ბავშვები გემრიელად ილუკებოდნენ. დედა ფაციფუცობდა: ბავშვებისთვის ლოგინს ამზადებდა, აკვანთან მივიდოდა, გადაარწევდა, მოტეხილ ჭადს სიარულის დროს ჭამდა, ქვაბით წყალს ათბობდა.

— ასე უნდა შეგხვდეთ ახალ წელს! არც არაყი გვაქვს, არც ღვინო! — თქვა გიომ თავისთვის, ვახშაში რომ გაათავა.

— სხვა კი არაფერი გვაკლია! — დაუმატა ცოლმა.

— კვერები მაინც გამოუტხე ამ საცოდავებსა!

— კვერებს კი არა, ნახუქებსაც გამოვუტხობ!

— მართლა, დედა?

— ჰო, შეილებო! ახლა დაწეკით. ხვალ ღმერთი მოგცემს ყველაფერს — ფოჩიან კამფეტებს, გოზინაყს, ყინულის შაქარს და ნახუქებსაც! მამა! — ამბობდა დედა. ბავშვებს ფეხსაცმელს ხდიდა და ლოგინში აწვენდა!

კარებზე ბრახუნი გაისმა. გაიღო კიდეც და ოთახში მიხა შემოვიდა.

— ოჰ! მიხა, თქვენა ბრძანდებით? მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით! — მიეგება გიო და ცეცხლთან სამფეხა სკამზე დასვა.

ცოლი მაშინვე ხონჩას ეცა. სწრაფად მიაღაგა ყველაფერი. მიხამ თვალთ მოჰკრა პრასისა და ხახვის ფოჩებს.

— აბა, რა ექნა, სიდღერს არა ჰყვარებინარ, ჩემო მიხა!

— არა, ჩემო გიო! მე იმისთვის შემოვიარე შენთან, მინდოდა გამეგო, რისთვის დაუძახეს დღეს ხალხს და სად წაიყვანეს.

— აი მაგათი ჯიში გაწყდა, რომ არ მოგასვენებენ. სადა და ფოსტის გზის ხიდი ჩანგრეულიყო. იმის შეკეთებას მოუწადით მთელი დღე!

— სადა, კაცო! ამ ზამთარში რა დროს ხიდის გაკეთება?

— ცხრამუხისკენ. ისინიც იქ იყვნენ. რამდენი ხალხი იყო, უინ მოთვლის. ჩაგვხოცეს მუშაობაში! პურიც კი არ წაგვიღია თან. გვეგონა, მალე დავბრუნდებოდით. ასე ამბობდნენ, ვიღაც დიდმა კაცმა ციგით უნდა გაიაროს ბორჯომისკენაო. ყველაფერი გლეხის კისერზეა, ჩემო მიხო. ჩვენ რომ არ ვიყავთ, რა ეშველებოდა სახელმწიფოს?

— მერე, რატომ არ დაფიქრდებით, ჩემო გიო, მაგაზე? — რიხით ჰკითხა მიხამ.

— ფიქრი რას გვიშველის განა?

— უნდა მოიცილოთ თავიდან ეს ბორჯობა! — თითქოს ნამდვილი პასუხი მისცაო, ღიმილით შეხედა გიოს.

გიო ვერ მიხვდა, სად იყო ეს ბორჯობა, ან როგორ უნდა მოეცილებინათ თავიდან. დუმდა, არაფერს ამბობდა.

— ევროპაში, ასე კი არ არის, როგორც აქა, — თვითმპყრობელობა! — დუმილის შემდეგ დაუმატა მიხამ.

— მაშ როგორ არის, აბა! — შეეკითხა გიო.

ეს მიხამაც არ იცოდა კარგად.

— იქ დემოკრატიული კონსტიტუციაა! მეფეები კი აღარ არიან.

გიოს ცოლმა ბავშვები დააწვინა. თვითონ, აკვანზე იღლით დაყრდნობილი, ბავშვს ძუძუს აწოებდა. ბუხარში ცეცხლი მინელდა. ჭრაქი ოდნავ ბეუტაედა.

— იცი, რა გითხრა, ჩემო მიხა! ეგ მეც გამიგონია, მაგრამ, აბა, ჩვენში როგორ მოეპმება მაგას ბოლო, რა ვიცი, რა ვიცი!

ამ დროს ძახილი შემოისმა. გიომ კარი გააღო. ოთახში ქალარაშვრელი გლეხი შემოვიდა.

— აგერ, სწორედ ამას უყვარს მაგისტანებზე ლაპარაკი. ნამდვილად კარგს დროს მოვიდა.

ის დინჯი, ნელი ნაბიჯით მივიდა ცეცხლთან. მიხას მიესალმა. ჩამქრალი ყალიონი თუთუნით გატენა, ცერა თითი დააჭირა, მერე ლადარში პატარა ნაკვერჩხალი მოძებნა, თითით აიღო და ყალიონს დაადო, ტუჩები მომუწა, მოსწია და ბუხრის კვამლს ყალიონის ბოლი შეურია.

— რაო, რაზე ლაპარაკობდით? — იკითხა.

— რაზე, პეტრე, და შენ რომ გიყვარს — ბუნტოვშიკებზე! — უთხრა გიომ.

— ჰოდა, მერე? აგერ, რა მომხდარა ხაშურში, გაიგე! — თქვა პეტრემ.

— არა გამიგონია-რა.

— გუშინ ჩვენებიანთ ლექსო დაბრუნდა იქიდან, თოვლის სახვეტად იყო წასული. ის მოჰყვა, რომ ვიღაცა ჩამოსულა თურმე ქალაქიდან. დებოს ბიჭები მოუგროვებია და ისეთი რამეები ულაპარაკენია... რომ...

— რაო, რა უთქვამს?

— რა უთქვამს და, თქვენა მდგომარეობა სულ მეფის ბრალიაო. ჯამაგირს რომ ნაკლებს გაძლევენ, თერთმეტ საათს რომ გამუშაებენო, — ეს არ შეიძლებაო... მეფე მდიდრებისკენ არიო... ამიტომ ნიკოლოზი უნდა ჩამოაგდოთო...

— უ! ეე! არაფერს გაგიგონოს! რეებს ლაპარაკობ! — შეუტია გიომ.

— ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა ასე უთქვამს.

— გლეხებზე არაფერი უთქვამს იმ კაცსა? — შეეკითხა მიხა.

— როგორ არა. მუშებმა და გლეხებმა ერთად უნდა იბრძოლონო, უბრძოლველად არაფერი გამოვაო.

— მაშ! სწორეა — შესძახა მიხამ. ტაში შემოჰკრა და ზეზე წამოდგა, — ეგ მინდოდა, მეც მეთქვა — თქვა და ისევ დაჯდა.

— ეგრეა — განაგრძო პეტრემ. — ერთმანეთს უნდა დავუჭიროთ მხარი. მუშა და გლეხი სულ ერთია! იქნებ ღმერთმა ჩვენსკენაც მოიხედოს! იქნებ ჩვენც გვეშველოს რამე! თორემ, აი, ზვალინდელი დღე ნუ გამითენოს ღმერთმა, თუ ბავშვებისთვის ერთი გირვანქა თაფლი მიმეტანოს.

ლაპარაკიც ამაზე შეწყდა.

ილეოდა ძველი წლის ღამე. ახალი წელი იწყებოდა.

•
•

— არა, შვილო, უნდა წახვიდე, უსათუოდ, ვიზიტი უნდა გაუკეთო, შენ გენაცვალოს დედაშენი! — ეუბნებოდა მეორე დღეს მიხას დედამისი. — აბა. ვისთან უნდა შეალო კარი ახალწლის მისალოცად, თუ არა ციციანთასა?! გიოსთან და პეტრესთან ხომ არ წახვალ?

— მე გიოსთან ვიყავი კიდეც. რაო, ვითომ რატომ არ წავალ იმათთან?

— იმიტომ რომ ისინი გლეხები არიან. ჩვენ რა საერთო გვაქვს იმათთან? მესმის — თავადი ციციშვილები! ხომ იცი, კატოსთან სტუმრები არიან თბილისიდან, სულ შენი ტოლი ბიჭები და გოგონები.

მიხამ კარგად იცოდა, საშობაოდ ჩამოსული გიმნაზიელი გოგონა და სტუდენტი ლევან ციციშვილთან რომ სტუმრობდნენ. სწორედ ისინი დაესწრნენ იმ დღეს საციგაოზე, მიხა რომ ყირაშალა თოვლში ჩაეფლო, სიცილი რომ ატეხეს და მასზე თითით უჩვენებდნენ.

— ხომ იცი, შვილო, ლევანი სხვა თავადებს რომ არა ჰკავს. ეგ ხომ საზღვარგარეთ სწავლობდა. ფრანგულად ლაპარაკობს და წიგნებიც ბევრი აქვს. შენც ხომ გიყვარს წიგნები. ჰოდა, უნდა დაუახლოვდე.

მიხამ ისიც იცოდა, რომ ლევანი მწიგნობარია, გაზეთებსა და ეურნალებში იბეჭდება და მეფის მოწინააღმდეგე პარტიას ეკუთვნის.

— წავალ, დედი! რათ მინდა ამდენი ლაპარაკი! — უთხრა მიხამ.

— მერე, როგორი სუფრა ექნებათ გაშლილი! რა გინდა, რომ ზედ არ ელაგოს — მურაბები, თბილისიდან ჩამოტანილი ტორტები, ფორთოხლები, მანდარინები, კამფეტები და შოკოლადები.

— ეგ მე არ ვიცი. ჩემთვის სულერთია!

მიხას დედა პელო, აზნაურ კორინთლიანთ გვარის შთამომავალი, მედიდურობდა აზნაურობის გვარით. ყველას მოუყვებოდა ხოლმე თავისი გვარის კეთილშობილების შესახებ.

„რუსეთიდან რომ სამოვარი შემოვიდა მოდაში, — ჰყვებოდა პელო, — პირველად მამაჩემმა მოიტანა სოფელში. მაშინ ის ბევრ თავადიშვილს ნახულიც არ ჰქონდა. მამაჩემი ქალაქში მსახურობდა, სამოვარი გამოგვიგზავნა და თანაც გვწერდა, როგორ უნდა მოექცეულიყავით. მაგრამ ბევრი ვერაფერი გავიგეთ. ავადღულეთო კი, მაგრამ ის კი არ ვიცოდით, იხელა შაქრისათვის რა უნდა გვექნა. ცუდით დავამტერიეთ და სამოვარში ჩავეშვით. ადუღებულ ტკბილ ჩაის ვსვამდით, პირი გვეწოდა, მაგრამ მაინც არ ვეშვებოდით. მამაჩემი რომ ჩამო-

ვიდა, სიცილით მოკვდა: რა გიქნიათ, ამდენი შაქარი ჩაგიყრიათ — შიგომ, სიმო-
ვარი კამოღზე დავდგით, რომ ყველას დაენახა. საიდან არ მოდიოდნენ მის სა-
ნახავად. — უამბობდა ფოფოღია თავის ნაცნობებს.

— რომ მიხვიდე, შვილო, ლევანის ცოლს, კატოს, ხელზე ავოსცე!

— არა, ერთი! ხელზე კი არა და!

— აბა რას იტყვიან, შვილო, უზრდელი ყოფილაო. აბა, წადი, შვილო, წადი!

ციციანთ ფანჯრიდან ადრე შენიშნეს ეზოსკენ მიმავალი მიხა. მან ტიშკარი შეაღო თუ არა, შეათვალა გოგონამ — ელიმ დაინახა. ტაში შემოჰკრა, შეხტა და მეორე ოთახში თავის დას გასძახა:

— კატო, კატო, იცი, ვინ მოდის ჩვენთან? ამას წინათ რომ საცურაოზე ვიყავით, ეგ ციგიდან თოვლში ჩაეარდა.

— მღვდლის ბიჭი, მიხა?

— ჰო, მგონი მიხა ჰქვია!

— გადი, კარი გაუღე და შემოიპატიე!

მიხამ აივნის კიბე ამოათავა და აივანზე თოვლიანი ფეხი დაიბერტყა.

— მობრძანდით! მობრძანდით! მოგვილოცავს ახალი წელი! მრავალს დაესწართ! ბედნიერად! ჯანმრთელად!

— თქვენც იყავით დღეგრძელი. მრავალ ახალ წელს დაესწართ! — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა მიხას. ამ დროს კარი გაუღეს და დარბაზში შეიპატოეს. მრავალფანჯრიანი ფართო დარბაზის შუაგულში იდგა თეთრი სუფრაგადა-ფარებული გრძელი მაგიდა მრავალნაირი ხილეულობით — ფორთოხლებით, ვაშლებით, ჩურჩხელებით, მურაბეებით, გოზინაყებით, კამფეტებით და შოკო-ლადებით, თბილისიდან მოტანილი ტორტებით, ნამცხვრებით, ლიჭიორებით და ღვინოებით. აზილობილებული სუფრა თვალს ხიბლავდა.

— დაბრძანდით! — რბილ სავარძელზე უჩვენა ელიმ და პირველად თვი-
თონ დაჯდა.

— კატო ახლავე გამოვა! — თქვა მან.

— ლევანი ხომ შინ არის? — იკითხა მიხამ.

— როგორ არა! ისიც მალე მოვა!

ცოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა. მიხას ხელში ქუდი ეკირა და შმუშნიდა, წამწამები ძირს დაეხარა და მხოლოდ შიგადაშიგ შეხედავდა ელის ცქრილა თვალებს. ელი კი თითებით წინსაფარის კალთას სრესდა.

— რა კარგი ყოფილა ზამთარი სოფელში! — დაარღვია სიჩუმე ელიმ.

— არ ყოფილხართ აქ ზამთარში?

— დიდა ხანია, არ ვყოფილვარ.

— თქვენ სემინარიაში სწავლობთ, არა?

— წელს გადავალ!

— რომ დაამთავრებთ, მღვდლად წახვალთ?

— არა! სოფელში, მასწავლებლად!

— მეც, მეც სოფელში! ძალიან მიტაცებს მასწავლებლობა! გლეხის ბი-
ჭებს წერა-კითხვას ვასწავლი. წარმოდგენებს დავუდგამ. კვირაობით გოგო-
ბიჭებს შევეკრებ და წიგნებს წავუკითხავ. ამ ზაფხულს ხომ აქ იქნებით? —

— მაშ, მაშ სად წავალ!

— მეც აქ ჩამოვალ და იცით, რა? დავდგათ წარმოდგენა? ლევანი დაგვეხმარება. თქვენც ითამაშებთ... კატოც, ჩემი ძმაც, ხომ!

გატაცებით ლაპარაკობდა ელი. თავისე აღფრთოვანებით მიხსნიდა ისტორიას. მიხა შესცქეროდა ელის შუქმფენი თვალებით. ისმენდა მჩქეფარე, გულწრფელ ლაპარაკს და იზიზღებოდა.

მეორე ოთახის კარი გაიღო და დარბაზში შემოვიდა დიასახლისი კატო, პირმცინარი და სწრაფი სიარულით მივიდა მათთან. გრძელი კაბის ბოლოს იატაკზე მიაფორიალებდა. მიხას მიესალმა. ახალი წელი მიულოცა.

— რატომ პალტოს არ გაიხდით? ელი, როგორი მასპინძელი ხარ! ეგრე უნდა დახედე სტუმარს?

— რა ვქნა, კატო! ნუკი მარცხენ! ვუთხარი და...

მიხამ პალტო გაიხადა. ქამარში ჩატანებული ხალათის ნაოქები გაისწორა. აბურძღნულ თმაზე ხელი გადაისვა.

— მობრძანდით მაგიდასთან.

მიხა აბნეული ნაბიჯით მაგიდასთან მივიდა.

— დაბრძანდით აი, აქ. ახლავე ლევანიც მოვა. მიირთვით.

დიასახლისმა ახლო მიუწია გოზინაყი, ნამცხვარი და მურაბა. — კონიაცს ხომ არ დალევთ? აი, ეს კაკლის მურაბაა.

მიხამ კაკალს კოვზი დააჭირა, რომ უშაზე გაეპო, მაგრამ გაუსხლტა და სუფრაზე გაგორდა. მიხაკისფერი ზოლი სუფრაზე გრძლად აღინიშნა.

წამოდგა, შეწუხდა. კოვზით აღება მოინდომა. თითი ტკბილში გაეცვარა.

— არა უშავს-რა, არა უშავს-რა! დაბრძანდით, ნუ წუხდებით! ეგ არაფერია! — ეუბნებოდა დიასახლისი.

ოთახში შემოვიდა ლევანი, მაღალი, ცისფერთვალემა, წაბლისფერი კოხტად შეკრეჭილი წვერებით და მოკლე უღვემებით, კოსტუმში გამოწყობილი, გახამებული პერანგითა და მანექტებით. შუბლის გასწვრივ თავზე თმა შესთხელეზობდა, ხოლო საფეთქლებზე და კისერთან, საკმარისად სქელი თმა ბუნჯად აღგა.

— აი, მომწონს, რომ არ დაგვივიწყე და გვინახულე! — მიმართა მიხას. ხელი ჩამოართვა და მის გვერდით დაჯდა. — სხვა, ხომ კარგად!

მიხას პირი ნამცხვარით ჰქონდა საცხე და ლაპარაკს ვერ ახერხებდა. როცა ლევამ გადაყლაბა, ლევანს ახალი წელი მიულოცა.

— რა ჰქენი, ლევან, გაისტუმრე? — შეეკითხა ცოლი.

— ძლივს! იმათ ღვინის სმა უნდოდათ, მე კი, აბა, სად შემიძლია! რამდენჯერ ავუკრძალე, ძღვენს ნუ მომიტანთ-მეთქი, ისინი კი მაინც თავისას არ იშლიან. აბა, რათ მინდა იმის მოხარშული ქათმები, ღორის ხორცი, ღვინო და პურები. მაგრამ, არ იქნა და არ იქნა!

— ეგ კარგი, ლევან, მაგრამ რატომ აქ არ მიიღე, ამ დიდ ოთახში?! ისინი რომ გლახები არიან, იმიტომ? — მიმართა ელიმ.

— ეგ შენი საქმე არ არის, ელი! აბა შენ ვინ გკითხავს! — შეუტია კატომ. მიხამ მოჭუტული თვალები ფართოდ გაახილა, ელის განცვიფრებით შეხედა.

— შე კუდრაჟა, მართალი შენიშვნაა, მაგრამ საამისოდ ჩვენი გლახი ჯერ კიდევ არ არის მომზადებული. ხომ გითხარი, მრავალჯერ ავუკრძალე ძღვენის მოტანა-მეთქი, მაგრამ, ხომ ხედავ, მაინც ძველ ადამ-წესებს ვერ ტოვებენ. აქ

რომ შემოვიყვანო, ამ მაგიდასთან, ისინი უხერხულად იგრძნობენ თავს. ვერც შექამენ რამეს და ვერც ღვინოს დალევენ.

— იმათ ისევ სუფრაგადაუფარებელი მაგიდა ურჩევნიათ. ღვინო რომ დაიქცეს, ზარალი არაფერიაო! — დაურთო ცოლმა.

— ჰოდა, ეგრე თუა, უნდა შეეჩვიოთ, განათლება უნდა შევიტანოთ მათში! — განაგრძობდა ელი.

— განა არ ვცდილობ? მაგრამ ეგრე ადვილი როდია. ამას წინათ წინადადება მივეცი, სკოლა ავაშენოთ-მეთქი. მთელ მასალას — ქვას, ქვიშას და ხეტყის მასალას უფასოდ ვაძლევდი. მაგრამ არ მოინდომეს. „მერე, მასწავლებელს ჯამაგირი აძლიეო, კლასებს გათბობა უნდაო, შეშას — მოტანაო. სხვაც ბევრი რამ გვაწევს კისერზეო. როგორც ჩვენს მამა-პაპას უცხოვრია, ისე ვიცხოვრებთ ჩვენცაო“.

მიხა ყურს უგდებდა. მრავალი აზრი უტრიალებდა თავში. ვერც ერთი ვერ გამოჰყვებოდა. მერე მოკრძალებით ჩაურთო:

— გლეხებს კიდევ არ სჯერათ, თუ ვინმე ზრუნავს მათთვის, ისე არიან დაშინებული მკაცრი ბატონებისგან.

— მიირთვით, მიირთვით! — ეპატიებოდა მიხას ლევანის ცოლი.

— გმადლობთ, მეტი არაფერი მინდა!

ლევანი უშეგრდა მიხას სიღრმეში წასულ წვრილ თვალებს, სანთლის შუქივით სხივს რომ აფრქვევდნენ, მის სუსტ ნესტოებს, ნაზ ტუჩებს, ხუჭუჭა შავ თმას, ბუჩქად რომ ეფინებოდა შუბლზე და საფეთქლებზე. თან ფიქრობდა: რატომაა ასე უცნაური ეს ყმაწვილი, რატომაა ზარმაცი ლაპარაკში, მაგრამ საქმეში ენერგიული! რატომაა მოკრძალებული?

— წელს სემინარიაში გადახვალ, არა, მიხა? — შეეკითხა ლევანი.

— დიას!

— იქაც სავალდებულოა ბერძნული?

— როგორ არა. სკოლაში სამი წელიწადი, იქ კიდევ ექვსი, — სულ ცხრა წელიწადი ეუნდებით ამ მკედარ ენას.

— ჩვენთანაც ეგრე არ არის? — თქვა ელიმ. — ფრანგული და გერმანული სავალდებულოა, ქართული კი არა. ეს სწორია?

— გერმანული და ფრანგული კიდევ ცოცხალი ენებია! მათი შესწავლა არ არის საზიანო, ხოლო, ქართული რომ სავალდებულო არ არის და მეხუთე გაკვეთილი აქვს დათმობილი, ეს კი არ არის კარგი! — თქვა ლევანმა.

— მაგრამ, იცი, ლევან, ჩამოუვული ხოლმე ყველა ქართველს და ვერცეები მეხუთე გაკვეთილზე, ერთი რუსიც კი დადის. ძალიან უყვარს ქართველები და ქართული ენა.

მიხამ ელის შეხედა, იმან იგრძნო ეს შეხედვა და გაწითლდა, შეკრთა. მიხას თვალები მასზე გაურკვეველ შთაბეჭდილებას ტოვებდა. თითქოს ეწყინა, ტუჩები გაბურტულივით წინ წასწია, მიბრუნდა, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია.

აივნიდან ხმაური მოისმა. კატომ ფანჯარაში გაიხედა.

— ელი! ელი! გახედე, გენაცვა, მგონი გვერდწითლიანნი მოდიან!

მალე დარბაზი სტუმრებით გაივსო. ახალი წლის მილოცვა, კოცნა, კაბების შრიალი, მხიარული სახეები, მიმოსვლა, სკამების გამოწევა, პატივი, განაზება, ჭიქებისა და საინების ჩხრიალი...

როცა მიხა შინ დაბრუნდა, ისე შევიდა ოთახში, არ გაუგია, როგორ გამოიარა ორლობე, ეზო და აივანი. ვერც ის შენიშნა, დედამისი რომ ოთახიდან

ოთახში დაფესფესებდა და სველ ტილოს აფენდა თავზე უმცროს ძმას, რომელსაც ორმოც გრადუსამდე აწეოდა სიცხე.

დამწუხრებული, ყუჩი ოთახები, სასტუმრო ოთახში გაშლილი სუფრა, გახამებული ფარდებით ჩამოფენილი ფანჯრები და თუნუქის ღუმელის გუგუნის მიხასაყ ამწუხრებდა. არ იცოდა, რატომ ძვერდა გული. მოუსვენრობდა. ფანჯარაში გაიხედა. თოვლით დაფენილ ხის ტოტებზე შხის სხივები ბზინავდნენ. ბედურები ფართხალვდნენ. ფიფქ თოვლს გაცრილი ფქვილივით აფრქვევდნენ, ეღურტულვდნენ.

მაგიდაზე მდგარ მრგვალ სარკეში ჩაიხედა. აბურძგნული თმა არ მოეწონა. დაივარცხნა. ნახსა და მოძრავ ტუჩებში ღიმი უკრთოდა. შავი ლოყები, შეკრული წარბები და მოღუშული შუბლი ღრუბლიან დღეს მიუგავდა. სიღრმეში წასული თვალები კი ციმციმებდნენ.

კედელთან მდგარ მაგიდასთან დაჯდა. ფანქარს მოჰკრა თვალი. იქვე ფურცელი ქალაღიცი იდო. მაგიდას დაეყრდნო. დაწერა:

ჩემო ელი!
მე შენ გელი!
იღავ მუღამ
ბედნიერი...
მოწყენილი
ეზივარ ჩემთვის,
ვეფიქრობ შენთვის,
მხოლოდ შენთვის...



მიხა დავითაშვილი ახალი წლის ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა გორში. ავადმყოფი ძმა ლოგინში მწოლარე დატოვა. დამწუხრებული დადიოდა. სკოლის ბავშვების ქრიაშულში და აურზაურში რომ გაერია, გულზე მოეშვა. ჯერ კიდევ სოფლის შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი ყველას უყვებოდა იქ გატარებულ დღეებზე. თვალწინ ელის სახე ედგა, ყურში მისი სიტყვები ესმოდა: „რატომაც არა?“

— ჩვენს სოფელში ისეთი გრძელი საცურაო გეჭონდა, ნახევარი ვერსი მაინც იქნებოდა! — ჰყვებოდა მიხა.

— მაშ, არა! — ჩაურთავდა მის ლაპარაკში გორელი ჩუტყვარაშვილი.

— ღმერთმანი, აი არ დაიჯერებ?

— მაშ, არა! — კიდევ ეტყოდა ჩუტყვარაშვილი.

გაოცებული მიხა შესცქერდა მას. ვერ ხვდებოდა მის ოხუნჯობას. როგორც კი გააღებდა პირს სათქმელად, ჩუტყვარაშვილი მაშინვე ჩასჩრიდა: „მაშ, არა!“ მიხას გული მოუვიდა, მასთან ლაპარაკს თავი დაანება, იმ ჯგუფში მივიდა, სადაც ბიჭებში მდგარი გლურჯიძე ამბავს ჰყვებოდა.

— ვაჰ! რა იყო, იცი? გახურებული ბუხარი, ბერშუეთული ღვინო, სიმღერა და დუღუკი!

— მაშ, არა! — შუა ლაპარაკში ჩაურთავდა სიკო. გლურჯიძე ბრაზობდა, თვალებს აცეცებდა.

— ბიჭოს! არა გჯერა თუ!

— მაშ, არა! — იძახდნენ მის გარშემო.



გლურჯიძეს გული მოსდიოდა. ყველა იცინოდა.

დაბოლოს, სოფლიდან ჩამოსულები მიხვდნენ, რომ ეს ორი სიტყვა გორელების ოინბაზობა იყო, იმ დღეებში გამოგონილი. რაკილა სოფლიდან ჩამოსულებს იგდებდნენ ხელში, სიტყვის ამოღებისთანავე მიახლიდნენ: „მაშ, არა!“ — სიცილით და კისკისით იესებოდა მთელი კლასი.

სულ უბრალო მიმართვაზე: „ბიჭო, წიგნი მათხოვე ცოტა ხანს, რა!“ პასუხად „მაშ, არა!“-ს მიიღებდა. იცინოდნენ. ერთმანეთს ვეღარ დალაპარაკებოდნენ. ერთი მეორეს რომ შეხედავდა, „მაშ, არა!“-ს მიამახებდა.

როცა კლასში იღურბი შევიდა, ერთი მოსწავლე გეოგრაფიის რუკასთან გაიძახა. მოსწავლემ დაიწყო თუ არა, „პეტერბურგი მდინარე ნევაზეა გაშენებულიო“, მერხებიდან შეკავებული ხმით მიამახეს: „მაშ, არა!“ ყველას სიცილი წასკდა. გამოძახებულზე ვერ იკავებდა სიცილს, ვერც ლაპარაკს ახერხებდა.

თვეები გადიოდა, გორელები ამ „მაშ-არათი“ ერთობოდნენ.

— აი, მაშარაი, და ჯანდაბაი შენს თავსა, მომეცი, გოგო, საცერი! — კიდევ გაიმეორებდა მოსული. — „მაშ, არა!“ — კიდევ ეტყოდა მეზობელი, დაბოლოს, სიცილ-კისკისით საცერს გამოუტანდა და მისცემდა.

იანვარი გავიდა. თებერვალში შუე სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მობრუნდა. იტყვნებოდა ვიწრო ბილიკები. ერდოებზე მწვანდებოდა ბალახი. მოსწავლეები ჯერ კიდევ ცივი ნიავისაგან თავს იცავდნენ და სათამაშოდ მყუდროსა და მზიან ადგილებს ეძებდნენ. დატყვნილ მიწაზე კოჭობას თამაშობდნენ.

— ალჩუ, კოჭო! გენაცვალე! — ეხვეწებოდნენ ბიჭები.

ბევრი გატაცებით მისდევდა ამ თამაშს. კოჭებს წითლად ლებავდა, ქლესავდა, ატყვიანებდა. ხუთი კოჭი ერთი კაპიკი ღირდა, ჩატყვიანებული — თითო კაპიკი. გაქლესილი ხშირად ალჩუს ჯდებოდა. ვისაც გაქლესილი ჰქონდა, იმას არც კი ათამაშებდნენ, „მაგისი კოჭი გაქლესილიაო“. ამაზე იტყოდნენ ძველად: „ეგ კაცი გაქლესილიაო“, ან კიდევ: „იმას რა უჭირს, კოჭი ალჩუს უჯდებო“.

კოჭობაში ალჩუ, როგორც ტუზი კარტში, ისე მძლავრია. მერე თოხანი, შემდეგ თაფი და ბოლოს ქუკი. თამაშობის სეზონი გაზაფხული იყო, როცა მიწა მთლიანად გამშრალი არ არის. კოჭობას კი პატარა არე სჭირდება.

რომელიმე გაკოტრებული ბიჭი გვერდზე გადგებოდა, თამაშს უშეერდა, დასმულ კოჭებს უცხად ხელს წაავლებდა, „ჩურგენ“ — დაიძახებდა, და გარბოდა. გორში მარტსა და აპრილში ყოველი მშრიდან გრილი ნიავე უბერავს. მზის სხივები კი დედამიწას ათბობს. გამკვირვალე, ოდნავ შესამჩნევი ორთქლი ეფინება ჯერ კიდევ სველი დედამიწის ზედაპირს.

მთებიდან მოვარდნილი ლიახვი, გიფი და დაუღეგარი, თავის სანაპიროებს მიარღვევს, კალაპოტში ვერ ეტევა, ამღვრეული, დაფანტული ნაკადები ველმინდორზე მიხზრიალებს. გორის მიდამოებს რომ უახლოვდება, დამბებით შევიწროებული, თავისუფალ სრბოლას მოკლებული ეხეტყება წნელით შეკრულ, ქვებით გამაგრებულ ღობეს, ღრიალებს და ყვირის, თითქოს ლამობდეს მის განგრევას, ქუჩების წალეკას. იგი ამ დროს როგორც ლაგამამოდებული ცხენი, აღვირს რომ მოსწევინ და გაჭენების საშუალებას არ აძლევინ, ყირაზე დგება და პირიდან ქაფს იდენს, ტალღებს ახეტყებს მის მავიწროებელ კედელს, შეტბორდება და ბურტყუნით ეშვება ქვევით, დაბლობისაკენ. როცა მტკვრის ტალღებს შეეტაკება კიდევ დიდხანს იბრძვის.



ლოხის მთებზე ხანძარია. ცის კიდურზე აღისფერი დროშები ფრიალებენ. დაბლობში კი ველ-მინდორს ლალისფერი ეფინება. ხანძარი უცბად ჩაქრება. ცა გაფითრდება, აღმოადებული დროშები თოკზე გაფენილი სარეცხვით დაეკიდებიან. გორის ციხეც მოიღუშება. მწუხრი მოიკავს მიდამოს.

გორის შუაგულში, საკრებულო ტაძრის პატარა მოედანზე, ქუჩის პირად ჩუსტიანი და ქამარშემოხსნილი ბიჭები მოუსვენრად დარბიან, დაიშლებიან, ისევ თავს მოიყრიან.

დახურულ ბაზარში დარაბები სისწრაფით იცეცება. ნოქრები ქვის კბებს ჩამოირბენენ, მოედანზე შეჩერდებიან, პატარა ბიჭებს შეაგროვებენ, ორ წყებად დარაზმავენ. ზედაუბნის ბიჭები ერთ ადგილას შექუჩდებიან, ქვედაუბნისა კი მეორე ადგილას.

ხალხი გროვდება. მახლობელი სახლების ერდოები, აივნები, კიბეები ქალებითა და ბავშვებით ივსება.

მალე კრივი დაიწყება. დღეს იკრივებენ გორის ცნობილი მოკრივეები: ხოდელი, ხოლერა, ეგნატაშვილი, გოჭი-ბიჭები, გლადკა-მედროგე, ლოხოშა, კაკლას ბიჭები, ტინისხიდელო, ხიდისთაველი... დაუნდობელი კრივი იქნება.

კრივის საყურებლად მოსულან მიხა დაეთიაშვილი, გოგია გლურჯიძე, პეტა კაპანაძე, ვანცა ყიფშიძე, ვასო ხახანაშვილი, სიკო აღიშბარაშვილი და სხვები.

— ბიჭებო! — უცბად წამოიძახებს გოგია გლურჯიძე, — ხედავთ ბუტირსკისა? ნახე, სად წამოსულა ეგ სალაგათაძალი!

— ჩვენ დაგვეძებს, აი! — თქვა ვასომ.

— ეინ იცის, ბინებზედაც იყო. იქ რომ ვერ გენახა, ახლა აქ მოსულა.

— აი, მაგისი ღღინი კი ამოვარდეს, მაგისი!

წაილაპარაკეს ბიჭებმა და ვიწრო შესახვევში შეუხვიეს, მიიმალნენ.

კრივი ჯერ პატარებმა უნდა გააჩაღონ.

— აბა, გადადიოთ, დასცხეთ! — დაიძახებს განიერშარვლიანი.

ორი ჯგუფი, ზედა და ქვედა, ერთმანეთს მიუახლოვდება და... გაისმის ლაწანი, დაგადუგი, ცხვირ-პირში ცემა, მუშტის ტრიალი.

პატარები რომ დაიქანცებიან, მოზრდილები მიეშველებიან. ახლა დიდების ბაგაბუგი, მკლავების და მუშტების ტრიალი, სილების ლაწანი, ხენეშა და გინება, ერთმანეთში აირევა.

ქვედაუბნელების ჯგუფს ახალი ნაკადი ემატება. დალილი ზედაუბნელები უკან იხევენ, მოედანს ტოვებენ. წრე ირღვევა. ხალხი გაიშლება. ქვედაუბნის მოკრივეები მისდევენ. მაგრამ, აგერ, ზედაუბნელების მაშველი მოკრივეები ეგნატაშვილის სარდაფიდან ამოვლენ. მკლავებდაკარწახებულები, ჩოხა-აკეცილები მისცვივდებიან გათამამებულ მოკრივეებს და კვლავ გაისმის დაგადუგი.

ხალხი ისევ შემჭიდროვდება.

— მიდი! ზედ მიდი! აგრე! დასცხე! — ამხნეებენ მაყურებლები.

— უჰ! შენი ჭირიმე, ბიჭო!

— ეგრე! დუბე, დუბე!

— ზედ მიდი! დასცხე!

ზედაუბნელები სჯობნიან. ქვედაუბნელები გაიფანტებიან. წრე გაიფანტება. ოქანამდე მისდევენ. მიდიან გამარჯვებულები, კრივში განთქმული ზედაუბნელები — ცნობილი ზოდელი, დაბალი ტანის, ჯირკვივით კისერი რომ მხრებში ჩასჯდომია, შავი კამეჩივით მიბორტებს, ჩასისხლიანებული თვალებით მოწინა აღმდეგეს ეძებს. გვერდში მისდევს განთქმული მოჭიდავე და მოკრივე ეგნატა-შვილი, მეარღნე ლოხოშა, მედროგე გლადკა.

მაგრამ, აგერ, ქვედაუბნელი, მაღალ-მაღალი, გრძელმკლავება, ჩოხის კალთბაკეცილი, შავთვალწარბიანი ზოლერა კრივში ჩაერევა. გვერდში მოჰყვება ორი მშა გოკი-ბიჭი, პირტიტველა ახალგაზრდები, შემდეგ — კაკლას ბიჭები, ხიდისთაველი, ტინისხიდელი. დაიწყება დაგადუგი. განთქმული, მძლავრი მოკრივეები ერთმანეთს შეეტაკებიან.

გრძელმკლავება ზოლერა ისე ათამაშებს მუშტებს, რომ ახლო ვერაფერ უღდება.

„კაი მოკრივე ბოლოს გადმოვავო!“

ცნობილი მოკრივეები შეზვდნენ ერთმანეთს.

ქვედაუბნელებმა გაიმარჯვეს.

დაბინდდა კიდევ.

— ნეტა ზოდელის მუშტი მომცა და ზოლერას მკლავები! აბა, ვინ დამიდგებოდა წინ!

ამ საუბრით მიდიოდნენ შინისაკენ მიხა და გოგია.

კრივი ერთ კვირას გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში გორელები საუცხოო სანახაობით ერთობოდნენ.



სოფლიდან დაბრუნების შემდეგ მიხა მოწყენილი და ჩაფიქრებული დადიოდა. ხან მეტად გამზიარულდებოდა, ხტოდა, დარბოდა. გაკვეთილებზე მშვიდად იჯდა. მასწავლებელს ყურს უგდებდა. უნდოდა, ახალი გაკვეთილი მაშინვე დაესწავლა, როცა მასწავლებელი ხსნიდა. ახლა შარვალი როდი-ლა ეჩაჩებოდა, წელზე მაგრად მოიჭერდა ქამარს, უკან ნაოქებს გაიკეთებდა, თმას ივარცხნიდა. ცდილობდა, სიმკვირცხლეში ყველასთვის ეჯობა, გაკვეთილებიც კარგად ჩაეზარებინა. ბერძნულში და რუსულში სამიანები ოთხიანზე გადაისწორა. ხშირად იგონებდა ელის. მაშინ უფრო მეტად ლალობდა, მთელ ნიჭიერებას გამოაქვინდა.

მარტო რომ დარჩებოდა, ღონდებოდა. ეს მოწყენილობა მეგობრებმა შეამჩნიეს.

— ბიჭო, ამ ბოლოდროს ეგრე დაღვრემილი რატომ ხარ და ამხანაგებსაც ურიდები? — შეეკითხა ერთხელ გოგია გლურჯიძე.

— რა ვიცი, გოგია, მეც არ ვიცი!

— ალბათ გაწუხებს რამე! რატომ არ იტყვი?

— აბა, რა უნდა მაწუხებდეს, რა ვიცი!

ქალაქის ბაღს მიუახლოვდნენ. ნაპირში რომ გავიდნენ, მტკვრის ჩქრიანმა წაიღო მათი ყურადღება; დაუგდეს ყური მდინარის ხმაურს. ტივმა ჩაისრიალა, მჩქეფარე ტალღებს შეებრძოლა და ხიდის ქვეშ ქვევით დაეშვა. მიხა შეუკითხა გოგიას:

— ეგ ტივი ქალაქში ჩავა, არა?



— არ იცი? მაშა, სად წავა, რაზე იკითხე?

— ისე, არაფერზე!

დუმბილი ჩამოვარდა. იქვე ჩამოსხდნენ.

— იცი, რა უნდა გკითხო, გოგია! — დაარღვია სიჩუმე მიხამ.

— არ ვიცი. შკითხე!

— მითხარი, გყვარებია ვინმე?

— გოგო?

— ჰო!

— რა არის სიყვარული, აბა, რა ვიცი!

— არავინ შეგხვედრია ვინმე ახალგაზრდა?

— მერე? არაფერი ვიცი!

— არა, თითქოს შენ გულში რაღაც ახალი, ტკბილი და თბილი ნაკადი აჩხრიალდა. გულმა ძალზე იწყო ცემა. მოსვენებას არ გაძლევს. სულ იმაზე ფიქრობ! ის გიდგას თვალწინ!

— არა, არ ვიცი! ერთხელ კი დავინახე, ერთი ახალგაზრდა ბიჭი ორდობეში, მხრებზე კოკაშედგმულ გოგოს მისდევდა. გაზაფხულის სხივები გზატკეცილზე გამჭვირვალე ლეჩაქს ჰფენდა. მოსახვევში ბიჭმა ჩაუღლინა: „გოგო! გოგო!“ იმან ხმა არ გასცა. ღიმი კი გამოკრთა ტუჩებში. ბიჭმა კიდევ დაუძახა. იმან თავსაკრავი გაისწორა. ცალი თვალით გამოხედა. მორცხვობით უბასუხა: „რა გინდა?“ „განა არ იცი, რაც მინდა, შენ გენაცვალე“.

— მერე? მერე?

— მერე არაფერი! გოგომ ნაბიჯი აუჩქარა. სოფელში შევიდნენ. მერე კიდევ ერთხელ ენახე; კალოობა იყო. ორივე ბულულში იმალებოდა. შემოდგომაზე კი ჯვარი დაიწერეს.

— რაო? შენ ზომ არავინ შეგყვარებია? რას განუმებულხარ, თქეი!

— აბა, რა გითხრა, მეც არ ვიცი! სოფელში რომ ვიყავი, ერთი თავადის გოგო შემხვდა... და აი, წელან, როცა ტივმა ზიდის ქვეშ გაისრიალა, მე ისე ნათლად ვხედავდი მას, მის ჟუჟუნა თვალებს, მესმოდა მისი მხიარული კისკისი, ისე, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა... მერე კიდევ, იცი, რა? ხანდახან ისეთი დარდიანი და სევდიანი ვარ, რომ ტირილი მომინდება ხოლმე.

— მერე?

— მერე ისა, რომ ახლა სულ იმაზე ვფიქრობ.

— ერთი შენცი! რა დაგემართა?

— რომ იცოდე, რა მშვენიერია, რა ლამაზია! ისე მიყვარს, რომ მითხრას ჩემი გულისთვის წყალში გადავარდიო, ერთ წუთსაც არ დაფიქრდები!

— მერე და წყალში რად უნდა გადავარდე? ადექი და სიყვარული აუხსენი. უთხარი, მიყვარხარ-თქო და აკოცე!

— აბა, რას ამბობ! შენ არაფერიც არ იცი! შენ ვერაფერს მიხვდები.

• მიხას გული ბორგავდა. ვერა, ვერ გაიგო გოგოამ მიხას გულში გაღვივებული კოცონის ძალა.

მერე-და რა არის სიყვარული? იქნება ეს ის ძალაა, გაზაფხულზე რომ მიდამოს გაათბობს, ყინულს გააღხობს, მიწის ზედაპირზე ორთქლი ამოლდება, ბუჩქის ძირას ია თვალს გაახელს, პატარა ნაკადები ახმაურდებიან და ქვევით, დაბლობისკენ დაეშვებიან. ვერაფერი ძალა ვერ შეაჩერებს მათ სრბოლას, მიჰქუხს, მიშხუის, კორდებს მოგლეჯს, კალაპოტს ასცდება და ველ-მინდორს მოედება.



მშემ დაათბო მიდამო. ბიჭებმა ზამთრის პალტოები გაიხადეს ტანში. ქალებით შეკრული ბამბაზის ხალათები, ჩამვებული შარვლები და ჩუსტები ჩაიკვეს. ერთმანეთს თავს აწონებდნენ ახალი სამოსით.

— ბიჭებო! იცი, სად წავიდეთ? გალმა გავიდეთ, სადგურისკენ! — წამოიძახა გოგია გლურჯიძემ.

— ჰო, მართლა! ზეზმანის სახერხი ქარხნისაკენ. იქ პატარა ვაგონებია, ჩავსხდეთ და ვისეირნოთ! — თქვა მიხა დავითაშვილმა, — პეტა, თანახმა ხარ?

— კარგი იქნება! ერთი იქაური მუშებიც ვნახოთ!

— მართლა, ეი! იცი, რას ამბობენ? მუშები ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობენო. — ქარხნის პატრონს ებრძვიან, მაგრამ ის მაინც ძალიან მცირე ხელფასს აძლევსო.

— ვინა თქვა, ეგა? — შეეკითხნენ.

— ჩემმა სახლის პატრონმა! იმასაც ხომ პატარა აგურის ქარხანა აქვს! თუმცა მუშები კი არა ჰყავს!

— მაშ როგორ ამუშავენს ქარხანას?

— დროებით დაიჭირავენს ხოლმე გლეხებს, მიწას აზღლინებს, ტალახის აგურებს აგურხანაში შეაწყობინებს, ცეცხლს მოაკიდებინებს და გაუშვებს.

— მერე?

— როცა აგური დამზადდება, ისა და მისი შვილი გამოალაგებენ და გაპყდიან.

— სხვის ნაშრომს, სხვის გაკეთებულს ისინი ჰყდიან?

— მაშა! მაშა! — მირბოდნენ, მიხტოდნენ და თან ლაპარაკობდნენ.

სახერხი ქარხნის პატრონი, ვინმე ფინელი ზეზმანი, ათი წელია, რაც გორის სადგურის ქვემოთ, გაშლილ მინდორზე, ამიერკავკასიის რკინიგზას შპალტბსა და ტელეგრაფის ბოძებს უმზადებს თავისი ქარხნიდან. ატენისკენ, ხიდისთავის ზევით, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანა. აამუშავა მომცრო ვაგონები პატარა ორთქლმავალით. ადგილობრივი თავადებისაგან — ერისთავებისა და ჯავახიშვილებისაგან — ტყე შეისყიდა. ცარიელი ვაგონები ორთქლმავალს ქლოშინით აღმართზე მიჰყავდა. ხოლო ზემოდან მორებით დატვირთული დაღმართზე ხრიალით მიდიოდა. ქარხანაში ისინი ზომაზე იხერხებოდნენ, კუბრში იხარშებოდნენ. დამზადებული შპალები და ტელეგრაფის ბოძები ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიჰქონდა.

1890 — 1895 წლებში ზეზმანის ქარხანაში ექვსასამდე მუშა იყო.

ზეზმანს ჯერ მხოლოდ ქართველი მუშები ჰყავდა დაჭირავებული. ისინი ხშირად აწყობდნენ გაფიცვებს, ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. ზეზმანმა ამიტომ ყველა დაითხოვა, რუსეთის დამშეული გუბერნიებიდან გამოქცეული რუსი მუშები მოიყვანა. რუსი მუშებიც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ, მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ მათ დათხოვნილი მუშების ნაცვლად ამუშაებდნენ, უარი განაცხადეს მუშაობაზე. ზეზმანი იძულებული გახდა ისევ ქართველები მოეძებნა.

მეგობრებმა ხიდი გადაირბინეს, სადგურის ცარიელი ბაქანიც გაიარეს. ქვემოთ, მინდორზე, შავი შპალები ზვინებდად ეწყო. შუაში კვამლით შებურვილი გრძელი ფიცრული სახერხაო ხრიალებდა, მიდამოს აყრუებდა. მის გვერდით

პატარა შენობები იდგა. იქითა მხარეს კი დაუხერხავი მორები ელაგა. ვიწრო-ლიანდაგიანი რკინიგზა მიიკლაკნებოდა გაფანტული ტივის ხეების შუა. პატარა ორთქლმავალი კივილით დასრიალებდა, პაწაწა ვაგონებს შინიშნდნა, უკრთო ადგილიდან მეორეზე გადაიტანდა.

მინდვრის ბოლოში ცარიელი ვაგონები იდგა. ბიჭებიც იქითკენ წავიდნენ.

— აბა, ბიჭებო! თუ იცით, ეს ვისი სიტყვებია! — შეაჩერა მიხომ მეგობრები და გრძნობით, წაიკითხა:

„რომ ბელში მუოფი შენ ჰმად მიგანდეს,
ეს ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, შენ ის გიყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია...“

— მე ვიცი! — შესძახა ერთმა. — შოთასი!

— არა!

— აკაკისა: — თქვა მეორემ.

— არა!

— ჭავჭავაძის, ჭავჭავაძის! — იყვირა ორივემ.

ბიჭები ვაგონებს მისცვიდნენ. აამოძრავეს, გაყუჩებული მიდამო აახმაურეს. აპყავდათ აღმართზე, იქიდან კი ვაგონები თავისით მისრიალებდნენ.

ერთი სადგურის უფროსი იყო, მეორე მეისრე, მესამე მემანქანე.

უუ-უუჰ! დაიკივლებდა მემანქანე. მეისრე დაუსტევნდა. ვაგონს მეორე ლიანდაგზე გაუშვებდა. ბაქანზე სადგურის უფროსი დახედებოდა, ვაგონი სწრაფად მიდიოდა. მიჰქროდა, სანამ ლიანდაგზე მდგარ მეორე ვაგონს არ დაეჯახებოდა.

— მოდი, კიდევ ავიტანოთ!

— არა, გვეყოფა! ყარაული მოგვისწრებს!

— წავიდეთ ახლა და ენახოთ, როგორ ხერხავენ მუშები მორებს და როგორ ხარშავენ შპალებს კუპრში. თქვა მიხამ. სამივე იქით წავიდა.

ფარღალალასა და ყავრით დახურულ ფიცრულში პატარა ვაგონებით მორები შეჰქონდათ, ვაგონებს ხის დაზგაზე მიაყენებდნენ, ზედ სიგრძით გასდებდნენ, თასებით მბრუნავ ხერხის კბილებში ჩააჯდებდნენ. მიხა გაშტერებული უმზერდა, ნახერხი რომ ნაპერწკლებივით აქეთ-იქით იფრქვეოდა, მორები რომ შუაზე იპობოდა, და ჩვეულებრივი ლაპარაკი მუნჯ ლაპარაკში გადადიოდა.

სახერხიდან რომ გავიდნენ, მტკვრის პირად ჩამოსხდნენ.

— ვერ ხედავთ, ეს ოხერი ზეზმანი საიდან სად მოსულა და ქარხანას ამუშავებს ჩვენს სამშობლოში? — თქვა მიხამ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— და მერე, ისეთი თავხედი ყოფილა, რომ ჩვენს მუშებს სამუშაოდან ითხოვს, „როგორ გაბედეს და ხელფასის მომატება მოითხოვესო!“ რუსის მუშები რომ მიიწვია, იმათაც ზომ თავი დაანებეს და მხარი დაუჭირეს ქართველ მუშებს!

— იმიტომ, რომ ისინი შეგნებულები არიან! ისინი რამდენი ხანია თავიანთი ბატონების წინააღმდეგ იბრძვიან! რამდენს ატუსაღებენ და ციმბირში ასახლებენ. სტუდენტობაც მუშების მხარეზეა თურმე! ისინიც ბუნტობენ, მეფის ჩამოგდებისათვის იბრძვიან! — თქვა გოგიამ.

ის დრო იყო, როცა ხალხოსნები დამარცხდნენ, როცა რუსეთის მრეწვე-

ლობა აღმავლობის პერიოდს განიცდიდა, როცა გაფიცვებში მონაწილეობა მკითხოვდა რამდენიმე ასიათასმა მუშამ და მუშათა მოძრაობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრების სერიოზულ ძალად ზღვებოდა.

მაშინ იყო, რომ საქართველოში დაარსდა მარქსისტული ორგანიზაციები. დაღმართზე დაქანებულ ქაფმორეულ მდინარეს სამი წყვილი თვალი გაშტერებით უმზერდა. გამალებით უცემდათ გული.

დიდხანს დუმდნენ, მოტიტიკე ტალღები ყირაედებოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, იცინოდნენ, ლალობდნენ.

მზის სხივები ირიბად მიესხურა ციხის კედლებს. მალე სხივიც ჩაჰჭრა. ლალისფერი მოედო გარემოს.

ქვებზე სხდომით დაღლილი ბავშვები წამოდგნენ, შინისაკენ გაემარონენ. დუმდნენ, თითქოს ჩვეულებრივი ლაპარაკით არ უნდოდათ ფიქრების აღრევა.



სასულიერო სკოლის ეკლესიის ზარი ზემო სართულში, თანჯარასთან რომ ჰკიდა, წკრიალებს: „ნაუ! ნაუ!“.

მიხა დაეითაშვილი მიიბზის. დიდსა და გრძელ დერეფანში ბუტირსკი მოსწავლეთა გვარებს კითხულობს. მიხა ქლოშინით შეეარღება დერეფანში. ბუტირსკი მის გვარს დაიძახებს. ისიც შორიდანვე შეჰყვირებს: „აქა ვარ!“ და შეჭულ მისწავლეებში ჩადგება.

იწყება წირვა. ზიზილბიბილიან ფილონში გახვეული მღვდელი ტრაპეზის წინ ზელაპყრობილი ღმერთს ევედრება მეფის საგვარეულოს ხანგრძლივი სიცოცხლისათვის.

რუსული გუნდი გალობს: *иже херувимы, тайно образующе...* ეს ის წუთია, როცა მღვდლის მიერ ბარძიშში ჩასხმული წითელი ღვინო და სეფისკერის ნამცეცები ქრისტეს სისხლად და ხორცად უნდა იქცეს. შემდეგ თვითონვე უნდა მიირთვას.

ეკლესია საცეცხლურის კვამლში მოიბურება.

— ნეტავ ერთი, მალე დამთავრდებოდეს წირვა, რომ სამების ბაღში გავიქცე! დღეს მგონა ხარაზების ამქრის საღვთოა!

ეუბნება მიხა დაეითაშვილს გვერდში მდგომი მოსწავლე.

— მეც წამოვალ! ერთად წავიდეთ!

— **He разговаривать!** — შეუტევს შეუმჩნეველად მიახლოებული ბუტირსკი და მკლავზე მწარედ უჩქმეტს.

დახუთული ჰაერი, სანთლისა და საემეკლის სუნის სუნთქვას ამხელს. ორი საათი გრძელდება წირვა. ფეხზე დგომით იღლებიან. გარეთ გასულა არ შეიძლება. გარემო კი ყვავილების სუნით გაქლენთილია. თბილი ნიავე ფოთლებს აშრიალებს. თავისუფალი ბავშვები ეზოებში დარბიან.

მიხას გვერდით მდგომმა ამხანაგმა ჯიბიდან გამხმარი, კაკალივით მრგვალი, ბუსუსიანი ყვავილის მსგავსი რამ ამოიღო. ნესტოში შეიტენა, მუშკი მიჰკრა, სახე დაემანჭა, ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, მუჭი მიუშვია და ინსპექტორთან გაიქცა. იმანაც გარეთ გაუშვა. ბუტირსკიმ კარგად იცოდა, რომ სისხლი ნაძალადევად იყო გამოშვებული, მაგრამ გარეთ გასვლის ნება არ მიეცა, არ შეიძლებოდა!

როცა მოსწავლე დაბრუნდა, მიხა შეეკითხა, თუ რითი გამოიღინა სისხლი.

— ველური ყვავილია! აი, ხომ ხედავ, ეკლის მსგავსი ბუსუსოები ასხია. ამით ნესტოებს უჩხვლევტ და სისხლიც გამოვია. თუ გინდა, გათხოვებ!

— მომეცი! — უთხრა ფეხზე დგომით დაღლილმა მიხამ.

მანაც მრგვალი, ბუსუსიანი ველური ყვავილი ნესტოებთან მიიტანა. მაგრამ მუშტი ვერ შემოიკრა. ტანში აერეოლებდა. კანის გაკაწვრა ვერ გაბედა. ყვავილი ისევ პატრონის დაუბრუნა.

— ვერ ყოფილხარ ვაჟაკი! — დასცინა ამხანაგმა.

— რა ვაჟაკობაა, ერთი წუთით გარეთ გასვლისათვის ნესტოები გავიკაწრო და სისხლი გამოვიღინო!

— შენ არ მოგწყურებია, თორემ ეგრე არ იტყოდი! ისე მწყუროდა, ისე, რომ... მეტი არ შეიძლება! ბუტირსკი ხომ არ გამიშვებდა! ჰოდა, აბა რა უნდა მექნა?

წირვის დასასრული ახლოვდებოდა.

მღვდელმა უკანასკნელად ჩამოიღოცა. საგალობელზედაც დაამთავრეს გალობა. მოსწავლეებმა იხუვლეს და კიბეები სირბილით ჩაირბინეს.

— აბა, წავიდეთ! — უთხრა ამხანაგს მიხამ და ორივემ სამების ბაღისკენ მოჰკურცხლა.

ყოველ გაზაფხულზე მართავდნენ ამქრები საღვთოს. ერთმანეთში ფულს ჰკრეფდნენ, ბაღს იჭირავებდნენ, ცხვარს დაჰკლავდნენ, მღვდელს მოიწვევდნენ, პარაკლისს გადაიხდიდნენ.

იქვე, დიდ ქვაბებში, შილაფლავი იხარშებოდა, ნაკვერჩხლებზე წვადები იწვოდა, დიდი ჩაფებიდან ხელადებში ატენური ისხმოდა. მწვანეზე გაშლილ გრძელ სუფრაზე ეწყობოდა თეფშები და მათლაფები, ლავაშები და თონის პურები, მწვანელი და თევზეულობა, ღვინის ჰიქები და ყანწები.

გორის მცხოვრებნი ასეთ შემთხვევას არ უშვებდნენ და საღვთოზე ულუფის მისაღებად მიდიოდნენ. მასპინძლებიც გულუხვობას იჩენდნენ და ყოველ მისვლელს ურიგებდნენ თითო ჯამ შილაფლავს, ერთ ლავაშს და ჩაის ჰიქით ღვინოს.

მიხა პირველად მოხვდა ასეთ საღვთოზე. მას აოცებდა უამრავი, ერთმანეთში არეული ხალხი. ზოგს სახლიდან ჯამებიც კი წამოეღო შილაფლავის შინ წასაღებად. მოსულები უხეშად თელავდნენ მწვანე ბაღას, ტეხდნენ ფშატის ტოტებს.

უცხად იხველა ხალხმა და რაგში ჩადგა. ბიჭებიც იქით გაიქცნენ. ყველა ცდილობდა წინ წასულიყო, — ერთმანეთს აწეებოდნენ, ჩხუბობდნენ, იგინებოდნენ.

— რა გაჩხუბებთ, თქვე ოხრებო, ყველას ეყოფა! ვერ ხედავთ, რამხელა ქვაბებია? — ყვიროდა ერთი და ყველაზე მეტად ის აწეებოდა მის წინ მდგომთ.

— ათი ცხვარი დაკლეს, ორი ღვეკულა. ლავაშები და პურები, მგონი, თხუთმეტი თონე გამოაცხეს. — უმატებდა მეორე.

მიხა უცებ გახტა რიგიდან. ქვაბებს შეხვდა. ორი შავი მოზრდილი ქვაბა, ზალალსა და მსხვილ რკინის ზედადგარზე შემდგარი, ეულკანისებრ ორთქლს აფრქვევდა. ნაკვერჩხლებად ქვეულ ცეცხლს ალი ავარდებოდა, კვამლი და ორთქლი ერთმანეთში ირეოდა.

ქვაბების გარშემო ფიცრის სკამზე ორი კაცი იდგა, თეთრი წინსაფარით აკრული. პატარა ნიჩბებს ქვაბში ჩაუშვებდა, ცხელ შილაფლავს ამოიღებდა,

მოსულს ლავაზე ან ჯამზე დაუდებდა. ხელში ნიჩაბს მოხდენილად ატრიალებდა.

შილაფლავმილებულნი იმავე რიგით მახლობელ მაგიდასთან ჯავლიდნენ, ჩაის ჭიქით ღვინოს დალევდნენ, იქვე მინდორზე შილაფლავს შექამდნენ ან ჯამით შინ წაიღებდნენ.

ციხის უფროსმა იცოდა, რომ იმ დღეს შილაფლავს, თონის პურებსა და ლავაშებს ტუსალებისთვის მიიტანდნენ. ამიტომ მათთვის სადილს არ ამზადებდა, დღიურ ხარჯს ჯიბეში იღებდა.

ბევრი ოჯახის წევრი ორჯერ გაივლიდა რიგს და ორი ჯამი შილაფლავით მიიღოდა შინ.

მერიქიფეხები ამქრის წვერებისათვის ჩრდილში მწვანეზე გაშლილ გრძელ სუფრას გარს უვლიდნენ. მოჰქონდათ ახლად მოხარშული ცოცხალი, დოში და ზურგიელი, შილაფლავი, ლავაში, შამფურზე შემწვარი წვადი, ატენურიოთ საცხე ყანწები.

მოშორებით, ღობის ძირას, ხის ტოტების ჩრდილქვეშ ეყარა ცხერის დახრული ძვლები, მათ ძალები ესეოდნენ. დაძრწოდნენ და ერთმანეთს უღრინავდნენ.

ყასბები ცხერის ტყაეებს ამარილებდნენ, თავებსა და ფეხებს ხაშის გასაკეთებლად გობში ალგებდნენ. პატარა ბიჭები იქვე იდგნენ და კანჭიდან გამოღებული კოჭის გადმოგდებას უცდიდნენ.

ხედავდნენ, ერთი ყასაბი კოჭებს რომ ჯიბეში აგროვებდა. იცოდნენ, რომ რამდენიმეს ერთად გადმოყრიდა. უცბად მარჯვენა ხელმა ჰაერი გააპო, სივრცეში კოჭები გაიფანტა. მწვანეზე დაცვივდა. ბიჭები ერთმანეთს მუჯღუგუნს ჰკრავდნენ, მიწაზე ცოცავდნენ. ბალახში კოჭებს ეძებდნენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ, ყვიროდნენ, ჩხუბობდნენ. ვინც კოჭს მოიპოვებდა — სიხარულით გარბოდა. ყასბები შორიანლოდან უმზერდნენ და ხითხითებდნენ, მაჩხუბრებს აქეზებდნენ.

მიხა განზე გამდგარიყო, საერთო ორომტრიალში მონაწილეობას არ იღებდა, მებრძოლებს მედიდურად უმზერდა.

ერთმა ყასაბმა შეამჩნია. დააკვირდა. გაუკვირდა, რატომ ესეც არ იღებდა მონაწილეობას? რატომ არ იბრძოდა? რატომ იდგა უმოქმედოდ? — მივიდა მასთან. შეანჯღრია, მკლავში ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— იცი, რა? შენ დიდი მამამალლი ვინმე გამოხვალ! ვინა გდინარ, რომ სხვებთან ერთად არ ჩაერევი კოჭების მოპოებაში? — კიდევ შეაქანა, ერთი ხილაც გააწნა. — ჰმ! დახე ერთი ამას? ეს ვინა ყოფილა, ჰა? წადი აქედან! მოგვეცილიდი! — ხელი ჰკრა და გააგდო.

როცა მიხა დაეთამაშვილი შინ მივიდა, მას ეზოში შესვლისთანავე დიასახლისის ქალიშვილი — ნატო მიეგება და შეეკითხა:

- სად იყავი აქამდის?
- ამხანაგებთან!
- ამდენ ხანს? რას აკეთებდი?
- საღმთოზე წავედიო!

— მერე, არ იცოდი, რომ ჯერ შინ უნდა მოსულიყავი და გეტქვა, სადაც მიდიოდი? რატომ გვალოდინე?

მიხა დღმდა.

— მამ სადილსაც იქ მიირთმევდი!

— ჰო, ჰო, შილაფლავი ეჭამე!

— იცოდე, მეორეჯერ ეს არ ჩაიდინო! დაჯექი ახლა და გაკვეთილები ისწავლე!

დიასახლისის ქალიშვილი, ნატო, ოცდაათი წლისა სრულდებოდა. გათხოვებაზე არ ფიქრობდა. დედ-მამას ეხმარებოდა, მოსწავლეებისათვის თვალყურის დევნება მას ეკისრებოდა. საღამოს გაკვეთილებს მოუსმენდა, კარნახს დააწერინებდა. გორის პროგიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და რუსული კარგად იცოდა. გატაცებით კითხულობდა რომანებს. წიგნების კითხვაში მოსწავლეებსაც აქეზებდა. გორელები არ მოსწონდა. ერთი მეგობარი ჰყავდა, რომელიც წელიწადში ერთხელ ლოტოს გამართავდა, ამხანაგებს დაუძახებდა, ტკბილ ჩაის დაალევინებდა. ეს იყო მათი გართობა.

ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისაც არ იქნებოდა ნატო, პროგიმნაზია ახლად დამთავრებული ჰქონდა, როცა მათთან მეცხოვრები მღვდლის შვილი შეუყვარდა. რომელმაც იმ წელს გაათავა გორის სასულიერო სკოლა. მას თექვსმეტი წელი უსრულდებოდა. უმწიგელო სიყვარულში მიდიოდა დღეები. ვაჟი სემინარიის დამთავრების შემდეგ ისევ გორში დაბრუნდებოდა და შეუღლდებოდნენ.

პირველ წელს მათ მიწერ-მოწერა ჰქონდათ. ყმაწვილი ჰპირდებოდა, რომ მალე ჩავიდოდა გორში და ინახულებდა. მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა. მალე წერილების წერაც შეწყდა. ნატო მაინც უცდიდა ვაჟის მოსვლას. მაგრამ ამოდ. ნატომ მისი სიყვარული მაინც შეინახა. წერილები მაგიდის უჯრაში ჰქონდა დამალული და, რომანებში წაკითხული გმირების მსგავსად, ოხრავდა და იცრემლებოდა.

ნატოს სულ ოთხი მოსწავლე ჰყავდა საცხოვრებლად აყვანილი. მათში ყველაზე უფრო მიხა უყვარდა.

ნატოს მამა ანდრია, სამოცდაათ წელს მიტანებული მოხუცი, აგურის ქარხანას ამუშავებდა. თავისი ერთადერთი ვაჟის დახმარებით გამომწვარი აგური აგურქარხნიდან გამოჰქონდა და ყიდდა. მისი ცოლი, რევატიზმით დაავადებული დედაკაცი, ხშირად ლოგინში იწვა და დიასახლისობა თითქმის მთლიანად ნატოს აწვა კისერზე.

საცხოვრებელი ბინა საკმაოდ გრძელი ოთახისაგან შედგებოდა. ერთ მხარეს, ფანჯრიდან კუთხემდე, კედელთან მიდგმული გრძელი და განიერი ტახტი მიჰყვებოდა, ფარდაგითა და მუთაქებით დალაგებული. მოპირდაპირე კედელთან ორი მაგიდა იდგა — ერთი მოსწავლეებისათვის და ერთიც სასადილო. ფანჯრიდან მკრთალი სინათლე შემოდისოდა.

გრძელ ტახტზე მოსწავლეები იწვნენ, კედელთან — მოხუცი. ნატო ცალკე იწვა, მეორე კუთხეში, საწერი მაგიდის გვერდით.

მომღევნო კლასების ამხანაგები მიხას არ ებუებოდნენ, უფროსად არ თვლიდნენ. მას კი გული მოსდიოდა. ამ ნიადაგზე ხშირად ჩხუბობდნენ. მათი გამშველებელი ნატო იყო. ის მუდამ მიხას ამტყუნებდა.

— ჯერ ერთი, ისინი შენზე უმკროსები არიან. გარდა ამისა, ვისაც მეტო აქვს, მეტი მოეთხოვება, ხომ გავიგონია, — ეუბნებოდა ნატო.

მიხას მოსწონდა, მას რომ მეტი მოეთხოვებოდა, ამიტომ არ დავობდა.

როცა ნატოს მოხუცი მამა საღამოს შინ ბრუნდებოდა, მოსწავლეები შემოეხვეოდნენ გარს და ეხვეწებოდნენ, ზღაპარი ეთქვა. მოხუცი ლაპარაკობდა წმინდა ქართული ენით. ამოქნარებდა, ძილს იკავებდა, ცხვირში მუხუტუნუტუნუტუნო თითით იტენიდა. გრძელი თეთრი უღვამებითა და წამწამებზე გამოფენილი ზშირი წარბებით ძველი თქმულებების გმირს წააგავდა. ლაპარაკის დროს ტკბილად ჩაეძინებოდა. „ხვალ, ხვალ“, იტყოდა და მიწვევობდა. ცოლი წვალებით ტანისამოსს გახდიდა და ლოგინში ჩააწვენდა.

მისი დაძინების შემდეგ მოსწავლეები ისევ მეცადინეობდნენ. ის კი შიგა და შიგ წამოიძახებდა: „გაათავეთ ბარემლა ლამპა ჩააქრეთ! დაწვეით!“.

ყველა რომ დაიძინებდა, ნატო მამის გადაშლიდა წიგნს თავის სასტუმართან. მამამისს ეს არ მოსწონდა და ზშირად შეუტყვედა ხოლმე. ნატო მაინც მონდომებით კითხულობდა. შუალაშე გადაცილებული იქნებოდა, ოთახში მაინც ეფინა შექი.

იმ ღამეს ნატო ისე გატაცებით ფურცლავდა სენკევიჩის რომანს — „ვიღრე ხვალ უფალოს“, რომ ვერც კი შენიშნა, მამამ რომ შეუტია. ლამპის ჩაქრობა მოსთხოვა. მამის მამა წამოდგა, შეუმჩნეველად მივიარდა, წიგნი ხელიდან გამოსტაცა და აგურის იატაკზე დაახეთქა; დაუკანაშავი წიგნი ფურცლებად გაიფანტა მთელს ოთახში.

— ახლაც არ დაიძინებ! — კიდევ შეუტია მამამ.

ნატო წამოხტა, შეჰკივლა:

— მამა, რა არის ეს, რა! ვაიმე! ვაიმე!

მოსწავლეებს გამოეღვიძათ.

ნატომ დაფანტულ ფურცლებს გადახედა. უნდოდა მოეკრიფა, მაგრამ უცბად ლოგინზე დაეცა და ტირილი მორთო.

ნამძინარევი თვალებით ხედავდნენ მოსწავლეები გაფანტულ ფურცლებს. შესცქეროდნენ გულდაღმა დაწოლილ ნატოს, ქვითინისგან რომ მთელი სხეული უთრთოდა. არ იცოდნენ, რა ემოქმედათ.

წიგნი ნათხოვარი იყო. რა უნდა ეთქვა პატრონისათვის! მიხას შეეცოდა ნატო, ფურცლები მოკრიფა, ერთმანეთზე დააწყო, ნატოს მაგიდაზე დადო. ნატო ქვითინს განაგრძობდა.

მამა მიხვდა, რომ მეტი მოუვიდა. ზურგი შეაქცია, არაფერი კი უთქვამს.

მიხა დილაადრიაანად წამოდგა, წიგნი რიგზე ააწყო, ნემსი და თეთრი ძაფი მოძებნა, შეკერა, არ მოელოდა, თუ ასე დავვირგვინდებოდა მისი ნამუშევარი.

ნატომ გვიან გაიღვიძა. ბიჭები სკოლაში წასულიყვნენ. აღარც მამა იყო შინ. თავი ძლივს ასწია. მაგიდაზე თავისი წიგნი ნახა. გულს შვება მიეცა. მიხვდა, ვინც შეკერა.



მიხა დავითაშვილის ეზოში ცხოვრობდა მისივე სკოლის მესამე კლასის მოსწავლე გუცა გვარამაძე. მას ძალიან უყვარდა მიხა, ხათრი ჰქონდა, ერიდებოდა. გუცა, მესამე კლასში ბერძნული ენის გამო დარჩენილი, წელსაც ვერ შეგუებოდა ამ საგანს. ისევ ორიანებს ლებულობდა. სხვა საგნებში კი ოთხიანებზე და სამიანებზე სწავლობდა.

ერთ დღეს, დიდი დასვენების დროს, მოწაფეები რომ კლასებიდან ყვილი-ხილით გამოცვივდნენ, ღერეფანში კედელთან მიყუდებული მაღალი ტანის

მოსწავლე შენიშნეს. მოსწავლე ცხარე ცრემლით ტიროდა. სიბრაზისაგან კედელს მუშტს არტყამდა, ბუტბუტებდა. ბავშვები შორიხლოს ქუჩაზედდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

- გვარამაძეა, გუცა!
- შერე, რატომ ტირის?
- რა ვიცი!

შექუჩულებს თანდათან ემატებოდნენ გუცას კლასის მოსწავლეები. მასთან ახლო მიდიოდნენ, ამშვიდებდნენ. ის უფრო ბრაზობდა.

- მოსწავლეებელმა კლასიდან გამოაგდო. — ამბობდნენ მისი ამხანაგები.
- რომელმა?
- ბერძნულის მოსწავლეებელმა.
- რატომ?

— იმიტომ, რომ ემტერება, კარგადაც რომ უპასუხოს, ცუდ ხიშანს უწერს. მაგან ჩხუბი დაუწყო, და მოსწავლეებელმა კლასიდან გამოაგდო.

მიხა დავითაშვილმა გვარამაძის ამბავი რომ შეიტყო, მასთან მივიდა. გვერდში ამოუდგა. მოსწავლეებს თვალთ ანიშნა — დაშლილიყვნენ. როცა ისინი წავიდ-წამოვიდნენ, ტირილის მიზეზი გამოკითხა. გუცა ნელ-ნელა სლოკინით უყვებოდა, რომ დღეს გაკვეთილი კარგად უპასუხა, მაგრამ მოსწავლეებელმა მაინც ორიანი დაუსვა. ეს კი ველარ მოითმინა და შეეკამათა.

გვარამაძე თანდათან დამშვიდდა, ღრმა ფიქრებში ჩაეფლო. გაშტერებული თვალებით ერთ წერტილს უმზერდა. დიდხანს იდგა კიდევ კედელთან. მიხა დავითაშვილი არ სცილდებოდა, თანაგრძნობას გამოთქვამდა. გვარამაძემ ნამტირალევი თვალები მოიწმინდა, თმაზე მარჯვენა ხელი გადაისვა, დამშვიდდა და მიხას უთხრა:

— მე კლასში აღარ შევალ. შინ წავალ. ნასადილევს შენთან მოვალ. უნდა გათხრა რამე. შენ წადი კლასში, უკვე დარეკეს.

— მაშ, მოდი. ველი! — უთხრა მიხამ და გაიქცა.

გვარამაძემ აქეთ-იქით გაიხედა. დერეფანში აღარავინ იყო. მოსწავლეები დღიურებით ხელში თავიანთი კლასებისაკენ მიდიოდნენ. ცოტა მოიცადა, მერე, ნელი ნაბიჯით გაიარა გრძელი დერეფანი, კარი გააღო და, ქუჩაში რომ გავიდა, თავისუფლად ამოისუნთქა. აჩქარებული ნაბიჯით შინისაკენ გაემართა.

ნასადილევს მიხასთან მივიდა. ქუჩაში გამოიხმო. სთხოვა, თან გაჰყოლოდა. მიხა ხმამაღლა მიჰყვებოდა. გრძნობდა, რაღაც საიდუმლო უნდა ეთქვა.

გუცა გვარამაძე გორში ცხოვრობდა. მამამისი ფოსტის მოხელე იყო. დედა ადრე გარდაეცვალა. ისა და მისი ძმა, რომელზედაც ორი წლით უფროსი იყო, მამასთან ერთად ცხოვრობდნენ. მამა ყოველდღე სამსახურში დადიოდა. მარტო დარჩენილი ბავშვები მთელ დღეს ქუჩაში ატარებდნენ. სკოლიდან დაბრუნებულნი პურს მოიტეხდნენ და ქუჩაში გარბოდნენ.

გუცა გვარამაძე, მხარბუჭიანი და ჩოფურა სახის ბიჭი, ერთი შეხედვით არ მივიზიდავდათ, მაგრამ მალე შეამჩნევდით, რომ ის იყო ყოველად გულკეთილი და ამხანაგების მოყვარული. მოსწავლეები მას აბუჩად იგდებდნენ, ვერ ეგუებოდნენ, არ უმეგობრდებოდნენ. ერთადერთი მიხა იყო, რომ ტყბილად მოექცა. მათ შორის მეგობრული კავშირი დამყარდა.

გაიარეს დიდი ქუჩა, ბაღში შევიდნენ, სკამზე დასხდნენ. ხეივანში ახალგაზრდა ქალიშვილები და ვაყები დასეირნობდნენ.

— აქ არა, წამო სხვაგან! — უთხრა გუცამ.

ხიდი გაიარეს, რკინიგზის ლიანდაგით გორის ჯვრისაკენ მტკვრის პიროს გაჰყვნენ. მდინარის პირად კლდის დიდრონ ქვებზე ჩამოსხდნენ, ასწლოვანი ტირიფის ტოტები მდინარისაკენ დაშვებულაყვნენ. ცელქი, ვეფხვი, ცაღუნები ტოტებს სწვდებოდნენ, თეთრ კბილებს წაავლებდნენ, დაღმა ეწეოდნენ, მაგრამ შტო მოსხლეთით თავს გაითავისუფლებდა, ირბეოდა, თრთოდა, ფოთლებიდან წვეთები ცვივოდა.

ისხდნენ და უმზერდნენ მდინარის სრბოლას. ზურგს უკან, რკინიგზის ლიანდაგზე, მატარებლის ბორბლები აკაჟანდებოდნენ, ტიკტიკით და ხრიალით სადგურისაკენ მიგორავდნენ. გუცა გვარამაძე მიბრუნდებოდა, მატარებელს თვალს გააყოლებდა, დიდხანს უმზერდა.

— მითხარი, რა გინდოდა გეთქვა ჩემთვის! — მიმართა მიხამ.

— იცი, რა მინდოდა? — ერთი წამით გაჩუმდა გუცა. — უნდა წავიდე აქედან.

— სად უნდა წახვიდე? რას ამბობ?!

— უნდა გადავიქარგო! წავალ რუსეთში! დიდი ქვეყანაა! მერე, მრავალი წლების შემდეგ, ისევ დაებრუნდები, გამდიდრებული და სახელოვანი.

— რას ლაპარაკობ! ვერ გამიჯია!

— მოგწორდები აქაურობას, იქ დავიწყებ სწავლას; კარგად ვისწავლი, დავამთავრებ სემინარიასაც... მერე უნივერსიტეტში შევალ. იმასაც დავამთავრებ. საქართველოში მხოლოდ მაშინ ჩამოვალ, დიდი კაცი რომ გავხდები. ამაყად გავივლი ბერძნული ენის მასწავლებლის წინ ვეტყვი: გახსოვთ, თქვენ რომ ორიანებს მიწერდით? იქ კი სულ ხუთიანები მყავდა! ხომ ხედავთ! უნივერსიტეტშიც დავამთავრე! გახსოვთ, კლასიდან რომ გამომაგდეთ? რას მერჩოდით? რად მემტერებოდით? რას მეტყვის მაშინ სმარაი? დანაშაულს იგრძნობს. ბოდიშის მოსახდელად ხელს გამომიწვდის, მაგრამ მე არ ჩამოვართმევ ხელს. გაეტრიალდები! აი! ასე ვიხამ! ჩვენი უბნის გოგოები ხომ შურით მოკვდებიან! „ხედავ, რა ყოფილა ჩვენი გუცა და ჩვენ კი არაფრად ვაგდებდითო! — იტყვიან. მაშინ მოსურვებენ ჩემთან სიარულს, დაახლოებას, ერთმანეთსაც ქიშპობას დაუწყებენ. მაგრამ შედიღურად დავიჭერ თავს. საზაფხულო პალტო მკლავზე შექნება გაოგლებული. ისეთი ცილინდრი მეხტრება და კოსტუმი მეცმევა, რომ ყველა გამვლელი შე დამიწყებს ცქერას. ჩვენი უბნის დედებისათვის სასურველი სასიძოვიქნება და მეზობლებისათვის საამაყო მეზობელი. მერე და, როგორ გაუხარდება მამაჩემსაც?

გაოცებული უმზერდა მიხამ. მასაც მოსწონდა ეს აზრები. თითქოს ამგვარი ფიქრები მასაც გაუვლიდა გონებაში წამიერად, მაგრამ მისი განზორციელებისათვის არ უზრუნვია. ახლა გაცხოველებით იწყო დენა ოცნებაში. უსმენდა გუცას თავისუფალ. ლალ ცხოვრებაზე ლაპარაკს და თვითონაც იხიბლებოდა.

„იქნებ მართალია გუცა? იქნებ სჯობია უცხო მხარეში წასვლა? მაგრამ მშობლები? ელო?“

თეთრი ტალღები ტყლამუნებდნენ, მიეშურებოდნენ ქვევით, დაღმართისაკენ. გუცა თავის წასვლის გეგმას უამბობდა, უცხო მხარეში ფიანდაზებით მოფენილ ქალაქებში, ცხოვრების პირობებს უყვებოდა.

— ფული გაქვს? — შეეკითხა მიხამ.

— ფული იმდენი მაქვს, რამდენიც ოდესამდე მეყოფა. ბათუმამდის საბარგო მატარებლით ვიმგზავრებ. ზღვას ვნახავ! იქიდან ხომ გემით უნდა წავიდე

ოდესამდე. შეიძლება იქაც მოვახერხო და ბილეთი არ ვიყიდო, მერე კი რდესაში ჯერ სამუშაოს ვიშოვი და მერე სკოლაშიც შევალ.

მიხა გრძნობდა, რომ გუცას გადაწყვეტილება და ოდესამდეცხვერების მოწყობა მოკლებული იყო სინამდვილეს, მაგრამ, თვითონაც გულში უღვიოდა ეს ყმაწვილური რომანტიკა და გადაწყვეტით არ ეწინააღმდეგებოდა მის განზრახვას.

— ხომ იცი, რუსეთში ძალიან უყვართ ქართველები. ჰოდა, მეც არ დამაკლებენ პატივისცემას, ხელს შემიწყობენ.

— მერე, იქნებ რუსის მდიდარი ვაჭრის ქალი შეირთო და მაშინ ხომ რაღაც გიჭირს.

— მე არა ვხუმრობ, მიხა!

— მეც მართალს გეუბნები! რატომ არ შეიძლება?

„მეც რომ წავიდე, იქნებ იქ უფრო გავიკვლიო გზა და სახელოვანი დაებრუნდე, მეც ისევ გორში მოვიდოდი. მაშინ კი ამოვიყრიდი ჯავრს ბოჭაულზე და პოლიციელზე“. ფიქრობდა მიხა.

— იცი რას გეტყვი? — სიჩუმე დაარღვია მან, — რომ ჩახვიდე, წერილი მოიწერე. შემატყობინე როგორ მოეწყობი. მეც ჩამოვალ შენთან.

— ოჰ? მართლა? უსათუოდ მოგწერ. აბა, შენს მეტი ვინ მყავს, ორივე ერთად რომ ვიქნებით, უფრო კარგად ვიცხოვრებთ.

— როდის გინდა წასვლა?

— ხვალვე. რაღას დავუცადო.

— ფული რამდენი გაქვს?

— შეიდი მანეთი. სამ მანეთსაც ვიშოვი როგორმე.

— მეც მოგცემ ხუთ მანეთს.

— უჰ! შენ გენაცვალე, მიხა! მერე, ხომ იცი ხუთის მაგიერ ათასს დაგებრუნებ.

— ხვალ სად შეგხვდეთ ერთმანეთს?

— შენს მეტს არავის ეცოდინება, ხომ იცი!

— ვიცი.

მეორე დღეს დათქმულ ალაგას შეხვდნენ ერთმანეთს. სადგურზე ისე გავიდნენ, გზაში არავინ შეხვედრიათ. გუცას მცირე ფუთა ეჭირა ზელში.

მალე საბარგო მატარებელმა დგარიალით გადასჭრა ისრები და მესამე ლიანდაგზე შედგა. მოწყენილ ბაქანზე უფროსმა კონდუქტორმა და მემანქანემ გაიარეს. სადგურის ბუფეტში შევიდნენ. ვაგონების საფეხურებიდან კონდუქტორები სათითაოდ ჩამოვიდნენ. წყლის დასალევად ონკანთან მივიდნენ.

თბილისიდან მოსული მატარებელი დიდხანს იდგა სადგურზე. ნავთის და საბარგო ვაგონები მრგვალი ოთხკუთხედი ჩრდილებით ჰფარავდნენ რკინიგზის რელსებს. მიხა და გუცა მეორე მხარეზე აივლ-ჩაივლიდნენ. ლოდინითა და სიარულით დაიღალნენ. ვაგონებზე აღნიშნული სამი რუსული ასო З. К. В. თვალში ეცემოდა მათ და კი არ იცოდნენ, რას ნიშნავდა ეს.

კონდუქტორისა და მემანქანის ბაქანზე ჩქარი ნაბიჯით სიარულმა სადგური აახმაურა. მალე უფროსმა კონდუქტორმა სასტვენით ნიშანი მისცა მემანქანეს. იმანაც კვილით უბასუხა. აქლოშინდა ორთქლმავალი. კონდუქტორები თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ.

— აბა გუცა დაჯექი! — დაუძახა მიხამ.

მეკობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— როგორც ჩახვალ, წერილს მაშინვე გამოგზავნი! — იმეორებდა მისა

— შენც ნულარ დააყოვნებ, მალე ჩამოდი!

უცებ ორთქლმავალის კივილი მოესმათ. ვაგონები ერთმანეთს დაუჯახა. ჯაჭვების ჩხარაჩხურით და ბორბლების ტკაცატკუცით დაიძრა მათგან ერთი ქალაქი გორი შეიკუმშა. მოჩანდა მხოლოდ მალალი ციხე, დაბლობში კი — ნაცრისფერი შენობები, ეკლესიების გუმბათები და ვერხვის ხეები.

გუცა შორს ტოვებდა გორის ციხეს, გორისჯვრის მალლობს და უცხო ქვეყანაში მიემგზავრებოდა. რას მოუტანდა უცხო მხარე? როგორ შეხედებოდა მის გატაცებას? გაუმართლებდა იმედებს, თუ უმტყუნებდა?

ფიქრები, დაუსრულებელი, არეული ფიქრები თავში ერეოდნენ. მატარებელი კივილით მიჰქროდა, მალე ის ხაშურის სადგურში შეგრიალდა. ორთქლმავალმა იკივლა და მატარებელიც შედგა. ორივე მხარეს ვაგონები იდგა. ვაგონები და სხვა არაფერი! პატარა სამანევრო ორთქლმავალს ვაგონები ერთი ლიანდაგიდან მეორეზე გადაჰყავდა.

სალამოდებოდა. გუცა მოწყენილი და დაღვრემილი იჯდა. გაურკვევი ფიქრები უტრიალებდა თავში.

„მეხუთე ფუთში ჩააყენე, მეხუთეში. — ისმოდა ვაგონის გადამბმელის ძახილი.

გუცამ შეამჩნია, ორთქლმავალი მის ვაგონს მიადგა და მოხსნეს. ორთქლმავალმა ვაგონი წაიყვანა ჩიხში ჩააყენა. ამან დაამწუხრა გუცა. დარდიანი და სევდიანი უმწეოდ გრძნობდა თავს.

• •

მეორე დღეს დიდ დასვენებაზე სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები უცნაურმა ამბავმა შეაშფოთა. სამასწავლებლო ოთახისაკენ მიდიოდნენ, მოხურულ კარებს ყურს მიადებდნენ, ისევ გამოიქცეოდნენ. მერე ისევ მიბრუნდებოდნენ. ზედამხედველები და ინსპექტორი მოსწავლეებს კლასებში ერეგებოდნენ, მაგრამ ისინი მაინც გამოიბრუნდნენ.

— ნამდვილად ეგრეთ?

— ჰო, კაცო! ბიჭებმა დაინახეს პოლიციელმა, რომ მოიყვანა.

— ახლა დაკითხვას აწარმოებენ, სკოლის უფროსი ბელიაევი იქ არის.

— რას ამბობს?

— რუსეთში მივდიოდით!

— მერე?

— ხაშურში მაგისი ვაგონი მოუხსნიათ, ჩიხში დაუყენებიათ. ჰოდა, რომ შენიშნეს ბაქანზე მიკრუნჩხული გუცა, ჩამოიყვანეს და სადგურის უფროსს წარუდგინეს. დაჰკითხეს და, როცა ყველაფერი გამოირკვა, აგერ მოიყვანეს, აქ!

— ისეთი ფერი ადევს, ვეღარ იცნობ!

— კაცმა რომ თქვას, რომ მიდიოდა, სად მიდიოდა! ვისი იმედი ჰქონდა?

— ეე, შეილოსა! ახლა ადვილია მისი გამტყუნება! ლაპარაკობდნენ დერფანში ბავშვები.

დღემ ბავშვების მითქმა-მოთქმაში გაიარა. მეორე დღეს კი გაქცეული გუცა მოვიდა სკოლაში და ამხანაგებმა ყველაფერი დაწვრილებით გაიგეს.

ორი დღის შემდეგ ისევ ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა სასულიერო სასწავლებლის ცხოვრება.

(დასასრული იქნება)

გალვა სიყოსხლის გამარჯვებისა



მალალ მკერდზე შოლტებივით
 ერხეოდნენ ნაწნავები;
 გულს კი არა,
 ქვას გაპყვეთდა
 გიშრისფერი წამწამებით.
 მხარზე თუნგი შემოედგა,
 თუ მოჰქონდა წყაროს წყალი;
 წყაროსავეით მოდიოდა,
 ეშხი ჰქონდა საოცარი.
 ქვის ქალაქში,
 მზის ქალაქში
 რა უნდოდა ცივ წყაროებს,
 როს ქვიტყირის ციცაბონი
 ცვლიდნენ კლდეთა ციცაბოებს;
 ეჰ, რა მექნა,
 სხვანაირად
 კიდევ როგორ დამელანდა,
 მთებში გაზრდილს, წყაროს გარდა
 სხვა სიმდიდრე რა მეზადა?!
 მეგზურს ვუთხარ:
 — უზბეკს არ ჰგავს,
 უფრო ვიწრო თვალები აქვს...
 — სწორი ხარო,
 თურქმენია,
 ტაშკენტს შემოჰფარებია...
 მე ამ სიტყვამ უცაბედად
 ხანჯალივით დამიარა;
 — რათა, რისთვის? —
 ჩაეფიქრდი და
 ქალს გაეხედე დარდიანად...
 დრო გავიდა,
 ტბის ნაპირას
 ჩაიხანა შემხვდა ერთი,
 ტბაზე ჰქონდა აივანი;
 მოაჯირი ერთყა თეთრი.
 დულდა დიდი ჩაიდანი, —
 და ფინჯნები ივსებოდნენ;

გარინდებით იჯდა ყველა,
 იმ სიცხეში ვის ელოდნენ?!
 გრძელ ტახტებზე ფენმორთხმულებს
 ჩიბუხები გაეშვირათ;
 ირეოდა კვამლში ორთქლი
 დაბლაცა და ჰაერშიაც...
 მე შეგონა, ლვინის მეტი
 ვერაფერი დამათრობდა;
 შეველ,
 თარის ტებილმა ჰანგმა
 დამატებო და ამათროთლა.
 დავეწაფე მწვანე ფინჯანს
 მწვანე ჩაის დასალევად;
 შევესვი ერთი, შევესვი ორი,
 ვერ გაეხედე დასამება.
 თვალწინ მედგა ის ასული —
 დაჰიმული ნაწნავებით;
 ცხადად სადმე შემხვედროდა —
 იყო ჩემი საწადელი.
 ნატვრა
 ნატვრად არ გამქრალა,
 ამისრულდა ნაფიქრალი,
 თითქოს
 ზღაპრის გმირად ქცეულს
 მქონებოდა ნატვრის თვალი...
 — ნავით გავლას არ ისურვებთ? —
 ვილაც დამწვედა სახელოში, —
 არ ივარგებს, ტბა არ ნახოთ
 ჯულაშვილის სახელობის...
 მოვიხედე, ვიცან მყისვე
 არმიელი მეგობარი;
 ის ასულიც იქვე იყო —
 საკიბურზე შემომდგარი.
 მეგობრებმა მეგობრულად
 ერთმანეთი გადავკოცნეთ,
 ჩაის ნაცვლად
 ლვინო გვდგმოდა.

ზომ ვიტყოდრთ დასალოცველს.
 მერე ასულს მივესალმე,
 მომესალმა ეშხიანიც;
 ბევრი აღარ დავაყოვნეთ, —
 შუა ტბაში შევსრიალდით...
 საუბარი არ გინდოდეს,
 სიტყვა მოვა თავისთავად,
 როცა ციდან იისფერი
 ძირს ეშვება თანდისთანა,
 როცა ტბაზე შეღამების
 დაუბერავს ნიავქარი;
 წნორებს შორის გაილეგებს
 მთვარის თეთრი იალქანი.
 ასე მსურდა, ასეც მოხდა,
 სიტყვა დასძრა მეგობარმა:
 — ფრონტულ ამბებს
 აღარ გეტყვი,
 შენც ყოფილხარ მეომრადა;
 თუმც ნაკლები განსაცდელი
 არ გადამხდა ომის მერეც, —
 მარტო მე არ შემეხება,
 კარგი არის, მომისმენდე:
 სტუმრად ვიყავ აშხაბადში
 ღვინოს ესვამდით თქვენებურად.
 მარტო გრძელ-გრძელ ბაიათებს
 გავკვირდით ჩვენებურად.
 ლამაზა გვედგა მაგიდაზე
 ანათებდა საესე სუფრას,
 ცერზე შედგა, ვაიფოფრა,
 შიშით გული დამესუსხა.
 შემდეგ ნასროლ მუგუზღისებრ
 შუაკედელს დაეძგერა,
 დაიმსხვრა და
 სქელი ბინდი
 დაგვეფარა თვალებზედა...
 თითქოს მიწას ქვესკნელიდან
 „ფერდინანდებს“ უშენდნენო,
 ზრიალებდნენ ჭერ-კედლები,
 ეწრიალებდით უშედეგოდ...
 ბოლოს შიგნით არეინ დარჩა,
 ყველა გარეთ გაიხიზნა,
 ნამღერალს და
 ნაჭიფარს
 მეც მეჭირა თავი ფხიზლად,
 მაგრამ ჯიქურ დამეჯახა
 ავი ბედის ავი ქარი,

თალი გასკდა, ჩამოხვავდა,
 დამიშავდა ცალი მხარი,
 წაფიჩოქე, წამოვდექი,
 სიკვდილს ბეწვზე გავასწარი,
 იგრილა მთელმა სახლმა, —
 ქვა დახვავდა ფარასავით.
 თენდებოდა, დედამიწა
 შფოთავდა და
 ბაბანებდა,
 ცას ძაღლები შეჭლემოდნენ,
 იწყევლიდნენ დაბადებას.
 ფერმკრთალ შუქზე აშხაბადი
 ჰგავდა ნამდვილ ბრძოლის ველსა,
 ათასობით დაჭრილების
 მძიმე კვნესას რომ ისმენდა...
 როგორც იყო, დედამიწა
 დაცხრა,
 გული დაიმშვიდა,
 მხოლოდ ერთგან გულსაკლავად
 დაიკვილა ქალიშვილმა.
 მიველ ახლო,
 ნანგრევებში
 მოჰყოლოდა ცალი ხელი,
 თუმც მარჯვენა არ მერჩოდა,
 მაინც მალე დავიხსენი.
 ზეილანას ეძახოდნენ,
 ქალი იყო ქვეყნის თვალი,
 სიბრალულით მიცქეროდა
 შიშისაგან ფერმიმკრთალი.
 მე მიწის ძვრას გავუძელი,
 მივაშველე სხვადაც ხელი,
 ბოლოს გონი დავკარგე და, —
 თავად გავხდი დასახსნელი...
 ჰოსპიტალში ვიყავ უკვე,
 როცა თვალი გავახილე,
 რაღაც სევდა ემჩნეოდათ
 ჩემს საწოლზე თავდახრილებს.
 — ნუთუ ველარ გადავრჩებო,
 ერთანტელმა ამიტანა, —
 ლაშქრობაში გარკინებულს
 განა რა მაქვს ამისთანა?!
 მაგრამ, როცა
 ფიქრით მივწვდი
 აშხაბადელ ალვისტანას,
 ძარღვში ძალა დამიბრუნდა,
 ფერზე მოველ თანდისთანა;

სიყვარულმა სიმძლავრეში
წინ გაუსწრო ყველა წამალს, —
და სიკვდილი — სატიალე
ჩემს სიცოცხლეს ენაცვალა...
მისამართი არ ვიცოდი,
ბარათს ვისთან
გავაფრენდი,
უბ, თუმც ქალაქს ქალაქისა
ხომ არ შერჩა არაფერი.
მე შორიშორ დავეძებდი,
თურმე ახლოს მყოლებოდა,
პალატიდან პალატაში
წოუთმენლად მომელოდა.
მომელოდა,
ვნახე კიდეც,
დამხვდა, როგორც ჯეირანი.
სასეირნოდ დაეთქვით ერთად
ჰოსპიტალის ხეივანი.
სამ კვირაში ველირსენით
პალატების დატოვებას,
ბინა მომცა უზბეკეთმა,
არაფერი მამბრკოლებდა.
თურქმენეთში გაზრდილები
უზბეკეთში დაექორწილდით,
წამო, გენახე, ოჯახი გვაქვს
საათივით აწყობილი.
ამხაბადი არ გინახავს?
ენახოთ. ძმაო. ამხაბადიც.
-სევ აღდგა, მშვენიერობს
შენობებით. ბალჩა-ბალით.
ვერც ფაშიზმის ქარიშხალმა,
ვერც მიწის ძვრამ — საშინელმა
ვერ აქციეს თურქმენეთი

საუღაბნო ტაშირებად, —
ესა თქვა და
ჩვენი ნაეიც
ტბის ნაპირთან მისრიალდა,
ტბის სუნთქვა და
ჩვენი სუნთქვა
შეიერთა ტყის შრიალმა.
— გვესტუმრეთო, —
ახლა უკვე
სიტყბო ჩადგა ქალის ხმაში;
ღამე იყო? მის თვალბში
ელვარებდა ჯარიერაეი.
— არა! გმადლობთ,
ნე ამალამ
სამარყანდში მივალ-მეთქი,
მთვარიანში სურთ მაჩვენონ
ძველისძველი მინარეთი...
ირიბულად ჩაიღიმა,
კიდეც სცადა: — წამოდიეთო;
მანც ჩემი გავიტანე, —
და ვთქვი სიტყვა საბოდიშო.
გვიან მივხვდი:
ზეილანა
ის რომ იყო, სხვა კი არა,
წყაროსავით უწმინდესი,
წყაროსავით ხმაწკრიალა...
მიდიოდნენ... ხელგაყრილებს
უღიმოდათ ცა და მიწა,
ძველ მინარეთს ვინღა ჩივის,
ჩემი თავიც დამავიწყდა...

აგრა — თბილისი

1953.

ლექსები რუსთავეს



მუღამ მშვიდმა ნიამჟარგა გაზრიალოს

მახსოვს, მაშინ მე დატოვე ისევ მშვიდი,
 ცას და მიწას მივეშველე, ცეცხლგაჩენილს,
 ვაშლის ხეო, იზრდებოდი, კვირტებს შლიდი,
 შენს ტოტებქვეშ ფუსფუსებდა დედაჩემი.

შენც უყვარდი, რადგან ერთად ავყავილდით,
 თანმეზრდილნი ამწვანებულ მთაგორებთან,
 შენი ჩრდილი ირწეოდა აკვანივით,
 მოხუცს ჩემი ბავშვობის წლებს აგონებდა.

მტერს ვმუსრავედი, შენზე ფიქრიც გაეახშირე,
 რომ თავზე არ დაგცემოდა ცეცხლი მწველი,
 ყვავილები, შენს ყლორტებზე გადაშლილი,
 ჩემს სანგარშიც შემოჰქონდა დედის წერილს.

რომ დავბრუნდი, შეგამჩნიე შორიდანვე
 გულწითელი ოდასახლის ბუხარივით.
 მე სიცოცხლის სიხარული მოგიტანე,
 შენ კიშკართან გამიშალე პურმარილი.

ის საღამო გათენებას ჰგავდა მაშინ,
 სიხარულმა ყველა კუნჭულს მიმოხედა,
 შენც კაცივით შეიხედე ფანჯარაში,
 დაბრუნდაო, გადასძახე თითქოს დედას...

ომგადახდილს კვლავ მიცდიდა საქმე დიდი,
 ძველ სახლკართან ბევრი ველარ დაეახანე,
 მაგრამ უბით წამოვიღე შენი კვირტი
 და რუსთავეის ახალ ბაღში გაეახარე.

ახლა, როცა კვლავ ვნახულობ დედას შვილი,
 მწვანე მოღში მხიარულად შეირხევი,
 სახლის წინ გზას გადამიჭრი ხელგაშლილი,
 თითქოს შენი შვილის ამბავს მეკითხები.

გიბასუხებ, ფესვს იმძლავრებს, არ გამხმარა,
შენს ნერგებს კვლავ მიელიან სხვა უბნებიც,
კიდევ უფრო რომ ამკობდნენ ახალ ქალაქს
მხრებმაღალი ვაშლები და ალუბლები.



თითქოს მისმენ, ჩემს საუბარს თითქოს ხედები,
თავს დამიქნევ, გაიღება წინ ქიშკარიც.
ლენჩუმიდან მშობლიური სოფლის გზებით
რუსთავეისკენ ჩემთან ერთად მიიჩქარი.

ხე ხარ, მაგრამ გრძნობ სიცოცხლის გაღიმებას,
თუნდაც ასი მთის ქოჩორი გადიარო.
მაშ, იზარდე კომუნიზმის ყუავილებთან,
მუდამ მშვიდმა ნიავექარმა გაშრიალოს!

ნარბები



როცა რუსთავის დილა იწყება,
იაღლუჯს შუქით კალთებს აუვსებს,
მწვანე ნერგებსაც გაელვძებათ
მეფოლადეთა ფეხის ხმაურზე.

მშვიდი ნიავე ქუჩაში, ბაღში
მიულერსებს კობტად შემკულებს,
ქოჩორს შეურხევს, როგორც ჩვილ
ბავშვებს

გზისპირ ხელიხელ ჩაკიდებულებს.

სადაც გავივლი, მათ შრიალს ვისმენ
და ვაკვირდები ტანაშხვართულებს,

როგორ იწევენ ყველანი ცისკენ,
რომ დაეწიონ ახალ სართულებს.

ხან თავს დახრიან — წყალი გვინდაო,
და ხელებივით იქნევენ ტოტებს,
მოვა მებაღეც და სათითაოდ
ფესვს გაუსინჯავს, წყალს
მიაწოდებს.

საქმით გართული მათთან დარჩება,
შინ წასვლას მაშინ თუ დააპირებს,
როცა ნერგები ნელა აჰკრეფენ
ჩაბალახივით მოხვეულ ჩრდილებს.

ძმული ციხე



გზას ძლივს მიიკვლევს მასთან ნიავეც,
გულჩათხრობილი არის ადგილი.
თავზე ცა ჰხურავს ვარსკვლავიანი
ტყვიით დაცხრილულ მუზარადივით.

ფართო კედლებში ჩახერგილ კარებს
ვაეკაცის ხმალი სასთუმლად უღევს,
ციხეს დღედუნით გარს უვლის მტკვარი,
როგორც დაღუბულ არწივთა ბუდეს.

ენ მოსთელის, ვისთან რა ბრძოლა
 ჰქონდა,
 არ გადრეკილა ცეცხლის აღშიაც-
 ქვებს ვარდისფერი გადაჰკრავს ოდნავ,
 თითქოს ვაჟკაცთა სისხლი აჩნიათ.

თითქოს ჰყვებიან: ბნელი ცხოვრების
 ბეწვის ხიდებზე როგორ იარეს,
 როგორ შეაკედნენ მეციხოვნენი
 ველურ ურდოებს, თეთრ ჩალმიანებს.

ხმა რომ ჩაესმის ქარხნის საყვირის,
 ციხე მხრებიდან წისლს დაიბერტყავს,
 საუბარს იწყებს ბერიკაცივით
 მეციხოვნეთა შეილთაშვილებთან.

მათ სიმღერაში, მათ ყოფინაში
 ნაცნობი ხმები გაახსენდება,
 მუხლებს მოიდრეკს გმირთა წიწაზე,
 ხავსიან ბორცვებს დააცქერდება!

და მოიგონებს, ვინც ხმლით იარა
 ჭაბუკობიდან თვით სიკვდილამდე,
 თან გადახედავს იმედისადა
 რუსთავე-ქალაქის ახალ ბინადრებს.

დააკვირდება ლალად, მხარგამლილთ,
 წინ რა დიადი გზა ეფინებათ...
 მერე ჩაწეება ხავსის საბანში
 და უფრო მშვიდად ჩაეძინება.

ორი განთიადი



1.

განთიადია!
დედამიწის მძაფრი წადილი,
განთიადია!
დედამიწა რა დიადია...
განთიადია!
ეგრძნობ ამ გულით,
ვიცი, ამ ტვინით,
— აღამიანო!
— განთიადია!

არი თბილი, ნათელი ღამე...
ვწევარ გულალმა.
მეყურება ხმაური ღელის, —
ქვეყნად ამაზე უფრო ტკბილი თუ არის
რამე!

ის ქალიშვილი,
მე რომელიც ძალიან მიყვარს,
ახლა
ფანჯრიდან დედაქალაქს დაჰყურებს
ალბათ...

ირგვლივ არავინ...
— ვინ შეძახი?
— მითხარი, ვინ ხარ?!
ირგვლივ არავინ...
ყანისა და ხეხილის გარდა!

2.

თვალეზიდან
სხეულში რომ განთიადი ჩამელვარა,
და...
ნელთბილი განთიადით
გავივსე
და
გავდიადდი,
ალტაცებულს
დედამიწაც ლამის ხელში ამეყვანა; —
ყველაფერი იმ დროს თითქოს
იყო ჩემი ხასიათის.
იმ დროს ჩემგან
შე
ვერაფერს ვერაფრით ვერ ვასხეავებდი...
თენდებოდა, ხეხილებში
იძინებდნენ ვარსკვლავები.

ლაშის გავფრინდე...
ნედლი მიწის მათრობს სურნელი,
მაქვს ჯიბეებში ჩაწყობილი ორივე
ხელი...

ასდევნებია შარაგზაზე
ურემს
ურემი,
ჰადარს
ჰადარი...
ალარ მესმის ხმაური ღელის...
სალამს მაძლევენ არა მარტო
კოლმეურნენი,

მესალმებიან
ფრინველები,
ბავშვები,
ხენი...

აქ
ყველაფერი, ყველაფერი

ვწევარ გულალმა.
უხმოდ დგანან ეზოში ხენი.
გაზაფხულია...



გულწრფელად მღერის,
 აქ
 მე ტირიფებს გავაგონე სახელი შენი...

...
 ლამის გავფრინდე...
 ნედლი მიწის მათრობს სურნელი...

რატომ?!



— მუხრან! — ვეკითხები საკუთარ
 თავს...

ვახსოვს?!

შენ როცა პატარა იყავი, —

„ — ექიმი მოვაო! — მამიდამ თქვა...
 და...

მართლაც... უეცრად გაიღო ჭიშკარი.

ეზოში შემოვიდა ლამაზი ქალაქელი...

გასინჯა დედაშენი...

იხუმრა...

გააციანა...

ხელები გადიბანა,

მამიდა გაამხნევა,

გამოგეშვიდობათ!

ბაბუამ გააცილა.

...

დაღამდა...

შენ დაწევი და დაიწყე ოცნება:

„როცა გავიზრდები, ლამაზი ვიქნები
 მეც...

— ვიქნები მეც ექიმი...

და...

დედა როდესაც ცუდად შეიქნება,

მამიდას აღარ დასჭირდება სხვაგან

სირბილი...

მე თვითონ მივხედავ დედას...

გადვიბან ხელებს...

გავამხნევებ მამიდას...

მე ბაბუა შემომთავაზებს პაპიროსს,
 როგორც შესთავაზა იმ ექიმს...

„გმადლობთ! არ ვეწევი, მაგრამ თქვენი
 ხათრით!...

ვიტყვი მე, როგორც იმ ექიმმა თქვა,
 და...

გავაბოლებ მე, როგორც გააბოლა იმ
 ექიმმა!...

დიახ...

გავიზრდები თუ არა,

მეც უსათუოდ,

უსათუოდ

ექიმი ვიქნები!

...

ღილით შენ შენი ნაფიქრალი დედას

უამბე:

ემა დედას...

„აბა, შენ იცი, შეილოო!“ — გითხრა...



გავიდა ხანი...

დღეს შენ უკვე ვაეკაცი ხარ!..

შენ არ ხარ ექიმი...

ლექსებს წერ შენ!

და მე გეკითხები შენ:

— რატომ გააწბილე პატარა მუხრანი?!

ანათემა



— მამაო მთავარდიაკონო, გეყოფა სანთლების წვა, ველარ იმწყსობ, —
უთხრა მეუღლემ, — ადგომის დროა.

ეს პატარა, გამხმარი, ყვითელი დედაკაცი, ყოფილი ეპარქიალური სასწავ-
ლებლის მოსწავლე, ერთობ მკაცრად ეპყრობოდა ქმარს. ჯერ კიდევ იმ დროს,
როდესაც ეს ქალი ინსტიტუტში სწავლობდა, იქ გამეფებული იყო რწმენა, რომ
მამაკაცები არამზადები, მატყუარანი და ტირანები არიან, ამიტომ მათთან მკაც-
რი მოპყრობაა საჭიროო. მაგრამ მთავარდიაკონი სულაც არ წააგავდა ტირანს.
მას სრულიად გულწრფელად ეწინოდა თავისი ოდნავ ისტერიული და ოდნავ
ბნედიანი მეუღლისა. შეილები მათ არა ჰყავდათ, ცოლი უნაყოფო გამოდგა.
თვითონ დიაკონი სუფთად იწონიდა ცხრანახევარ ფუტს, გულმკერდი ავტომო-
ბილის კორპუსს მიუგავდა, ხმა თავზარდამცემი ჰქონდა და, ამავე დროს, იყო
საოცრად ნაზი, გულკეთილი და თავმდაბალი, რაც დამახასიათებელი თვისებაა
განსაკუთრებით ძალოვანი ადამიანებისა სუსტების მიმართ.

მთავარდიაკონი ყოველთვის დიდხანს უნდებოდა ხმის დაყენებას. ეს გუ-
ლისამრევი, მტანჯავი და გაჭიანურებული საქმიანობა, ცხადია, ცნობილია ყვე-
ლასათვის, ვისაც კი შეხედრია საჯაროდ სიმღერა: ყელის გამორეცხვა ბორის
სიმეფის ხსნარით, გამოცხება, ორთქლის ყლაპვა. ჯერ კიდევ ლოგინში მწო-
ლარე მამა ოლიმპი ისინჯავდა ხოლმე ხმას:

— იი...ა — ჰჰმ! იი...ა!.. ალილუია, ალილუია... მოგვხედ...ენ!...ჰმ!...
მა... მია...

„არ მაქვს ხმა“, — გაიფიქრა მან. — უფაა-ლო შე...ეგვი... — წყა...
ლენ!... ჰმ!

სავსებით ისევე, როგორც ცნობილ მომღერლებს სჩვევიათ, ესეც შეპყრო-
ბილი იყო შიშით და ყველაფერი აფრთხობდა. ცნობილია, რომ აქტიორები
სცენაზე გასვლის წინ მუდამ კარგავენ ფერს და პირჯვარს იწერენ. მამა ოლიმპი-
ტაძარში შესვლისას პირჯვარს ისახავდა თავისი თანამდებობისა და ჩვეულების
მიხედვით. მაგრამ ხშირად, როდესაც პირჯვარს ისახავდა, აღელვებისაგან ესეც
ფითრდებოდა და ფიქრობდა: „ვაითუ ხმა ჩამიწყდეს!“, თუმცა მხოლოდ მას
მთელ ქალაქში, და შეიძლება მთელ რუსეთში, შეეძლო რე-ფი-ლა-ს ტონით
აეგუგუნებინა ძველისძველი, ჩაშავებული, ოქროთი და მოზაიკური ხავსით
შემკული ტაძარი. მარტო მას შეეძლო აეცსო თავისი მძლავრი მხეცური ხმით

მოთხრობა „ანათემა“ შეტანილი იყო ავტორის მეათე ტომში რევოლუციის წინა თვეებში
და გახდა მიზეზი იმისა, რომ ეს ტომი დაუკონებლივ აკრძალეს. ოგი კონფისკაციის წესით
ამოღებული იქნა ყველა წიგნის პალატიდან. მეათე ტომის შემდგომს გამოცემებში იბეჭდებოდა
ამ მოთხრობის მხოლოდ სათაური და მის ქვეშ კი გვერდის დასასრულამდე მრავალწრილი
სტრიქონები.

ძველი შენობის ყოველი კუნძული და ბგერით შეერხია და აეწკრილებინა ქორ-
კანდელეზზე და ქალებზე დასხმული ბრწყვილა ბროლის სამკაულები.

მანჭია, უცხვირპირო მიუღღემ მოუტანა უფერული ჩაი ლიმონით და, რო-
გორც ეს ყოველ კვირადღეს შეეფერებოდა, ერთი ჭიქა არაყიც. ოლიმპიმ კი-
დევე ერთხელ გაისინჯა ხმა.

— მი... მი... ფა... მო-გვხე... დეენ... ერთი, თუ ქალი ხარ, — გასძახა
ცოლს მეორე ოთახში, — აიღე „რე“ ფისგარმონიაზე.

ცოლმა ააზუზუნა გრძელი და გულისგამწყალებელი ნოტი.

— ჰმ... ჰმ... ეტლსა — მდევნელისა ფარაონისასა... არა, რასაკვირველია,
წამსვლია ხმა. მერე რალა გუშინ მომაჩეჩა იმ წყეულმა ის წიგნი, რა ჰქვია მის
ავტორს?

მამა ოლიმპი კითხვის დიდი მოყვარული იყო. კითხულობდა ბევრს, გაურ-
ჩევლად, ხოლო ავტორების გვარი არასოდეს არ აინტერესებდა. სემინარიულმა
განათლებამ, რაც უმთავრესად დამყარებული იყო ზეპირობაზე, „წესდების“
კითხვამ, ეკლესიის მამათა ციტატების აუცილებელმა სწავლამ განუზომელი
სიმძლავრით განუვითარა მეხსიერება. იმისთვის, რომ გაეზეპირებია მთელი
გვერდი ისეთი რთული მწერლების — კაზუსტებისა, როგორებიც არიან ნე-
ტარი ავგუსტინი, თერტულიანი, ირიგენ ადამანტული, ვასილი დიდი და იოანე
ოქრობირი, მისთვის საკმარისი იყო ერთი გადაეწეო თვალი სტრიქონებისათვის
და უკვე იგი ზეპირად იცოდა. რაც შეეხება საკითხავ წიგნებს, ასეთებით მას
ამარაგებდა ვიფანის აკადემიის სტუდენტი სმირნოვი და სწორედ წინაღობით
მოუტანა ერთი შესანიშნავი მოთხრობა იმის შესახებ, თუ კავკასიაში როგორ
ცხოვრობდნენ ჯარისკაცები, კაზაკები, ჩაჩნები, როგორ კლავდნენ ერთმანეთს,
სვამდნენ ლეონოს, ირთავდნენ ცოლებს და ნადირობდნენ მხეცებზე.

ამ მოთხრობამ აათორიაქა მთავარდიაკონის სტიქიური სული. სამჯერ ზე-
ღიხედ წაიკითხა მან ეს მოთხრობა და ხშირად კითხვის დროს აღტაცებისაგან
კიდევაც ტიროდა და კიდევაც ხარხარებდა, ხელებს მუშტავდა და ეს უზარმა-
ზარი ადამიანი შამფურივით ხან ერთ გვერდზე ტრიალებდა, ხან მეორეზე. რა-
საკვირველია, ცხოვრებაში მისთვის უკეთესი იყო ყოფილიყო მონადირე, მებრ-
ძოლი, მეთევზე, გუთნისდედა და არა სასულიერო პირი.



ტაძარში ის ყოველთვის მოდიოდა დაწესებულ ვადაზე ცოტა მოგვიანე-
ბით. ისე როგორც ცნობილმა ბარიტონმა თეატრში, საკურთხევლის სამხრეთის
კარში შესვლისას ჩახველებით მოსინჯა მან თავისი ხმა. „ჰმ!.. ჰმ!.. რე-ში
ჟღერს, — გაიფიქრა მან, — ის არამზადა აუცილებლად დო-ღიეზში გამჟღავნს.
სულერთია, გუნდს მაინც ჩემს ტონზე გადავიყვან“.

მასში გაიღვიძა მთელი ქალაქის მიერ განებივრებული, ხალხის სათაყვანო
ადამიანის სიამაყემ. მის სანახავად ბავშვებიც კი იკრიბებოდნენ და მას ისეთივე
მოწონებით შესცქეროდნენ, როგორც სამხედრო ორკესტრის ჰელიკონის თით-
ბრის გიგანტურ ხახას ქალაქის ბაღში.

გამოვიდა არქიებისკოპოსი და დიდი ზეიმით დაასკუპეს თავის ადგილას.
მიტრა ოღნავ მოღრეცილად ადგა თავზე. იქით და აქეთ ორი იპოდიაკონი რიტ-
მულად აჩხარუნებდნენ საეცებლურებს. არქიელის ადგილს გარს შემორტყმო-

და საზეიმოდ შემოსილი სამღვდლოება. ორმა მღვდელმა გამოიტანა საკურთხევილიდან მაცხოვრის და ლეთისმშობლის ხატები და დაასვენა საწიგნზე.

ტაძარი აგებული იყო სამხრეთულ ნიშნულზე და მასში, კათოლიკურ ეკლესიის მსგავსად, მოწყობილი იყო ტაძრის კუთხეში მიღებული, მაღალამართული მოჩუქურთმებული. მუხის კათედრა ზედ ასასვლელი ხრახნილი კიბით.

ნელ-ნელა, საფეხურების სათითაოდ მოსინჯვით, აიარა მან კიბე, თან ფრთხილად ეხებოდა ხელებით მუხის რიკულებს, — მუდამ ეშინოდა, შემთხვევით არაფერი გაეტეხა. მთავარდიაკონი ავიდა კათედრაზე, ჩაახველა, ცხვირიდან ზიხინით შეისუნთქა, მოაჯირს იქით გადააფურთხა, კამერტონს თითქოს უჩქმიტა, დო-დან რე-ზე გადავიდა და დაიწყო:

— უფალო, ... შეგვიწყალო.

„ვერა, შე არამზადა რეგენტო, — გაიფიქრა მან, — შენ მეუფე არქიების-კოპოსთან ვერ გახედავ, რომ შემიცვალა ტონი“. სიამოვნებით იგრძნო მან ამ წუთში, რომ მისი ხმა გაცილებით უკეთ ღვერდა, ვიდრე ჩვეულებრივ, სხვა ღროს, თავისუფლად გადადიოდა ერთი ტონიდან მეორეზე და რბილი და ღრმა ამოოხვრით ტაძრის მთელ ჰაერს აზანზარებდა.

სრულდებოდა წესი მართლმადიდებლობისა დიდმარხვის პირველსა კვირიაკესა. ჯერჯერობით მამა ილიშის დიდი არაფერი საქმე ჰქონდა. მედავითნე გაურკვეველად ბუტბუტებდა ფსალმუნს, დუდღუნებდა სასულიერო აკადემიადამთავრებული დიაკონი — ჰომილტიკის მომავალი პროფესორი.

მთავარდიაკონი ხანდახან ღრიალებდა: „მოხედვენ“... „უფლისა მიმართ ვილოცოთ“. იდგა ის თავის ადგილას, უზარმაზარი, ოქროთი მოქარგულ ქერქეშა სტიქარში გახვეული, ჰალარით შემკული შავი თმებით, ლომის ფაფარს რომ მიუგავდა, იდგა და ხანგამოშვებით ყოველთვის ისინჯავდა ხმას. მთელი ტაძარი გაჰყვილილი იყო აცრემლებული დედაბრებით და თეთარწყვერა ლიბიანი მოხუცებით, რომელნიც თევზეულობით მოვაპრებესაც ჰკვანდნენ და მევახშეებსაც.

„რა საოცარია, — მოულოდნელად გაიფიქრა ოლიშვიმ, — რატომაა, რომ ყოველ ქალს, თუ პროფილში უცქერი, სახე ან თევზის ნიჩვს მიუგავს, ან ქათმის თავს... იმ ჩემს მეუღლესაც იგივე“... ასეთი ფიქრები ხშირად უხიციანებდნენ თავში, ამავე ღროს, პროფესიული ჩვევა აიძულებდა, მუდამ თვალ-ყური ედევნებინა მეჩვიდმეტე საუკუნის კურთხევანით დაწესებულ მღვდელმსახურებისათვის. მედავითნემ დამთავრა ლოცვა: „ღმერთო მაღალო, უფალო ჩვენო, ყოველისა არსისა შემოქმედო“. დაბოლოს: „ამინ“.

დაიწყო დადასტურება მართლმადიდებლობისა.

„ვინა არს ღმერთი თვინიერ უფლისა ჩვენისა; შენ ხარ უფალი და იქმოდეს სასწაულთა“.

აღსრულება მიკიბულ-მოკიბული, ოდნავ ბუნდოვანი იყო. საერთოდ მართლმადიდებლობის კვირიაკის თანმიმდევრობა და ანათემის წესის აგება შეიძლება ნებისმიერად შეიცვალოს. ჯერ მარტო ის ემარა, რომ წმინდა ეკლესიამ იცის ანათემობანი დაწერილი განსაკუთრებული მიზეზისა გამო: წყევია ივაშკა მაზუბასი, სტენკა რახინისა, ერეტიკოსთა: არიოსის, მკრეხელის პროტოპოპი ავაკუმისა და სხვათა და სხვათა.

მაგრამ მთავარდიაკონს დღეს რალაც უცნაურობა დაემართა, რაც მას არასოდეს არ შემთხვევია. შესაძლებელია მას ოდნავ შეუჯდა თავში ის არაყი, დილას ცოლმა რომ მიართვა.

რატომღაც მისი ფიქრი და გონება ვერაფრით ვერ მოშორდა იმ მოთხრობას, რომელიც წინაღობით წაიკითხა და მის აზროვნებაში წარმოუდგენელი სიცხადით ამოტივტივდებოდნენ ხოლმე უბრალო, მომზიბლავი და მუდამ წარმტაცი სახეები. თანაც, ჩვევის მიხედვით, მან შეუცდომლად ჩაატარა მრწამსი, თქვა: „ამინ“, და ძველებური გალობის წესის თანახმად წარმოთქვა: „ესე არს მრწამსი მახარობლისა, ესე არს მრწამსი შამობრივი, ესე არს მრწამსი მართლმადიდებლური, მრწამსი ესე დაემკვიდროს ქუეყანასა ზედა“.

არქიეპისკოპოსი დიდი ფორმალისტი, პედანტი და ჯიუტი აღამიანი იყო. ის არასოდეს არ აძლევდა უფლებას, გამოეტოვებინათ რაიმე უნეტარესი მამის და მოძღვარის ანდრია კრიტოსელის კანონებიდან, არც მიცვალებულთა წესის აგებიდან, არც სხვა წირვა-პარაკლისებიდან. ამიტომ მამა ოლიმპიე გულგრილად ახანზარებდა თავისი ღომივით ღრილა ხმით ტაძარს, აწკრიალებდა პალეზზე დასხმულ ბროლის ჰვი-ჰუქებს, წყევლიდა, ანათემას მიაგებდა და სდევნიდა ტაძრიდან: მკრეხელთა, ძველ ერეტიკოსთა, დაწყებული არიოსიდან, ყოველთა მიმდევართა სწავებისა იტალისა, ცრუებრისა ნილოსისა, კონსტანტინე-ბულგარისა და ირინიკისა, ვარლაამისა და აკინდინისა, გერონტისა და ისააკ არგიროსისა, სწყევლიდა შეურაცხმყველთა ეკლესიისა, მამადიანთა, ლეთისმოსავთა, ურიათა, სწყევლიდა მგმობთა ხარებისა დღესასწაულისა, ხამართა, ქვრივთა და ობოლთა მხაგვრელთა, რუს გამთიშველთა, მეამბოხეთა და მოღალატეთა: გრიშკა ოტრეპიევს, ტიმოშკა აკუნდინოვს, სტენკა რაზინს, ივაშკა მაშეპას, ემელკა პუგაჩოვს, აგრეთვე ყველას, ვისაც მიეღო საარწმუნოება, წინააღმდეგ მართლმადიდებლობისა.

ამას მოჰყვა წყევანი კათელორიულნი: ვისაც არ სწამდათ მადლი მონანიებისა, აღმგველთა საიდუმლო მსახურების სიწმინდისა, უარყოფელთა წმიდა მამათა ღვაწებისა და მათი გადმოცემებისა.

„მკრეხელნი, რომელნი აღსვლასა ტახტსა ზედა მართლმადიდებელთა მეფეთა რაცხვენ გარეშე ნებისა ლეთისა და კურთხევისა და მათსა ზედა სულის წმინდის მოფენისა აღსასრულებლად დიდისა ამა წოდებისა და მოუხმობენ წინააღმდეგ მეფეთა ამბოხისათვის, მგმობელთა და მძაგებელთა წმიდისა ხატებისა“. და მის ყოველ ლაღაღზე გუნდი უპასუხებდა ნალელიანი, ნაზი, მკენესავი, ანგლოსური ხმებით: „ანათემა“.

კარგა ხანია, რაც ისტერიულად სლუჯუნებდნენ დედაკაცები. მთავარდიაკონი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მასთან ავიდა მედავითნე და გადასცა ბარათი დეკანოზისაგან: მისი უწმინდესობის მეუფის განკარგულებით ანათემას მიეცეს ბოლიარინი ლევ ტოლსტოი. „ნახე ლოცვანი, თავი „ლ“ — მიწერილი იყო ბარათზე.

ხანგრძლივი კითხვისაგან მამა ოლიმპის უკვე სტკიოდა ყელი. მაგრამ მან მაინც ჩაახველა და დაიწყო: „უწმინდესო მეუფეო ჩვენო, დაგვლოცე ჩვენ“. ის უფრო ჩახვედა, ვიდრე გაიგონა ქვემოდან მიხრწნილი მოხუცის ოდნავი ბუტბუტი:

„აკურთხოს უფალმა შენი მთავარდიაკენობა, რათა მიაგო ანათემა მგმობელსა ლეთისა განდგომილსა ქრისტეს სჯულისა, სიტყვამეძავად უარყოფელსა წმიდისა საიდუმლოებისა უფლისა ბოლიარინს ლევ ტოლსტოის. სახელითა მამისათა და ლეთისათა და სულისა წმინდისათა“.

და უეცრად ოლიმპიმ იგრძნო, რომ თმები ყალყზე უდგებოდა, ყოველი ლერი დაუმიძიდა და გაუმავრა ფოლადის მავთულივით და იმ წამშივე გასაო-

ცარი სიცხადით ამოტივტივდნენ გუშინდელი მოთხრობის შესანიშნავი სტრიქონები:

„...ეროშკა გამოფხიზლდა თუ არა, ასწია თავი და დაეინებით დაუწყო ცქერა ლამის პეპლებს, რომელნიც თავს დასტრიალებდნენ სანთლის მოციმციმე ალს და შიგ ცვივოდნენ.

— სულელო! სულელო! — ჩაილაპარაკა მან, — სად მიფრინავ? სულელო! სულელო! — წამოიწია და თავისი მსხვილი თითებით შეუღდა პეპლების მოგერიებას.

— დაიწვები, სულელო, აი აქეთ იფრინე, ცოტაა ადგილი? — ამბობდა ის მინაზებული ხმით და თან ცდილობდა, თავისი მსხვილი თითებით თავაზიანად წაეველო პეპელასათვის ფრთებში და გაეშვა.

— „შენ თვითონ იღუპავ თავს და იმისთვის მეცოდები“.

„ღმერთო ჩემო, ამას ვის ვწყველი? — ფიქრობდა თავზარდაცემული დიაკონი, — ნუთუ მას? მე ხომ მთელი ლამის განმავლობაში სიხარულის ცრემლები ვაფრქვიე მას — ალტაცებისა და ნეტარებისაგან“.

მაგრამ ის, მორჩილი ათასი წლის ჩვევას, ისროდა საშინელ, თავზარდამცემ სიტყვებს წყევლისას და ეს სიტყვები ისე ისმოდა ხალხში, როგორც სამარეკლოზე აგუგუნებული დიდი ზარის ხმები...

„...ყოფილი მღვდელი ნიკიტა და მონაზონნი სერგი, საბა და კვლავ საბა, დოროთე და გაბრიელ... გმობენ წმიდასა საიდუმლოებათა ეკლესიისა, ხოლო მონანიებისა და მორჩილებისათვის არა ზრუნავენ; ამა უღმრთოთა საქმეთათვის წყეულ იყვნენ...“

ცოტა შეიცადა, სანამ მიუჩნდებოდა პაერში მისი ხმა. ახლა ის მთლად გაწითლებულიყო და ოფლში იწურებოდა. ყელის ორივე მხარეს თითის სიმსხო სისხლის მიღები დაებერა.

„ერთხელ კიდევ ვიჯექ წყლის პირად, ვხედავ, ზემოდან აკვანი მოცურავს, სულ მთელი. მარტო ნაპირი აქვს მომტვრეული. ამერია აზრები. ვისია, საიდანაა ეს აკვანი? ალბათ, ვფიქრობ, თქვენი ეშმაკები, აულში მივიდნენ, ჩაჩნის ქალებს ხელი დარიეს, ბავშვი ვიღაც ეშმაკმა მოკლა, დაავლო ფეხებში ხელი და მიასხვერტა ბოშზე ვითომ არ ჩაადიან ასე თუ? ეპ, გული არა აქვთ ადამიანებს! ისეთმა აზრებმა შემიპყრო, შემანანა ყოველივე. ვფიქრობ, აკვანი წყალში ისროლეს, ქალი გაიტაცეს, სახლი დაწვეს და სახლის პატრონმა, მოჯირითემ, დაავლო თოფს ხელი და გამოეშურა ჩვენს მხარეს საძარცვავად“.

„...სურდა ცდუნებითა შეეპყრო სული უფლისა, ვითარცა სიმეონ მოგვსა და ანანიასა და საფირონსა, ისე ვით ძალი უბრუნდება საკუთარსა ნასაქმსა პირისასა, და, შეუმოკლდეს დღენი თვისნი და ლოცვა მას მიეგოს წყევად და ეშმამ იპყროს ხელნი მისნი და ვიღოდეს მისჯილი, გვარსა ერთობლივსა დაე, მოსწყდეს სახელი მისი, და აღიგავოს მიწისაგან ხსოვნა მისი... დაე, მოველინოს წყვეა და ანათემა არა ორმაგ თუ სამმაგ, არამედ მრავალმაგ... დაე, თრთოდეს, ვითარცა კაინ, შეიპყროს კეთრმა ჰიენისამამ, მოიშთოს, ვითარცა იუდა, წილხედეს დაღუპვა სიმონ მოგვისა, განსკლომა არიოსისა, ანანიას და საფირონის უეცარი სულის ამოხდომა... და იყოს განდევნილ და მიეგოს ანათემა და ვიღოდეს სიკვდილამდე უპატიებლად, და სხეული მისი ნუ განიბნევა და მიწა ნურც მიიღებს, შთავიდეს გვენსაა ჯოჯოხეთისა და მიეცემოდეს ტანჯვასა დღეცა და ღამეც...“

მაგრამ მკვეთრი მეხსიერება სულ თანდათან ჩასჩურჩულებდა შესანიშნავ სიტყვებს:

«ყველაფერი ღმერთს ადამიანის სასიხარულოდ შეუქმნია. არსად არ არის ცოდვა, თუნდაც მხეცთაგან აიღე მაგალითი. ის თათრების ლერწმებშიაც ცხოვრობს, ჩვენს ლერწმებშიც, თქველფს იმას, რასაც ღმერთი აძლევს. ჩვენები კი ამბობენ, რომ ამის გამო ტაფებს დაეუწყებთ ლოკვასო. მე ასე ვფიქრობ. რომ ყოველივე ერთიანი სიყალბეა».

მთავარდიაკონი მოულოდნელად შედგა და ტყაცუნით დახურა ძველი ლოცვანი. იქ, შემდეგ, წყევლას მოსდევდა კიდევ უფრო უარესი სიტყვები კრულვისა, ის სიტყვები, რომლებიც საერო ადამიანის აღსარების წესის გვერდით შექმლო მოეგონებინა მხოლოდ ქრისტიანობის პირველი ხანის მწირთა მოკლე ჰკუას.

სახე მას გაულურჯდა, თითქმის გაუშავდა, თითებით მწარედ ჩააფრინდა კათედრის მოაჯირს. ერთ წუთს ეგონა, გული შეუღონდებოდა, მაგრამ სძლია თავს და თავისი მძლავრი ხმის მთელი დაძაბვით დაიწყო ზვიადად და ზვიმით: — ჩვენს მიწიერ სიხარულს, სიცოცხლის ფერსა და მშვენებას, კეშმარიტად ქრისტეს თანამებრძოლს და მსახურს, ბოლიარინ ლევს...

ის ერთი წუთით გაჩუმდა. ხოლო ხალხით გაქედილ ტაძარში ამ დროს არ ისმოდა არც ჩახველება, არც ჩურჩული, არც ფეხის ფლასტუნი. იყო სიჩუმის ის საშინელი მომენტი, როდესაც მრავალრიცხოვანი ბრბო დუმს. დამორჩილებული ერთ ნებისყოფას, შებყრობილია ერთი გრძნობით. და აი, მთავარდიაკონს თვალები ცრემლებით ავესო, გაღწითლდა და სახე ერთი წუთით ისე მშვენიერი გაუხდა, როგორც მშვენიერი ხდება ადამიანის სახე უდიდესი შთაგონების დროს. მან ერთი კიდევ ჩაახველა, გონებით სცადა ორმაგ ნახევარტონზე გადასვლა, უცხად აავსო თავისი არაბუნებრივი ხმით უზარმაზარი ტაძარი და ღრიალით წარმოთქვა:

— ...მრავალ ქამი...ე...ერ...

ღმ ანათემის წესის მიხედვით, სანთლები დაბლა დახრის ნაცვლად ზევით აღმართა.

ახლა ამოდ უყვიროდა და უსისინებდა რეგენტი თავის ბიჭუნებს, უხატქუნებდა მათ თავში კამერტონს, პირზე ხელს აფარებდა. მხიარულად, თითქოს მთავარანგელოზთა ვერცხლის საყვირები წკრიალებდნენ, მთელ ტაძარს აყრუებდნენ: «მრავალ, მრავალ, მრავალ ქამიერ!»

მამა ოლიმპისთან კათედრაზე უკვე აიჭრნენ: წინამძღვარი, მამამთავარი, კონსისტორიის მოხელე, მედავითნე და მთავარდიაკვნის აფორიაქებული მეუღლე.

— დამანებეთ თავი... თავი დამანებეთ. — თქვა მამა ოლიმპიმ მრისხანე, მსტვენავი ჩურჩულით და ხელით უდიერად მოიცილა მამამთავარი, — მე ხმა ჩამიწყდა, მაგრამ ეს — ღვთისა და მის სადიდებლად. მომცილდით!

მან გაიძრო საკურთხეველში თავისი სტავრის შესამოსელი, აკოცა გამოთხოვების ნიშნად ოლარს, გამოისახა პირუჯვარი საკურთხეველის ხატის წინ და გავიდა ტაძარში. ის მიდიოდა, ხალხზე მთელი თავით მაღალი, დიდი, ზვიადი და ნაღვლიანი. ხალხი უნებურად, უცნაური შიშით დგებოდა განზე და ფართოდ უთმობდა გზას. გაქვავებულივით ჩაუარა მან არქიელის ადგილს, ერთხელაც არ გაუხედავს იქით და გავიდა კარიბჭეში.

მხოლოდ ეკლესიის ბაღში დაეწია მას მეუღლე, ანათორის სახელომრ ჩა-
აფრინდა და ტირილით აღუღლულდა:

— ეს რა ჩაიდინე, შე წყეულო, სულელო, მისკდი დილიდანვე არაყს,
შე უწმინდურო, ლოთო. შე უბედურო, მონასტერში აღკვეცა ვერაფერეს,
დიდი ბედნიერება იქნება, ფეხსადგილები თუ გაწმენდინეს, შე ჩერქეზულო
ბუღავ. რამდენს უნდა ავუყენო კარზე ტალახი შენი გულისთვის, შე იროდო.
სულელო მტარვალო, შემიკალი ხელში.

— სულ ერთია, — წაიშიშინა თვალდახრით მთავარდიაკონმა, — წავალ,
აგურს ვზიდავ, მებისრედ დავდგები, მგორავად, მეეზოვედ, ღირსებას კი, სულ-
ერთია, მაინც ავიხდი. ხვალვე აღარ მინდა. არ მსურს. გულს აღარ უნდა.
მწამს ჭეშმარიტად სიმბოლო სარწმუნოებისა, ქრისტე ღმერთი და მოციქულთა
ტაძარი, მაგრამ ბოროტებას ვერ ვეგუები. „ღმერთმა ყოველივე შექმნა ადა-
მიანის სასიხარულოდ“, — წარმოთქვა მან ნაცნობი შესანიშნავი სიტყვები.

— სულელი ხარ, შე აყლაყუდა! — უყვირა ცოლმა, — ამას დამიხედეთ,
რას მიედმოედება. მე შენ საგიყეში დაგამწყვედე, იქ გაატარებ დროს. გუბერ-
ნატორთან მავალ, თვით მეფემდე ვივლი... შე მუხის ჯირკო, გამოგატვინა, ცხე-
ლი ქარები გაგიჩინა სმამ?

მაშინ მამა ოლიმპი შედგა, მოუბრუნდა ცოლს, გადმოუქანა რისხვით აღ-
სავსე, ხარივით დიდი თვალები და წამოიძახა მძიმედ და მრისხანედ:

— რაო!?

და დიაკვნის მეუღლე პირველად გაჩუმდა. შემკრთალი მოსცილდა ქმარს,
აიფარა სახეზე ცხვირსახოცი და ატირდა.

მან კი, რალაც განუზომლად დიდმა, შავმა და ზვიადმა, როგორც მონუ-
მენტმა, განაგრძო გზა.

ზღუბლი



ი. ს. ტურგენევის არქივში (პარიზი) შემონახულია ზღაპრული რეველი, რომელიც შეიცავს მეტად ორიგინალური ფორმის 83 ფრაგმენტს — ე. წ. „ლექსებს პროზად“, დაწერილს 5 წლის მანძილზე (1878 — 1882). აქედან 50 ლექსი პირველად დაბეჭდა 1882 წელს, 2 — ცოტა მოგვიანებით, ხოლო დანარჩენი — 1931 წელს.

ამ მიზიდველ ნაწარმოებებში ყურადღებას იქცევს პოლიტიკურად მახვილი აზრით გამსჭვალული ნაწყვეტი სათაურით: „ვანსაკუთრებით შესანიშნავი პიესა“. შემდეგ ავტორმა, კორექტურის დროს, ეს სათაური შეცვალა და დაარქვა „ზღუბლი“; ამისთანავე, მეორე სტრიქონად ფრჩხილებში შეიწერა: „სიზმარი“.

მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, ტურგენევი, სავსებით სამართლიანად, მაინც ეშინოდა ცენზურის რეპრესიისა და იმედი არ ჰქონდა, რომ ეს ლექსი დაიბეჭდებოდა. ამიტომ სწერდა იგი პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს მ. მ. სტასიულევიჩს (1826 — 1911), „შესაძლებელია ამ ზღუბლზე წამოაჩიქებაო“.

„ზღუბლი“ დაწერილია 1878 წლის მაისს. იმავე წლის 31 მარტს პეტერბურგში მოხდა რევოლუციონერი ქალის ე. ზასელიხის გასამართლება, როგორც ცნობილია, ე. ზასელიხმა რევოლუციური ესროლა პეტერბურგის ქალაქის უფროსს ტრეპოვს ნიშნად პროტესტისა წინასწარი პატიმრობის სახლში პოლიტიკური ტუსაღის ბოგოლოუბოვის (ემელანოვის) გაროზგვის გამო. ვარდა ამისა, 1877 წელს პეტერბურგშივე მიმდინარეობდა ორი დიდი პოლიტიკური პროცესი, რომლებსაც ტურგენევი დიდი ინტერესით იდევნებდა თვალყურს. პირველ პროცესში ასამართლებდნენ 52 რევოლუციონერ პროპაგანდისტს, ხოლო მეორეში — 193-ს.

ამ პროცესებმა, რომლებშიც ჩამბული იყო მრავალი ქალი, დაანახეს საზოგადოების ფართო წრეებს, თუ როგორ აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალი რევოლუციურ მოძრაობაში, დაანახეს რევოლუციონერთა ემირობა და თავდადება, რასაც განცვიფრებაში მოჰყავდა მათდამი მტრულად განწყობილი ელემენტები: რევოლუციური ასაღგაზრდობის განსაკუთრებულმა თავგანწირულებამ მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა ტურგენევეზე. ამ შთაბეჭდილების გაელენით დაწერილია შემოსხუნებული ლექსი პროზად — „ზღუბლი“.

ცენზურის დუხშირ პირობებში, ცხადია, ტურგენევი აშკარად ვერ გამოთქვამდა თავის გულისანდებს. ამიტომაც იძულებული იყო იგი, მიემართა ფარული სახეებისა და ქარავებისათვის. ლექსის დასაწყისში ორიოდგ ხაზის მოსმით აწერილია ვეებერთელა შენობა — სიმბოლო იმდროინდელი რუსეთისა. შენობის წინა ოთახის ზღუბლთან ღვას ქალიშვილი — განსახიერება რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდა ძალებისა. მას სურს შევიდეს შენობის შიგნით. მაგრამ ადამიანის სულის გამყინავ შეფთან ერთად წყვედიადი მოცული შენობის სიღრმიდან მოედინება შემზარავი, ყრუ ხმა. ეს შეფის რუსეთის შავი რეაქციაა. იწყება დიალოგი ქალსა და ამ ხმას შორის, რომელიც არ ურჩევს ქალს შევიდეს შენობის შიგნით, რადგანაც მას იქ მოელს ყოველგვარი განსაცდელი, გაპირება, სიკვდილი. მაგრამ ქალს თავი აქვს განწირული, იგი მტყიცედ ღვას თავის გადაწყვეტილებაზე და შეისრულებს კიდევ მას: ვალდაიჯებს კარების ზღუბლს და შერევა წყვედიადში...

ვინ იტყოდა მის საქციელზე კბილთა ღრქვალთი: „რა სულელია!“, თუ არა ცარიზმის მოთაყვანე კონსერვატული საზოგადოება. ცხადია, გამოძახილი — „წმიდათა წმიდა“ — ეკუთვნის რევოლუციის თანამგრძნობთ.

ამ შემოსხუნებული ნაწარმოების ქართული თარგმანიც,

(მთარგმნელის შენიშვნა).



ვხედავ შენობას უზარმაზარს ჩემს წინ აღმართულს. მის შესავალთან უფრო კარები ღიად არის დატოვებული. ამ კარებს იქით უკუნეთაშუაგამრეცხულმა მალალ ზღურბლის წინ დგას ქალიშვილი... რუსია იგი.

ყინვა-ტენურით სუნთქავს იგი, განუპკრეტელი კუშტი წყვდიადი, და გულის მომწველელ ნაკადთან ერთად სახლის სიღრმიდან მოედინება ყრუ, შემზარავი ხმა მყოფრიალი.

„ო, შენ, ვისაც გსურს გადმოაბიჯო ამ კარის ღირეს, იცი, რა გელის?“

— ვიცი! — მიუგებს მას ქალიშვილი.

„შემშოლ-სიცივე, სიძულვილი, გესლვა-დაცინვა, შეურაცხყოფა, ციხე-დილეგია, ავადმყოფობა და თვით სიკვდილი“.

— ვიცი! — კვლავ ეტყვის მას ქალიშვილი.

„სულის ობლობა, განრიდება, განმარტოება“...

— ვიცი!.. მზადა ვარ. მე გადავიტან ტანჯვა-ვაებას, ყველა კვეთებას...

„და არა მარტო მოსისხლე მტერთა, არამედ ახლო ნათესავთა და მეგობართა“.

— მათ იერიშსაც... ჩემზე მოტანილს.

„კარგი! მზადა ხარ, გაიღო მსხვერპლი? მაგრამ ამოდ თავს დაილუპავ და მომავალში ხომ არავის... დიახ არავის ეცოდინება — ვისი სახელი გაიხსენოს, სცეს მას პატივი“.

— არც შებრალებას და არც მადლობას მე არ მოვითხოვ. არც სახელს ვეძებ.

„მითხარ, მზადა ხარ, ჩაიღინო დანაშაული?“

აქ ქალიშვილმა თავი დახარა.

— მასაც ჩავეიდენ.

მოგვიანებით კვლავ მოესმა ქალს შეკითხვები.

„იცი თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რომ შეიძლება აღარ იწამო, რაც ამჟამად გწამს, სათაყვანოდ გაქვს, — მიხვდე, რომ უქმად ჩაიმწარე ნორჩი სიცოცხლე?“

— ვიცი და მაინც მინდა შემოსვლა.

„შემოდი!“

ქალმა უშიშრად გადააბიჯა კარების ღირეს და მძიმე ფარდა მოსწყდა მის უკან.

„რა სულელია!“ — თქვა ვილაცამ კბილთა ღრჭიალით.

„წმიდათა წმიდაა!“ — გაისმა სადღაც მის საპასუხოდ.

თარგმანი ალ. ნეიშანისა.

მზე



მე ზაფხულობით არ მიყვარს ჩრდილი,
ხეთა ჩეროებს არ ვეშურები
და ვიბურები ბუნების შეილი
მზის სხივთა ნაქსოვ აბრეშუმებით.

მე მიყვარს ყოფნა მცხუნვარე მზეზე,
როცა მღეროან ხენი ჩანგებად,
მზე ჩემში ბადებს სიცოცხლის ფესვებს,
და გულში უშრეტ სითბოდ ჩადგება.

მე მინდა, მზეს რომ ვუშვირო მუდამ,
სხივთა მდინარეს მიყვებ მორჩილად.

მიტომ არ მიყვარს ტარება ქუდის
და ხელისგულით თვალთა მორჩილდვა.

მე მზის შეილი ვარ, მზის მოყვარული-
და ჩემშიც ღვივის სხივი ურიცხვი.
სავსე ვარ შრომის ზღვა სიხარულით.
დაბადებული სიყვარულისთვის.

მე ზაფხულობით არ მიყვარს ჩრდილი,
ხეთა ჩეროებს არ ვეშურები
და ვიბურები ბუნების შეილი
მზის სხივთა ნაქსოვ აბრეშუმებით

— : —

ვოლგა



ო, ვოლგა, ვოლგა, დინჯი დინებით
სამშობლოს გაშლილ ველებს მაგონებ.
შორს ისმის ხმები შენი დიდების,
მოეშურები გულდამშვიდებით,
უშრეტელია შენი ძალღონე.

მე მიყვარს მტკვარი, მიყვარს რიონი,
ფაფარაყრილი თერგი მშენებარე,
როცა გულიდან კაეკასიონის
გაზაფხულს მოჰყავს ვით მაყრიონი
უთვლელი ზვირთი პირმომცინარე.

შენც მშობლიურად მიყვარხარ ვოლგავ-
შენი დინებაც მიყვარს, რადგანაც
შენთან მოსულა გმირების მოდგმა,
მოდხარ წყალი და ცეცხლი მოგაქვს,
ჩემი ოცნებაც შენთან დამდგარა.

მიყვარხარ, ვოლგა — რუსეთის დედაც,
შენსკენ ვისწრაფი კაცი დროული.
ბრძენკაცის სახეს ტალღებში ვხედავ-
ვინაც ხუთი ზღვა შეჰყარა ერთად
და შენს ზვირთებზე ანთებს კომუნისმს.

— : —

ჩემო მარჯვენავ!



ჩემო მარჯვენავ, ჩემო მარჯვენავ,
მიყვარხარ, შეგტრფი გულით ნათელით:
შენა ხარ ჩემი გრძნობის და აზრის
ჯველაზე კარგი გამომხატველი!

ჩემო მარჯვენავ, ჩემო მარჯვენავ,
მიყვარხარ, გეტრფი ნათელი გულით:
ჩემი კალამიც, ჩემი თანდურიც
სულ შენგან არის ამღერებული!

ჩემო მარჯვენავ, მიყვარხარ მეტად:
ხარ ძლიერი და ყოვლის მძლეველი,
ძვირფას მეგობრის, კარგ ამხანაგის
შენა ხარ ხელის ჩამომრთმეველი!

ჩემო მარჯვენავ, მიყვარხარ ძლიერ,
ვამაყობ ჩემი მართალ მარჯვენით:
ჩვენს დიდებულ და ლამაზ სუფრაზე
შენა ხარ სავსე ყანწის დამჭერი!

ჩემო მარჯვენავ, ჩემო მარჯვენავ,
ჩემთვის ძვირფასი მუდამ შენა ხარ:
ჩემი ლამაზი შეყვარებულის
მომფერებელი, გულის ღებნა ხარ!

ჩემო მარჯვენავ, მიყვარხარ მეტად,
ეთ არ მიყვარდე მარჯვენა ჩემი? —

მტერს უსწორდები როგორც წესია,
მოყვრის მოყვრულად პასუხისმცემი!

ჩემო მარჯვენავ, შენა ხარ ჩემი
სიამაყე და გამხარებელი:
ბრძოლაში ჩვენი წითელი დროშის
ყოველთვის მაღლა მატარებელი!

ჩემო მარჯვენავ, მიყვარხარ ძლიერ:
ხარ ჩემი ძალა მანათობელი,
მოძულე გულთა გამაპობელი,
მოსისხლე მტრების დამამხობელი!

ჩემო მარჯვენავ, ჩემო მარჯვენავ,
მით უფრო შეგტრფი გულით ნათელით,
რომ ქვეყნისადმი ხარ სიყვარულის
ყველაზე კარგი გამომხატველი!

მ ი ნ ა

თქმულება



მიწის შესახებ
უამრავი არის ლეგენდა,
ბევრის მომსწრეა
უძველესი დედა-ბუნება.
სამშობლოს მიწავ,
სანუკვარო,
დიდება შენდა,
ყოველთვის გვიბლავს და
გვარყვებებს შენზე თქმულება!
ერთი ლეგენდა
მოვისმინე ხალხში ასეთი:
უძველეს დროში,
მაღალ მთებში, ცხოვრობდა
გლეხი,
მას ჭონდა მიწის
პაწაწინა ერთი ნაკვეთი —
მწირი,
ლარიბი,
მთის ღვარ-თქაფით გადანარცხი.
მაგრამ ის მაინც
ერთად-ერთი იყო იმედი,

საწყალი კაცი,
მოშვილდული ჩიჩქნიდა მიწას,
გლეხკაცს გაუწყრა უფრო მეტად
სასტიკი ბედი,
პატარა მიწა, სასიკეთოდ მაინც
არ მისცა.

მიწას საჩიჩქნად
კვლავ ეახლა ერთხელ საწყალი,
შედგა,
ნაბადი გადაიძრო,
დააგდო დაბლა,
იხედებოდა აქეთ-იქით
ის გულდამწყრალი,
ალარსად ჩანდა მისი მიწა...
ბევრი იღარდა,

ბევრი ეძება
— სად გაქრაო ჩემი ნაკვეთი?
თავზარდაცემულს,
ტყის ოხვრა თუ აძლედა პასუხს,
არ ჩანდა მიწა,

გლეხის ოფლით გაელენთილ
ბელტით,
ფიქრში,
ტანჯვაში,
მთებს ესტუმრა სალამოს მწუხრი,

ისევ მიდის და აი ხედავს,
მიწა იქვეა!
გაიხარა მან გულრით მართლა,
ნაბადი ისევ მოისროლა დასა
ისევ შედგა.

დაღონებული, ის მთიელი
კვლავ დასწვდა ნაბადს,
მოიგდო მხრებზე,
და შინისკენ გამოეშურა,
ღამე ნაბადად მოეხურა
მღუმარე მთა-ბარს,
შორს სადღაც ხევში
მთის წყარო თუ მღეროდა ჩუმად.

სწრაფ გაჰქრა მიწა,
სიხარული გამოდგა მოკლე,
გაბრაზდა გლეხი,
აუღულდა ძარღვებში სისხლი,
აღელვებული დაწრიალებს,
თავს ძლივს იოკებს,
ჰკრა ნაბადს ფეხი —
გადისროლა განზე მან რისხვით!

გათენდა დილა.
გლეხი ისევ ეწვია ნაკვეთს,
ისევ გადიძრო ნაბადი და
კვლავ სახტად დარჩა.
რაშია საქმე?
ფიქრობს, მაგრამ ვერაფერს
არკვევს,
თვალეებს აცეცებს,
ეძებს,
მაგრამ მიწა არა ჩანს.

საკვირვებება!
აი მიწა გაჩნდა ხელახლა:
პაწაწა ნაკვეთს
თვით ნაბადი ფარაედა თურმე...
და ეს თქმულება შორეული,
ზღაპარს გავს ახლა,
ლეგენდის სახით
გადმოეცა ჩვენს საუკუნეს.
დიდ საბჭოეთის თავისუფალ,
უსაზღვრო მიწას,
დღეს ჩვენი ხალხი მარჯვე
ხელით
ქარგავს და იცავს.

გულამოსკვნილი,
კვლავ შინისკენ გამოემართა.
მომდევნო დღეს კი

რეკლამა

დღაგა 4 მოქმედება და 8 სურათად



მოქმედნი პირნი:

- ზურაბ ზორაქიძე — თბილისის ერთ-ერთი ლითონჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი, გამოჩენილი სპეციალისტი.
 - თოღვინთე — დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ინჟინერი.
 - გიორგი ლაშხი — პარტბუროს მდივანი.
 - ირაკლი თაბაგარი — საცდელი საამქრო „რეალი“ ხელმძღვანელი, მეცნიერი მუშაკი.
 - არჩილი — ქარხნის მთავარი ინჟინერი.
 - ვახტანგი — ირაკლის მეგობარი, ახალგაზრდა ინჟინერი.
 - ივანე — „რეალის“ საამქროს მოწინავე ოსტატი.
 - ალექსი — ლითონის გამოღწობის მოწინავე ოსტატი.
 - კარპიოზი — ზურაბის ნათესავი, სოფლიდან ქალაქში ჩამოსული. შემდეგ ქარხნის დარაჯი.
 - იოველი — მოხუცი, მგვგავი ეკონომისტი.
 - რუსუდანი — ზურაბის ქალი.
 - ელიკო — ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომელი.
 - დათუნია — ლითონის გამოღწობის საქმის შესასწავლად რუსთავიდან გამოგზავნილი გაიოზი ახალგაზრდები.
 - ნიკოლოზი — ქარხნის დამხმარე მეურნეობისა და ფერმის გამგე.
 - ათანა — ზურაბისა და თოღვინთეს ბაღის დარაჯი, ქარხანაში — ქარხნის ეზოს დამცველი.
- ინჟინერები, მუშები, მოსამსახურეები და სხვ.

მოქმედება პირველი

ლითონჩამომსხმელი ქარხნის საცდელი საამქრო „რეალი“. იგი განცალკევებით დგას ქარხნის მთავარი კორპუსიდან. საამქროს ფანჯრიდან მოჩანს ქარხნის ღუმელი და ეზო. ეტუობა, საამქრო ჯერ მოუწყობელია და ახლა წარმოებს მისი კეთილმოწყობა. ერთ კუთხეში დგას საწერი მაგიდა. მაგიდაზე — ტელეფონი, კედლებზე — ნახაზები და ტექნოლოგიური სქემები. გაიოზს და დათუნიას შემოაქვთ კასრი და ღუმელთან მიაგორებენ.

- დათუნია — რა ექნათ, ბიჭო, გაიოზ, მართლა დაგვიტხოვენ, თუ იცი?
- გაიოზი — დამითხოვენ თუ არა, მინისტრის პორტფელი და მანქანა არ ჩამო-მართვან ერთბაშად.
- დათუნია — შენ რომ არ აგყოლოდი, ახლა ტექნიკოსად ვიქნებოდი რუს-თავეში მოწყობილი. ყველა ჩვენმა ამხანაგმა ისწავლა, ყველა დაოსტატდა და წავიდა... მხოლოდ ჩვენ ორი დავრჩით ამ საცეცხლეში.
- გაიოზი — ახლა თოღვინთემ თუ დაგვიტხოვა, ჩვენც წავალთ და ის იქნება.
- დათუნია — სულ შენი ბრალია, თოღვინთე რასაც გვიჩამს... რომ გამო-უთქვი ლექსი და თავი მოსუერი კაცს... თქვი, ბიჭო, კარგად აღარ მახ-სოვს, როგორ იწყება ის ლექსი...

გ ა ი ო ზ ი —



დირექტორის შიდადღივ
 ეს თოდვინთე რა უოფილა...
 უმცროსებთან მკაცრი არის,
 უფროსებთან არის ტკბილად...
 ღმერთმა ყველა შეარცხვინა
 მისთანა და მისი კბილა...

და თ უ ნ ი ა — მერე-და, რა გაკირდა, ბიჭო? რატომ ამდენხანს ვერ მოაძვრეს აქედან ის ჩვენი სულისშემწეუხებელი?

გ ა ი ო ზ ი — გიორგი უბირებდა მოხსნას, ბევრი ეცადა, მაგრამ თოდვინთეს მფარველები მიეშველნენ და... (შემოდის ელიკო).

ე ლ ი კ ო — გამარჯობათ, ბიჭებო! იაგორი სად არის?

და თ უ ნ ი ა — ამისთანა ვაჟკაცები აქა ვართ და იმ მოხუცებულ კაცს რას კითხულობ, ჩემო სულიკო?

ე ლ ი კ ო — თუ მოვიდეს, გადაეცი, რომ დირექტორი იბარებს თავის კაბინეტში.

და თ უ ნ ი ა — მერე ამისათვის შენ ვინ შეგაწუხა, ჩემო იაღონო?

ე ლ ი კ ო — დაანებე, ბიჭო, თავი მაგ უშნო გრეხას! შენ ისეც არა ხარ ლაპარაკის ოსტატი და როცა პრანჭვას დაიწყებ, უარესი გემართება.

და თ უ ნ ი ა — დიდუპ! სულ არ გამანადგურა ეს აღმასის კაკალივით ბიჭი!

ე ლ ი კ ო — აღმასის კაკალი კი არა, ყვავს რომ კაკალი გაუვარდება, ის გჯობს შენ.

და თ უ ნ ი ა — არა, ეს უკვე ნამეტანია! ვინ გგონივარ, გოგო, მე შენ?

ე ლ ი კ ო — უკვე დროა, იცოდე, სად რა თქვა და ვისთან როგორ უნდა მოიქციე! (ელიკო გადის).

და თ უ ნ ი ა — ხედავ, ბიჭო, როგორ შემამკო?

გ ა ი ო ზ ი — ასეა! ვინც ვარდს ეტანება, იმას მისი ეკალისაც არ უნდა ეშინოდეს. აი, შეხედე, როგორ მიდის... ნამდვილი ტირიფის შოლტია!

და თ უ ნ ი ა — ასეთი შოლტით ნეტავ ყოველდღე გამლახავდნენ!

გ ა ი ო ზ ი — შენ ცოტა ფრთხილად იყავი ამ გოგოსთან... მეტი არაფერი გაბედო!

და თ უ ნ ი ა — როგორ?

გ ა ი ო ზ ი — როგორ და ისე... გეუბნები, ფრთხილად იყავი-მეთქი, გასაგებია?

და თ უ ნ ი ა — შენ გგონია, ბიჭო, გოგოზე გეცილები? ეს რამ გაფიქრებია... ერთი შეცა მყავს აგერ, მაგრამ...

გ ა ი ო ზ ი — მერე, როგორია?

და თ უ ნ ი ა — ო, ნულარ იტყვი! მარწყვი ხომ იცი, ბიჭო, გაზაფხულის მარწყვი, აი სწორედ იმისთანა ტუჩები აქვს. თვალები, აი ისეთი თვალები აქვს... დასწყევლოს ღმერთმა, მართალი გითხრა, თვალებზე კი აღარ დავკვირვებდვარ კარგად, მაგრამ ბრუციანი რომ არაა, ეს კი ნამდვილად ვიცო. მერე არ იტყვი, რა სიარული იცის? ისე მიგოგმანობს, ისე, როგორც თეთრი გელი.

გ ა ი ო ზ ი — ვერაფერი შვილი ყოფილა.

და თ უ ნ ი ა — რატომ, ბიჭო?



გ ა ი ო ზ ი — გედი იგივე ბატია.

და თ უ ნ ი ა — ბატია ხარ და ქუეცი...

გ ა ი ო ზ ი — ჩუმად, ბიჭო, აგერ, გიორგი მოდის, ჩვენი პარტიზნული მდივანაა. (შემოდის გიორგი).

გ ი ო რ გ ი — გამარჯობათ, ყმაწვილებო.

გ ა ი ო ზ ი — გაგიმარჯოთ...

და თ უ ნ ი ა — იცოცხლეთ, ამხანაგო გიორგი!

გ ი ო რ გ ი — როგორა ხართ? საამქროს ახალი უფროსი გაიცანით?

გ ა ი ო ზ ი — ამბობენ, ყოჩალი კაციაო, მაგრამ...

და თ უ ნ ი ა — კი, ყოჩალიაო, ასე ამბობს იაგორიც, მაგრამ ჯერ ჩვენთვის ვერ მოუცლია.

გ ა ი ო ზ ი — სახითაც კი არ გვინახავს ჯერ... (შემოდის ვახტანგი).

გ ი ო რ გ ი — ვახტანგ, სად არის ირაკლი?

ვა ხ ტ ა ნ გ ი — რაც რაიკომში წავიდა, მას შემდეგ არ დაბრუნებულა.

გ ი ო რ გ ი — რა ქნა ნეტავ, ნუთუ დასტური ვერ მიიღო?! (მიდის ტელეფონთან, ვახტანგი თან მიჰყვება. გაიოზი და დათუნია გადიან). ქვესადგურია? შემაერთეთ რაიკომის მდივანთან. ა, შენა ხარ, ამხანაგო სერგო? გამარჯობა! დიახ, ირაკლის საქმეზე დაგირეკეთ... ა, უკვე მოგვარდა ის საქმე არა? კარგია, დიდი მადლობელი ვარ მხარის დაჭერისათვის. მშვიდობით. (ტელეფონის ყურმილს ჩამოკიდებს, ფანჯარას გააღებს და ეზოში გადაიხედავს).

ვა ხ ტ ა ნ გ ი — რა ვქნა, ამხანაგო გიორგი! მე და იაგორს მკვდრის გაცოცხლება რომ შეგვეძლოს, მაშინ ჩვენ აქ ვინ გავგაჩერებდა!

გ ი ო რ გ ი — სად არის თოღვინთე, ან ზურაბი რას აკეთებს? ასე ხელმძღვანელობენ ახალ საქმეს?

ვა ხ ტ ა ნ გ ი — რა ქნან, მოცემულ გეგმებს კარგად ასრულებენ და ახალი თავსატეხი საქმისათვის აღარ უნდათ თავი შეიწუხონ.

გ ი ო რ გ ი — აი, ეს არის ჩვენი უბედურება...

ვა ხ ტ ა ნ გ ი — ისინი ასე მსჯელობენ: გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ, პრემიებს ვღებულობთ, გარდამავალი დროშაც მოვიპოვეთ... რათ გვინდა ახლა, ეს საცდელი საამქრო „რვალი“ ზურგზე ზედმეტ ტვირთად ავიკლოთო!

გ ი ო რ გ ი — როგორც ვატყობ, დამშვიდდნენ, თვითდინებას მიეცნენ, წინ აღარ იხედებიან!

ვა ხ ტ ა ნ გ ი — ქარხნის დამხმარე მეურნეობის მოწყობაზე, მოგეცეს სიცოცხლე, მარჯვედ იყვნენ... აქ, ქარხნის გვერდით, ისეთი ბალი გააშენეს, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერას ნახავს...

გ ი ო რ გ ი — და შენ გგონია ეს საქმე ასე გაგრძელდება? არა, ვახტანგ, ჩვენ ახლა ისეთ საქმეს შევეჭიდეთ, რომ ბალებისა და აგარაკებისათვის აღარ გვცალია. (შემოდის თოღვინთე).

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — გამარჯობათ, ყმაწვილებო!

გ ი ო რ გ ი — ამხანაგო თოღვინთე! ერთი საქმე გვაქვს და აბა შენ იცი ახლა, როგორ დაგვეხმარები!

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — თუ რამე შემიძლია, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

გ ი ო რ გ ი — ჩვენ გადავწყვიტეთ ეს საცდელი საამქრო ფეხზე დავაყენოთ და კვლევის საქმეც წინ წაწვიოთ. ამ მომართვას ხომ გაეცანი? მოსკოვიდან

გვიგზავნიან... ას ტონა ლითონს მოითხოვენ... და მერე იცი, როგორ ლითონს? აი სწორედ თაბაგარის ტექნოლოგიური სექციის მიხედვით დამზადებულ ლითონზეა ლაპარაკი.

თოღვინთე — არ გამოვა, გენაცვალე! ეს ჩვენი ლომგმირები ამ ლუმელიდან ორმოც კილოგრამს ძლივს ლებულობენ დღე-ღამეში და, მე ასი ტონა საიდან გავაჩინო?

გიორგი — როგორ თუ საიდან! გამოდნობა უნდა გავადილოთ! ირაკლიმ სიტყვა მომცა, თუ ჩვენ ამ ლუმელს შეეუკეთებთ, გამოდნობას 4 ტონამდე აიყვანს დღე-ღამეში. იგი ახლაც განაგრძობს მუშაობას ტექნოლოგიური სექციის გაუმჯობესებაზე...

თოღვინთე — არა, გენაცვალე! როცა სახლში სანოვაგე არ შეგულება, ცარიელი იმედით სტუმრებს არ ვეპატიეები.

გიორგი — გაიგე, კაცო, ირაკლი ახალი მეთოდით შეუდგება საქმეს... მართალია, ეს მეთოდი ჯერ ახალია, მაგრამ ყოველი ახალი, ხომ იცი, პირველად ასეთი პატარა საქმიდან იბადება.

თოღვინთე — ოღონდ ახალი დამანახვეთ, ახალი, და ხელის შეწყობა ჩემზე იყოს... ახალ წესებს და მეთოდებს ვენაცვალე მე... მაგით მიდგას სული პირში! განა შენ თვითონ არ იცი, რამდენი გამომგონებელი დავაწინაურე? დაგავიწყდათ რამდენი ტექნიკური გაუმჯობესება დავნერგე ქარხანაში!

ვახტანგი — არა, სიმართლე რომ თქვას კაცმა, ტრაბახი კი გიყვარს, ტრაბახი...

თოღვინთე — ტრაბახი რას ჰქვია! მე საზოგადო საქმის ნამდვილი რაინდი ვარ...

გიორგი — თავს იქებ?

თოღვინთე — რას იზამ, როცა სხვა არ გაქებს, მაშინ ისევ თვითონ უნდა შეიქო თავი...

გიორგი — ეს საქმე ზურაბთან უკვე შეთანხმებული მაქვს.

თოღვინთე — აბა, რაღას ლაპარაკობ! ზურაბის სიტყვა ჩემთვის კანონია. (თოღვინთე მიდის, მაგრამ როცა მომავალ არჩილსა და ირაკლის დაინახავს, კარებში შეჩერდება. შემოდიან არჩილი და ირაკლი)

არჩილი — გასაგებია, დღესვე მივიღებ ზომებს.

ირაკლი — მგონია, ზურაბი არ გაგვიჯიუტდება!

არჩილი — ზურაბი ალალი გულისაა. მასთან ყველაფერს მოაგვარებს კაცი, თუ თოღვინთემ არ შეგვიშალა ხელი.

ირაკლი — აბა, შენ იცი. (არჩილი გადის).

გიორგი — გამარჯობა ირაკლი! საქმე როგორ მიდის?

ირაკლი — არა უშავს, ამხანაგო გიორგი! სერგო მხარს გვიჭერს. ის კიდევ მეტს გეპირდება... ჯერ ასე პატარა მასშტაბით დავიწყოთ, და თუ კიდევ რაიმე წარმატებას მიაღწევ გამოდნობის გადიდების საქმეში, შემდეგ მთელ ქარხანას შევუტოთ!

ვახტანგი — შენი ქირიმე, ბიჭო!

ირაკლი — (მაგიდიდან აიღებს ერთ პატარა ნაჭერს) ოჰ, რომ შეიძლებოდა ამ ლითონის ასეულ ტონობით დამზადება, დიდი ბედნიერება კი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ არაფერია! რაკი მოვეკიდე საქმეს ხელი, უკან არ დავიხევ... თუმცა, ვიცი, ამოცანა მეტად მძიმე და რთული იქნება.

- გ ი ო რ გ ი — ამოცანა ყოველთვის რთულია, ჩემო ირაკლი, როცა იგი სამშობლოს სამსახურს ეხება, მაგრამ სამშობლოს სიყვარულს ყოველგვარი სიძნელის გადალახვა შეუძლია.
- ი რ ა კ ლ ი — რაკი შენ გჯერა, სირცხვილს არ გაკმევ... აბა, წავიდეთ ლაბორატორიაში, ჩემს გუშინდელ ცდებს გაგაცნობ. შენ კი, ვახტანგ, მოდი ერთი სიკეთე მიყავი!
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — თქვი და მზადა ვარ...
- ი რ ა კ ლ ი — მახსოვს, მოსკოვში ჩემს წასვლამდე აქ ლითონის გამოდნობის ერთი შესანიშნავი ოსტატი მუშაობდა, მგონია მას სახელად ალექსის ეძახდნენ...
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — კი, ახლაც ალექსის ვეძახით...
- ი რ ა კ ლ ი — მერე, სად არის ის კაცი ახლა?
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — გალოთდა, ამხანაგო ირაკლი... უკვე საქმისათვის აღარ ვარგა!
- ი რ ა კ ლ ი — მაინც გთხოვ, ის კაცი დღესვე მომიყვანო... ენახავ, მოველაპარაკები და მერე შე ვიცი...
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — კარგი, მოვნახავ სადმე და გამოვგზავნი... (მიდიან. თოღვინთე გამოდის კარებიდან).
- თ ო ღ ვ ი ნ თ ე — შევეუტიოთო, ა? არა, გენაცვალე! გასაგებია ვის წინააღმდეგაც აპირებთ შეტევას. თოღვინთეს თავი ექვის ბალიშზე უდევს ღამე- (შემოდის ზურაბი).
- ზ უ რ ა ბ ი — რატომ შენა ხარ საამქროში და არა საამქროს უფროსი?
- თ ო ღ ვ ი ნ თ ე — საამქროს უფროსი პარტიუროში და რაიკოში დარბის, საამქრო კი უპატრონოდაა მიგდებული. ამიტომ მიხდება აქ წოწილი.
- ზ უ რ ა ბ ი — ახლა სად არის, ძალიან მჭირდება, ირაკლი. თანაც მინდა ვიცოდე, რა დახმარება ესაჭიროება იმ კაცს ჩემგან.
- თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ახლა პარტიუროშია.
- ზ უ რ ა ბ ი — მერე-და რა აქვთ, კაცო, პარტიუროში ამდენი სათათბირო?
- თ ო ღ ვ ი ნ თ ე — აი, ახლა მოვიდა სწორედ რაიკომიდან და გიორგის უთხრა: რაიკომის მდივანიც მხარს გვიჭერსო... ჯერ ასე პატარა მასშტაბით დავიწყეთ და, თუ კიდევ რაიმე წარმატებას მივალწევთ გამოდნობის ვადიდების საქმეში, შემდეგ მთელ ქარხანას შევეუტიოთ.
- ზ უ რ ა ბ ი — არ მესმის რას ლაპარაკობ... როცა შეგხვდეს, უთხარი მნახოს. ცოტა ზედმეტად კი დულს, მაგრამ არაფერია, მისი ენერჯის გამოსაყენებლად მე მოვძებნი შესაფერ ადგილს ქარხანაში.
- თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ობმოკიდებული ხალხი უნდა გავაცოცხლო და ქარხანა ვასახელოო, ასე იქადის ის ჩვენი აღმამენებელი...
- ზ უ რ ა ბ ი — ვინა, კაცო? ვინ უნდა გავაცოცხლოს? ან-კი რა გვჭირს საერთოდ გასაცოცხლებელი?
- თ ო ღ ვ ი ნ თ ე — აბა! ჯერ არცკი მოსულა ის დალოცვილი და უკვე ინტრიგას იწყებს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.
- ზ უ რ ა ბ ი — არა, ინტრიგა რა სათქმელია, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ძალიან თავისებურად კი იქცევა.
- თ ო ღ ვ ი ნ თ ე — თუ დროზე არ შევაჩერეთ, ზურაბ ბატონო, სწორედ ეს საცდელი ღუმელი დაგვლუპავს ჩვენ.
- ზ უ რ ა ბ ი — რას ამბობ, კაცო! რა დალუპავაზე ლაპარაკობ?

- თოღვინთე — ხომ გეუბნებოდი, გენაცვალე, დროზე მოვახდინოთ ამ საცდელი საამქროს ლიკვიდაცია, სანამ თაბაგარი დაბრუნდებოდეს-მეთქი.
- ა, ჩამოვიდა აგერ და ახლა უყარე კაკალი!
- ხურაბი — როგორ, კაცო? შენ ისე გატყობ, რომ ირაკლი თაბაგარის გონების წინააღმდეგი უნდა იყო...
- თოღვინთე — პირიქით, გენაცვალე! მისი შენადნობი ერთი საუკეთესო-თაგანია მსოფლიოში, მაგრამ უბედურება ისაა, დიდი რაოდენობით გამოდნობა არ ხერხდება... სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს, სამრეწველო...
- ხურაბი — ეს კი მართალია, ჯერჯერობით ცოტას ვღებულობთ.
- თოღვინთე — საქმეც ესაა, გენაცვალე! უკვდავების წყაროსაც არაფერი სჯობს, მაგრამ არსად არ ეშოვნება და ამიტომ თავსაც არაფერი იკლავს მისი ძებნისათვის ქვეყანაზე.
- ხურაბი — თოღვინთე, შენ ბუზი აქლემად გეჩვენება. აუცილებლად ნახე ირაკლი თაბაგარი და ჩემთან გამოგზავნე. (ხურაბი გადის).
- თოღვინთე — თაბაგარი რომ თავიდან მოვიცილე და სწავლისათვის ზურაბს მოსკოვს გავაგზავნიე, იმას მე მაშინ ვატყობდი კიბაცობას. მაგრამ რად გინდა... ხარმა ხარს ურჭინაო და საბალახოზე მიდენაო... წავიდა, ისწავლა, ცოდნა შეიძინა და ა, ისევე გამოგვეცხადა აგერ სიკვდილის ანგელოზივით... კაცო, ჭირიც არ დაბრუნდება მეორეჯერ ძველ ადგილზე. შავი ჭირი, და ეს რა ვნახე ასეთი თავიდან მოუცილებელი ვაი შენს თოღვინთეს! თავის დასაკლავი დანა მე თვითონ გამოეჩხრიკე. რა გიჭირდა შენ წასულიყავი, შენ გესწავლა, შე ღმერთგამწყარალო, შე ბელდამწვეარი ჩემო თავო! (შემოდის ათანა).
- ათანა — ვიყავი, ბატონო.
- თოღვინთე — სად იყავი, კაცო?
- ათანა — სადა და წუხელის რომ მითხარი, დილით ნიკიტოროესთან გაფრინდიო, გაეფრინდი, და ახლა დაებრუნდი იქიდან.
- თოღვინთე — რაო?
- ათანა — კი, ბატონო, როგორც გაეფრინდი, ისე მოეფრინდი...
- თოღვინთე — კი, მარა, რომ გაფრინდი, რა ამბავი წაიღე, ან იქიდან რა ამბავი მოიტანე, ამას რატომ აღარ დაუფიქრდი, შე გამოჩერჩეტებულო, შენა?
- ათანა — ეს კი აღარ მომგონებია, ბატონო.
- თოღვინთე — ოი, შენს დაბადებას დააქცევს ღმერთი! წადი, ახლავ აქედან დამეკარგე! (ათანა გადის. ამ დროს შემოდის ირაკლი, რომელსაც მძიმე ხელსაწყო მოაქვს. თოღვინთე მისაშველებლად შივარდება).
- თოღვინთე — დაიცა, კაცო, მარტო ვერ ასწევ, მე მოგვხმარები...
- ირაკლი — შენ, თოღვინთე, იქ მომეხმარე სადაც საჭიროა...
- თოღვინთე — როგორ? არ გეხმარები თუ? ელემტროდენი გამოყვანილია... ლუმელისთვის მასალა მოტანილია... ახლა საჭიროა ერთი წკიპურტი, და საქმე ჩინებულად წავა.
- ირაკლი — თავისთავად, არა?
- თოღვინთე — რატომ თავისთავად! შეუძლებელს შევიძლებთ... გაუკეთებელს გავაკეთებთ... აბა, რატომ ვართ, კაცო, კომუნისტები? სწორედ ახლა ველაპარაკე ზურაბს შენ შესახებ. ხელის შეწყობა ჩემზე იყოს...

- ირაკლი — თუცე აგრეა, წამო, ნახე, ახალი ცდები მაქვს დაუყენებულად...
 თოღვინთე — კი, გენაცვალე, ახლაცე წავიდეთ. (გადიან. მცირე ხნის შემდეგ შემოდის ელიკო, მას უკან მოჰყვება გაიოზი).
 გაიოზი — ელიკო, ელიჩქა, დაიცა გოგო, სად გარბიხარ?...
 ელიკო — თავი დამანებე, შენთვის არა მცალია... ხომ ხედავ, ზურაბთან მიმეჩქარება, ეს ქალაღდები უნდა ჩავაბარო!
 გაიოზი — რაღაც სათქმელი მაქვს... დაიცა ერთი წუთით. მერე იქნება ველარ გაგიბედო...
 ელიკო — მერე რას იგრიხები, ვერ იტყვი, რაც გინდა?
 გაიოზი — აი, იმას გევედრები...
 ელიკო — რა იმას, გამაგებინე?..
 გაიოზი — კი იცი შენ!
 ელიკო — აბა, რა ვიცი... რაღაცას ამბობ და ველარც ამბობ... მითხარი, რა გინდა?
 გაიოზი — როგორც მითხრეს, მე და ჩემს ამხანაგს თოღვინთე აქედან დათხოვნას გვიპირებს. მე მალე რუსთაღში დავბრუნდები... წავიდეთ იქ... შევეერთოთ ჩვენი გრძნობები და ერთად დავიწყოთ ცხოვრება.
 ელიკო — რაო? როგორ გამიბედე, ბიჭო, მაგის თქმა?
 გაიოზი — რატომ, ჩემო მშვენიერო, განა სულმთლად ასე დასაწუნი ვარ?!
 ელიკო — მერე-და, შენი თავის პატრონი ოჯახის შექმნაზე როგორ ფიქრობ?...
 გაიოზი — სამაგიეროდ, ეს შენი ჰკვიანი თავი ჩვენ ორივეს გვეყოფა ცხოვრების მოსაწყობად.
 ელიკო — ენა დამოკლე! მეორეჯერ არ გაიმეორო ეგ სისულელე! (მიდის).
 გაიოზი — სად, გენაცვალე, სად მიდიხარ?... ელიკო, ელიჩქა, ელეონორა! (შემოდის იაგორი).
 იაგორი — რა ამბავში ხარ, ბიჭო? ეს გოგო სანთელია, ასე პეპელასავით რომ თავს დასტრიალებ?
 გაიოზი — სწორედ ჩემი სულის კელეპტარია, ბიძია იაგორ. ეგ რომ ჩამიქრეს, მერე აღარაფრად ეღირება ჩემი სიცოცხლე.
 იაგორი — არც ახლა ღირს, ბიძია, მაგრამ რას იზამს კაცი...
 გაიოზი — რატომ ამბობ მაგას, ბიძია იაგორ... სიგრძე მაკლია, თუ განი?
 იაგორი — არა, ეგ სიკეთე არც ერთი არ გაკლია, კაცმა რომ თქვას, მაგრამ ჰკუა არა გაქვს, ჩემო ბიძია, ჰკუა... აი, კაცი იმისთანა უნდა, აგერ ირაკლი თაბაგარი რომაა. დედა მაგას არ ჰყავდა და მამა. ამ ჩვენი ქარხნის საბავშვო ბაღშია გაზრდილი, აქეთ იარა, იქით იარა. მერე წავიდა რუსეთში, იწვალა, ისწავლა და ა. შეხედე, რა კაცი დადგა ახლა!
 გაიოზი — კარგი ერთი, ნუ მომბაზრე თავი მაგ შენი არაკებით. რად მინდა ჰკუის სწავლება! პატარა ხომ არა ვარ!.. ხომ ხედავ, რამხელა უღვაშები მაქვს აგერ გადაწყვეტილი!
 იაგორი — ეჰ, ბიძია, ადამიანი, კაცი უნდა იყო, თუ არა უღვაშები კატასაც ასხია.
 გაიოზი — ჩუმიად, ბებერო! რას აყბედებულხარ! (ამ დროს შემოდის ირაკლი. შეჩერდება. ყურს დაუგდებს იაგორისა და გაიოზის ლაპარაკს).
 იაგორი — როგორ უნდა მაკადრო, ბიძია, ამ ხნის კაცს ასეთი სიტყვები! განა მე შენზე უფროსი არა ვარ?!

გ ა ი ო ზ ი — უფროსი ბებიაჩემიც არის.

ი ა გ ო რ ი — ბებიაშენი ღმერთმა აცხონოს, მაგრამ შეილიშვილი ვერ გამო-
სვლიხარ მაინცდამაინც დიდად სანაქებო. ეს მერამდენე სამქრთველომ
გამოიცივალე? აქაც აიგდე გული მუშაობაზე, გინდა მოხვალ, გინდა წახ-
ვალ... ასე შენს სურვილზე სიარული შეიძლება?

გ ა ი ო ზ ი — ღმერთმა ეგ სურვილი ნურასდროს მომიშალოს, გაიოზი სანამ
ცოცხალია, ასე ივლის.

ი ა გ ო რ ი — ბიჭო, კომუნისტებმა წყალი არ გაუშვეს თავის ნებაზე უსარგებ-
ლოდ, იორს კალაპოტი შეუცვალეს, და შენ გატარებენ ასე ფუქსავატად?

გ ა ი ო ზ ი — ამ უროს ხედავ?

ი რ ა კ ლ ი — ვინ არის ეს ყმაწვილი? (გაიოზი დარცხვენილი შორს დადგება
და მორიდებით უქქერის ირაკლის).

ი ა გ ო რ ი — ეგ იმ ჯგუფიდანაა, რუსთაიდან რომ ახალგაზრდები გამოგვი-
გზავნეს ახალი ლითონის საქმის შესასწავლად... თავის ამხანაგებს ჩა-
მორჩა და ახლაც არ ფიქრობს, რამე სიკეთეს ეწიოს...

ი რ ა კ ლ ი — (გაიოზს) განზე რად დგები. მოდი აქეთ... უფრო ახლოს, მე ძა-
ლიან მაინტერესებს, თუ რითი ცხოვრობდა დღემდე ამ ქარხანაში ჩვენი
ახალგაზრდობა?

გ ა ი ო ზ ი — პროდუქტებით.

ი რ ა კ ლ ი — შენ ხუშარა ყოფილხარ, ამხანაგო, მაგრამ ეს შენი ხუმრობა დიდ-
ხანს არ გაგრძელდება... ხომ იცი, დღეს საამქროს საწარმოო კრებაა..

გ ა ი ო ზ ი — ვიცი.

ი რ ა კ ლ ი — ვნახოთ, იქ როგორ გუნებაზე დადგები.

გ ა ი ო ზ ი — შენ, როგორც გეტყობა, ძალიან აქტიური ყოფილხარ!

ი რ ა კ ლ ი — კი, ასეთი ვარ.

გ ა ი ო ზ ი — კარგია, მაგრამ თოღვინთვის წყალობით მალე შენც გადახვალ პა-
სიეში. (წასვლას აპირებს).

ი რ ა კ ლ ი — სად მიდიხარ! ჯერ ჩვენ საქმეზე არც კი გვილაპარაკია...

გ ა ი ო ზ ი — რა უნდა გელაპარაკო... მე უკვე აქედან მოხსნას მიპირებენ...

ი რ ა კ ლ ი — მოხსნას გიპირებენ? (ამ დროს შემოდის იოველი და დათუნია.
დათუნია კარებში გაჩერდება). აი, უცნაური ამბავი... აქ მუშახელი გვაქ-
ლია და ამისთანა ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას თავიდან იცილებენ...

ი ო ვ ე ლ ი — მაგრამ თუკი საქმისთვის არ ვარგა, ყმაწვილო?

ი რ ა კ ლ ი — მერე-და, შეუქმენით, ამხანაგო იოველ, აქ მას ისეთი პირობები,
რომ ემეცადინა, ესწავლა, წინ წასულიყო? რა თქმა უნდა, არა, და კიდევ
ამბობ, არ ვარგაო!

ი ო ვ ე ლ ი — მე მხოლოდ ის ვიცი, ყმაწვილო, რომ ჩემთან არ გამოდგა.

ი რ ა კ ლ ი — ეს თქვენთან... მაგრამ ჩემთან... მე მგონია, ჩემთან ივარგებს,
გამოდგება...

დათუნია — სწორია, მართალია, ამხანაგო უფროსო... ივარგებს, გამოდგება.

ი რ ა კ ლ ი — ეს ვინ არის?

გ ა ი ო ზ ი — ჩემი ამხანაგია... მოდი, ბიჭო, აქეთ!..

ი რ ა კ ლ ი — შენ რა გქვია?

დათუნია — დათუნია, ბატონო.

ი რ ა კ ლ ი — „ბატონო“ არ გამაგონო. აქ ჩვენ ყველანი ამხანაგები ვართ და,

- ამხანაგურად უნდა მოვექცეთ ერთმანეთს... ხომ ხედავთ, რამდენი საქმეა! ამ ღუმელს დღესვე უნდა ჩავუდგათ სული. აბა რას იტყვით, ბიჭებო? და თუ ნია — კი, მაგრამ ისეთს რას შეგვილოცავ, რომ საღათას ძილითაგან გამოვფხიზლდეთ?.. სასწაულმოქმედ თილისმას ხომ არ მოგვცემ?..
- ირაკლი — პირაქით, ყოველი თქვენგანი თვითონ გახდება თილისმა... მარგანესს აი, აქედან ჩაუშვებთ ღუმელში... ამას ჩვენ კონვეირები მოგვაწვდიან... ელექტროდენიც საკმაო გვაქვს... აი, აქ იდენს, ამ ქვაბებში გამდნარი ლითონი... და მერე, რა ლითონი, მეგობრებო! რომლის ბადალიც ჯერ ქვეყანაზე არავის უნახავს...
- იოველი — გესმის, იაგო! რომ იძახდი, მალე ევროპას გავუსწრებთო, ა, ხომ მოესწარი! ხი, ხი, ხი...
- იაგორი — შენ იცინე, ბიძია, იცინე! ძველად, თურმე, იმისთანა ფოლადს ამზადებდნენ საქართველოში, იმისთანას, რომ მისი ბადალი მთელს მსოფლიოში არ იყო, მაგრამ მერე ისე გააპარტახა ქვეყანა მუღმივმა ომებმა, რომ კეცისა და ქოთანის მეტი არაფერი კეთდებოდა... წალდს და ნაჯახს ძლივს ეაკეთებდით... ახლა კი, ხომ ხედავ, როგორ წინ წავედით?!
- იოველი — სისულელეა!
- ირაკლი — რა არის სისულელე? ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ჩემი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით შეუძლებელია უმაღლესი სიწმინდის ფოლადის მიღება?
- იოველი — დიახ, ჩემო თვალისჩინო, გამოდნობის გადიდება არავითარ შემთხვევაში არ მოხერხდება. ეკონომიკა ხუმრობა საქმე როდია. ეს, ყმაწვილო, დიდი მეცნიერებაა. ამის მეტი რა მისწავლია ევროპაში. თვითონ შვედური იყო ჩემი პროფესორი... მე ლაიპციგში ოქროს მედალზე მაქვს კურსი დამთავრებული.
- ირაკლი — რაო? ოქროს მედალზეო?
- იოველი — დიახ, ოქროს მედალზე! არ გჯერა ყმაწვილო? გინდა მედალი გაჩვენო? (ამოიღებს უბის ჯიბიდან მედალს). აბა, შეხედე!
- ირაკლი — შეინახე, ამხანაგო იოველ, აგრე ნუ ატარებ, თორემ ეს რომ დაგეკარგოს, მერე რითი-ლა დაამტკიცებ შენს ნასწავლობას. (საერთო სიცილი).
- იოველი — რა მწარე ენა გაქვს! მაგრამ არაფერია, იმუშავეთ, იმუშავეთ, ყმაწვილებო! რაც მიიღოთ, ის ბოლოს დაიქადეთ! (მიდის).
- ირაკლი — არა, ამხანაგო იოველ! ჩვენ არაფერს ვიქადით, ჩვენ აქ საქმეს ვაკეთებთ. (იაგორს) დიდი ხანია, რაც აქ იოველი მგვგმავ ეკონომისტად მუშაობს?
- იაგორი — სამი წელიწადი იქნება.
- ირაკლი — საოცარია! სამი დღეც საკმარისია მის გასაცნობად, და თქვენ კი სამი წელიწადს როგორ ითმენთ მეცნიერების ამ ფიტულს?
- დათუნია — ღირექტორის ახლო ნათესავია და კაცი ხმას ვერ იღებს.
- ირაკლი — აბა, იაგორ, ხომ ხედავ, როგორ უღელშიც შევებით... რაკი დავიწყეთ, საქმე ბოლომდე გავიტანოთ!
- იაგორი — კი, ბიძია, არც ჩვენ გვიყვარს საქმის ღალატი!
- ირაკლი — აბა, შენ იცი! მე აქ შენს ხელში გავიზარდე... გამოცდილი ოსტატ ხარ და თუ რამე ჰქუაში, არ დაგიჯდეს, ნუ მოგერიდება, პირდაპირ შითხარი!
- იაგორი — კი, ბიძია, კი, შენ შემოგველე... რამდენი მყავს შენსავეთ ალზრ-

დილი ამ ქარხანაში... აქ მარტო ფოლადის გამოღობის ადგილი როდია, აქ ვაეკაცების სამჭედლოცაა. ვინ დათვლის, რამდენი გამიზრდია... მოვლენ, ფრთებს გაიმაგრებენ, ფრენას ისწავლიან და მერე ჰე, მიფრინავენ უფრო დიდ და საბასუსისმგებლო საქმეებზე... (შემოდის ვახტანგი)

ვახტანგი — როგორც იყო, ვნახე ალექსი... აუცილებლად მოვალა, ასე მითხრა...

ირაკლი — თან რომ მოგეყვანა, ძალიან კარგი იქნებოდა!

ვახტანგი — ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არა ქნა... მერე შემოვივლითო...

ირაკლი — აბა, ამხანაგებო! ახლავე სამუშაოზე გავნაწილდეთ... ახალი დაკვეთა ხუმრობა საქმე როდია... ეს ჩვენი ლითონი ვოლგა-დონის არხის მშენებლობისათვის სჭირდებათ. დაკვეთა პირდაპირ დნებროპეტროვსკის ქარხანას გაეგზავნება. აბა, გაიოზ! რაკი მკლავი და ღონე გერჩის, წაიყვანე ეს შენი ამხანაგი და, ლუმელის მასალა შემოიტანეთ!

გაიოზი — მასალის ფიქრი ნუ გექნებათ, იმდენს მოვიტანთ, რომ აქაურობა ზულ ამოგყოროთ. აბა, წავიდეთ, დათუნია!

ირაკლი — შენ კი, ვახტანგი, დაიხმარე იაგორი და ეს ლუმელის სარკმელი დღესვე წესრიგში მოიყვანეთ... აი, სქემა და ნახაზები! ამის მიხედვით იმუშავეთ...

ვახტანგი — კი, მაგრამ, თოღვინთე რას იტყვის, წინააღმდეგი არ იქნება? ლუმელის შეკეთება მას გეგმაში არ უზის.

ირაკლი — თუ რამე იყოს, ლაბორატორიაში ვიქნები და იქ დამირეკეთ. (ირაკლი მიდის. ვახტანგი და იაგორი შეუღლებიან ლუმელის სარკმლის შეკეთებას).

ვახტანგი — რა ვქნათ, იაგორ, მგონია ცეცხლგამძლე აგური არ გვეყოფა ლუმელის ფსკერისათვის!..

იაგორი — აგერ, ზურაბი მოდის და იმას ეთხოვით... (შემოდის ზურაბი).

ზურაბი — ირაკლი სად არის?

ვახტანგი — აი, სწორედ ახლა წავიდა ლაბორატორიაში.

ზურაბი — რას შერუბით, როგორა ხართ, ხომ არაფერი გიჭირთ?

ვახტანგი — ცეცხლგამძლე აგური არ გვეყოფნის, ამხანაგო ზურაბ, ათასი ცალი კიდევ დაგვირდება ლუმელის ფსკერისთვის...

ზურაბი — ათასი ცალი? რატომ დროზე არ გამოიწერეთ საჭირო რაოდენობა?

იაგორი — გამოვიწერეთ, მაგრამ თოღვინთემ შეგვიმცირა ნორმა.

ვახტანგი — იმანაც ნახა რალა ადგილი მომპირნეობისათვის!

ზურაბი — რას ამბობ, კაცო, აქ ნორმის დაწესება ვის გაუგონია! (ქალაღმოსავლურად დაუწერს და გადასცემს). აი, ახლავე მიიღეთ. აბა, შენ იცი, იაგორ, აქ ისეთი ლუმელი უნდა გამოიყვანო, რომ ქართული ფოლადი ჩვენებური არაყივით გამოხადოს.

იაგორი — დარდი ნუ გაქვს, პირველად ხომ არ ვაკეთებ.

ზურაბი — შენი ხელის მადლი არ მოაკლო. (აიღებს ტელეფონის ყურმილს) ამხანაგო არჩილ, ახლა მე ინსტიტუტში მივდივარ, დიას, კათედრის სხდომაზე. თუ რამე იყოს, იქ დამირეკეთ. აბა, თქვენ იცით, თუ კიდევ რამე დაგვირდეთ, პირდაპირ ჩემთან მოდი!

ვახტანგი — ჰო, მართლა, ზურაბ ბატონო, ბარემ ცემენტიც გამოგვიწერეთ, ისიც ძალიან გვეჭირდება.

- ზურაბი — ის უკვე გამოყოფილია. შეგიძლია დღესვე მიიღოთ. (ზურაბი მიდის).
- ივანე — აი ხომ გესმის? როგორი უდარდელი ლილინაა! მისი მკონია ალექსი უნდა იყოს.
- ვახტანგი — სწორედ ის არის... შევეხვეწე ნასვამი არ მოხვიდე-მეთქი და ასე შეასრულა ჩემი თხოვნა.
- ივანე — ე, რა ოსტატი იღუპება!
- ვახტანგი — მერე ვისი ბრალია! ლვინოს გადაყვა და აბა რა იქნება!
- ივანე — არც ასეა საქმე. თოლვინთემ და იოველმა რომ დაჩაგრეს, მას შემდეგ დადის ასე უთავბოლოდ. (შემოდის ალექსი).
- ალექსი — თოლვინთე და იოველ, — ჩემჩაირა, ჩაირა... ჩვენი ამშენებელი, კუკუ! იმ დღეს დღედ არ ჩათვლიან, ჩემჩაირა, ჩაირა... თუ მწარედ არ გიკბინეს, კუკუ!
- ვახტანგი — ჩემბად, ალექსი, ხომ იცი, კაცო, აქ სიმღერის ადგილი, რომ არაა!..
- ალექსი — აბა, რისი ადგილია? ტირილი ხომ შეიძლება? იტირე, გულო. იტირე, სულო, ვარალო... იტირე, ჩემო შეყვარებულო, ვარალო!
- ვახტანგი — თუ ჩვენი ხათრი გაქვს, ალექსი, ნუ გვიხამ ამას... უფროსები საყვედურს გვეტყვიან!
- ივანე — დაანებე თავი, კაცო... ეგ ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია...
- ალექსი — ოღონდაც! საქმე ფეხებია!.. ეს თავი აღარ მუშაობს, უთავოდ დარჩენილ ფეხებს გაუმარჯოს!.. ხი, ხი, ხი...
- ვახტანგი — შენ იცინე, იცინე, და ის ვი არ იცი, თუ როგორია აქ საქმის ვითარება... აქ ახლა ისეთი კაცი მუშაობს, რომ ძალიან დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი!
- ალექსი — მით უკეთესი! ცვლილებების მხოლოდ ბედნიერ კაცებს ეშინიათ, თორემ ჩემისთანა საწყალი მას ყოველთვის დიდი ხალისით ეგებება. (შემოდის იოველი).
- იოველი — ზურაბი აქ იყო, ყმაწვილებო?
- ვახტანგი — აი ახლა გავიდა აქედან.
- იოველი — სწორედ იმას დავეძებ ახლა. ანალიზის ქალაღებია ხელმოსაწერი... ო, ეს ვინ მოსულა! გამარჯობა, ალექსა!
- ალექსი — ა, ალექსაო?
- იოველი — გული რატომ მოგდის, ჩემო თვალისჩინო, ცუდი ხომ არაფერი მიკადრებია?
- ალექსი — რას იხამ! როცა ბედი მწყალობდა, შესაფერი ადგილი მქონდა, მაშინ კაი ალექსანდრე ვიყავი... ახლა, როცა ფეხი წავიკარი და დავჩიავდი, ალექსად გადავიქციე, არა? ასეა, ძმებო! ეგ წინათ, როცა მისთვის საჭირო ვიყავი, ფინიასავით მეფერებოდა... მაგრამ ახლა სალამის მოცემაც ეძნელება. ეს რა რკინის ზოდები დაგიდგამთ, ყმაწვილებო, რის მაქნისია?
- ვახტანგი — მაკივარი ქვაბია, გუშინწინ ჩამოვასხით...
- ალექსი — ორი ლიტრი რომ ჩამოგესხათ, ამას ათწილად აჯობებდა.
- ვახტანგი — მივდივარ, ივანე, საშენ მასალას შევარჩევ და მალე დავბრუნდები. (ვახტანგი გადის).

- ი ა გ ო რ ი — მოდი, ალექსი, რაც იქნება-იქნეს, დაანებე ღვინოს თავი და, შენ ისევ ძველი ალექსი იქნები.
- ა ლ ე ქ ს ი — ე, შენ რა იცი, იაგორ! განა წყალს ღვინო არა სჯობს? წყალში საკუთარი თავის დანახვაც ძალიან ჭირს, ღვინოში კი სხვის გულსაც აშკარად ხედავ...
- ი ა გ ო რ ი — მაინც არ ვარგა, დამიჯერე...
- ა ლ ე ქ ს ი — მამ რა ვქნა? აქ ქარხანაში, რომ ჩამაფლავეს, წაველ და ისევ ღვინოს გადავავალე გული. ახლა ხომ ხედავ, ბუდიდან ამოვარდნილი კაცი ვარ. იცი, რას ნიშნავს ბუდიდან ამოვარდნა? არ გინახავს ოდესმე ბუდიდან ამოვარდნილი ბარტყი? როგორ გულის საკლავად დასტრიალებენ თავს მშობლები, უნდათ როგორმე მიეშველონ, ისევ ბუდეში ჩასიან. მაგრამ ამოდ, ვერ ახერხებენ! მეც აგრე, დაღუპული კაცი ვარ ცხოვრებაში! (ალექსი ღიღინით დადის, მაგრამ ამ დროს შემოდის ირაკლი).
- ი რ ა კ ლ ი — გამარჯობა, ამხანაგო ალექსი!
- ა ლ ე ქ ს ი — ეინა ხარ, ბიძიკო, შენ?
- ი რ ა კ ლ ი — ვერ მიცანი? ეს მე ვარ, ირაკლი თაბაგარი.
- ა ლ ე ქ ს ი — რა ვიცი, ზოგს მე ვერ ვცნობილობ და ზოგიერთები მე ვერ მცნობილობენ. ისე კი, კაი დაგემართოს, კაი კაცი კი დამღვარხარ...
- ი რ ა კ ლ ი — იცი, რისთვის დაგიბარე? ერთი დიდი საქმე მაქვს შენთან და, იმედია, თხოვნას შემისრულებ.
- ა ლ ე ქ ს ი — რაო? საქმე მაქვსო! ზი, ზი, ზი. ამას კიდევ ის ძველი ალექსი ვგონივარ... შენც დაიწყე, ბიძიკო, ხუმრობა?
- ი რ ა კ ლ ი — რატომ გგონია, რომ გეხუმრები?
- ა ლ ე ქ ს ი — იმიტომ, რომ ეს ერთი ხანია, არავინ კადრულობს ჩემთან საქმეზე ლაპარაკს.
- ი რ ა კ ლ ი — ეიცი, აქ შენ წინათ საუკეთესო ოსტატად ითვლებოდი! ხომ ასე იყო?
- ა ლ ე ქ ს ი — ეს წინათ იყო, ბიძიკო, დიდის ხნის წინათ. ახლა ისა ვარ, რასაც მხედავ, ლოთი და უვარგისი...
- ი რ ა კ ლ ი — უვარგისიო? არა, ეგ არაა მართალი... თუ მოინდომებ, შენ ისევ ის ძველი ალექსი იქნები, რაც წინათ იყავი.
- ა ლ ე ქ ს ი — როგორ? შენ გგონია, მე ისევ კაცად გამოვდგები?
- ი რ ა კ ლ ი — კი, ბიძია ალექსი, ნამდვილად გამოვდგები. მალე აქ ახალი ღუმელი ამუშავდება, და მე მინდა შენ მისი უფროსი ოსტატი იყო...
- ა ლ ე ქ ს ი — რაო? უფროსი ოსტატიო?! არა, არა, ეს რამ გაფიქრებია?!
- ი რ ა კ ლ ი — როგორ? ჩემთან მუშაობა გეთაკილება?
- ა ლ ე ქ ს ი — პირიქით, გულით მინდა, მაგრამ...
- ი რ ა კ ლ ი — რაკი გულით გინდა, აბა, წამოდი ჩემთან...
- ი ო ვ ე ლ ი — რას შერები, გეთაყვა... კაცს დიდი ხანია არ უმუშავნია... შეიძლება ბევრი რამ არც-კი ახსოვდეს, ოქრო, ძველი გამოცდილებიდან და ვაი თუ?..
- ი რ ა კ ლ ი — როგორ? ნუთუ შენ გეეჭვება იოველ?
- ი ო ვ ე ლ ი — ნება შენია, ჩემო თვალისჩინო, მაგრამ ამ ახალ უბანზე ძალიან გაუძნელდება მუშაობა.
- ი რ ა კ ლ ი — თუ საქმეს ასე გაუძნელებთ, რალა თქმა უნდა, გაუძნელდება, მაგრამ ჩვენ ხომ აქა ვართ... ვნახოთ, ვცადოთ და დავეხმაროთ...

- ა ლ ე ქ ს ი — შენი ჳირიმე, ბიძიკო! (ირაკლის გადაეხვევა).
- ი ო ვ ე ლ ი — რამე რომ მოხდეს, მე პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებ... ვერა, ყმაწვილო, ვერ ვიკისრებ.
- ა ლ ე ქ ს ი — რაო? როდის აქეთ დაეჭვედი ჩემს ოსტატობაში, შე ბაიყუშების საფრთხობელავ... წამოდი, ბიძიკო, ამის ჯიბრზე ყველაფერს გავაკეთებ.
- ი რ ა კ ლ ი — აბა, წავიდეთ, ალექსი! (ირაკლი და ალექსი გადიან).
- ი ო ვ ე ლ ი — რა იყო ახლა ეს? ნუთუ ამის მოთმენა შეიძლება?
- ი ა გ ო რ ი — კარგი ახლა... ნასევამ კაცს რა პასუხი მოეთხოვება...
- ი ო ვ ე ლ ი — როგორ მიბედავენ? თქვენ კიდეც არ იცით ჩემი ფასი. ვერაობის კულტურა მე ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი... იცით, რამდენჯერ ვყოფილვარ ვერსალის სარკიან დარბაზში? ლუვრი, დრუზდენიც რამდენჯერ დამითვალღიერებია?... ყველგან სასურველი სტუმარი ვიყავი... თქვენ კი... ფუი! არა, ამ ამბავს უყურადღებოდ არ დავტოვებ... ახლავე ზურაბს შევატყობინებ. (მიდის. შემოდის ვახტანგი. მუშებს შემოაქვთ ლატანი).
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — დასწყევლოს ღმერთმა, ვინც ეს შექანიკოსის ხელობა მოიგონა... გავთავდი კაცი, მეტი აღარ შემიძლია! საღ არის ირაკლი?
- ი ა გ ო რ ი — აგერ, ალექსი წაიყვანა კადრების განყოფილებაში და მალე მოვა.
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ბიჭოს! მერე ალექსი დაეთანხმა?
- ი ა გ ო რ ი — ირაკლის ისეთი ჯადო აქვს, თუ რამე მოინდომა, მორჩა.
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — კი, კი, ასე იცის... მეც ასე მიყო, ისეთ საქმეზე დამაყენა, რომ პირდაპირ აღარ ვიცი. (ოფლს იწმენდს). აბა, მოდი, იაგორ! რას იტყვი, ეს ლატანი რომ აქედან ჩავაშენოთ?
- ი ა გ ო რ ი — ვითომ ასე გამოდგება?
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ვნახოთ, მოვსინჯოთ, ცდა ბედის მონახვერეა.
- ი ა გ ო რ ი — ზურაბი რომ აქ იყოს, მოგვეცეს სიცოცხლე, ის კი გამოიგონებდა...
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ჰი! შენც ერთი... ირაკლი ვერ გამოიყენებდა თუ?
- ი ა გ ო რ ი — რატომ! ზურაბი ლითონის საქმის დიდი სპეციალისტია.
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — დიდი კია, მაგრამ ისე დაბერდა, რომ თავისი შემცველი არ გამოუზრდია.
- ი ა გ ო რ ი — აბა, ბიჭო, ვინ გაგზარდა შენ? განა ზურაბი არ გციოთხავდა ლემციებს ინსტიტუტში? რაც ახლა ახალგაზრდები ხართ, სულ ზურაბის კათედრიდან ხართ წამოჩიტულნი.
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეს კი, ბიძია იაგორ, მაგრამ მე იმას ვამბობ, კვლევის საქმეში ერთი თავისი მიმდევარი არა ჰყავს...
- ი ა გ ო რ ი — შენ გგონია, ზურაბს მიმდევარი არა ჰყავს?
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — აბა, ვინ არის, დამისახელე?
- ი ა გ ო რ ი — აგერ, ჩვენი თოღვინთე.
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რას ამბობ? თოღვინთე სადაური ზურაბის მიმდევარია?
- ი ა გ ო რ ი — როგორ არ არის მიმდევარი... სამსახურიდან შინ აცილებს და შინიდან სამსახურში... ამაზე უკეთესი მიმდევარი ჯერ არავის ჰყოლია ქვეყანაზე. (შემოდის ირაკლი).
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — როგორაა საქმე, ირაკლი, გააფორმე ალექსი სამუშაოზე?
- ი რ ა კ ლ ი — ვერ წარმოიდგენ, ვახტანგ, როგორი გახარებული და კმაყოფილი ვარ...
- ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა იყო, რაზე ამბობ?



- ირაკლი — აი, იმაზე, ალექსის საქმე რომ მოვაგვარე...
- ვახტანგი — მერე შენ რა?
- ირაკლი — როგორ თუ რა იცი შენ, რას ნიშნავს სხვისთვის სიკეთის გაწევა? როცა სხვას რამე კარგ საქმეს გავუკეთებ, კაცო, იმ დღეს რაღაც შესანიშნავ გუნებაზე ვარ...
- ვახტანგი — ა, გესმის, იაგორ! თოღვინთე კი სწორედ იმ დღესაა კარგ განწყობილებაზე, როცა სხვას რაიმე ზიანს მიაყენებს. (შემოდის რუსუდანი). მოდი რუსუდან, გაიცანი ჩვენი საამქრო „რვალის“ ახალი ხელმძღვანელი ირაკლი თაბაგარი...
- რუსუდანი — ძალიან სასიამოვნოა!.. (ხელს ჩამოართმევნ ერთმანეთს).
- ირაკლი — როგორც მითხრეს, თქვენ იმ ჯგუფში ივლით თურმე პრაქტიკაზე, სადაც ჩემი ტექნოლოგიური სქემის დამუშავება იწარმოებს...
- რუსუდანი — დიახ, ასეთია ჩემი სურვილი, თუ თქვენ არ იქნებით ამის წინააღმდეგი!..
- ირაკლი — პირიქით, დიდად სასიამოვნოა... მე განზრახული მაქვს, ახალგაზრდობა ფართოდ დავრახმო ჩემი საამქროს გარშემო... (პაუზა) მე თქვენ ისე, შორიდან, გიცნობდით, მახსოვს თქვენი ბავშვობა. ახლა კი დაქალებულხართ... უმაღლესიც დაგიმთავრებიათ... (პაუზა) სიმღერაც გისწავლიათ...
- რუსუდანი — სიმღერა? ეს თქვენ საიდან იცით?
- ირაკლი — დღეს დილით, როცა აქეთ მოვდიოდი, თქვენი სიმღერა შემომესმა... ძალიან მენჭარებოდა, მაგრამ შევჩერდი და სიმღერა ბოლომდე მოვისმინე...
- რუსუდანი — ნუთუ თქვენ ასე ძალიან მოგეწონათ ჩემი სიმღერა?
- ირაკლი — ძალიან. თქვენ ხმაში რაღაც ისეთი ტკბილი ბგერებია, რომ შეუძლებელია ის კაცმა გულით არ მოიწონოს.
- რუსუდანი — (გადაიკისკისებს) ხა, ხა, ხა... რა ქათინაურებს მეუბნებით!
- ვახტანგი — ძალიან გიხდება, რუსუდან, ეს სიცილი. აბა, ერთი კიდევ გადაიკისკისე შენებურად!
- რუსუდანი — ყური რომ გიგდო, შენ უთუოდ გამასულელებ.
- ვახტანგი — მერე რა ვუყოთ... სისულელე და სილამაზე, არცთუ ისე ძალიან დამორებული არიან ერთმანეთისაგან.
- რუსუდანი — ა, კიდევ დიდი სისულელე!
- ვახტანგი — ლამაზი ქალები სულელებად კი არ ჩნდებიან, არამედ ხეპრე კავალრები იმდენს აქებენ, რომ დიდი ქებით სულელდებიან!
- რუსუდანი — რომელი კავალრები, ღმერთო მომკალი, ეს რა მითხრა!
- ირაკლი — ნუ შიაქცევთ ყურადღებას... ამან ასე იცის... არ შეუძლია, თუ სიტყვა ყალყზე არ შეაყენა.
- რუსუდანი — მართალია, მაგრამ მაინც ყველას ძალიან გვიყვარს და შესანიშნავი ამხანაგიცაა...
- ირაკლი — ასე ძალიან ნუ შეაქებთ, თორემ წახდება.
- რუსუდანი — ნუთუ შექებას ადამიანის წახდენა შეუძლია?
- ირაკლი — ქებას რუსუდან, ერთი ძალიან ცუდი თვისება აქვს...
- რუსუდანი — მაინც რა თვისებაა ასეთი?
- ირაკლი — როცა მას აქარბებ, თითქმის ყველას აბრმავებს, სამწუხაროდ.
- რუსუდანი — მაშ, თქვენ ჩემი დაბრმავება გქონიათ მიზნად დასახული!

ირაკლი — მე? თქვენი დაბრმავება?

რუსუდანი — განა დაგავიწყდათ, წელან რომ სიმღერისათვის შემაქვთ?

ირაკლი — მახატივთ, მე ჩემი ალტაცება გამოვთქვი და არა მგონია მან
თქვენზე ცუდი გავლენა იქონიოს!..

რუსუდანი — ეგ არაფერია... მთავარი ისაა, თუ თქვენი იმედი გავა-
მართლე... ხვალიდან ვიწყებ თქვენს კვლევითს ჯგუფში მუშაობას. მშვი-
დობით! (რუსუდანი მიდის).

ირაკლი — ო, რა ძალას ვგრძნობ! ასე მგონია, მთელ ამ საამქროს ზურგზე
ავიციდებ!

ვახტანგი — ჩვეულებრივი ამბავია... ერთხელ სამსონ ძლიერიც ასე მოიქცა.
დალილას ეშხით მოხიბლულმა მთელი კარიბჭე ზურგზე აიკიდა და ისე
გაიარა ქალაქის მოედანი.

ირაკლი — ეგ არაფერი... ჯერ საქმეს მივხედოთ, საქმეს, ჩემო ვახტანგ,
და გულის ამბავი მერე იყოს. აი, ზომ გესმის, რა ხმაურითა და სიმღერით
მოაქვს ჩვენს ბიჭებს საშენი მასალა! აბა, წავიდეთ, მივეშველოთ! (მუშები
სიმღერით შოდინან და მოაქვთ სხვადასხვა საშენი მასალა. იოველს ქა-
ლალღში გაუხვევია ერთი ცალი აგური და იაგორს მიაწოდებს. ლემელის
გარშემო ჩაღდება მუშაობა).

ფარდა

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

ზურაბის ბინა. მდიდრულად და გემოვნებით მოწყობილი ოთახი.

რუსუდანი — (როილას უკრავს, შემოდის ზურაბი, ხალათი აცვია, ხელში
გაზეთი უჭირავს. უსმენს. რუსუდანიმ შეწყვიტა დაკვრა, აკვირდება
ნოტებს).

ზურაბი — (მიდის რუსუდანთან, თვალბუბი უყურებს, აკოცებს). განაგრძე
რუსუდან, განაგრძე. დედაშენს ძალიან უყვარდა ეს პელოდია. (რუსუ-
დანი უკრავს. ზურაბი უსმენს, გაივლის. გაზეთს ჩახედავს. ხელს უკმაყო-
ფილოდ ჩაიქნევს). არა, ეს პირდაპირ შეუწყნარებელია!..

რუსუდანი — რა იყო, მამა?

ზურაბი — როგორ თუ რა იყო? ჯერ საქმე არც კი მიუყვანია კაცს ბოლო-
მდე და უკვე დაიწყო გაზეთში კამპანია!

რუსუდანი — რაო, რას წერენ?

ზურაბი — „ახალგაზრდა ინჟინერმა, ირაკლი თაბაგარმა, დიდი გარდატეხა
მოახდინა ქარხნის ცხოვრებაში. მან ტექნოლოგიურად აითვისა ახალი
შენადნობი — „რვალი“. ეს ლითონი მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ
ჩვენთან იქნა პირველად მიღებული და ახლა მას დიდი სამრეწველო
მნიშვნელობა ენიჭება. გამოდის, რომ მე აქ არაფერ შუაში არ ვყოფილ-
ვარ!

რუსუდანი — ვეკადრება!

ზურაბი — თაო?

რ უ ს უ დ ა ნ ი — რაც მოგივიდა, სულ შენი ბრაღია, მამა! გადაჭყევი ბაღს, ფერმას, აგარაკის მშენებლობას, რამდენი ხანია შენი ახალი ნაშრომი არავის უნახავს?

ზ უ რ ა ბ ი — რუსუდან, გეყოფა-მეთქი, ისედაც გულზე ვარ გასიგებელი კაცი და შენგან ცეცხლის შეკეთება აღარ მჭირდება.

რ უ ს უ დ ა ნ ი — ნეტავ დროზე შემეკეთებინა ცეცხლი შენთვის... ჩაიკეტე ვიწრო საწარმოო გეგმების ნაჭუჭში და ახალზე აღარა ფიქრობ...

ზ უ რ ა ბ ი — მეყო, შეილო, მეყო ამდენი ორომ-ტრაილი... სულ მუდამ დაძაბული ნერვებით მუშაობა ვის გაუგონია!.. ხომ გახსოვს, სამამულო ომის დღეებში რა გაწამაწიაში ვიყავი, ახლაც ხომ ომი არ არის?... (ისმის ტელეფონის ზარის წყარუნი. ზურაბი ტელეფონთან მივა და ყურმილს აიღებს) რაშია საქმე, ნიკიტორე? ავად? ვინ არის ავად? ძროხა? როგორ, კაცო?! იოველიდან რომ ძროხა ვიყიდეთ, ის ავად გახდა და აღარ იწველებოდა? ეჰ, რას ამბობ, კაცო! კარგი, კარგი, ახლავე ათანას გამოგზავნი და წამლებსაც გამოვატან. (ყურმილს ჩამოკიდებს). თუ ზურაბი ვყოფილვარ, ამას მე იოველს არ შევარჩენ...

რ უ ს უ დ ა ნ ი — რად აყოლიხარ, მამა, იოველსა და თოღვინთეს? განა არ იცი, მათ მფარველობას კეთილი ბოლო რომ არ ექნება?!

ზ უ რ ა ბ ი — როგორ, გოგო, ბიძაშენზე ამბობ ამას?!

რ უ ს უ დ ა ნ ი — ბიძაჩემზეც და თოღვინთეზეც. იცი, მამა, თოღვინთე, რატომ დაგიახლოვდა? განა მას უანგარო გრძნობები ამოქმედებს?

ზ უ რ ა ბ ი — ჰო, ჰო, ჰო, რა ჭკუის მასწავლებელი ქალიშვილი მყავს! ახლა რალა მიჭირს.

რ უ ს უ დ ა ნ ი — შენ აგრე ამბობ, მამა, და თოღვინთე კი...

ზ უ რ ა ბ ი — როგორ, გაწყენინა რამე?

რ უ ს უ დ ა ნ ი — არა, მამა, თოღვინთე მე ვერაფერს გამიბედავს, მაგრამ სამშუხაროდ შენ ისე ყავხარ მას მოხიბლული, რომ მის გარდა ველარ ამჩნევ საქმისათვის სასარგებლო აღამიანებს.

ზ უ რ ა ბ ი — რუსუდან, შენ არ შეგფერის ჩემთან ასეთი ტონით ლაპარაკი!

რ უ ს უ დ ა ნ ი — მაპატიე, მამა, მაგრამ მეც ვმუშაობ იმ ქარხანაში და ყველაფერს ვხედავ. ირაკლისადმი შენი დამოკიდებულება ცუდგებარია ჩემთვის. არ მინდა, რომ შენ თოღვინთეს ჰკავდე.

ზ უ რ ა ბ ი — რუსუდან! ნუ გავიწყდება, რომ შენ შეილი ხარ ჩემი და არა მასწავლებელი. ჯერჯერობით მამაშენს უნდა დაუჯერო... აბა, ახლა წადი და, ათანა სასწრაფოდ გამოგზავნე. კარპოზსაც მიხედე, სირცხვილია, კაცი მთელი დღეები მარტო გეყავს მიტოვებული. (რუსუდანი გადის. ზურაბი ტელეფონის ციფრებს აკრეფს) საიდან არის? ქარხანაა? მე ვარ, ზურაბი, გელაპარაკები. ახლავე მანქანა გამოგზავნე. (შემოდის იოველი).

ი ო ვ ე ლ ი — გამარჯობა, ზურაბ ბატონო!

ზ უ რ ა ბ ი — მომატყუე ზომ?

ი ო ვ ე ლ ი — რაში გეთაყვა, რაში მოგატყუე?

ზ უ რ ა ბ ი — აი სწორედ ახლა დამირეკეს... შენგან რომ გიშერა ძროხა ვიყიდე ქარხნის ფერმისათვის, ავად გამხდარა და აღარ იწველება!

ი ო ვ ე ლ ი — არა, გეთაყვა, ეს არ იქნება მართალი. იმისთანა ძროხას მეორეა ვერ ნახავ ჩვენში... მარტო იმისი რქები ღირს, ზურაბ ბატონო, ერთ ძროხად!

ზ უ რ ა ბ ი — რქები და ჩლიქები რა შავ ჭირად მინდა, შე კაცო თუკი არაფერს მოიწველის!

ი ო ვ ე ლ ი — არა, გეთაყვა, შენ ოღონდ კარგად მოუარე მას, დერდლინსა და ჭერის ნადული ბლომად აჭამე და, თუ მაშინაც არ მოიწვევს, აბი, მაშინ მითხარი საყვედური!

ზ უ რ ა ბ ი — მე სირცხვილად ისიც მეყოფა, შენ რომ გამაბრიყვე და ახლა ძროხას აღარ ვატყუებინებ თავს!.. (შემოდის ათანა).

ა თ ა ნ ა — რა იყო, ბატონო, რისთვის შეძახდით?

ზ უ რ ა ბ ი — სამსახურის შემდეგ ნიკიტორესთან წახვალ, ფერმაში, გასაგებია?

ა თ ა ნ ა — კი, ბატონო.

ზ უ რ ა ბ ი — აქ ახლა თოღვინთე წამლებს მოიტანს. იმ წამლებს კი დაუყოვნებლივ ნიკიტორესთან წაიღებ, ფერმაში.

ა თ ა ნ ა — გასაგებია, ბატონო.

ზ უ რ ა ბ ი — ახლა კი წადი და რაც ეზოში ნაკელია, ახვეტე და ჩვენი ვენახის ბაღში შეიტანე!

ა თ ა ნ ა — კი, ბატონო! ახლავე გავფრინდები... (ათანა გადის. შემოდის კარპიოზი).

ზ უ რ ა ბ ი — რას შვრები კარპიოზ, ამდენმა უქმად ყოფნამ ხომ არ მოგაწყინა?

კ ა რ პ ი ო ზ ი — კი, ჭუჭული, უსაქმობისაგან ტვინი მეყინება. სოფელში შეიღებმა არ დამანებეს მუშაობა და შენ კიდევ აქ არ მაქანებინებ ხელს. (იოველს მიესალმება) სულ დაისვენე-დაისვენეო, რომ მელაპარაკებით — დავიღალე, ბატონო, ამდენი დასვენებით, მეტი აღარ შემიძლია.

ზ უ რ ა ბ ი — ნაშუადღევს მოდი ჩემთან, წარმოებაში, და რაიმე თავის გასართობ საქმეს გამოგინახავ. თოღვინთემ უკვე იცის ამის შესახებ.

ი ო ვ ე ლ ი — მე კი რა პასუხს მაძლევ, ოქრო? ნუთუ სრულებით არ გინდა თავი შეიწუხო ჩემი გულისათვის?

ზ უ რ ა ბ ი — ღმერთო! მოყვრებისაგან გადაპარჩინე და მტრებს, როგორც იქნება გაუუმკლავდები!

კ ა რ პ ი ო ზ ი — აგერ, ავტომობილიც მოვიდა, ზურაბ ბატონო, თქვენ გელოდებით!

ზ უ რ ა ბ ი — თოღვინთე სად არის, რატომ იგვიანებს?

კ ა რ პ ი ო ზ ი — აქვე არის, მებაღეს ელაპარაკება...

ზ უ რ ა ბ ი — უთხარი, ახლავე გზაში დამეწიოს... (მიდიან, კარპიოზი ზურაბს გააცილებს, იოველი ზურაბს შეაჩერებს).

ი ო ვ ე ლ ი — მამ, გამოდის, რომ აღარ გადაგყავარ ახალ მშენებლობაზე?

ზ უ რ ა ბ ი — არა.

ი ო ვ ე ლ ი — რატომ, ოქრო? შენ ხომ შეშპირდი, შეგებულებიდან დაბრუნების შემდეგ ახალ მშენებლობაზე გადაგიყვანო?

ზ უ რ ა ბ ი — (კარპიოზს მიუბრუნდება). თუ ძმა ხარ, მოდი, გამაგებინე ერთი, რატომ არ უნდა ამ კაცს თავის ძველ ადგილს დაუბრუნდეს?

კ ა რ პ ი ო ზ ი — ალბათ მოსწყინდა ჭუჭული, ძველი ადგილი... ხომ იცი, ცხვარიც არ უბრუნდება მეთრეჯენ ნაძოვარ ადგილს.

ზ უ რ ა ბ ი — მორჩა, ამაზე გავათავეთ ლაპარაკი. (ზურაბი და კარპიოზი გადიან. საჩუქრებით შემოდის თოღვინთე).

ი ო ვ ე ლ ი — ეგ არის საქმე? ეს დავიშახტურე ზურაბისაგან? ახლაც ყოყმანშია... არ უნდა ახალ მშენებლობაზე გადამიყვანოს...

- თოღვინთე — არაფერია, შენ ჩუმად იყავი ამ საქმეს მე მოვაგვარებ, შენ ოღონდ რუსუდანთან დამეხმარე... მოიწი აქეთ... (სიფრთხილისათვის ადგილს ინაცვლებენ).
- იოველი — რა იყო?
- თოღვინთე — ხომ ხედავ, როგორ დამღუპა ირაკლის ჩამოსვლამ მოსკოვიდან?
- იოველი — ეგ არაფერია, მაგის წამალი მე უკვე გამოვნახე!
- თოღვინთე — როგორ?
- იოველი — შენ რა გინდა, გამოსავალი მე უკვე ნაპოვნი მაქვს, ჩემო თვალისჩინო!
- თოღვინთე — მაინც?
- იოველი — ირაკლი და რუსუდანი ერთმანეთს უნდა წაეახსუბოთ...
- თოღვინთე — ჩინებულია, მაგრამ ეს როგორ მოვახერხოთ?
- იოველი — ეგეც მოფიქრებული მაქვს, ოქრო!.. ერთ მშვენიერ დღეს ირაკლი და ზურაბი ყოჩებრით უნდა დავატაკოთ ერთმანეთს... ამას კი რუსუდანი არასოდეს არ აპატიებს ირაკლის. მე ვიცი, ოქრო, ჩემი დისწულის ხასიათი.
- თოღვინთე — კარგია, შესანიშნავია!..
- იოველი — მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ჩვენი ხელი ვერავინ შეამჩნიოს...
- თოღვინთე — ყოჩაღ! მკვდარი ვიყავი კაცი და პირდაპირ გამაცოცხლებ, აბა, მიდი ახლა და დაბოძებ, გენაცვალე!
- იოველი — იოველი არ ვიყო, თუ ჩემი დისწული შენ არ გაგირიგე... რა ეშმაკად მინდა ირაკლისთან დამოყვრება, იგი სრულიად უცხოა ჩემთვის... შენ კი, შენ სულ სხვა ხარ, ყოჩალი, გულისხმიერი... მრავალ ჩემს მეგობარს, შორის მხოლოდ შენ გამიმართლე იმედი.
- თოღვინთე — (მაჯაზე საათს შეიხსნის). ამ ტკბილი სიტყვისა და მრავალი სხვა დამსახურებისათვის ეს მაჯის საათი შენთვის მიჩუქებია!
- იოველი — არა, გეთაყვა, არა, ჩემო თვალისჩინო...
- თოღვინთე — მაცალე, ჩემი ხელით მინდა მაჯაზე გაგიკეთო.
- იოველი — რა საჭიროა, ყმაწვილო, ახლა ეს?
- თოღვინთე — შენი ყურადღება და ამაგი მე ჯერ არაფრით გამომიხატავს... ნება მომეცი, ამ მცირე სახსოვრით მაინც ავლნიშნო ჩემი შენდამი სიყვარული.
- იოველი — რაკი არ იშლი, რა გაეწყობა... ვლებულობ, ისევ შენი სიყვარულისა და პატივისცემისათვის. აგერ, კარპიოზიც აქეთ მოდის. (შემოდის კარპიოზი, მას ლანგრით შემოაქვს სასმელი და საუზმე).
- კარპიოზი — მოდით, ქუეული, ცოტა წაეისაუზმოთ... მარტო შევექეცი, მაგრამ ლუკმა არ გადავიდა ყელში: აბა, მიირთვი ჭირიმე!
- თოღვინთე — ეს რა არის?
- კარპიოზი — მწვადია ქუეული.
- თოღვინთე — ეს კი კარგი საქმეა. აბა, მოდი, იოველი!
- იოველი — შენ რა სულ ჭამაზე გიჭირავს თვალი, ჩემო თვალისჩინო, სხვა არაფერი გახსოვს, ოქრო?
- თოღვინთე — სხვა რა უნდა მახსოვდეს... როცა დავიბადე, პირველად ჭამავისწავლე.

- კარპიოზი — აბა, ახლა ესეც გასინჯეთ, ჭუკული, ნამდვილი, ცოცხალი გურული არაყია.
- თოღვინთე — გურულია კი?
- კარპიოზი — რა ექნა, ჭუკული, ყაბალახს ვერ დაეახურავ თავზე და კრიმანჭულს ვერ ვათქმევინებ, თორემ, ისე კი ნამდვილად გურულია. აბა, იცოცხლე, იოველ ბატონო! მეტს არ გისურვებ და ერთი საწყალი ყვავი რომ ცოცხლობს, იმდენი შაინც გაგეძლოს.
- იოველი — მაღლობელი ვარ, ოქრო, მაგრამ ყვავს რომ დამატოლე, ეგ კი აღარ მომეწონა!
- კარპიოზი — როგორ, ჭუკული, იწუნებ თუ? ყვავი ორას წელიწადს შაინც ცოცხლობს ქვეყანაზე.
- თოღვინთე — მერე ესაა ბუნების სამართალი? ორასი წლის წინათ გამოჩეკილი ყვავი ახლა მამაჩემის, მევარკაცის, საფლავზე უნდა დაფართუნობდეს?!
- კარპიოზი — ყვავს რას ერჩი, ჭუკული! ყვავი რომ ჰქვია, იმიტომ აიგდნ თუ? აბა, დაუკვირდი მაგათ ცხოვრებას! გულს არაფერზე არ მოიყვანენ, ღვინოს არ სვამენ, ერთმანეთს ცილს არ სწამებენ, მათ შორის არც ინტრიგანია და არც მლიქვნელი.
- თოღვინთე — ბოდიში, აგერ უნდა გავიღეთ, საქმე გვაქვს, ცოტახანს... შენ კი განაგრძე, კარპიოზ! (იოველი და თოღვინთე გადიან).
- კარპიოზი — (მარტო დარჩა). რა არის ახლა ეს? ეჰ, მარტოხელა კაცი ქამაშიაც ბრალიაო, რომ იტყვიან, სწორედ ჩემზედაა ნათქვამი. მაგრამ არაფერია, ამას შაინც გადავკრავ! ჩემი სადღეგრძელო არ დაუღვეიათ. მაგრამ სამაღლობელს შაინც დაეღვე. იცოცხლეთ, კარგად იყავით, მეგობრებო. გისურვებთ, ღვინო არ მოგკლებოდეთ და, საქმე და მუშაობა, ვიცი, არასოდეს მოგაკლდებათ. (კედელზე გაბაშვილის სურათს შეხედავს. დიდხანს აკვირდება ზურგშექცეულ მონადირე ხევსურს). იცოცხლე, ჭუკული! შენც ზურგი შემაქციე ხომ? არა, საინტერესოა, შაინც სად, გაუჩინარდენ? ათანა, სადა ხარ, ათანა! (კარპიოზი გადის. შემოდის რუსუდანი, შემდეგ თოღვინთე).
- რუსუდანი — (ტელეფონთან მივა) დიახ. ეს მე ვარ, ელიკო. კი, უკვე მზადა ვარ... თაიგულით მოვდივარ... დიახ, სწორედ იქ მოვთავსებ, სადაც შენ მითხარი! (ტელეფონის ყურმილაკს ჩამოკიდებს, წასვლას აპირებს, მაგრამ თოღვინთე წინ გადაუდგება).
- თოღვინთე — რუსუდან!
- რუსუდანი — (შეჩერდება).
- თოღვინთე — ეს თაიგული თქვენი ნახელავია?
- რუსუდანი — დიახ, მე დავკრიფე.
- თოღვინთე — როგორც ვიცი, თქვენ წინათ თაიგულებით არ დადიოდით სამსახურში!
- რუსუდანი — მართალია, მაგრამ ეს ხომ აკრძალული არ არის?
- თოღვინთე — რუსუდან!
- რუსუდანი — რაო, რა გნებავთ?
- თოღვინთე — ჩვენ ახლა მარტონი ვართ... ხომ შეიძლება, ორიოდ სიტყვა გითხრათ გულახდილად?

რუსულდანი — თქვი, ყურს გიგდებ!

თოღვინთე — ნუთუ არ ზედავ, რუსუდან, როგორ უნაყოფოდ ვიღუპები?
შენი მიზეზით კაცი ლამის ჩამოვდნე ზეზეურად...

რუსულდანი — ვერ გამოიგია, რას დამდევე, რა გინდა ჩემგან?

თოღვინთე — შენი აღერსიანი სიტყვა მინდა, რუსუდან, შენი წყალობა,
შენი სიყვარული...

რუსულდანი — (იცინის). საბრალო რომეთ! ახალგაზრდულ სისხლის მჩქე-
ფარებას როგორ აპყოლია!

თოღვინთე — რუსუდან! მე არც ისე ზნეერი ვარ... მე...

რუსულდანი — როგორ მიბედავთ!.. ერთხელ ხომ გაგაფრთხილეთ, ამის
შესახებ არაფერი მითხრათ-მეთქი?! (თაიგულს აიღებს და მიდის).

თოღვინთე — სად, რუსუდან? შეჩერდი, სად გარბინარ?

რუსულდანი — წინ ნუ მელობები, გზა მომეცი; სამსახურში მაგვიანდება...

თოღვინთე — აგერ, ავტომობილი მიცდის და ერთად წავიდეთ... გზაც
ერთი გვაქვს.

რუსულდანი — მე თქვენთან საერთო გზა არასოდეს არა მქონია და არც
მეჭნება.

თოღვინთე — მაშ, აგრე ხომ? მე ვიცი ვის გავლენას ემორჩილება ამჟამად
თქვენი გული... შენ ირაკლი გიყვარს!

რუსულდანი — არ ახსენო იგი!

თოღვინთე — მაგრამ მამაშენი ჰკვიანი კაცია. თქვენს ქორწინებას იგი არა-
სოდეს არ დაუშვებს...

რუსულდანი — კმარა, გაჩუმდი... მე თქვენი ცხოვრების მოზიარე არასდროს
არ ვიჭნები. (გადის).

თოღვინთე — კარგი, მე გავჩუმდები, გენაცვალე! მაგრამ, იცოდე, ნამდვილ
ბრძოლას მე ახლა ვიწყებ... სადაც წახვალ — ლანდივით უკან გამოგყევი...
ყოველ გზაჯვარედინზე დაგიხვდები... არ მოგცემ სულის ამოთქმის სა-
შუალებას არც შენ და არც იმას... იქნებ შენ ფიქრობ, მე ვერ შევძლებ
ჩემი ქაღილის შესრულებას? არა, გენაცვალე... თოღვინთეს სიტყვა კანო-
ნია! ახლა კი წადი, იჭიკვიე, ჩემო მერცხალო. შენ მალე მიხვდები შენს
შეცდომას. ჰმ! ცრემლებიც რომ გადმოღვარა! ეს რაო, ცრემლებით გინდა
თავი შემაბრალო? არა, გენაცვალე! მე ქიმიური ანალიზით მაქვს გამოკვ-
ლეული, რომ დედაკაცის ცრემლის დიდი ნაწილი უბრალო წყალია. (თო-
ღვინთეს უკან მიაქვს მოტანილი საჩუქრები და აღელვებული გადის. შე-
მოდის რუსულდანი. ისმის ქარხნის საყვირის ხმა).

რუსულდანი — (თაიგულს აიღებს). როგორ წავიდე ახლა ასეთი მოწამლული
გუნებით სამსახურში... ეს ყველაფერი მამაჩემის ბრალია. დაიხლოვა,
შეიჩვია და ახლა აზია ჩვენზე, რასაც გვიბედავს... (რუსულდანი მიდის,
კარებთან შეხვდება კარპიოზს, რომელსაც ნარდი მოაქვს).

კარპიოზი — საით გაგიწვია, რუსუდან?

რუსულდანი — სამსახურში, ბიძია, კარპიოზ!

კარპიოზი — შენც დაიწყე სამსახური, ჭუკული?

რუსულდანი — ისე, ჯერჯერობით პრაქტიკაზე დავდივარ ქარხნის ლაბო-
რატორიაში.

კარპიოზი — წადი, ჭუკული, წადი... ღმერთმა ხელი მოგიმართოს...

(რუსუდანი გადის. შემოდის იოველი). შენ საით იოველ, რა მიგაჩქარებს? დაიცა, ქუქული ცოტა, ვილაპარაკოთ და მერე წადი!

იოველი — ეჰ, სად მცალიან, საყვირის ხმა არ გესმის, ჩემო თვალებისნიშნოვანი კარპიოზი — მერე ამხელა კაცი საყვირის ქუაზე დადიხარ, ქუქული? მოდი, თუთუნი მოვწიოთ, ნარდი ვითამაშოთ!

იოველი — რა დროს ნარდია, კარპიოზ... ეს მერე იყოს, როცა სამსახურიდან დავბრუნდები. (იოველი გადის).

კარპიოზი — არა, მართალი რომ თქვას კაცმა, თუ რამეს ხელი არ მოეკიდე, ამდენი უქმად ჯდომა სულ გამომაყრუებს! ერთი კვირაა აქა ვარ და უკვე მომწყინდა... ჩემთვის აღარავის სცალია... უწერია, ბატონო, იმ პკვიან კაცს ეფუთში, ყველაფერი უწერია... ერთი ისეთი დრო დადგება, რომ კაცი კაცის დასალაპარაკებლად ვერ მოიციდისო, ა, არაა მართალი? ხომ სრულდება ყველაფერი! (შემოდის ათანა). სად მიდიხარ, ქუქული. შენ?

ათანა — სად მივდივარ და საქმეზე!

კარპიოზი — დაგელოცა, ღმერთო, სამართალი, ათანასათვისაც რომ საქმე გამოგინახავს!

ათანა — შენ ასე ნუ მიყურებ მე! ქარხნის ეზოს დამგველი გახლავარ და ხანდახან ზურაბსაც ვეხმარები ვენახისა და ბოსტნის მოვლაში...

კარპიოზი — წადი, ქუქული, წადი, საქმეზე არ დაგავიანდეს, თუ არა უშენოდ ქვეყანა დაიქცევა... (ათანა გადის). ამხელა სახლში ჩემს გარდა არავინ რჩება, ნეტავ? ვხედავ, აქ ჩემთვის არავის სცალია. აგერ, ზურაბის ძმისწულს, პატარა ნანულისაც აუწყვია ფრთები! შენ საით, სულიყო?

ნანული — (ნანულის მხოლოდ ხმა ისმის აივნიდან, თვითონ კი არა ჩანს). სკოლაში მივდივარ, ძია კარპიოზ!

კარპიოზი — სკოლაში?

ნანული — ჰო, სკოლაში... ვიცი, დღეს მასწავლებელი გამომიძახებს და მინდა ფრიადზე ჩავაბარო...

კარპიოზი — წადი, ქუქული, წადი, ნუ აგვიანებ... სწავლას რა სჯობს! ნეტავ შენხელა ვიყო ახლა და მეტი არაფერი მინდა!.. (კარპიოზი ჩაფიქრებული დგას, შემდეგ რადიომიმღებს ჩართავს. რადიომიმღები დაიხრიალდება. კარპიოზი უკან დაიხვეს და გულმოსული წამოიძახებს) შეგარცხვინათ ღმერთმა! ხედავთ, როგორ შემომეცალა ყველა? რა ვქნა ახლა მე? ისე მარტო დავრჩი, რომ კაცი არა მყავს გამომლაპარაკებელი! კი, მარა, სანამ სამსახურიდან დაბრუნდებოდნენ რას უნდა გადავაციო ახლა გული მე? სოფელი სულ ამან შემაძულა... მთელი ქვეყანა სამუშაოდ გადიოდა... ვერც შენსას, ვერც სხვისას კაცი ვერ ნახავდი უქმად გაჩერებულს, ყველა რაღაცა ფუსფუსსა და ქოთქოთში იყო გართული... ყველა რაღაცას აკეთებდა... რას შერებიან, კაცო, ეს კომუნისტები! რამ გაამწიართ ასე? ვის გაუგონია ყოველდღე ასეთი გახურებული მუშაობა? (თამაშობს ნარდს მარტო). ჩარი იაქე! (იცვლის ადგილს, შემდეგ ვაპყრის კამათლებს). კიდევ ჩარი იაქე! (იცვლის ადგილს და ისევ გაყრის კამათლებს). ისევ ჩარი იაქე! ფუჰ, შეგარცხვინა ღმერთმა! ეტყობა, აქ უქმად გაჩერება აღარ მარგებს, უქმად ყოფნისაგან ტვინი გამეყინება... წავალ ისევ და ზურაბს მივაკითხავ ქარხანაში. რაც იქნება, იქნება, მეც ჩავებმები ამ ქვეყნის ორომტრიალში. (მიდის).

სურათი მეორე



ქარხნის ბაღში, საღამოა. შორს მოჩანს: ესტრადის ქონგური, ჰორიზონტზე ლამაზონები, შთაწმინდა და კომკავშირის ზეივანი. კონცერტის დაწყებამდე ქალიშვილები ბაღის ამ განაპირა ადგილას შეგროვილან და გიტარაზე მღერიან. აქვეა რუსუდანი და ელიკო.

სულ შედამ თბილი არ არის დარი,
გულმაკ კი იცის ნაღველით თოვა,
ხან თუ საღამო დადგება წყნარი,
ხან კიდევ სევდა ფარულად მოვა.
მაგრამ შემუსრავს შავ ბოდმას გული,
დიდხანს ვერ გასტანს ჩვენს გულში გლოვა,
შავ ღრუბლებს ცაზე გაფანტავს ქარი
და სიყვარული კვლავ ჩვენთან მოვა!...

(სიმღერის შემდეგ რუსუდანი განცალკევდება. რედიკულიდან ამოიღებს ლექსს და კითხულობს. ბაღში ისმის ხარის ხმა და შორეული ტაში).

ელიკო — კონცერტი იწყება, ვიჩქაროთ, წავიდეთ, გოგოებო! (შეამჩნევს მოწყენილ რუსუდანს). რა მოგივიდა, რუსუდან! რატომ ხარ ასე მოწყენილი?

რუსუდანი — (გამოერკვევა). რატომ გგონია, რომ მოწყენილი ვარ?

ელიკო — მართლა, ის მინდოდა მეკითხა, ირაკლი არ გინახავს დღეს?

რუსუდანი — ირაკლი? კი ვნახე... არა, დღეს არ მინახავს.

ელიკო — ო, რა კაცია, რა ადამიანი? წარმოიდგინე, გაიოზიც კი აამუშავა!..

რუსუდანი — შენ გაიოზზე არაფერი გეტქმის, ჩუმად იყავი... ვიცი, მოგწონს და ტყუილ-უბრალოდ აწვალებ იმ ბიჭს.

ელიკო — რატომ იცი, რუსუდან, ასეთი უცნაური ახირება! რაზე მეტყობა, რომ გაიოზი მომწონს?

რუსუდანი — მაპატიე, მე კი ასე მეგონა...

ელიკო — ო, რა საცოდავი ვართ ქალები! საკმარისია ერთი ნაბერწყალი და პეპელასავით ვიხრუკებით. ო, რა კარგი და მიმზიდველია ეს გრძნობა... თითქოს მთელი არსებით მთვრალი ხარ... რაღაც უხილავი ნექტარი სულში გეწვევთება, და მღერი ამ ღროს, მღერი, ისე, შენდაუნებურად. (აიღებს გიტარას, ჩამოკრავს სიმებს და მღერის. მას ეხმარება რუსუდანიც).

შავ ბოდმას უცებ შემუსრავს გული,
და ვინც შენ გიყვარს, ის შენთან მოვა!

(ამ ღროს შემოდინა გაიოზი და დათუნია).

გაიოზი — (ბიჭები ტაშს შემოკრავენ). ერიპა! გვეგონა, ჩვენ მოსასმენად მოდიხ და თქვენ კი თვითონ გაგიმართავთ აქ კონცერტი!

ელიკო — წამოდი, რუსუდან! (გაიოზს). დიან, კონცერტზე მივდივართ. მაგრამ არა თქვენს მოსასმენად.

გაიოზი — ნუ მიწყრები, ჩემო, იადონო! სწორედ თქვენი გულისათვის გამოვიპარეთ აქ... (დათუნია). სად დასტოვე, ბიჭო, ის ჩემოდანი? ერთი ამას უყურეთ! გარდერობის გამგის თანამდებობა მიიღო ჩემგან და

ხედავთ, როგორ ასრულებს? იმ ჩემოდანში, ბიჭო, მთელი ჩვენი საკონცერტო რეკვიზიტია. აბა, გაიქე, გაიქე, დათო და ის ჩემოდანი აქ მოიტანე! დათუნია — როგორ, კაცო! სულ რომ მე მამუშავებ, სინდისი აღირაგებებს? გაიოზი — აბა, ასეთები არ იყოს... წადი და მოიტანე! (დათუნია გადის). რუსუდანი — სადა ხარ, გაიოზ, ეს ერთი ხანია, აღარ ჩანხარ, სულ ასე როგორ დაგვივიწყე?

გაიოზი — საქმე, რუსუდან, საქმიანი კაცი შევიქენი... ირაკლიმ მე კი არა, მთელი ჩვენი საამქრო ფეხზე დააყენა!

რუსუდანი — ელიკო მაინც როგორ დაივიწყე... უშენოდ ჯავრით აღარაა... ელიკო — რას ამბობ, რუსუდან... რა ხუმრობაა ახლა ეს?

გაიოზი — მაგას ვენაცვალე მე!.. ცოტა გაბუტული კია ჩემზე, მარა ახლავე მოვიყვან გუნებაზე... (მიუახლოვდება და „ციცინათელას“ მიუმღერებს).

ელიკო — კარგი ბიჭო, თავი გამანებე, ნუ გამაყრუე მაგ შენი როხროხით!.. გაიოზი — რას მარიდებ მაგ ელვარე გიშრის თვალებს,

შავ ლამეშიც ცასავით რომ არის ღია,
თუ გასტყორცნეს სიყვარულის ნაპერწკლები,
ელვის ცეცხლით გულში ჩაგივარდებიან!
(შემოდის დათუნია და შემოაქვს ჩემოდანი).

— ნახე, დათუნია, ჩემოდანი? აბა, აილე ხელში და წავიდეთ კონცერტზე. დათუნია — რაა, კაცო, ეს? სულ დათო და დათო! თითქოს-და შენი ბიჭი ვიყო!

გაიოზი — მოკიდე ხელი! ხომ იცი, დიდ კაცთან სამსახური არ დაგეკარგება... (რუსუდანს და ელიკოს). თქვენც წამოდით, კონცერტს მოუსმინეთ!

რუსუდანი — მაინც რას მღერით? საინტერესოა, თუ ღირს მაინც მოსასმენად?

დათუნია — ამისი ლექსია, ელიკოსადმი მიძღვნილი... პაპულამ შეგვა-სწავლა.

გაიოზი — გაჩერდი, ბიჭო! რას წაგიგრძელებია ენა?!

დათუნია — რა ვიცი, რა! სანამდე გინდა, დამალო. კონცერტზე მაინც მიგინებდებიან. მოდი, ბიჭო, აქ ვიმღეროთ, რეპეტიცია ხომ მაინც გვჭირდება?

რუსუდანი — კარგია, დაიწყე... ნუ გეშინია, გაბედე, გაიოზ, ჩვენც მოგეხმარებით.

გაიოზი — არა, კაცმა რომ თქვას, რა მჭირს სათაკილო! აბა, დაიწყე, დათუნია! (მღერიან. რუსუდანი და ელიკოც ეხმარებიან).

ვით ნიავის ნაზი ფრთები
დაქრა ნელი-ნელა,
ლამეშიაც კი ანათებ,
როცა ირგვლივ ბნელა,
ო, ელა, ელა, ელა!

შენი სახე მივამსგავსე
ცაზე ცისარტყელას
და მას ვკითხე, ის სად არი,
ვინც სჯობია ვეელას...
ო, ელა, ელა, ელა!

მოთხრა: მინდვრად წავიდაო,
ყვავილთ საყნოსველად,
წაველ, ენახე ვამლიღიყვენ
ვარდ-ყვავილნი ველად...
ო, ელა, ელა, ელა!

მაგრამ იქაც ვერ გიპოვე
ცელქი ცუგარუმელო,
ახლა რა ვქნა, სად წავიდე
შენდა საქმენელად!
ო, ელა, ელა, ელა!



(ისმის ზარის ხმა. დათუნია დ გაიოზი გადიან).

ე ლ ი ც ო — უკვე ზარია, წავიდეთ, რუსუდან!

რ უ ს უ დ ა ნ ი — კარგი, წადით, მეც მალე მოვალ.

ე ლ ი ც ო — აქ რა გაგაჩერებს მარტო?

რ უ ს უ დ ა ნ ი — არაფერია, წადით... ცოტახანს მარტო მინდა დავერჩე... (ქალი-შვილები ელიკოსთან ერთად გადიან. რადიოში ისმის რომანსი. რუსუდანი ამოიღებს დაკეცილ ქალაღს, გაშლის და კითხულობს).

ამქვეყნად ბევრი საღხინო რამ შეგულებოდა,
გული ტყებოდა შორეული ფიქრებით სავსე,
და აი, შემხვდი, ჩემო კარგო, როგორც მზის სხივი
შეხვდება დილით კაცს მიმავალს ცხოვრების გზაზე.
შემხვდი, ავენოე, თან დაგბრძავედი, ამ ბრწყინვალეობით,
რა მჭირს, არ ვიცი, ვერას ვამბობ უძლეობი ვნით,
საითაც წავალ, თან მიწყევბა შენი თვალები
და სული ჩემი, გულიც ჩემი სავსეა შენით!

(რუსუდანს თვალზე ცრემლი მოერევა). კარგია... ნეტავი ვისია?! (შემოდის ირაკლი).

ი რ ა კ ლ ი — რუსუდან!

რ უ ს უ დ ა ნ ი — (შეკრთება). ოჰ, როგორ შემეშინდა...

ი რ ა კ ლ ი — მაპატიეთ... მე თქვენ კონცერტზე მეგონეთ. ახლა მითხრა ელიკომ, ბაღში არისო. ლექსს კითხულობდით?

რ უ ს უ დ ა ნ ი — დიახ...

ი რ ა კ ლ ი — რა ლექს?

რ უ ს უ დ ა ნ ი — გამომიგზავნეს, მაგრამ არ ვიცი, ვისია. ძალიან მომწონს. დღეიდან სიმღერა უნდა მივატოვო... ამიერიდან სულ ლექსების კითხვას დავეწაფები. (კითხულობს ლექსის პირველ ტაეპს).

ი რ ა კ ლ ი — ვიცი ეს ლექსი...

რ უ ს უ დ ა ნ ი — საიდან?

ი რ ა კ ლ ი — ახლა ნურათფერს მკითხავთ... ეს შემდეგ იყოს... (შემოდის ვახტანგი).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — სადა ხარ, ირაკლი? გეძებ და არ იქნა შენი ნახვა!

ი რ ა კ ლ ი — რა იყო, რა ამბავია?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ზურაბმა დამიავალა: ირაკლი სასწრაფოდ მომინახე და ჩემთან, კაბინეტში მომიყვანეო?

ი რ ა კ ლ ი — საოცარია! რა უნდა ნეტავ?!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მასთან სხვებიც არიან. შენ გიცდიან. ზურაბმა თქვა, სანამ ახალ პროექტს მე თვითონ არ მოვიწონებ, ისე ტექნიკური საბჭოს სხდომას არ მოვიწვევო.

ი რ ა კ ლ ი — სამწუხაროდ, გვინდა თუ არა, ეს სხდომა მაინც შედგება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეტყობა ჩქარობენ... წინასწარ უნდათ შენ პროექტს ნიადაგი გამოაცალონ.

ი რ ა კ ლ ი — შენ ფიქრი ნუ გაქვს... ჩემი პროექტი ისეთი უძლეური არ არის, რომ მას უბრალო განხილვებმა სამარე გაუთხარონ. წავიდეთ, ვახტანგ!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არა, ასე ნუ ჩქარობ, ცოტა კიდევ შეგიძლია დარჩე. მე ცოტა ხნით აგერ შევიხედავ, თუ რა ხდება ესტრადაზე. (ვახტანგი სასწრაფოდ გადის).

ი რ ა კ ლ ი — (მცირე ხნით დაბნეული დგას. ვერათფერის თქმას ვერ ახერხებს).

ბოდინში, რუსუდან... სამწუხაროდ, მე უნდა დაგტოვოთ... (მებრუნდა და მიდის).

რუსუდანი — ირაკლი!

ირაკლი — (შეჩერდება). რა იყო, რუსუდან?

რუსუდანი — მე ვიცი, რომ თქვენი პროექტი „რვალის“ ახალი კორპუსის აგებას გულისხმობს სწორედ იმ ადგილას, სადაც მამას, იოველსა და თოღვინთეს თავიანთი კერძო ზიარი ბალი აქვთ გაშენებული.

ირაკლი — დიახ, ასეა და ალბათ გინდათ მკითხოთ, ნუთუ ეს შესანიშნავი ბალი არ შენანება? გეთანხმებით, კარგია ქარხნის ბალი, თქვენი ბალიც შესანიშნავია, მაგრამ ეს ახალი საქმეც არ არის უმნიშვნელო...

რუსუდანი — მე ისიც ვიცი, რომ მამას ძალიან ეწყინა, როცა პირველად თქვენი პროექტის ამბავი გაიგო...

ირაკლი — ეგ არაფერია. პატარა წყენას საჭირო და სასარგებლო საქმისათვის ადვილად აიტანს ჩვენი კაცი.

რუსუდანი — მაგრამ მამა თუ წინააღმდეგი წავიდა? ის ბაღს ცოცხალი თავით არავის დაუთმობს!

ირაკლი — თქვენ ასე ფიქრობთ? სამწუხაროა! მამათქვენს თავისი ძვირფასი თავი ძალიან იაფად შეუფასებია. ქარხნისათვის აუცილებელს, ხალხისათვის სასარგებლოს, ძვირფასს და ახალს ვერავითარი თავი ვერ შეაჩერებს, და თუ ის მაინც წინ გადაელობება მას, აუცილებლად დაიმსხვრევა.

რუსუდანი — როგორ?

ირაკლი — ეს სიმართლეა, რუსუდან! შეიძლება ზოგიერთებისათვის მწარე, მაგრამ მაინც სიმართლეა!

რუსუდანი — მე მჯერა თქვენი, მაგრამ ამასაც გთხოვთ: თუ თქვენ გაქვთ რაიმე პატივისცემა... ჩვენი ოჯახის, ან ვინმესადმი ჩვენს ოჯახში, მამასთან ფრთხილად იყოთ, მოძებნეთ მასთან საერთო ენა, ნუ გააღიზიანებთ, ნუ გააჯავრებთ, ნუ იქნებით მასთან უხეში.

ირაკლი — მე აქ, ქარხნის თავშესაფარში, ისე აღვიზარდე, რომ გაღიმებულად არავის ვუნახავარ... ამის გამო ბავშვები გოროზს და ამას მეძახდნენ! მაგრამ გულთ კი არ ვიყავი ასეთი. მე პატარობიდანვე მიტაცებდა ადამიანებისადმი სიყვარული, მაგრამ ადამიანის ნაკლი, მისი ცული მხარე ყოველთვის შეურიგებლობას იწვევდა ჩემში. იცოდეთ, რუსუდან, მე ზურაბისადმი ვიქნები გულწრფელი, მაგრამ, რაც მჯერა, მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეთმობ!

რუსუდანი — ირაკლი! თქვენ კარგად ხედავთ, თუ რა ხდება ქარხანაში, ამიტომ, ადვილად მიხვდებით თქვენი პროექტისადმი მამაჩემის მკაცრი დამოკიდებულების მიზეზს.

ირაკლი — სწორედ ამიტომ, ჩემო რუსუდან, მე მამათქვენს არაფერს არ დავუთმობ.

რუსუდანი — (ამოიღებს ლექსს) მე მეგონა, ვიცანი ხელი, თუ ვისი დაწერილი იყო ეს, მაგრამ ვხედავ, რომ შევცდარავარ (უნდა დახიოს).

ირაკლი — (შეაჩერებს) არა, რუსუდან... მერწმუნეთ, ჩემი ასეთი შეურიგებელი დამოკიდებულებით მე უფრო მეტ სარგებლობას მოვუტან საქმეს და თვითონ ზურაბსაც, ვიდრე თქვენს რჩევას დავუჯერო და უმოქმედობით მიმოვიქილოს! ამ ლექსს ნუ დახვეთ. თქვენს პირველ აზრსაც ნუ შეიცვლით. ნახვამდის. (ირაკლი გადის).



რ უ ს უ და ნ ი — (დარჩება ლექსით ხელში. არ იცის, რა ქნას).

ე ლ ი კ ო — (სასწრაფოდ შემოიჭრება). რუსუდანი! სადა ხარ? ჩქარა, წამოდი, გაიოზისა და დათუნისა გამოსვლა!

რ უ ს უ და ნ ი — წავედეთ, ელიკო, ახლავე მამასთან წავედეთ ქარხანაში!

ე ლ ი კ ო — ქარხანაში? რა გვინდა ახლა ქარხანაში?

რ უ ს უ და ნ ი — წამოდი! ახლა იქ ირაკლის პროექტის განხილვაა!

მ ე ს ა მ ე ს უ რ ა თ ი .

ქარხნის დირექტორის კაბინეტი.

სცენაზე არიან ზურაბი, იოველი, თოდუნთე, არილი, გიორგი, რუსუდანი, ელიკო და სხვა თანამშრომლები. ირაკლი დაფასთან დგას და ფორმულებს ცარცით აღნიშნავს, ხოლო მეორე დაფაზე გაშლილია დიდი რუკა, რაზედაც მოჩანს გაფართოებული საამქროს მთავარი კორპუსი და მისი ადგილმდებარეობა.

ი რ ა კ ლ ი — აი, ამხანაგებო, მე თქვენ დაგიბტკიყეთ, ჩემ მიერ შემზადებულ შენადნობს თუ რა დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს; აგრეთვე თქვენ ვაგაცანით ახალი ფოლადის ტექნოლოგიური სქემა და მისი თვისებები. ამგვარად, თქვენ ახლა უკვე გარკვეული წარმოდგენა გაქვთ, თუ რა იშვიათ ლითონთან გვაქვს საქმე. ასეთი უმაღლესი სიწმინდის ფოლადი, რომელსაც ტანკსაწინააღმდეგო ტყვია ვერ სჭრის, ჯერ არავის შეუქმნია. ამიტომ, შეუძლებელია ამჟამად ასე მკირე რაოდენობით მისი დამზადება. ახლა ნება მომეცით, ვაგაცანოთ თვით პროექტი. აი, თქვენ ხედავთ გაფართოებული საამქროს მთავარ კორპუსს. აი, ამ წინწყლებით აღნიშნულია ლუმელი და მისი მოწყობილობა. იგი აქ შემეცირებულია 125-ჯერ და, ასე ვთქვათ, მინიატურის სახით არის წარმოდგენილი. ბუნებრივი სახით თქვენ მხოლოდ კომპრესორსა და საკონტროლო აღრიცხვის ფარს ხედავთ. აი, ეს შავი ზოლი რკინიგზის ხაზია, რომლის საშუალებით მექანიკურად იწარმოებს მარგანეცის გადმოტვირთვა... აქ მექანიკური საამქრო აიგება... აქ კიდეც ლაბორატორია და ასე შემდეგ.

ი ო ვ ე ლ ი — მერე-და, სად, ოქრო, სად ფიქრობთ ასეთი გიგანტის აგებას?

ი რ ა კ ლ ი — აი, აქ, ამ ადგილას. (ყველანი ირაკლის მიერ მოხაზულ ადგილს დააქვერდებიან).

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რას ამბობ, კაცო? მანდ ხომ ქარხნის ბაღია გაშენებული?!

ი რ ა კ ლ ი — დიახ, სწორედ ამ ბაღის ადგილას აიგება იგი.

ი ო ვ ე ლ ი — საკვირველია, რაღა მაინცდამაინც ეს ბაღი აირჩიეთ? ნუთუ სხვა ადგილი არ შეიძლებოდა გამოჩახულიყო?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ქარხნის ბაღის ფართობიც არ ეყოფა ახალ საამქროს... უთუოდ ჩვენ ბალსაც მიაყოლებენ ზედ!

ი ო ვ ე ლ ი — კი, ოქრო, კი...

ი რ ა კ ლ ი — საქმე ის ვახლავთ, ამხანაგო იოველ, რომ ჩვენი ქარხნის ახლო-მახლო სხვა თავისუფალი ადგილი არა გვაქვს... აი, ხომ ხედავთ. აქ მდინარე გზას გვიღობავს, აქეთ რკინიგზა არ გვიშვებს, აქ კიდეც ეს დიდი ხე-ვია, დაბრკოლებად აღმართული. დაგვრჩა ორი შესაძლებლობა: ან ალექსანდრე უნდა იქნეს ეს სკოლა თავისი შესანიშნავი გაზონებით, ან კიდეც ეს ბაღი... ამ ორში ერთ-ერთი უნდა წაშლილიყო...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — და თქვენც, რა თქმა უნდა, წაშალეთ ჩვენი ბაღი!

ი რ ა კ ლ ი — დიახ... როგორც ნაკლები მნიშვნელობის მქონე ობიექტი.

- თოღვინთე — ა, არაა ახლა ეს ინტრიგა? აბა, რა ჰქვია ამას?!
- გიორგი — რა მოხდა, ამხანაგო თოღვინთე? გაფრთხილებ, შენ აქ დემაგოგიას ნუ ეწევი!
- თოღვინთე — რის დემაგოგია, გენაცვალე? საცდელი ლუმელის დადგმა არ გინდოდა და ძალად გაიტანა... ახლა ამასაც არ სჯერდება. შეადგინა პროექტი და ხომ ხედავ, ქარხნის ბაღს რას უპირებს?... შენ რას განუმებულხარ, ზურაბ ბატონო, არ ხედავ, რა ამბავშია ეს კაცი?
- ზურაბი — მესმის, ამხანაგო თოღვინთე, თქვენი აღელვება. მართალი გითხრათ, ამ პროექტმა მეც ძალიან ჩამაფიქრა. როგორც ჩანს, იგი ჯერ კიდევ არ არის ჩვენ მიერ სათანადოდ შესწავლილი.
- გიორგი — არა, ამხანაგო ზურაბ. ეგ არ არის მართალი. ის შესწავლილიც არის და შეთანხმებულიც... ჯანა შენი მონაწილეობით არ გადაწყდა იმ ახალი ლუმელის მშენებლობა?
- ზურაბი — ეგ კი მართალია, იმის წინააღმდეგი არ ვყოფილვარ. პირიქით, ხომ გახსოვს, როგორ გეხმარებოდი და ყველაფრით ხელს გიწყობდი!
- გიორგი — მაშ, იმის წინააღმდეგი ხომ არა ხარ, რომ ეს ახალი საქმე კიდევ წინ წავეწიოთ?
- ზურაბი — არა, კაცო, ეს რა სათქმელია!
- ირაკლი — მაშ, გამოდის, რომ საწინააღმდეგო არაფერი გქონიათ!
- ზურაბი — რას ამბობ? როგორ არა მაქვს საწინააღმდეგო?
- ირაკლი — მაინც?
- ზურაბი — აქ წარმოდგენილი პროექტით ისე გამოდის, რომ შენ მიერ შემზადებული ლითონისათვის ახალი საამქრო უნდა აიგოს. არ გამოვა ეს!..
- თოღვინთე — ნამდვილად არ გამოვა, გენაცვალე!
- იოველი — რის „რვალი“, რის ბოზებაში! ეს რომ ევროპაში გაიგონ, სასაცილოდაც არ ეყოფათ...
- ზურაბი — არსებითად მე საამქროს გაფართოების წინააღმდეგი როდი ვარ, ამხანაგებო. პირიქით, შეიძლება ის ოდნავ კიდევ გაფართოვდეს, თუ გნებავთ, ერთი ახალი ლუმელიც დაემატოს, მაგრამ, უბედურება ისაა, თაბაგარის პროექტი ერთი ლუმელის დადგმას კი არა ორი-სამი ლუმელის დადგმას მოითხოვს, რაც არსებითად უზარმაზარი ქარხნის აგებას უდრის. ასეთი მასშტაბი კი ჩვენს შესაძლებლობას აღემატება. მით უმეტეს, რომ ეს ახალი ლითონი ფართო ბაზრისათვის ჯერ კიდევ უცნობია, იგი ჩვენგან მეტ შესწავლას მოითხოვს და ახლაც ასეთი ამქარებით რომ ექსპერიმენტების გზას დაეადგეთ, მე ვფიქრობ, არაფერს მოგვიწონებს.
- ირაკლი — მაშ მთავარმა ინჟინერმა რად მოიწონა იგი?
- თოღვინთე — მთავარი ინჟინერი შენ შეიყვანე შეცდომაში.
- არჩილი — ნუ ფიცხობთ, ამხანაგო თოღვინთე, თქვენ ტყუილ-უბრალოდ გგონიათ, რომ ჩემი შეცდომაში შეყვანა ასე იოლად შეიძლება! ჯანა მე თაბაგარის პროექტი შეცდომით მოვიწონე? არა, ამხანაგებო! თაბაგარის ტექნოლოგიური სქემის მიხედვით პირველად ჩვენში იქნა მიღებული იგ უმაღლესი სიწმინდის ფოლადი. აი დეპეშები: მოსკოვიდან, ურალიდან, დონბასიდან, სადაც კი ეს ახალი ლითონი ლაბორატორიულად შეამოწმეს, ყველგან ალტაკებული არიან და იწონებენ... ჩვენ ვალდებული ვართ ამ პროექტს დაუყოვნებლივ გზა გაუხსნათ.

- თოღვინთე — არა, გენაცვალე! სანამ ჩვენ აქა ვართ, ეს პროექტი სინათლეს ვერ იხილავს.
- ირაკლი — ბოლოს და ბოლოს ცხოვრება აგრე კი არ სჯის, თოღვინთე, შენებურად!.. რასაც თავისი დრო მოუვა, მკვდარი არის თუ ცოცხალია, ის უსათუოდ უნდა დაიბადოს...
- თოღვინთე — მე შენი პროექტის ბეზია-ქალი არ ვიქნები...
- ირაკლი — შენ არ იქნები, მაგრამ ის მაინც დაიბადება შენი ნება-სურვილის წინააღმდეგ. მისი ზმები აი ახლაც ყურში ჩურჩულით ჩამძახიან, ღამე ძილშიც არ მასვენებენ, რომ ვიღვიძებ, კი არ ქრებიან, არამედ ვერცხლის ზარითი წკრიალებენ. თქვენ კი რას აკეთებთ? წინ გადამელობეთ დაბრკოლებად და ხელს მიშლით ასეთი საკირო საქმის წარმართვაში!
- ზურაბი — რასა ჰკავს, ყმაწვილო, ეს? მე ვხედავ, თქვენ დიდ უფლებას ანიჭებთ თავს. ქარხანას სხვები ხელმძღვანელობენ და არა თქვენ. რატომ გგონია, შენს გარდა სხვები ბრმებია და ვერაფერს ხედავენ? სჯობს იმ საამქროს მოუაროთ, რომლის ხელმძღვანელადაც დანიშნული ხართ, ხოლო მის გაფართოებაზე იფიქრებენ და პასუხს აგებენ ისინი, ვინც დაგნიშნათ თქვენ!
- ირაკლი — ცდებით, პატივცემულო ზურაბ! ჩემდამი მონდობილი საამქროს შოვლა მე მავალბს მის ზრდაზე, მის გაფართოებაზე ზრუნვას. სამწუხაროდ, ჩემი ზოგიერთი ხელმძღვანელის დამოკიდებულება საამქრო „რვალის“ გაფართოებისადმი დიდად შეზღუდულია პირადი ინტერესებით.
- თოღვინთე — ხალხო, გესმით, რას გვიბედავს? საინტერესოა ვიცოდეთ, რა პირად ინტერესებზეა აქ ლაპარაკი!
- იოველი — დიახ, ყმაწვილო, გარკვევით ილაპარაკეთ, უფრო გარკვევით.
- ირაკლი — დიახ, გარკვევით მოგახსენებთ. ჩემი პროექტის განხორციელებას წინ ელობება სასტიკი დაბრკოლებად ნათესაური, მლიქვნელური და მფარველური ურთიერთ დამოკიდებულება ზოგიერთი ხელმძღვანელისა... ამიტომ, ამხანაგო ზურაბ, მე ვერ დავუცდი იმას, თუ როდის დასთმობენ ჩემი ხელმძღვანელები ჩვენს საზოგადოებრივ საქმიანობაში ასე გატაცებით წინ წამოწეულ პირად ინტერესებს... მე ვერ დავუცდი იმას, თუ როდის მოიშორებთ პირადად თქვენ ამ ნათესაურ და მლიქვნელურ გარემოცვას, რაც ხელს გიშლით — შეიგნოთ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ამ ჩემი ახალი ლითონისა.
- იოველი — ეს რა უხეშობაა, ყმაწვილო? ამის მოთმენა როგორ შეიძლება?!
 თოღვინთე — ამხანაგო გიორგი, მე აღშფოთებული ვარ ირაკლი თაბაგარის ასეთი გამოხდომით. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ საზიზღარ ცილისწამებას არ დაუშვებთ იმ ქარხნის მიმართ, რომელიც ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო, არის და იქნება, — იმ ხელმძღვანელობის მეოხებით, რომელიც დღეს აქ, ასე...
- გიორგი — ჩემად! რა ლაყბობაა ეს? ამხანაგო ზურაბ, რა ზღედა ამ თქვენს კაბინეტში? განა ეს საქმიანი პარტიული ლაპარაკია?! როგორ იქცევით, ამხანაგო თოღვინთე? თქვენს სარგებლობთ დირექტორის თქვენდამი კეთილგანწყობილებით და დიდ უფლებას ანიჭებთ თავს! თქვენც, პატივცემულო იოველი! რა მოხდა? კაცმა ახალი საქმე დაიწყო, ძლივს გარკვეულ წარმატებას მიაღწია და იმის მაგივრად, რომ დაეხმაროთ გამოცდილმა

სპეციალისტებმა, მზადა ხართ, მიცვივდეთ, როგორც ძერები, დი დაპორტნოთ იგი!

ზ უ რ ა ბ ი — ამხანაგო გიორგი...

გ ი ო რ გ ი — მაინც რა საფუძველი აქვს, ამხანაგო ზურაბ, თქვენს მღელვარებას? რად აძლევთ ამ ხალხს ასეთი ლაყბობის უფლებას? იცით, რომ ასეთი მოქმედებით თქვენ წინ ელობებით ზრდას და ახშობთ ახლისკენ ყოველგვარ მიზანსწრაფვას!

ზ უ რ ა ბ ი — მაშ, გამოდის რომ მე გავიყინე... ახლის ზრდას არ ვეხმარები და ყველას გზას ვუღობავ?! არა, ამხანაგო გიორგი, ეს მე არ დამიმსახურებია... მე პროტესტს ვაცხადებ, პროტესტს...

გ ი ო რ გ ი — როგორ? ვის უცხადებთ პროტესტს? გიფიქრიათ თქვენ ამაზე, ამხანაგო ზურაბ?! რა მოხდა, რა განგაში ასტეხეთ?! იმას ხომ ვერ მოიმიზეზებ რომ ეს ახალი საქმის მნიშვნელობა არ გვესმოდეს! ვერც იმას იტყვი, რომ პროექტი ცუდი შედგენილი იყოს! მაშ რაშია საქმე? როცა ეს ახალი საქმე პატარა იყო და ძლივს ფეხს იდგამდა, თქვენ მას მამობრივი მზრუნველობით ეალერსებოდით, თითქმის არაფერს არ აკლებდით, მაგრამ ახლა, როცა ეს ახალი ისე გაიზარდა, რომ ჩვენგან მეტი თავის შეწყუხება მოითხოვდა და, ამავე დროს, თქვენს ბალსაც დაემუქრა, სიმშვიდე დაჰკარგეთ და მზადა ხართ ჩაჰკლათ იგი, ან, უკეთეს შემთხვევაში, გინდათ ისევე აკვანში ჩააძინოთ და არტახებიც მაგრად შემოუჭიროთ, აი ხომ ხედავთ, რას შვრება ძველი, წარსულის გადანაშთების კია! უფრთხილდი, ზურაბ! მას შეუძლია ძალიან კარგი მოწინავე კაცი გამოფიტოს და არა-რად აქციოს... დაუფიქრდი! ჩამოდი ჩემთან, პარტიუროში. დანარჩენს იქ გეტყვი.

ზ უ რ ა ბ ი — გეაზღვებით, ამხანაგო გიორგი... მაგრამ ამ ორ დღეში მე თვითონ წარმოგიდგინე საკუთარ პროექტს. მე დაგიმტყიცებთ, რომ სხვა გამოსავალიც არსებობს.

გ ი ო რ გ ი — თქვენი ნებაა, ამხანაგო ზურაბ, მაგრამ ამ პროექტს ჩვენ მაინც დავიცავთ. სახელმწიფო ინტერესებს ვერავის ვანაცვალებთ. (მიდიან. გიორგი ირაკლის პროექტს შეახვევს და მიაქვს).

(რუსუდანი გაშეშებული დგას და გაოგნებული შესცქერის ირაკლის).

რ უ ს უ დ ა ნ ი — გმადლობთ, ირაკლი, დიდი მადლობელი ვარ... (წასვლას აპირებს).

ი რ ა კ ლ ი — რუსუდანი! შე ვფიქრობ, თქვენ მაინც გესმით ჩემი!

რ უ ს უ დ ა ნ ი — მე ამას თქვენგან არ მოველოდი. (გადის).

ი რ ა კ ლ ი — (მარტო). საზოგადო საქმე ჩემს პირად გრძნობებს ვანაცვალე? არასოდეს!

ფ ა რ დ ა

(დასასრული იქნება)

კავკასიის გეგმა



ნაწილი პირველი

მთის ძირას მოსჩანს აული დიდი.
ჩერქეზებს, დამსხდართ ქოხების
ახლოს,

ფარავს გვიანი საღამოს ბინდი.
ისინი წყნარად მსჯელობენ ახლა
ნასროლ ისრებზე, ბედაურებზე,
განადგურებულ მტრების სოფლებზე,
როგორ ებრძოდათ კახაკი ველად,
თუ რუსებს როგორ უტყვევდნენ

მძლავრად,
როგორ მოჰყავდათ ტყვეები, დავლა-
სწევენ თამბაქოს გულდასმით, ნელა,
კვამლი ირხევა და მალა იწევს.
შემდეგ კი ხმლების ჩხარუნზე იწყებს
ჩერქეზთა გუნდი სიმღერას ძველსა.
ზოგს ეჩქარება, მზად ჰყავს მერანი.
და განშორების წუთში ყველანი
ძმურად ართმევენ ერთმანეთს ხელსა.
და იმ დროს ნორჩი ჩერქეზთა ქალნი
ადიან მთებზე ცელქი და ჩქარნი.
გასცქერენ ხარბად ნისლიან სივრცეს,
მაგრამ არ ბოლავს შარა-გზის მტვერი,
მათ ყურადღებას არავინ იქცევს
და სიჩუმეში სთვლემს ყველაფერი.
ღრიალებს თერგი ნაპრაღთა შორის
და მათს წალეკვას თითქოს აპირებს.
ტალღების შხეფებს აყრის ნაპარებს
და ტყე მღუშარე ელვარებს შორით.
მხოლოდ ხანდახან, ვით მოჩვენება,
ირემი ფრთხილად გაღიბენს მინდორს
და ცხენთა ჯოგის გამოკენება
დაურღვევს არც სიჩუმეს იმ დროს.

ფერად ყვავილთა ნოხი ელავდა
და ბიბინებდა მახლობელ მთებზე.

ქვევით ნაკადი მთისა ბრწყინავდა
აქაფებული ზვირთებით ქვებზე.
ჩერქეზთა ქალნი კლდისა ნაპირსა
ნაკადის ქაფით იბანდნენ პირსა.
მათ შორის ზოგი ანკარა წყალში,
ახალგაზრდული ხალისით მთვრალი,
ისროდა ბეჭედს ძვირფასი თვალით.
ზოგი ყვავილებს იწნავდა თმებში
და მოციმიციმე ნაკადის სარკეს
აპყრობდნენ თვალებს გაღიმებულნი.
ხედავდნენ წყალში თავიანთ სახეს.
შემდეგ მკლავებით შეერთებულნი
მწყობრად სიმღერას წამოიწყებდნენ,
მთი ძირას მსხდარნი ნაზად გალობდნენ,
მხიარულობდნენ და ნეგარდობდნენ.
და მათ სიმღერას, ნიავის რხევით,
იმეორებდა ხმიანი ხევი.

ჩამავალ მზისა სხივთა ქსოვილი
ყინულთა ვერცხლის სარკეზე ღნება.
და იალბუზი მოთქროვილი
ბრწყინვალე თავით ზეცამდე დგება.
უკვე ბრუნდება სახლში ნახირი
და ცხენთა ჯოგი მოჰქრის ხმიანი.
მაგრამ რათ ისმის მწარე ძახილი
და ბორკილების მიძიმე ხრიალი?
რად შეუპყვრია მწყემსები სევდას?
ო, ეს არიან ნორჩი ტყვეები!
მათ დაეკარგათ ოქროს დღეები
აქ, სადაც თვალი კლდეებს თუ ხედავს.
უღგანან მწყემსად, თერგის
მახლობლად,
ჩერქეზთა ჯოგებს მრავალი წელი
და ტყვეობაში ჩუმად და ობლად
მათ აგონდებათ წარსული მწველი.
მათ აგონდებათ ტბილი დროება

ბედნიერების გულში მოთველი
ის, რაც გადიქვა ამოებდად
და მათ არასდროს აღარ მოელის!

დაჯაქველ მონებს ვინ შეიბრალებს!
საშინელ სიზმრად გარდექცათ ცხადი.
სული არყოფნის უფსკრულში ჩადის
და ელანდება სამარე თვალებს.

ო, საბრალონი! უცხო მხარეში
მათ არ უხარებს გულს ნეტარება.
მხოლოდ ცრემლები და მწუხარება —
სხვა რაღა დარჩა ამის ვარეში!
შინ დაბრუნება აღარა სჯერათ,
მაგრამ არ სცხრება მღელვარე ფიქრი.
გული, სამშობლო მხარისკენ მიჰქრის,
ისევე მოუხმობს მშობლიურ კერას.
შინ ბრუნდებიან ჯოგები ზანტად.
შორით გაისმის მათი ხმაური.
მტვერს აყენებულს ნიავე ფანტავს,
არ ისმის ძალღთა აურ-ზაური
მყუდრო აულის სახლების ახლოს.
სძინავს ბუნებას და მთების მალღობს
აკრთობს ქალწულთა სიმღერა ტკბილი.
ხევეები ამ ხმას იმეორებენ —
თითქოს ფრინველნი სადღაც ვალობენ,
თითქოს ჩურჩულებს ნაკადი გრილი.

სიმღერა

როგორც გრიგალი მკვეთრი
ფიჭვის ხეს წელში ღუნავს,
ან ისარმონახვედრი
ლომი შფოთავს და გრგვინავს, —
ისევე ჩვენი ხელი
რუსებს ანარცხებს მიწას,
იმათ სიკვდილი ელის
და ბედიც მათ არ იცავს.

არც ბედაური დაფით
დამფრთხალი ბრძოლის წამსა,
არც ბარბაროსი სწრაფი
მასზე თავდასხმის ეამსა —
არ ცახცახობენ ისე,
როს კრთის ზანჯალი მზისებრ
და ლელავს ელვის მსგავსად.

ქალთა სიმღერის ხმა სეველიანი
ტყვეების გულში გაისმის ტარჯვით.
მას მოაქვს ფიქრი კავშირანი
მიძყავთ ისინი ჩერქეზებს ჯაჭვერთ.
ლობეს აბამენ ქოხების ახლოს.
დანთებულ ცეცხლის გიზგიზებს ალი,
მაგრამ ვარამი მათ სულში სახლობს,
ძილს არ იკარებს დაღლილი თვალი,
შუქი მთეარისა სივარცეში კრთება.
სოფლად არ სძინავთ, არიან ფხიზლად.
და გალაშქრებას ჩერქეზთა კრება
რუსის სოფელზე ისახავს მიზნად.
შეკახმულია ცხენები მათი
ვერცხლად ბრწყინავენ ჯაჭმენები
ფართე.

ამკობს თვითეულს მშვილდი, სარჩალი,
ორი დამბაჩა თოფი და ფარი,
წელზე არტყვიათ ხმალი, ხანჯალი.
სალაშქროდ უკვე ყველა მზად არი.
შავი ნაბდები მოიხსნეს ტანზე,
მაგრამ უეცრად მახლობელ მთაზე
დაიჩხა მტვერი ნისლივით, ნელა.
ვიღაც მოილტვის სწრაფი და ჩქარი.
მაღალ ბუჩქებში შეიცნო ყველამ
ცხენზე გირეი — მხნე მეომარი,
შეუპოვარი, კუშტი და მკაცრი.
მოაქროლებდა ის ბედაურსა
და მოათრევდა შებორკილს ბაწრით
ტყვეს, ახალგაზრდას, გაფითრებულსა.
გირეი აულს მიუახლოვდა.
ჩამოხტა მარდათ. ფერგადასული,
ტყვეზე თოკების ვაკრას ჩქარობდა.
ტყვე კი მკვდარივით ეგდო უსულოთ
და იმის სახეს უძრავ ნაკვეთებით
თითქოს სიკვდილი ფარავდა ფრთებით.

ჩერქეზთა რაზმი უკვე შორს არი,
ოდნავ თუ ისმის ხმა ქენებისა.
და მძინარ აულს, ისე ვით ფარი,
ადგება ჩრდილი მაღალ მთებისა.

საბრალო რუსი, ტყვედ ჩავარდნილი,
გადაარჩინეს და შეიბრალებს.
ამხანაგებთან ის მიიყვანეს
ნახევრად მკვდარი, ღონემიხილი.

მათ ივიწყებენ ტანჯვისა წამებს
და ახალ მოძქეს უთევენ ღამეს.
ფერმკრთალი სახით, სისხლდანთხეული,
ის გამხლართული ბალახზე იწვა
და მისი სუსტი, ცივი სხეული
თითქოს დანაცრდა და გადაიწვა.

უკვე შუაღლე აულის თავზე,
განათებული ცხოველი მზითა,
ბრწყინავდა უკვდავ სიდიადითა.
ჯოგების ხმაურს მინდორზე, მთაზე
ურრთდებოდა სიელვარეში
ნიავის სუნთქვა ნაზი ჩურჩულით,
მთის ნაკადის და წყაროს ჩუხჩუხი,
ფრინველთ გალობა დაბურულ ტყეში.
კავკასიონის მალალი ქელი
შებჯინებოდა ლაქვარდა ცისა
და შეებურა სიმწვანეს ტყისა
თვალმიუწვდენი კლდეების ფერდი.
პირქეში მთებით გარშემორტყმული
ყვავილთა ნოხი ჩანდა შემკული.
იქ, დაფარული მუხების ჩრდილით,
ხელ-ფეხ შეკრული რკინის ბორკილით,
იწვა ბალახზე ტყვე ახალგაზრდა
და ვერაფერით, ცრემლების გარდა
მას ვერ შეელოდენ ამხანაგები.
მხოლოდ ხანდახან წყალს

ასხურებდენ,
(მაგრამ რაც მისთვის გაჭრა განგებით,
ისინი მას ვერ დაუბრუნებდენ!..)

შეირხა იგი ოდნავად, ფრთხილად
და თითქოს თვალის მან გაახილა!
შემდეგ ატოკდა, მოძრავი ზღება
მეგობრებს შორის გრძნობს ისევ
თავსა!

მაგრამ შეამჩნევს ხელებზე ჯაჭვსა
და ყოველივეს წუთშივე ხედება!
იმის თვალეზზე ცრემლები ჩნდება,
ამხანაგების მკერდს მიყრდნობილი
აქვითინდება გულჩათხრობილი.

ის ოდნავ მაინც ბედნიერია:
გარს შემორტყმიან მას მეგობრები;
მასთან არიან ფიჭვით, გრძნობებით.
მაგრამ რა რივად საშინელია,

თუ ამ ნუგეშსაც ვერ ჰპოვებ სოფლად,
თუ ყრმობის წლებში დარჩები ობლად,
დაკარგავ იმას, რაც გულს ალღუნდა,
რაც ნეტარებას სულში მარხვენდა,
რაც სიჭაბუქეს შეფერის რიგით!
და ვინც ამოდ ეძიებს იმას,
რაც სამუდამოდ გაჭრა და სძინავს,
— დე, ნუ იცოცხლებს ამ ქვეყნად იგი!
ასე მშობლიურ თავისა მხარეს
ჩვენი ტყვე მოწყდა, ველარ ხედავდა,
მაგრამ შორეულ საყვარელ არეს
ტანჯულ ოცნებით გულში ჰკეტავდა.
სადაც მან იგრძნო ბედნიერება,
პირველი ტრფობა, ნაზი ფერება,
სადაც მან ჰპოვა სიამის განცდა,
მხიარულება და ჰირთა თმენა,
სადაც, საბრალო, ყველაფერს აცდა
და სამუდამოდ დაკარგა რწმენა.

მას მოესმოდა სიტყვა: მარადის!
და, შეჩვეული განმარტობას,
დაუმეგობრდა თითქმის ტყვეობას.
ზოგჯერ მეგობრებს უსრულებს
წადილს —

ჩერქეზთა ჯოგის სამწყესად დადის.
ხშირად ის მათთან უცქერის ზვაეებს
მძიმე გრილით მის გადმოსკდომას,
წამოსულ თოვლის ელვას და კროთმას
და ყინულების გაფანტულ ზვაეებს.
თუმც ატარებდა ბორკილის რკინას,
მაგრამ ვიდოდა ის თერგის პირას,
უსმენდა ჩუმად ზვირთების ღრიალს
მათ გაცოფებულ კლდეებთან ტრიალს.
მათ შედინებას უღრან ტყეებში.
უცქერდა გაღმით, აქა-იქ მთებში,
საგუშაგოთა ცეცხლების შუქსა,
ირველივე ყაზახებს, დარაშმულს

ლაღად,
რომ გაჰყურებენ ამღვრეულ ტალღას
ჩამოყრდნობილნი საომარ შუბსა.
მას იქ გაეცურა ენატრებოდა,
მაგრამ ბორკილით რას გახდებოდა?

როცა შუაღლე ჩამოდგებოდა
და მწველ სხივებით ბრწყინავდა ცაზე,

ჩვენი ტყვე გვირახს ეფარებოდა იქ ისვენებდა დამჯდარი ქვაზე. მთის ქვევით ცხენის ჯოგები ჩანდნენ, მძინარე მწყემსებს ფარავდა ჩრდილი. ახლოს მდინარე მოსჩანდა გრილი, — სადაც ტყვეები წყურვილს იკლავდნენ.

უცქერდა იგი ზვირთების ღენას, და თავისუფალ არწივის ფრენას, თუ როგორ შლიდა სივრცეში

ფრაგმენტებსა

და მსხვერპლს ბუჩქებში თუ

შეხედავდა,

დაეცემოდა, კლანკებს შეკრავდა, გადაუვლიდა ნადავლით მთებსა.

და ტყვე ფიქრობდა: „მე თავათ ახლა მსხვერპლს ვგვევარ, — არწივს რომ მიაქვს მაღლა!“

უცქერდა იგი ჩაფიქრებული, როგორ მიჰქროდა წვეტიან ქვებზე შეელი დამფრთხალი, დაფეთებული და მონავარდეს ველზე და მთებზე, ვერ აფერხებდნენ კლდის ნაპირები. ზოგჯერ არჩევები, ანდა ირმები, კლდეზე უძრავად გაჩერებულნი, თითქოს სტებებოდნენ ფრინველთა ხმებით

შემდეგ ვარბოდნენ. კლდოვანი გზები მხოლოდ-და ჩანდნენ ამტვერებული.

უცქერდა მთიელთ გამოქანებას, ბრძოლაში შეჭრას, მათ მღელვარებას. ხედავდა, როგორ წყლის პირას მარდად ჩერქეზნი ცხენებს შეაჩერებდნენ და შემდეგ, თითქოს რომ ენავარდათ, კვლავ ბედაურებს მიაკუნებდნენ, მდინარის ახლოს ისევ ჩნდებოდნენ ცხენებს ღეზს ჰკრავდენ და

ვაჟკაცურად

ჩქარ მდინარეში დაშვებოდნენ.

აჰ, მდინარე უკვე-გაცურა

ჩერქეზთა რაზმმა. მიაღწენ კიდეს, მიმოიფანტნენ, არ ჩანან ბნელში, ემალებიან ყაზახებს ტყეში.

თქვენ, ყაზახებო, რას უცდით კიდევ?

დახეთ, მდინარის მუქი ზვირთები თოვლისფერ ქაფით როგორ ირთვება! დახეთ, მუხებზე ყორნების გუნდი როგორ აჩხავლდა საზარულ სმაზე. მათაც გაფრენა აქედან უნდათ, და მიიმაღენ მახლობელ მთაზე. ჩერქეზი ლამით მიმავალ მგზავრსა თოკს გადააცმევს, დამორჩილებს, ან ხმლით მოჰკვეთავს საბრალოს

თავსა,

ან შემოახვევს ფეხზე ბორკილებს.

ხშირად, როს ძილსა აფრთხობდა

ფიქრი,

გვიანი ღამით, უცქერდა იგი როგორ აპობდა თურგის ტალღებსა ჩერქეზი სწრაფი და შემპარავი.

ამურებს ნაპირს ნისლით ნაღებსა

სადაც მთა მოსჩანს დასაფარავი.

დიდ ჯიჩქარე მის წინ ჩამოწყობილი

სჩანს საომარი მისი აბჯარი:

საისრე, შვილდი, მკვეთრი ხანჯალი

და ხმალი ბასრი, გამოწრთობილი.

იგი მიცურავს გულჩათხრობილი

როგორც წერტილი აქა-იქ ჩნდება

ატივტივდება და ისევ ჰქრება.

აჰ, მან ნაპირს შეადგა ფეხი!

თავს დაგატყდება, ყაზახო, მეხი!

ველარ იხილავ დონის მხარესა,

ველარ მოისმენ რეკვას ზარისა!

უკვე ჩერქეზი თავის მსხვერპლს ელის.

რკინის ჯაგშანი მუქად ეღვარებს,

შვილდმა ისარი სტყორცნა მღელვარე

გულისგამბობი და დამლუპავი.

ჰოი, ყაზახო, დაეცი, გმინავ?

ნეტავ რად მოგკლა ბოროტმა ხელმა?

და შენმა ტყვიამ, ჩქარმა და მწველმა

მტერს უმალ მკერდი არ გაუგმირა?..

ტყვე საცოდავი, დაღონებული,

თავათ ზუნდებით დამძიმებული

ყაზახთ დაღუპვას უცქერდა ასე.

როდესაც მთვარე ჩნდებოდა ცაზე

და მყუდროებას არხევდა მიწა,

აულში მშვიდად ეძინა ყველას

იგი ლობესთან ამა დროს იწვა

მის თვალებს ძილი იპყრობდა ძნელად. ამხანაგებთან ის იგონებდა თავის შშობლიურ საყვარელ მხარეს. მაგრამ მას უფრო გულს უღონებდა სევდა დამწველი და ფიჭვი მწარე.

იქ მან დასტოვა, რაც გულს ათრობდა: სიამე, შეება ტრფობით ნაბერი... ამ უცნობ მხარეს მოისწრაფოდა და აქ დაღუპა მან ყველაფერი.

ნაწილი მეორე

ერთხელ ოცნებით, ფიჭვით გართული იჯდა ის მარტო გვიანი ღამით. და ციდან მთვარე წამომართული ძირს იფრქვეოდა სხივების ნაშით. ახალი მთვარის ფერმკრთალი სხივი მწვანე გორაკებს სიამეს გვრიდა ტოტებს ამკობდა, ვით ოქროს შივი და ფართო ჩრდილებს მიწაზე ხრიდა. ჩურქეშთა ქოხებს ნაზად ათოვდა, ხეების ლანდებს მათზე აკრთობდა, აჩუქურთმებდა კედლებს რტოებით. ქოხებში უკვე ბუხტავდა შუჭი. მდინარე, მთები, ტევრები მუქი ტბებოდნენ ძილით და მყუდროებით.

კვლავ დაგიდგება ნათელი ღღეო!“. და მისი ოხერა ამონაკენესი ნორჩ გულში იყო გრძნობით ნალესი. შემდეგ წავიდა ნაბიჯით ჩქარით და ბეივანმა, მორწყულმა მთვარით, დაფარა იგი, როგორც აჩრდილი, ვით მოჩვენება ამდგარი მკვდრეთით. და კიდევ დიდხანს ზე-იქ მკვეთრად კრთოდა სიერცეში თეთრი მანდილი. ტყვემ ფიჭვით თვალი ქალს გააყოლა და გაიფიქრა: „წავიდა, ვხედავ, მაგრამ ესოდენ რამ აათრთოლა, რად შემიცოდა, ვიცოდე ნეტავ?“ ეს ფიჭვი ჩვენ ტყვეს იპყრობდა

მაგრამ ვინ მოსჩანს ღამეში ნეტავ? ვისი აჩრდილი ბუჩქებში ელავს? შიშობს, ამკარად მოსვლას ვერ ბედავს, მოდის ცერებზე ჩუმად და ნელა? მან თხრილზე სწრაფად გადააბიჯა, მძინარე არე თვალით გასინჯა, და გოაცებით ჩვენი ტყვე უცქერს: მის წინ ჩერქეზის ნორჩი ასული მომლიმარ სახით და ფერწასული სდგას თავდახრილი და გული უცემს. პურსა და მაწონს აწოდებს ხელით და მუხლ მოხრილი მის პასუხს ელის. გიშრის თვალების კრთომა და ელვა ნათლად აჩენდა მის სულის ღელვას. მაგრამ ტყვე ჩუმად ჩერქეზის ქალსა მადლობის ნიშნად დაუხრის თავსა.

ძალით მან მხოლოდ დილით დახუჭა თვალი. ოთხი ღამეა, რაც ქალი დადის და ტყვეს უზიდავს ვაზშამს და სადილს. მაგრამ ასულის სიტყვებს გულგრილად უსმენს ჩვენი ტყვე და დუმს მეტწილად. ო, მისი გული, უკვე დამწვარი, ახალ გრძნობისთვის დახშული არი! მას არ ახარებს ასულის ტრფობა: ან რა აზრი აქვს უცხო მხარეში ამ ტყვეობაში, სიმწუხარეში? მასში კვლავ ცოცხლობს პირველი გრძნობა.

და დიდხანს, დიდხანს დაღუმებულნი იდგა ასული ჩაფიჭრებული და თითქოს ასე ამბობდა ცქერით: „გამხიარულდი ძვირფასო ტყვეო, არ დაკარგულა ჯერ ყველაფერი, მ. „მნათობი“ № 9.

მას სურს გამოსთქვას თავის მდალობა, მაგრამ საბრალოს ალი ედება და თითქოს ნისლში დაკურავს ფიჭვი, წარსულისაკენ ოცნება მიჰქრის და გულში ტანჯვა აღარ ნელდება. ეს ყველაფერი, მუდამ, ყოველთვის სულის სიმშვიდეს ცეცხლივით ერთვის.

ოდეს ასულის გიშრისფერ თვალებს
კაცუნით სავსე უცქერის წყნარად, —
მის წინ სხვა სახე ნახად

ბრწყინვალეობა,

დაუფიქარი, ძვირფასი მარად.
ოდეს საამურ სიტყვებს ქალისა
ყურს უგდებს იგი — სმენას წამისად
მოესმის ნაცნობ ხმისა ბგერები.

მას აჩრდილისკენ მიაქვს ხელები,
მისკენ ისწრაფის, მას მოუწოდებს.

უცხად ერკვევა საბრალო მაშინ
როგორი ტანჯვა იღვიძებს მასში!
ვინ შეიბრალებს, ვინ შეიცოდებს!
იგი დღითი-დღე ხმება და სქენება,
როგორც ყვავილი წარმტაცი ველზე,

და განწირული ნელი-ნელ ქრება,
ვითა სანთელი საკურთხეველზე.
ჩვენი ტყვესათვის უცნობი რჩება
ქალის განცდები და მისწრაფება.
მას აოცებდა და არ სჯეროდა,
რომ ასულს იგი ეცოდებოდა
და აღონებდა მისი წამება.

არც ის სჯეროდა, რომ სიყვარული
იყო მის გულში ღრმად დაფარული.
გაკვირებული ვერას ხვდებოდა.
დღეს იგი ისევ მოელის ასულს;
ღამის წყვილიად მოიკცა არე.
ჩვენი ტყვე თვალებს ძილს არ

აკარებს

გვირაბში წევს და იგონებს წარსულს.

დაბერა ქარმა. ტყვეთა კარავი
აკენსდა, თითქოს იწყებდა წუხილს
და ქარის მოთქმა გულშემზარავი
ჰგავდა ზარბაზნის საზარელ ქუხილს.
წვიმის წვეთები ფოთლებს ესხმოდა;
ქექა-ქუხილი ცაში ისმოდა
და ელვის შუქი არბევდა ბნელსა.
ის ანათებდა გვირაბში ტყვესაც.
იქ იწვა რგი დაღონებული
და კრთოდა წვიმით დასველებული.
გრიგალი ნელა კლებას იწყებდა;
მწვანე ფოთლები წვეთებს აბნევდნენ;
ხვეი ღვართქაფებს ველარ იტყვდა,
მთები ნიაღვრებს აგრიალებდნენ
და თერგისაკენ მიაქანებდნენ.

ჩერქეზებს თვალი ვერ ხედავს გზაზე.
ღრუბლები დნება და ეწმინდება.

ამოციმციმდენ ვარსკვლავნი ცაზე,
და მალე მთვარეც ამობრწყინდება.
და უკვე მისი შუქის სინაზე
მსუბუქ ღრუბლებზე გადაიღვარა
და მთვარის ბურთი ზეცის მინაზე
ჩუმად აცურდა და გადიხარა.
შუქი ფერმკრთალი, შუქი ნათელი
ცისფერ არეში ბადეს ახვევდა
და მოელვარე სხივთა ფანტელი
მძინარ ბუნებას ვერცხლად აფრქვევდა.
მაგრამ ვინ არის მოწყენით ბნელში
მთიდან რომ მოდის ფრთხილად და
მარტო?

ეს ის ქალია. ბრწყინავს მის ხელში
ვიწრო ხერხი და ხანჯალი ფართო.
ნეტავ რად უნდა ხანჯალი მჭრელი?
საქმე საგმირო მას ეგებ ელის?
ეგების ჩუმად საომრად მიდის?
არა, მღელვარე ფიქრით გართულსა
გულსა უღონებს მოწყენა დიდი.
ქალი მიადგა გამოქვაბულსა,
ეძახის ჭაბუკს ნაცნობი ხმითა.
ტყვე წამოიჭრა გაღვიძებული;
და ახლა ორნი გვირაბის პირთან
სხედან და სდუმან გარინდებულნი.

ზეწამოიჭრა უეცრად ქალი.

ჭაბუკს მოჰკიდა მღელვარე ხელი,
შემდეგ მიაპყრო მწუხარედ თვალნი
და ასე იწყო სიტყვები მწველი:

„მითხარი, რუსო, რა გემართება.
რა ჩაგწოლია გულში დარდებად?
რადა ხარ უტყვი, ცივი, მწუხარე,
და ჩემი ტრფობაც შენ არ გახარებს?
ამ ქვეყნად კიდევ გყავს მეგობარი
და არც საცოლო დაგიკარგია...
რომ შენთან ვიყო — გული მზად არი

ეს არჩევანი ჩემთვის კარგია.
მაგრამ შენ მითხარ რომ ეტრფი სხვასა
და მისი ლანდი მე არ მშორდება.
მეც ამიტომ ვღვრი ცრემლების ზღვასა
და ჩემი გული მისთვის ღონდება.

გადავიწყე, გულს ნუ იღონებ,
ცხრა მთას იქითაც თან გამოგყვები.
მომეცი ხელი, მას ნუ იგონებ,
შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის
მოვკვდები!“

მაგრამ ჩვენი ტყვე ისევ მწუხარე
ამ სიტყვებს გრძნობას არ აკარებდა
და ტურთა ქალის ცრემლები ცხარე
გულს გაციებულს არ ახარებდა.
„რუსო, ხარ უკვე გადარჩენილი,
მაგრამ მითხარი მოვკვდე თუ დავრჩე?
ჩაკვლა იმედი ჩემში შეთენილი
თუ ბედნიერმა ვუმაღლო გამჩენს?“

ტყვე წამოიჭრა და აელვარდენ
შესანიშნავი თვალები მისი;
მის წამწამებზე თეთრად ბრწყინავდენ
ცრემლნი, ვით ცვარნი სხივებზე მზისა.

„ო, არა, სულის დააცხრე ვნება.
ჩემ ხსნას ნუ ცდილობ, ეს არ იქნება.
აქ გამოთხრიან სამარეს — ბინას.
არა ბრძოლაში მკვდარის ხელებზე —
მხოლოდ საცოდავ მონის ჩონჩხებზე
ჩამოეანგდება ბორკილის რკინა.“

იგი დადუმდა. ცრემლს აფრქვევს ქალი,
მაგრამ გამხნევედა, აივსო ძალით
და ტყვეს უსიტყვოდ გადასცა ხერხი.
შემდეგ აწოდებს ხანჯალსა მკრელსა.

სკრის უკვე ხერხი ბორკილის გრეხილს.
იგი ეცემა და ოღნავ კვესავს,
ანთავისუფლებს დაჯაჭვულ ტყვესა.
და მას ასული კაეშნით სავესე
მწარე ქვითინით მიმართავს ასე:

„წახვალ, დრო გავა, დაგავიწყდები,
მშვიდობით ახლა, მშვიდობით მარად!
და ბედნიერი ოდეს იქნები
მეც მომიგონე შეგობრის დარად.
მაგრამ მე უკვე ბნელ სამარეში
ვიქნები ჩემი ტრფობით და დარდით

შენ კი მოწყენით მშობელ მხარეში/
ფეხების იტყვი: „უწყვარდი, ვწამდი!“
ასულის ლაწევს გაფითრებულსა
კაეშნით, ტანჯვით ჩაფერფლილ
თვალებს

და იმის სახეს დაღონებულსა
ობოლი ცრემლიც არ აბრწყინვალებს.
მხოლოდ-ღა ოზერა გაისმის მწველი.
ქაბუცს ჩასკიდებს ასული ხელსა
და მიდის იქეთ, სად მოსჩანს ველი
და გზა უღგება კლდეებს და მთებსა.
მიდიან დიდხანს ფარულნი ღამით.
შესდგენ დალილინი, მოითქვეს სული.
საბედისწერო ახლოა წამი —
გავარდა თოფი... ღონეწასული
ტყვე ძირს ეცემა. სიკედილს, წამებას
და უკანასკნელ ტანჯვას, ვაებას
გამოსახავდენ ნაკეთები მისი.
ასე ნაჭერი თოვლისა მთიდან
გაბრწყინებული სხივებით მზისა
ძირს დაეშვება დიდ სიმალიდან.
და ქალიც, თითქოს დამარცხებული
იმავე ტყვეით, ეცემა პირქვე.
უძრავად მიწას დანარცხებული,
გრძნობა წასული, გაფითრებული
ქაბუცის გვერდით აგდია იქვე.

მაგრამ ტყვეს უკვე სიცოცხლეს
უჭრობს,
თვალებს უხუჯავს სიკედილის ხელი.
და ახლა მის გვამს ცივსა და უგრძნობს
ელის სამარე ცივი და ბნელი.
ძარღვებში სისხლი მას უყინდება,
უძრავ თითებში ხანჯალი ელავს.
კვლავ მისი გული არ აინთება,
გრძნობით თვალები არ მოირთება,
გაქრა, ჩანაცრდა გრძნობები ყველა.
ამ დროს ჩერქეზი ჩასაფრებული
ბოროტ ღიმილით მახლობლად ჩნდება
და, როგორც მხეცი გააფთრებული,
მოკლულს დასცქერის, ხარობს და
ტყება.

შემდეგ ამაყად, თითქოს გართობით
ფეხს აქერს მკვდარსა და იყურება
ხედავს, რომ ტყვილა დაცალა თოფი
და ისევ მთისკენ მიეშურება.

გონს მოდის ქალი, ადგება ჩქარი და თავის ირგვლივ დაეძებს ტყვესა. ჩერქეზის ქალო, ნეტავ სად არის სატრფო, რომლისთვის გატყობდა კენესაც?

თავზარდაცემულს საშინელებით არ შეუძლია ცრემლი დაღვაროს და გამოუთქმელ ტანჯვა-წამებით თვით სიყვარული გულში დაფაროს. მას ტანჯვა სძლედა. ქარი მძვინვარე პირბადეს სტვენით მიწამღე ხრიდა. აჰა, წამოდგა. ჩქარი ნაბიჯით გადაუხვია მინდვრისკენ გზიდან. და მალე იგი, როგორც აჩრდილი, ლამემ დაფარა შავი მანდილით. თერგის ნაპირთან შეჩერდა ახლა, მაგრამ საბრალოდ რად იცქირება? ნეტავ რას ფიქრობს, რა განიზრახა და უნუგეშო, რას ეპირება? ის დიდხანს, დიდხანს ტალღებს

მქუხარეს

თვალეებს აშტერებს დუმილით საესე და მისი ცქერა ეგზომ მწუხარე ელავს ლამეში ვარსკვლავის მსგავსი. წყლის პირად ქვაზე მოსჩანს

შემდგარი.

„ო, რუსო!“ ისმის ძახილი მკვეთრი. შეირხა ტალღა წამით შემკრთალი და შორს გაფანტა შხეფები თეთრი. და თითქოს ვნებით და სასოებით წაიღო ტალღამ ნორჩი ასული მხოლოდ მანდილი განმარტოებით აცურდა მთვარით შემოგარსული. და დიდხანს იგი ტალღებთან ერთად მოსჩანდა ბნელში ბრწყინვალე წერტილად.

მაგრამ ვინ იყო მკვლელი ნეტავ? მას თეთრი წვერი მკერდზე ეყარა. ვერ ნახა ქალი მან სატრფო და ისევ მთას და ტყეს მიეფარა. ის იყო მამა ნორჩი ქალისა! ის თვითვე გახდა ასულის მკვლელი და მან ორთავე თავისი ხელით გახადა ხვედრი ბნელ სამარისა.

მან ეს არ იცის. გაქრა ასული და შემდეგ არვის უნახავს თვალთ. ჩერქეზო, ნეტავ საით წასულა? ვგონებ, ვერ ჰპოვო ვერასდროს კვალი!

დილით უსულო ასულის გვამი მშფოთარე თერგის ნაპირად ნახეს. იგი ქვასავით იყო უძრავი.

თითქოს მის ტუჩებს და იმის სახეს უწინდელ ტანჯვის დალი დაკროდა, თითქოს ბაგეზე ისევ დაჰქროდა მისი ვედრება და საყვედური.

შეიცნო ყველამ. მამავ, რას შვები? მხოლოდ შენ მოჰკალ ეგ უბედური! სადღაა შენი სიამე, შვება?

შენს გულს აწ ტანჯვა არ მოეშვება და განუწყვეტლივ აჩრდილი მისი შენთან იქნება, თან გეახლება.

შენ მის სამარეს ლამით და დღისით დაუწყებ ძებნას — არ ინახება!

„სადა ხარ, შვილო?!“ წარმოსთქვამ

მწარედ

„სად ხარ?“ — პასუხად მოგძახებს არე-

თარგმანი ნიკოლოზ ნადირაძისა

ანა ნიკოლაძე

ლევ ვოლსკოი



— „არ ვარ ობოლი ამ ქვეყნად, ვიდრე ეს ადამიანი ცოცხლობს!“ — ეს სიტყვები წარმოთქვა მაქსიმ გორკიმ, როცა შემთხვევით წააწყდა შთამაგონებელ სურათს: დაფიქრებით მდგომს ტოლსტოის ზღვის სტიქიის წინ.

1910 წლის ნოემბერში გორკი მწუხარე გრძნობით იგონებდა ამ სურათს და წერდა: „აი ახლა კი თავს ვგრძნობ ობლად... არასოდეს ცხოვრებაში არ მიტირია ასე უნუგეშოდ...“

გორკი დასტიროდა ტოლსტოის, გენიალურ თანამოკალმეს, რომელმაც „კაცობრიობის მხატვრული განვითარება მთელი ნაბიჯით წასწია წინ“ (ლენინი).

ტოლსტოი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 50-იან წლებში. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ტოლსტოი ხატავდა გრანდიოზულ მხატვრულ ტილოებს. მათზე უმძაფრესი რეალიზმით აისახა რუსული ცხოვრების მთელი ეპოქა, დაწყებული 60-იანი წლებიდან პირველ სახალხო რევოლუციამდე.

დიდი სულიერი დრამა, რომელიც სიცოცხლის დასასრულამდე ტანჯავდა მწერალს, არ ყოფილა გამოწვეული ვიწრო სუბიექტური მიზეზებით. მწერლის ძლიერი სულიერი აფორიაქება დაიწყო მას შემდეგ, რაც მან დაინახა და იგრძნო რუსი გლეხობის მილიონიანი მასების ტანჯვა-წამება თვითმპყრობელობისა და მემამულეთა ექსპლოატაციის უღლის ქვეშ. ტოლსტოი დიდია, როგორც ამ მილიონიანი მასების იდეებისა და სულისკვეთების გამომხატველი, მაგრამ იგი უაღრესად მცდარია, როგორც წინასწარმეტყველი, მოძღვარი და მორალისტი. ამ წინააღმდეგობებით აღბეჭდილია ტოლსტოის მთელი გონებრივი მემკვიდრეობა. ტოლსტოის შემოქმედებისა და აზროვნების ამ რთულ წინააღმდეგობათა გასაღებს ჩვენ ვბოლობოთ ლენინის გენიალურ წერილებში დიდი მწერლის შესახებ.

ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მწერალთა შორის მეტად ცოტა მოიპოვება ისეთი, რომელზედაც დაწერილიყოს იმდენად ბევრი, რამდენიც დაწერილია ტოლსტოის შესახებ. არის ღრმა ისტორიული აზრი იმაში, რომ ამ ზღვა ნაწერში ყველაზე უკეთესი ფურცლები ეკუთვნის ლენინის კალამს.

არ იყო შემთხვევითი, რომ ლენინმა ყველა რუს კლასიკოსთა შორის ყველაზე მეტი სტატია მიუძღვნა ტოლსტოის. ტოლსტოი თავის შემოქმედებაში ასახავდა რუსული რევოლუციის არსებით მხარეებს, მის მსოფლიო ზასიათს. ტოლსტოი, მსოფლიო მასშტაბის მხატვარი, იყო რუსეთის ნაციონალური გენია, მისი გიგანტური სულიერი ძლიერების მაჩვენებელი. ბურჟუაზიის იდეო-

ლოგები გააფრთხილებით ცდილობდნენ ტოლსტოის მემკვიდრეობის გამოყენებას თავიანთი მიზნებისათვის და მისტიციზმის ბურუსში ხვევდნენ მის შემოქმედებას. ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაში, ბუნებრივად აღძვნიან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ტოლსტოის მხატვრული აზროვნების სწორად გაშუქების საკითხს და უდიდესი კლასიკოსის ქვეშაირი მემკვიდრე რევოლუციური პროლეტარიატი გამოაცხადა.

წინააღმდეგ ესთეტიკოს-იდეალისტებისა, რომლებიც ცდილობდნენ ტოლსტოის რთული შემოქმედებითი პრობლემების ახსნას „ადამიანის აზრის მოძრაობით“, ფორმალური მხატვრული კანონებით, ლენინმა ტოლსტოის მხატვრული მემკვიდრეობა ორგანულად დაუკავშირა რუსეთის ცხოვრების ისტორიულ განვითარებას.

ტოლსტოის შემოქმედებაში ლენინმა დაინახა მთელი ისტორიული ეპოქის უკვდავი მხატვრული ძეგლი. ლენინმა გენიალურად გააშუქა ტოლსტოის შემოქმედებისა და აზროვნებისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა რეალური მიზეზები და მოგვცა მათი ქვეშაირი ახსნა.

ახსანიშნავია, რომ სხვა მკვლევარები ტოლსტოის შინაგანი წინააღმდეგობების ახსნისას თვით გაეხლართნენ წინააღმდეგობებში. მაგალითად, პლენანოვი ფიქრობდა, რომ არსებობდა წინააღმდეგობა ტოლსტოის მსოფლმხედველობასა და მის შემოქმედებითს მეთოდს შორის. ე. ი. არსებობდა წინააღმდეგობა ტოლსტოის, როგორც მოაზროვნის და როგორც მხატვარს შორის. ამასთან ერთად, პლენანოვი ხედავდა რელიგიური ზასიათის წინააღმდეგობას წარმართ ტოლსტოისა და ქრისტიან ტოლსტოის შორის. მისი აზრით, ტოლსტოის შემოქმედებაში და მსოფლმხედველობაში ერთმანეთს ებრძვის სწორედ ეს ორი რელიგიური მიმართულება: ერთი მხრივ, წარმართობა, მეორე მხრივ კი, ქრისტიანობა. საბოლოოდ, მისი აზრით, ტოლსტოიში, ქრისტიანობა იმარჯვებს.

პლენანოვის ეს შეხედულებები, რა თქმა უნდა, ძირშივე მცდარი იყო. სხვა კრიტიკოსები არარსებულს, ან კიდევ სრულიად უმნიშვნელო წინააღმდეგობებს ეძებდნენ ტოლსტოიში.

ლენინმა მოახდინა ტოლსტოის მთელი აზროვნებისა და შემოქმედების კლასიკური ანალიზი, მკვეთრად გამოყო ძირითადი წინააღმდეგობანი. ლენინმა აღნიშნა, რომ ტოლსტოისთვის დამახასიათებელი ძირითადი წინააღმდეგობა შემდეგია: ტოლსტოი ერთი მხრივ, მონარქიულ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს უდიდესი კრიტიკოსია, სოციალური უსამართლობის მტერია, ექსპლოატაციაზე აგებული საზოგადოების მიმართ უდიდესი პროტესტანტია, მეორე მხრივ კი იგი ქადაგებს ბოროტებისათვის წინააღმდეგობას, ქადაგებს რელიგიის რეაქციულ პრინციპებს.

წერილში „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის საკე“ ლენინი წერდა: „წინააღმდეგობა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში, მოძღვრებებში, სკოლაში მართლაც ხმამაღლა მღაღადებელია. ერთი მხრივ, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხიანი ნაწარმოებნიც. მეორე მხრივ, — მემამულე, რომელიც თავს იგლახავებს ქრისტეს გულისთვის. ერთი მხრივ, საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ, — მეორე მხრივ, „ტოლსტოელი“, ე. ი. გაცვეთილი, ისტერიული მოწუწუნე, რუს ინტე-

ლიგენტად წოდებული, რომელიც საქვეყნოდ თავში ხელს იცემს და გაიძახის: „მე საძაგელი ვარ, მე საზიზღარი ვარ, მაგრამ ზნეობრივი სრულყოფისათვის ვიღწვი, ხორცეულს აღარა ექამ და ახლა ბრინჯის კატლეტებით ვსაზრდოობდი“. ერთი მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღმობელი კრიტიკა, მსახურების ძალადობათა, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, კივილიზაციის მონაპოვრებისა და მუშათა მასების სილატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალებას ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმით გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოსის ქადაგება, რომ „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს“ ძალადობით. ერთი მხრივ, უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა; — მეორე მხრივ, ყველაზე საზიზღარი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყნად, სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება, რომ სახაზინო სამსახურის ხუცების ადგილას ზნეობრივი რწმენის ხუცები დადგენ, ე. ი. დაინერგოს უაღრესად გაქნილი და ამიტომაც განსაკუთრებით საძაგელი ხუცობა“¹.

ტოლსტოის ეს წინააღმდეგობანი და სირთულე კიდევ უფრო ძლიერ ბურჟუაზიაში გახვიეს ყველა ჯურის ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა, რომლებიც ძალას არ ზოგავდნენ ათასნაირი სკოლებისა და „იზმების“ რკალში მოექციათ ამ დიდი შემოქმედის ბუმბერაზი ფიგურა. მხოლოდ ლენინის გენიალურმა აზრმა შეძლო გაეშუქებია შინაგანი წინააღმდეგობით სავსე ტოლსტოის შემოქმედებითი გზა. მხოლოდ ლენინმა შეძლო დიალექტიკური მეთოდის შეუდარებელი გამოყენებით გაეხსნა ტოლსტოის აზროვნებისა და შემოქმედების დახლართული კვანძები. ლენინი პირველყოვლისა ღრმა ანალიზს უკეთებს იმ კონკრეტულ ისტორიულ ნიადაგს, რომელმაც წარმოშვა ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე და ამით გვაძლევს ტოლსტოის ურთულესი შემოქმედების გასაღებსაც.

„წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებში, — წერს ლენინი, — მართო მისი პირადი აზროვნების წინააღმდეგობანი კი არ არის, არამედ იმ უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი პირობების, სოციალური გავლენების, ისტორიული ტრადიციების ასახვაა, რომლებიც განსაზღვრავდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და სხვადასხვა ფენის ფსიქოლოგიას რეფორმის შემდგომდროინდელ, მაგრამ რევოლუციამდელ ეპოქაში“.²

ეპოქა, რომელსაც აქ ეხება ლენინი, განისაზღვრება ორი უდიდესი ისტორიული თარიღით: 1861 და 1905 წლებით.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებისათვის იმდენად მომწიფდა ბატონყმური ინსტიტუტის გაუქმების საჭიროება, რომ ეს იგრძნო თვით მონარქიულმა ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ. თავად-აზნაურულმა კლასმა, რომელიც იძულებული იყო გაეტარებინა ეს რეფორმა, აგარაული და სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების გამო, შეძლო შეერჩინა ფეოდალური მიწათმფლობელური პრივილეგიები. გლეხი კი დარჩა უმიწოდ, ცარიელი „თავისუფლების“ ამარა და მოექცა კიდევ უარეს კაბალურ მდგომარეობაში. აქედან იწყება ძველი გლეხური მეურნეობის რღვევა. კაპიტალიზმი თავის საქმეს აკეთებს. წერილში „ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა“ — ლენინი წერს:

¹ ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 237 — 238

² ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 404

„ეს ძველი პატრიარქალური რუსეთი 1861 წლის შემდეგ სწრაფად ირღვეოდა მსოფლიო კაპიტალიზმის გავლენით. გლეხები შიმშილობდნენ, წყლებოდნენ, ჩანაგდებოდნენ, როგორც არასოდეს წინათ, თავს ანებებდნენ მიწას და გარბოდნენ ქალაქებში, გაძლიერებით შენდებოდა რკინიგზები, ფაბრიკა-ქარხნები გაჩანაგებულ გლეხთა „იაფი შრომის“ მეოხებით. რუსეთში ვითარდებოდა მსხვილი ფინანსური კაპიტალი, მსხვილი ვაჭრობა და მრეწველობა:

ძველი რუსეთის ყველა ძველი „ბურჯის“ აი ეს ჩქარი, მძიმე მკვეთრი მსხვერველი აისახა კიდეც ტოლსტოი — მხატვრის ნაწარმოებებში, ტოლსტოი მოაზროვნის — შეხედულებებში“¹.

ლენინის თქმით, ამ ეპოქის შინაარსი ტოლსტოიმ შესანშნავად გამოხატა თავისი გმირის კ. ლევინის („ანა კარენინა“) პირით, როცა ეს უკანასკნელი ამბობს, რომ ჩვენში ყველაფერი გადატრიალდა და მხოლოდ ახლა ეწყობათ. აქ ტოლსტოი ლევინის პირით აღიარებდა ქვეყნის კაპიტალიზაციის გზაზე შედგომის ფაქტს. ლევინის უარყოფითი დამოკიდებულება ბურჟუაზიის მიმართ გარკვევით გამოხატავს ტოლსტოის სიძულვილს ამ ახალი სოციალური ძალი-სადმი. ანტიკაპიტალისტური განწყობილებით არის აღსავსე ტოლსტოის მთელი შემოქმედება და მოძღვრება. ტოლსტოი ტიტანური სიძლიერით დაესხა თავს ბურჟუაზიულ წყობას და თავის გენიალურ მხატვრულ თხზულებებში მოგვცა კაპიტალისტური ექსპლოატაციის უმძაფრესი კრიტიკა.

ტოლსტოიმ დაგმო ფეოდალური კლასის ექსპლოატატორულ-მტაცებლური მისწრაფებანი, დაგმო ბურჟუაზიული ბატონყმური სახელმწიფო, ეკლესია, კაზიონური სასამართლო და სასტიკად გაილაშქრა ხალხის დამონების წინააღმდეგ. კაპიტალის შემდგომმა განვითარებამ, ძველი ცხოვრების სწრაფმა რღვევამ ტოლსტოის მსოფლმხედველობაში 70-იანი წლების ბოლოს გარდატეხა გამოიწვია. ლენინი ამ გარდატეხის სოციალური მიზეზების ბრწყინვალე ანალიზს იძლევა. „რუსეთის სოფლის ყველა „ძველი ბურჯის“ მკვეთრმა მსხვერველმა, — წერს ლენინი, — გაამახვილა მისი ყურადღება, გააღრმავა მისი ინტერესი იმას მიმართ, რაც მის გარშემო ხდებოდა, გამოიწვია გარდატეხა მთელ მის მსოფლმხედველობაში. წარმოშობითა და აღზრდით ტოლსტოი ეკუთვნოდა რუსეთის მემამულეთა უმაღლეს დიდკაცობას, — მან კავშირი გაწყვიტა ამ წრის ყველა ჩვეულ შეხედულებებთან და, თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში, მგზნებარე კრიტიკით დაესხა თავს მთელ თანამედროვე სახელმწიფოებრივ საეკლესიო, საზოგადოებრივ, ეკონომიურ წესებს, რომლებიც ემყარება მასების დამონებას, მათს სილატაკეს, გლეხთა და წვრილ მეპატრონეთა გაჩანაგებას, საზოგადოდ, ძალადობასა და პირმოთნეობას, რითაც თავიდან ბოლომდე გაელენთილია მთელი თანამედროვე ცხოვრება“².

ტოლსტოის შემოქმედებაში უდიდესი სიძლიერით იფეთქა პროტესტი ადამიანის ექსპლოატაციისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ტოლსტოიმ გაბედულად ახადა ნიღაბი მისი კლასის მტაცებლურ სახეს და იგი ზიზღით უარყო. ლენინის შესანიშნავი ანალიზის მიხედვით ჩვენთვის გასაგები გახდა ტოლსტოის აზროვნების და მხატვრული შემოქმედების ძირითადი წინააღმდეგობა. ამასთან ერთად, ჩვენთვის ნათელი შეიქნა, რომ ეს წინააღმდეგობა მხოლოდ ტოლსტოის საკუთარი, განყენებული აზრის წინააღმდეგობა კი არ იყო, არა-

¹ ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 412

² ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 413

მედ წარმოადგენდა განსაზღვრული ეპოქის სოციალური ვითარებისა, იდეებისა და განწყობილებათა გამოხატვას, იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობათა ასახვას.

ტოლსტოის შესწავლისას ერთ-ერთი მთავარი საკითხია მისი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის სოციალური გენეზისის საკითხი. რომელი კლასის იდეებს და განწყობილებებს გამოხატავს ტოლსტოი თავის მსოფლმხედველობაში და მხატვრულ ნაწერებში? როგორ დამოკიდებულებაშია იასნოპოლიანელი გენიოსი თავისი დროის სხვადასხვა საზოგადოებრივ ძალებთან? აი საკითხები, რომელთა გარკვევა ჩვენ გაგვაცნობს დიდი რუსი მწერლის შემოქმედების ნამდვილ სოციალურ შინაარსს.

პლეხანოვი, რომელმაც სპეციალური წერილები მიუძღვნა ტოლსტოის შემოქმედების განხილვას, იმ აზრის იყო, რომ ტოლსტოის სრულიად არ აინტერესებს მისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრება.

ეჭვს გარეშეა, პლეხანოვი ამ შემთხვევაში ჰუმბარიტებას დალატობს. ლენინი სრულიად საწინააღმდეგო აზრს ატარებს, იგი წერს: რომ ტოლსტოიმ „უდიდესი ძალით, რწმენით, გულწრფელობით და აყენა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება თანამედროვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესწყობილების ძირითად თვისებებს“¹.

პლეხანოვი მცდარ შეხედულებას ატარებს აგრეთვე ტოლსტოის შემოქმედების სოციალური გენეზისის საკითხში. მისი აზრით „ტოლსტოი იყო და თავის სიცოცხლის დასასრულამდე დარჩა დიდ მებატონედ“. „მას აქვს მხატვარ-არისტოკრატის ფსიქოლოგია“. იასნოპოლიანელი გენიოსი იყო „მებატონე თავიდან ბოლომდე“ — ასე ასკენის პლეხანოვი.

სრულიად საწინააღმდეგო შეფასებას აძლევს ტოლსტოის შემოქმედების სოციალურ ბუნებას თავის გენიალურ წერილებში ლენინი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, გამოხატავდა არა ფეოდალური კლასის, ფეოდალური არისტოკრატის მისწრაფებებს, არამედ გლეხობის სიძულვილს სწორედ ამ არისტოკრატისადმი და საერთოდ მხატვრული კლასებისა და მათი სახელმწიფოს მიმართ. წერილში „ტოლსტოი და პროლეტარიატის ბრძოლა“ ლენინი აღნიშნავდა: — „მისი (ტოლსტოის — ა. ნ.) პირით ლაპარაკობდა რუსი ხალხის მთელი ის მრავალმილიონიანი მასა, რომელსაც უკვე სძულს თანამედროვე ცხოვრების ბატონ-მატრონები, მაგრამ, რომელიც ჯერ კიდევ არ მისულა შეგნებულ, თანამიმდევრულ, ბოლომდე მიმავალ შეურიგებელ ბრძოლამდე მათ წინააღმდეგ.“

რუსეთის დიდი რევოლუციის ისტორიამ და შედეგმა ცხადყო, რომ სწორედ ასეთი იყო ის მასა, რომელიც აღმოჩნდა შეგნებულ სოციალისტურ პროლეტარიატსა და ძველი რეჟიმის თავგამოდებულ დამცველებს შორის. ამ მასამ, — უმთავრესად, გლეხობამ, — დაგვანახა და რევოლუციის დროს ცხადყო თუ რა დიდი სიძულვილია მასში ძველისადმი, რაოდენ დიდია მასში სტიქიური მისწრაფება — განთავისუფლდეს ამ სიმძიმისაგან და მოიპოვოს უკეთესი ცხოვრება.

და ამავე დროს ამ მასამ რევოლუციაში ცხადყო, რომ თავის სიძულვილში იგი არასაკმაოდ შეგნებულია, თავის ბრძოლაში არათანამიმდევრულია, უკეთესი ცხოვრების თავის ძიებაში შემოზღუდულია ვიწრო ფარგლებით.

¹ ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 411

დიდი ზღვა — ხალხი, რომელიც უდიდეს სიღრმეებამდე აზვირთდა მთელი თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით აისახა ტოლსტოის მოძღვრებაში¹.

სხვა ადგილას ლენინი წერს, რომ ტოლსტოი იყო რუსეთის მრავალმილიონიანი პატრიარქალური გლეხობის იდეების და განწყობილებათა ამსახველი და ამასთან დაკავშირებით ლენინი ტოლსტოის შემოქმედებას უწოდებს რუსეთის პირველი რევოლუციის სარკეს. — „და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, — წერს ლენინი ტოლსტოის შესახებ, — მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე“². ამრიგად, პლეხანოვის დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ ლენინი ტოლსტოის აღიარებს მრავალმილიონიანი რუსი პატრიარქალური გლეხობის განწყობილებების გამო-მხატველად. დიდი მხატვრის ძლიერსა და სუსტ მხარეებს ლენინი ორგანულად უკავშირებს ამ გლეხთა მასების სოციალურ ვითარებას, რომელიც მკვეთრად არის გამოხატული 1861 — 1905 წლების ისტორიულ მონაკვეთში.

პლეხანოვის შეცდომების ძირი მარხია მის მცდარ ზოგად-თეორიულ ესთეტიკურ შეხედულებებში, კერძოდ მის მოსაზრებაში, რომ „განსაზღვრული კლასის ლიტერატურის წარმომადგენელი გამოხატავს მხოლოდ საკუთარი კლასის იდეებს“; მორალისტურ აბსტრაქტულ მიდგომას იჩენს პლეხანოვი ტოლსტოის შემოქმედებისა და აზროვნების სხვა საკითხებისადმიც. პლეხანოვის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ტოლსტოი „თავიდან ბოლომდე მებატონე“ იყო, მასში განსაზღვრულ ეტაპზე ჩანდა ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულების ნიშნები ფეოდალური კლასის მიმართ. ეს ფაქტი, პლეხანოვის აზრით, გამოწვეული იყო გენიალური მწერლის წმინდა აბსტრაქტულ-სუბიექტური მიზეზობით. მისი რელიგიური რწმენით, სიძულვილით „ზორციელი ცხოვრებისადმი“. პლეხანოვის მიხედვით, თუკი ტოლსტოის რაიმე სიმპათია ჰქონდა ხოლომე ხალხისადმი, — ესეც მისი რელიგიურობით აიხსნებოდა. მაგრამ პლეხანოვს არ ესმის, რომ ტოლსტოის უარყოფითი დამოკიდებულება თავის კლასთან არ არის „უბიზოდური“ ხასიათს მოვლენა, ერთი მხრივ, და, რაც მთავარია, არ წარმოადგენს შემოქმედის აბსტრაქტული აზრის, რელიგიური რწმენის განვითარების შედეგს, არამედ იგი ისტორიულ-სოციალური პირობების ანარქელია, რუსეთის დაწაგრული მასების ზიზღის და პროტესტის გამოხატულებაა ექსპლოატატორული კლასების მიმართ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტოლსტოის განწყობილებებსა და იდეებს ლენინი ხსნის როგორც ურთულეს სოციალურ მოვლენათა, ისტორიული ტრადიციებისა და ფსიქოლოგიური განწყობილებების ასახვას.

ტოლსტოის შემოქმედების ლენინური ანალიზი ცხადყოფს პლეხანოვის ზემოთ აღნიშნულ დებულებათა მცდარობას. „ანნა კარენინას“ მთავარი გმირი ლეინი, რომელშიც ტოლსტოიმ ავტობიოგრაფიული ხაზები ჩააქსოვა, რელიგიურობის გამო კი არ თანაუგრძნობს დამონებულ გლეხობას, არამედ ამის გამო, რომ „მათი (გლეხობის) ინტერესები საპართლიანად ეწინააღმდეგება შემამულეთა ინტერესებს, რადგან შემამულეები უკანონოდ ითვისებენ გლეხების შრომას“.

ტოლსტოი იყო მხურვალე მომხრე შრომის განთავისუფლებისა.

¹ ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 440 — 441

² ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 236

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტოლსტოი ერთბაშად არ გადასულა პატრიარქალური გლეხობის მილიონიანი მასების პოზიციებზე.

აღსანიშნავია, რომ კრიტიკული დამოკიდებულება სოციალურ გარემოსადმი გარკვევით იგრძნობა ტოლსტოის ადრეულ ნაწერებშიაც, ჯერ კიდევ მისი პირველი ავტობიოგრაფიული ტრილოგიის („ბავშვობა, ყრმობა და ქაბუკობა“, 1851 — 1856 წწ.) გმირი ნიკოლენკა ირტენიევი, რომელიც თავდაპირველად აიდეალებს ფეოდალურ-არისტოკრატიულ ცხოვრებას, თანდათან იჩენს კრიტიკული განწყობილების გრძნობას თავისი წრისადმი. ტოლსტოის გმირი დაძაბული შინაგანი ბრძოლის შედეგად უარყოფს მისთვის აქამდე იდეალად დასახული ფეოდალური არისტოკრატიის მორალურ კოდექსებს. იგი რწმუნდება, რომ მალალი არისტოკრატიული საზოგადოება, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა და რომლითაც გატაცებული იყო, სავსეა სიყალბითა და ფარისევლობით. საბოლოოდ ნიკოლენკა ინტენიევი პოულობს მორალურ დასაყრდენს. ეს არის იდეა ადამიანის ზნეობრივი სრულქმნისა. ეს იდეა ტოლსტოის შემოქმედების შემდგომ განვითარებაში ნახულობს გაშლას და გაღრმავებას.

ტოლსტოის ტრილოგიის ცენტრალური გმირის ნიკოლენკა ირტენიევის რთულ სოციალურ ევოლუციაში შეიძლება დავინახოთ ტოლსტოის სულიერი დრამის პირველი აქტი.

ტოლსტოის მომდევნო თხზულებაშიაც („მემამულის დილა“ — 1865 წლ. „ყაზახები“ — 1852 — 1863 წწ.) გარკვევით მოჩანს უბრალო ადამიანებთან, გლეხებთან დაახლოების მისწრაფება.

ამავე პერიოდში დაწერა ტოლსტოიმ მოთხრობა „ლიუცერნი“, სადაც მწერალი დასავლეთის ბურჟუაზიული საზოგადოების სასტიკ კრიტიკას იძლევა. ტოლსტოის მზის სინათლეზე გამოაქვს ბურჟუაზიული მორალის სიყალბე, ევროპული დემოკრატიის „თავისუფლება“. იგი თავისი სარკაზმის მთელი ძალით ამათრახებს ინგლისელ გონებჩალუნგ ბურჟუებს, რომელთათვის უცხოა ხელოვნების მშვენიერების განცდა და რომლებიც ველური ცინიზმით ეპყრობინა გმირული ეპოპეა „ომი და მშვიდობა“.

60-იან წლებში შექმნა ტოლსტოიმ უდიდესი ძეგლი მსოფლიო ხელოვნებისა ამიროლი ეპოპეა „ომი და ზაი“.

რომანის ისტორიულ თემატიკას წარმოადგენს ნაპოლეონის 1805 — 12 წლების ბრძოლები, რუსეთის პირველი დიდი სამამულო ომი. ტოლსტოი შეუდარებელი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს დიდი რუსი ხალხის პატრიოტულ ძალას, მის შეუდრეკელ ნებისყოფას. 1812 წლის სამამულო ომი ტოლსტოიმ დაგვიხატა, როგორც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომი. ამ გენიალურ რომანში მთავარ მოქმედ გმირად გვევლინება თვით ხალხი.

თავის დადებით გმირებთან ტოლსტოის აკავშირებს უძლიერესი გრძნობა პატრიოტიზმისა და დაუცხრომელი მისწრაფება ცხოვრების აზრის პოვნისა, იენ. ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი გრაფი პიერ ბეზუხოვი, ქიშმარიტიბის ძიებაში წააწყდება უბრალო გლეხს პლატონ კარატაევს და მასში დაინახავს ნამდვილი, ადამიანური ცხოვრების მიზანს. გზა პიერ ბეზუხოვიდან პლატონ კარატაევამდე არის გზა, რომელიც განვლო ტოლსტოიმ გრაფის სასახლიდან პატრიარქალურ გლეხურ ქოხამდე. მაგრამ ამ დროს ტოლსტოი ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდებოდა ბოლომდე გლეხის კაბალური მდგომარეობის მთელ საშინელებას და გოლუმბრყვილო გლეხის ის უყურებდა მხოლოდ როგორც მესიას, რომელსაც უნდა ესხნა საძულველი ბურჟუაზიული კულტურის წარღვნისაგან მისთვის ძვირფასი პატრიარქალური სამყარო.

ანა კარენინა რუსი ქალის უაღრესად ტრაგიკული ფიგურაა მთელს რუსულ ლიტერატურაში. ანა კარენინა 70-იანი წლების ბრწყინვალე ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელია, ახალგაზრდული ცეცხლით ანთებული, ნაზი და ღრმა გრძნობის ქალი. მას გარიყავს მაღალი არისტოკრატიული საზოგადოება, როგორც „მორალურ“ ქალს, რომელმაც გაბედა თავის უსულგულო ქმრის უარყოფით და საკუთარი ჰემშარიტი გრძნობების ხმამაღალი აღიარებით გაბედულად დაეგმო მაღალი საზოგადოების ყალბი მორალი. ანა იღუპება ძველი ცხოვრების უმსგავს ტრადიციებთან შეჯახებაში.

ტოლსტოის იდეოლოგიური ევოლუცია უშუალოდ დაკავშირებულია 70 — 80-იანი წლების რუსეთის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან. ამ პერიოდში კაპიტალიზმის გაღრმავებულმა პროცესებმა, ძველი ყოფის სწრაფმა რღვევამ, კაპიტალის შიშველი, მტაცებლური სახის ღრმად ტოლსტოის მსოფლმხედველობაში გამოიწვია ორგანული გარდატეხა. მის შემოქმედებაში უდიდესი სიძლიერით იფეთქა პროტესტმა ადამიანის ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ტოლსტოი გაბედულად ხდის ნიღაბს საკუთარი კლასის მტაცებლურ სახეს და მას ზიზღით უარყოფს.

ტოლსტოის მსოფლმხედველობის გარდატეხა მთელი სისავსით ასახულია მის დიდ სოციალურ რომანში „აღდგომა“ (1890 წ.).

ტოლსტოიმ „აღდგომაში“ უდიდესი რეალისტური სიძლიერით დაგვიხატა ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი და სოციალური ცხოვრების შემზარავი სურათი.

რომანის მთავარი გმირი ნეხლიუდოვი მორალური თვითსრულყოფის გზით ავტორს მიყავს ზნეობრივი აღორძინებისაკენ, „აღდგომისაკენ“. ნეხლიუდოვის მთელი სიმპათიები მშრომელი ხალხის მხარეზეა. იგი თანდათან უარყოფს მისთვის უსამართლოდ მიანიჭებულ კლასობრივ უპირატესობას და თავის მიწებს აძლევს გლეხობას, — მათ, ვისაც, მისი აზრით, ნამდვილად უნდა ეკუთვნოდეს მიწა.

ნეხლიუდოვის მსოფლმხედველობის ანალიზი ცხადყოფს ტოლსტოის ორგანულ სიახლოვეს თავის გმირთან. ნეხლიუდოვი წარმოადგენს ლოგიკურად დასრულებულ სახეს ტოლსტოის გმირთა ევოლუციაში, რომელთაც ახასიათებთ სოციალურ გარემოსადმი კრიტიკული დამოკიდებულება.

ტოლსტოის გასაოცარი მხატვრული ოსტატობით აქვს მოცემული რომანში გულუბრყვილო გლეხი ქალის კატუშა მასლოვას ცხოვრების ტრაგედია. კატუშა მასლოვა მონობაზე აგებულ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი რეჟიმის უდანაშაულო მსხვერპლია, მაგრამ კატუშა მასლოვა როდია გამონაკლისი. მასთან ერთად ტოლსტოი ქმნის „უდანაშაულო დამანაშავეთა“ მდიდარ ტიპებს.

კატუშა მასლოვას თავგადასავალი არის ფონი, რომელზედაც იშლება მონარქიული რუსეთის სოციალური ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები.

ტოლსტოიმ, როგორც უდიდესმა რეალისტმა, შეუდარებელ სიმაღლეზე აიყვანა კაცობრიობის მხატვრული აზროვნება, თავის დიდ მხატვრულ ტილოზე ტოლსტოიმ ჯადოსნური ხელოვნებით ასახა რუსეთის ეროვნული ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით და სიდიადით.

ტოლსტოი ხშირად გვისურათებს საოცარი მიმზიდველობით გაზაფხულს ადამიანის ცხოვრებაში და ბუნებაში. თითქოს ამით მწერალი სიმბოლურად

გამოხატავს თავის დაუცხრომელ სწრაფვას სიცოცხლისაკენ, ადამიანის სულიერი აღორძინებისაკენ.

ტოლსტოის სამართლიანად უწოდებენ ადამიანის გულის მესაიდუმლოს. იგი ვირტუოზული ოსტატობით იძლევა ფსიქოლოგიურ ანალიზს თავის მხატვრულ შემოქმედებაში. ტოლსტოის აქვს არაჩვეულებრივი მხატვრული უნარი გადმოგვეცეს ადამიანის სულის ოდნავი მოძრაობაც კი. არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ტოლსტოის შემოქმედებითი მეთოდის ერთ თავისებურებასაც. ეს არის დეტალის გასაოცარი მხატვრულობით ჩვენება. ტოლსტოის დეტალი ყოველთვის დაკავშირებულია მოვლენის არსებით მხარესთან და ხელს უწყობს სინამდვილის კანონზომიერების მხატვრულ შემეცნებას. ასეთია ტოლსტოის მხატვრული რეალიზმის მთავარი თავისებანი.

ტოლსტოი არის არა მხოლოდ რუსი ხალხის მხატვრული გენია, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურის მშვენიება. გორკისთან საუბარში ლენინმა აღნიშნა ტოლსტოის გიგანტური ძალა და ხაზი გაუსვა, რამ მთელს ევროპაში არავინ არის ისეთი, რომლის დაყენება შეიძლებოდეს ტოლსტოის გვერდით.

ტოლსტოიმ — მხატვარმა უძლიერესი ზეგავლენა მოახდინა მთელი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის განვითარებაზე. ყველა ხალხის სახელგანთქმული მწერლები ტოლსტოიში ხედავდნენ თავის მასწავლებელს, მხატვრული სიტყვის განუმეორებელ ოსტატს. ანატოლ ფრანსი წერდა: „როგორც ეპიკური მწერალი, ტოლსტოი ჩვენი საერთო მასწავლებელია“. ტოლსტოის გენიის წინაშე თავს ზრიდნენ ფლობერი, მოპასანი, რომენ როლანი.

თავის ნაწერებში ტოლსტოი გვევლინება, როგორც ინტერნაციონალისტი. იგი ღრმა პატივისცემით ეკიდება ყველა ხალხს. ადამიანის სიყვარულის ცხოველმყოფელი სხივებით არის განათებული დიდი რუსი მწერლის შემოქმედება. იგი იყო ხალხთა დიდი ქომაგი. ტოლსტოი არა ერთხელ გამოსულა, როგორც დამპყრობელი ომების სასტიკი დამგმობი. მის დროს იმპერიალისტური სახელმწიფოები უკვე ემზადებოდნენ ასეთი ომების გასაჩაღებლად. ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში ტოლსტოი ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ წერდა: „რა არის, რომ ჩვენ ამ ადამიანების მყუდრობას არ ვარღვევთ, არ ვეცემით მათ და არ ვათავსებთ ყველა იმპერატორებს, მეფეებს, მინისტრებს, გენერლებს საჯიჯეთში, განა ცხადი არ არის, რომ მათ განუზრახავთ და ამზადებენ ყველაზე საშინელ ბოროტებას...“

ტოლსტოის სიტყვები, რომლებიც ამხელენ კაპიტალისტურ სამყაროს შინაგან მექანიზმს და იმპერიალისტ ცრუდემოკრატიებს, დღესაც ინარჩუნებენ მთელ თავის ძალას.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ტოლსტოის გონებრივ მემკვიდრეობაში უნდა დავუფლავოთ მას, რაც მომავალს ეკუთვნის. ეს არის ყველაზე ძვირფასი ღირებულება — მისი მხატვრული რეალიზმი, რომელიც დღესაც მძლავრი იარაღია ძველ სამყაროსთან ბრძოლაში, კომუნისმის დიად მშენებლობაში.

ლევ ტოლსტოის კავკასიისა და საქართველოში



დიდი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი ხშირად იტყოდა ზოლმე, რომ მისი ყოფნა კავკასიისა და საქართველოში წარმოადგენდა მისი „ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდს“.

1851 წლის 3 ივნისიდან იწყება ჩანაწერები ლევ ტოლსტოის დღიურში იმ შთაბეჭდილებათა აღნიშვნით, რომლებიც მან მიიღო სტანიცა სტაროგლადკოვსკაიაში ჩასვლით, სადაც იგი თან ახლდა თავის ძმას პოდპორუჩიკ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის. ამ სტანიცაში იყო დაბანაკებული იმ დროს ჯარის ის ნაწილი, რომელშიც მსახურობდა ნიკოლოზ ტოლსტოი.

თავისი ორეულის ოლენინის („კაზაკები“) მსგავსად, ახალგაზრდა ლევ ტოლსტოის სჯეროდა, რომ „ახლა, როცა იგი გამოემგზავრა მოსკოვიდან, იწყება ახალი ცხოვრება, რომლის დროსაც უკვე ადგილი აღარ ექნება შეცდომებს, მონანიებებს, არამედ, ალბათ, იქნება მხოლოდ ბედნიერება“.

ლევ ტოლსტოი კავკასიაში იმყოფებოდა 1851 წლიდან 1854 წლამდე. სტანიცა სტაროგლადკოვსკაიამ, სადაც პირველად ჩავიდა ტოლსტოი, ვერ მოახდინა მასზე მოსალოდნელი შთაბეჭდილება. ძალუა იუშკოვასადმი გაგზავნილ წერილში ლევ ტოლსტოი სჩივის, რომ ირგვლივ არსად ჩანან ლამაზი მიდამოები და საინტერესო ადამიანები. მაგრამ ტოლსტოი მალე შეჭვუბნა გარემოს, როცა დაახლოებია ადგილობრივ მოსახლეობას. ლევ ტოლსტოიმ შეიყვარა ადგილობრივი მცხოვრებნი მათი უბრალოებისა და კეთილშობილური თვისებების გამო. მწერლის შთაბეჭდილებები უფრო სრულყოფილი გახდა, როცა მას შემთხვევა მიეცა გაყოლოდა თავის ძმას ციხესიმაგრე სტარი იურტში, რომელიც მდებარეობდა გორიაჩევოდსკში (ისტო-სუ) და ცნობილი იყო თავისი სამკურნალო წყლებით.

სტარი იურტი მთავორიანი ადგილია და მთების შესანიშნავმა ზვიადმა პეიზაჟმა მოხიბლა მწერალი. მთის მასივები, მათი ველური სილამაზე, მათ ფონზე თავისებურ აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი ტანწერწერტა ქალები მქუხარე თერგის ნაპირას ღრმად შეიჭრნენ ლევ ტოლსტოის ცნობიერებაში. ამ შთაბეჭდილებებს ასე აკვიწებს იგი: „ხშირად მთელი საათობით ვდგავარ და ვტკბები პეიზაჟებით“. ამ აულიდან მიიღო ტოლსტოიმ მონაწილეობა ჩეჩენთა წინააღმდეგ ლაშქრობაში, როგორც მოხალისემ. რუსეთის ჯარის აქ მოქმედ ნაწილის სარდლობდა გენერალ-მაიორი ბარიატინსკი. თავისი ნათესავის, ილია ტოლსტოის, მეშვეობით მწერალმა გაიცნო მთავარსარდალი ბარიატინსკი. ამ უკანასკნელმა შეაქო იგი გამბედაობისათვის, რაც ლევ ტოლსტოიმ პირველი ლაშქრობის დროს გამოიჩინა, და ურჩია, დაეჩქარებინა სამხედრო სამსახურში შესვლის გაფორმება, ვინაიდან იგი ჯერ მხოლოდ კერძო მოხალისედ ითვლებოდა. მთავარსარდლის შეჭვამ იმოქმედა და ლევ ტოლსტოიმ გადაწყვიტა მიეცა სათანადო ორგანოში თხოვნა მისი სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის

შესახებ. 1851 წლის ოქტომბერს თავის ძმასთან — ნიკოლოზ ტოლსტოისთან — ერთად ლევ ტოლსტოი გამოემგზავრა თბილისისაკენ.

ლევ ტოლსტოის ძმა მალე გაბრუნდა უკანვე, თვითონ კი დარჩა თბილისში, რათა ჩაებარებინა გამოცდები და ჩარიცხულიყო სამხედრო სამსახურში. საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც ტოლსტოიმ განვლო თბილისში ჩამოსვლამდე, ძლიერ მოსწონებია მას წარმტაცი ბუნებისა და ადგილობრებარეობის გამო. თბილისში მას ჩამოსვლისთანავე უნახავს პეტერბურგელი ახლო ნაცნობი ბაგრატიონი. ამ ბაგრატიონს ლევ ტოლსტოი ხშირად იხსენიებს თავის წერილებში. იგი უნდა იყოს გიორგი კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელმაც პეტერბურგში მიიღო უმაღლესი განათლება. ტოლსტოი მას აწასიათებს, როგორც ჰევიანსა და განათლებულ ადამიანს.

თბილისს მწერალზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოუხდენია. ლევ ტოლსტოის აზრით, თბილისი ცივილიზებული ქალაქია, იგი ჰბაძავს პეტერბურგს, და ამას ახერხებს კიდევაცო. მწერალი ამბობს, რომ აქ არის რჩეული მრავალრიცხოვანი საზოგადოება, არსებობს რუსული თეატრი და იტალიური ოპერა.

თბილისში მწერალს უტხოვრია ეგრეთწოდებულ გერმანულ კოლონიამი (ახლანდელი პლენაროვის პროსპექტი ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკით). მართალია, ეს გარეუბანიაო, — ამბობს ტოლსტოი, — მაგრამ ამ ორი რამით იგი ძლიერ კმაყოფილია: ჯერ ერთი, ეს წარმტაცი გარეუბანი ჩაფლულია ბაღებსა და ვენახებში, ასე რომ აქ სოფელში გეგონება იყო, ვიდრე ქალაქშიო; მეორეც ის, რომ ორ საკმოდ სუფთა ოთახში ხუთ მანეთს ახდევინებდნენ, მაშინ როდესაც ქალაქში ასეთ ბინას 40 მანეთზე ნაკლებად ვერ იშოვნიდა. გარდა ამისა, მწერალი იმითაც გახარებულია, რომ მას გერმანულ ენაში პრაქტიკა მიუღია.

თავისი პირველი მოთხრობა „ბავშვობა“ ლევ ტოლსტოის თბილისში დაუწერია.

როგორც სავსებით სწორად აღნიშნავს ლევ ტოლსტოი თავის მიმოწერაში, იმ დროს თბილისში ძალიან გამოცოცხლებული იყო კულტურული ცხოვრება. მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა რუსული თეატრი, იტალიური ოპერა, გიორგი ერისთავის მიერ ახლად შექმნილი ქართული თეატრი, გამოდიოდა პირველი ქართული ეურნალი „ცისკარი“, რომლის გარშემო დარაზმული იყვნენ ქართველი მწერლები და მოაზროვნეები, გამოდიოდა რუსული გაზეთები: „ზაკავკასკი ვესტნიკ“ (ოფიციალური ორგანო) და „კავკაზ“ (რომელიც მეტწილად ლიტერატურულ ორგანოს წარმოადგენდა); იმ დროს შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების განყოფილება, რომლის წევრთა შორის იყვნენ ცნობილი ორიენტალისტი ნ. ხანაიკოვი, მხატვარი გ. გაგარინი, აზერბაიჯანელი მწერალი და მოაზროვნე მირზა ფატალი ახუნდოვი და სხვ.

გ. კ. ბაგრატიონი, რომელსაც ტოლსტოი თავის მიმოწერაში იხსენიებს, თავისი გავლენისა და ნაცნობების ფართო წრის მეოხებით (იგი იყო სენატორი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი), ცხადია, დიდ დახმარებას გაუწევდა ტოლსტოის სამხედრო სამსახურში მოწყობის საქმეში. მას გააცნობდა, აგრეთვე, იმდროინდელ ადგილობრივ საზოგადოებას. ვინაიდან გ. კ. ბაგრატიონის მამა — კ. ი. ბაგრატიონი მეგობრულ ურთიერთობაში იყო ალექსანდრე ჰევიანის ოჯახთან, ექვსგარეშეა, თვითონ გ. ბაგრატიონიც სასურველი სტუმარი იქნებოდა ამ სტუმართმოყვარე ოჯახში, რომელსაც მეთაურობდა ნინო ჰევიანის-გრიბოედოვისა და სადაც გრძელდებოდა პოეტის სიცოცხლეშივე შექმნილი ტრადიციე-

ბი. ლევ ტოლსტოის ალექსანდრე ჰავკავაძის ოჯახში სტუმრად ყოფნის დროს არ შეიძლებოდა არ გაეცნო მანანა ორბელიანი. ტოლსტოის თავის ნაწარმოებში — „ჰაჯი მურადი“ გამოყვანილი ჰყავს მანანა ორბელიანი, *ეროვნობა* — შეფის-ნაცვალი ვორონცოვის მიერ გამართული ნადიმის მონაწილე.

ალექსანდრე ჰავკავაძის ოჯახში შექმნილი ლევ ტოლსტოის შეხვედრობა გ. ერისთავს, პლატონ იოსელიანს და ქართველი მოწინავე საზოგადოების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებს. პლატონ იოსელიანი იმ ხანებში რედაქტორობდა გაზეთ „ზაკავაზსკი ვესტნიკს“. კარგად იცნობდა ტოლსტოი გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს — ი. კონსტანტინოვსაც. 1854 წელს მწერალი სევასტოპოლში კონსტანტინოვთან ერთად სცემდა სამხედრო ჟურნალს „სოლდატსკი ვესტნიკი“.

ლევ ტოლსტოის თბილისში ყოფნის დროს აქ ცხოვრობდა ისეთი ცნობილი ლიტერატორი, როგორც იყო ვ. სოლოგუბი, „ტარანტასის“ ავტორი. სხვათა შორის, იგი იყო თბილისში იტალიური ოპერის შექმნის, გეოგრაფიული საზოგადოების წერილების პერიოდულად გამოცემისა და სხვა საზოგადოებრივ წამოწყებათა ინიციატორი.

იმდროინდელი თბილისის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იაკობ პოლონსკი, შემდეგში — ცნობილი პოეტი. ტოლსტოის თბილისში ყოფნის დროს პოლონსკის უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ლექსების კრებული „საზანდარი“. პოლონსკის ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „კავკაზში“. მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ისტორიული დრამა „იმერეთის დედოფალი დარეჯანი“. პოლონსკი ტოლსტოის განუყრელი მეგობარი იყო.

ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში ყოფნის პერიოდიდან ტოლსტოის განსაკუთრებით ჩარჩენია მეხსიერებაში ჰაჯი მურადის პიროვნება. ჰაჯი მურადის მამაცობისა და ეპიკაციობის შესახებ ლევ ტოლსტოის ბევრი რამ მოუსმენია სამხედრო სამსახურში. აქ მაშინ ფართოდ იყო გავრცელებული ჰაჯი მურადის ერთ-ერთი „გმირობის“ ისტორია — 1846 წელს ხანის ცოლის ნოჰ-ბიკეს გატაცება ჯენგუთაიდან იმ დროს, როცა იქვე იმყოფებოდა ჯარის მთელი ბატალიონი. გრიგოლ ორბელიანი, რომელიც მაშინ ჯარის ნაწილს სარდლობდა შამილის წინააღმდეგ, პირადად დაედევნა ჰაჯი მურადს და შეანანა მისი ასეთი თავგებობა. თბილისში ლევ ტოლსტოის საშუალება მიეცა პირადად ენახა ჰაჯი მურადი. შემდეგ კი ტოლსტოი ამ საინტერესო პიროვნების ცხოვრებისა და ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ ბევრს უამბობდა ზოლმე ბავშვებს იასნაია პოლიანაში. ეს განსაკუთრებული ინტერესი ჰაჯი მურადისადმი არ შენელებულა ტოლსტოიში მრავალი წლის მანძილზე. 1896 წელს კი იგი შეუდგა თავისი შესანიშნავი ნაწარმოების „ჰაჯი მურადის“ წერას.

ამ მუშაობაში მწერალს დიდი დახმარება გაუწიეს ქართველმა მოღვაწეებმა — ი. ნაკაშიძემ, ს. ესაქემ, აგრეთვე, ს. შულგინმა, ი. ყორღანოვმა და სხვებმა. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია ს. ესაქემ. მან გადმოწერა ლორის-მელიქოვის წერილი, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ჰაჯი მურადში“. ს. ესაქმისადმი გამოგზავნილ ბარათში — 1903 წლის 6 მაისის თარიღით — ლევ ტოლსტოი წერს: „მივიღე თქვენი ქაღალდები, წიგნი და რუკები. არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა იმ უდიდესი შრომისათვის, რაც თქვენ გასწიეთ, და ამჟამადც სწევთ, ჩემი გულისათვის“.

თბილისში ყოფნის დროს ლევ ტოლსტოი გულმოდგინედ ემზადებოდა სამხედრო სამსახურში გამოცდების ჩასაბარებლად. გამოცდები შედგა 1852 წლის

3 იანვარს კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის შტაბთან, თბილისის გუბერნიის დაბა მუხრანში. საგამოცდო ფურცელში აღნიშნულია, რომ კოლეჯის რეგისტრატორი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, 23 წლისა, გამოცდილ იქნა საგნებში (აქ ჩამოთვლილია ეს საგნები) და ყველა მათგანში მიიღო უმაღლესი ნიშანი — 10.

ტოლსტოი რამდენიმე დღის შემდეგ გაემგზავრა თბილისიდან სტანიცა სტაროგლადოვსკაიაში იუნკრის ფორმით.

თბილისში ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებებს ლევ ტოლსტოი აგვიწერს სტაროგლადოვსკაიაში ჩასვლის შემდეგ:

„ოქტომბერში, — აღნიშნულია ტოლსტოის დღიურში 1852 წლის 20 მარტის თარიღით, — ძმასთან ერთად გაემგზავრე თბილისს სამხედრო სამსახურში მოსაწყობად. თბილისში მთელ თვეს ისე დავყავი, რომ ვერაფერი გადამიწყვიტა. ნოემბრიდან მთელ ორ თვეს ვმკურნალობდი, ე. ი. ახალ წლამდე შინ ვიჯექე. ეს დრო თუმცა მოწყენილად, მაგრამ მშვიდად და სასარგებლოდ გავატარე. იანვრის ნაწილი გზაში დავყავი, ხოლო დანარჩენი — სტაროგლადოვსკაიაში. აქ ნიკოლოზი ვერ ვნახე, ექსპედიციაში წასულიყო. მე ჩავიცვი ფორმა და დავედევნე კვალდაკვალ...“, შეუერთდა რა მთავარ რაზმს, რომელშიც შედიოდა მისი ნაწილი, მე-20 საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეა, ლევ ტოლსტოიმ ცხარე ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა.

1852 წლის მაისს ტოლსტოი შევებულებას ღებულობს და პიატიგორსკში მიემგზავრება სამკურნალოდ. აქ დაამთავრა მან თავისი მოთხრობა „ბავშვობა“ და გადაუგზავნა ჟურნალ „სოფრემენიკის“ რედაქციას პეტერბურგში. აგვისტოს ბოლო რიცხვებში ტოლსტოიმ მიიღო ჟურნალის რედაქტორის, პოეტ ნ. ა. ნეკრასოვის, წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მალე დაიბეჭდება ტოლსტოის მოთხრობა. ეს მოთხრობა დაიბეჭდა ჟურნალის სექტემბრის ნომერში სათაურით „ჩემი ბავშვობის ისტორია“.

შამილის წინააღმდეგ 1853 წლის იანვარს, თებერვალსა და მარტში წარმოებული ბრძოლები კარგად აქვს აწერილი რევაზ ერისთავს თავის დღიურში. იგი აღასტურებს, რომ ამ ბრძოლებში ბევრ ქართველსაც მიუღია მონაწილეობა, მათ შორის: კონსტანტინე და ალექსანდრე დადიანებს, მიხეილ და სიმონ თუშანიშვილებს, ილიკო ჩოლოყაშვილს და სხვებს.

როგორც იქნა, ლევ ტოლსტოიმ მიიღო ბრძანება მისთვის ოფიცრის ჩინის მინიჭების შესახებ. მაგრამ ამის გამო მაინც მოსთხოვეს მას ფორმალურად გამოცდების ჩაბარება. 1854 წლის 13 იანვარს ტოლსტოიმ წარმატებით ჩააბარა ეს გამოცდა. 19 იანვარს კი იგი გაემგზავრა კავკასიიდან. 2 თებერვალს მწერალი უკვე იასნაია პოლიანაში იყო.

კავკასიისა და საქართველოში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებები საფუძვლად დაედო ტოლსტოის ისეთ საყურადღებო ნაწარმოებებს, როგორცაა: „თავდასხმა“ (1852 წ.), „ტყის ჩეხვა“ (1855 წ.), „შეხვედრა რაზმში მოსკოველ ნაცნობთან“ — თავად ნებლიუდოვის კავკასიური ჩანაწერებიდან (1856 წ.), „კაზაკები“ (1852 წ.), „კავკასიის ტყვე“ (1872 წ.), „შვიდი პატარა მოთხრობა ბულკასა და მილტონის შესახებ“, „პაჯი მურადი“ (1896 — 1904 წ.).

ლევ ტოლსტოის ყოფნა კავკასიისა და საქართველოში ფრიალ ნაყოფიერი პერიოდია მწერლის ცხოვრებაში. იმყოფებოდა რა ხალხის ფართო მასებთან

მკიდრო კავშირში, სულითა და გულით შეიყვარა მან მდაბიო ხალხი, ჯარისკაცები, კაზაკები, მათი ყოფა-ცხოვრება. ამიტომ წარმოთქვა მწერალმა ასეთი ალტა-ცებით: „მე არასოდეს არ ვინანებ იმას, რომ კავკასიაში ჩავედი“.



ტოლსტოიმ 1854 წელს სამუდამოდ დატოვა ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო. ლევ ტოლსტოი არასოდეს არ იფიქრებდა ამ მხარეს, აინტერესებდა აქ მომხდარი ამბები, სწრაფად ეხმაურებოდა მათ.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა ტოლსტოი გატაცებული იყო ხალხში მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვის იდეით, თბილისელი ქალიშვილების ერთმა ჯგუფმა კოლექტიური წერილით მიმართა მწერალს, მიეთითებინა მათთვის რაიმე საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმისათვის. ლევ ტოლსტოის პასუხი — „თბილისელ ქალიშვილებს“ მოთავსებულ იქნა ადგილობრივ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ 1887 წლის 12 მარტის ნომერში. ეს მასალა შემდეგ გადაბეჭდეს მთელმა რიგმა სხვა გაზეთებმა. ამ წერილში, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა, ლევ ტოლსტოიმ ასეთი აზრი გამოთქვა: ჩვენ მიერ მიღებული ცოდნა უკანვე უნდა დაუვბრუნოთ იმ ხალხს, რომელმაც აღგვზარდაო.

ლევ ტოლსტოის მიმდევართ სდევნიდა მეფის მთავრობა, ასახლებდა შორეულ გუბერნიებში, მათ შორის კავკასიაშიც. პირველ გადასახლებულ ტოლსტოელთა შორის იყო ა. ბოდიანსკი, რომელიც ჩავიდა ქუთაისში 1892 წელს. იმავე წელს ჩამოვიდნენ თბილისში გადმოსახლებული ტოლსტოელები — დ. ზილკოვი, ი. დიდერიკსი, ს. პროკოპენკო, თ. უშაკოვი. ამავე დროს, თბილისში არსებობდა ადგილობრივ ტოლსტოელთა ჯგუფი ი. და ე. ნაკაშიძეების, გ. დადიანის, ლევრანისა და სხვათა შემადგენლობით. ეს ჯგუფი მკიდრო კავშირში იმყოფებოდა ლევ ტოლსტოისთან.

1895 წლიდან ტოლსტოი დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს „დუხობორთა მოძრაობასთან“ დაკავშირებით. მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა „დუხობორებს“. პირველი ცნობა ამის შესახებ ტოლსტოიმ მიიღო ზილკოვისაგან. „დუხობორებისადმი“ გაზრუნულ წერილებში ტოლსტოი დიდ სიმპათიებს იჩენდა მათდამი და პირველმა მან წამოიწყო შეწირულებათა შეკრება მათ სასარგებლოდ.

1901 წელს ლევ ტოლსტოის წერილით მიმართა თბილისიდან ქართველი ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა. ეს წერილი ასე მთავრდება: „საქართველო ხელს უწყდის თავის უფროს ძმებს, დიდ ხალხებს, გამოთქვამს სურვილს, იმუშაოს მათთან ერთად საერთო სარგებლობისათვის“.

საქართველოში გაჩაღებულმა მოძრაობამ 1905 წლის რევოლუციის დროს ლევ ტოლსტოის მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია. ამ მოვლენების შესახებ მას ცნობებს აწვდიდა ილია ნაკაშიძე. როგორც კი მიიღო პირველი ცნობა გურიაში მომხდარი აჯანყების შესახებ, ლევ ტოლსტოიმ გამოთქვა თავისი ადრთოვანება გურულების „საოცარი ქმედითუნარიანობის გამო“. აი ერთი ადგილი ლევ ტოლსტოის წერილიდან ილია ნაკაშიძისადმი:

„არა მარტო მე, არამედ მრავალ და მრავალ ადამიანს უხარია, და მზად ვართ, თუ შესაძლებელი და საჭიროა, გავუწიოთ სამსახური მათ (გურულებს), და ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ, რაკი დაიწყეს ასეთი დიდი საქმე, და

„უკვე ბევრი რამ გააკეთეს მისთვის, ისინი თავს კი არ დაანებებენ მას, არამედ ასევე წარმართავენ წინანდებურად და ამით მაგალითს უჩვენებენ უადგილობრივებს“.

უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ლევ ტოლსტოი საქართველოში. იცოდა რა ამ პოპულარობის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტრო სწერდა მეფისნაცვალს კავკასიაში ერთი წლის შემდეგ ტოლსტოის გარდაცვალებიდან: „7 ნოემბერს სრულდება მწერალ ლევ ტოლსტოის გარდაცვალების წლისთავი. გთხოვთ დროულად იზრუნოთ და მიიღოთ სათანადო ზომები, რომ ამ თარიღის გამო ადგილი არ ექნეს არავითარ დემონსტრაციებს და საერთოდ მთავრობის საწინააღმდეგო და ანტირელიგიურ გამოსვლებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მოსწავლე ახალგაზრდობისა და მუშათა მასების განწყობილებას“.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი დაფასდეს დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის სახელი. მწერლისა, რომლის შემოქმედების აზრი და მნიშვნელობა გენიალურად განსაზღვრა დიდმა ლენინმა.

იულიუს ფუჩიკი

იულიუს ფუჩიკის გვერდობიდან 10 წლისთავის ბამო



ათი წლის წინათ ფაშისტებმა სიკვდილით დასაჯეს მზიური სიცოცხლისა და ბრძოლის დიდი მომღერალი, კომუნისტი მწერალი იულიუს ფუჩიკი.

მას ერთი წუთითაც არ გაჰკარებია სინანული სიკვდილის წინაშე. მისთვის უცხო იყო ყოველგვარი შიში, მერყეობა, თავის მოხრა და უკან დახვევა.

იულიუს ფუჩიკმა მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე და სიხარული მსხვერპლად მიიტანა მშობლიური ხალხის „ნამდვილი, ადამიანური ცხოვრებისათვის ბრძოლაში“.

ი. ფუჩიკი დაიბადა 1903 წლის 23 თებერვალს ჩეხიაში, ქალაქ პრაღაში. მისი მამა მეღვინე მუშა იყო. 1912 წელს კარელ ფუჩიკი პრაღიდან მთელი ოჯახით ქ. პილზენში გადასახლდა.

იულიუს ფუჩიკი პილზენის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა. მას თავიდანვე ლიტერატურის დიდი სიყვარული ჰქონდა. იგი სკოლაში უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც უმთავრესად თავისი ნაწერებით ავსებდა. თხუთმეტი წლის ი. ფუჩიკი უკვე თანამშრომლობდა ცნობილი ჩეხი ბელეტრისტის და ჟურნალისტის კარელ ჩაპეკის სატირიკულ ჟურნალში.

1921 წელს იულიუს ფუჩიკი, პრაღის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტის სტუდენტი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა კომუნისტურ ორგანიზაციებში და თვითგანვითარების გზით ეცნობოდა და სწავლობდა მარქსისტულ ლიტერატურას.

იულიუს ფუჩიკი დაიღუპა მოწამებრივი სიკვდილით ხალხის თავისუფლებისათვის. მისი თავგანწირული გმირული ბრძოლის მაგალითები ბრწყინვალე ფურცლებად აღიბეჭდა.



ჩეხი ხალხის ნაციონალური გმირის, გამოჩენილი კომუნისტი მწერლისა და ჟურნალისტის — იულიუს ფუჩიკის ლიტერატურული მემკვიდრეობა ძვირფასია არა მარტო ჩეხი ხალხისათვის, არამედ მსოფლიოს თავისუფლებისა და მშვიდობისმოყვარე პროგრესული კაცობრიობისათვის.

ბურჟუაზიულ სამყაროში იულიუს ფუჩიკის, როგორც კომუნისტი მწერლისა და ჟურნალისტის, მოღვაწეობის გზა ნარეკლით იყო მოფენილი. მძიმე და აუტანელ პირობებში უხლებოდა მას მუშაობა. მიუხედავად ამისა, 1928

წლიდან დაპატიმრებამდე თავდადებით ხელმძღვანელობდა იგი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „რუდე პრავოს“ ლეგალურსა და არალეგალურ გამოცემებს. მან წამების „მძიმე“ გზა გაიარა. უაღრესი კონსპირაციის პირობებში, არალეგალურ პარტიულ მუშაობასთან ერთად, იგი ახერხებდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობასაც, წერდა აქტუალურ პარტიულ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს.

— : —

იულიუს ფუჩიკი საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი იყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირული მაგალითები აძლევდა მას ბრძოლისა და მოქმედების ნათელ, ბრწყინვალე მომავლის პერსპექტივებს. მან საბჭოთა კავშირში ორჯერ იმოგზაურა:

ა. ფუჩიკი 1930 წელს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში არალეგალურად.

საბჭოთა კავშირში თავის არალეგალურად გამომგზავრების შესახებ ი. ფუჩიკი მოგვითხრობს წერილში: „ჩვენ ვარდევთ საზღვარს და კანონს“.

ბ. ფუჩიკს და მის ამხანაგებს მთავრობის მიერ „უარი ეთქვათ საზოგადოებრივი უშიშროების მოსაზრებით“ საზღვარგარეთული პასპორტის მიცემაზე. მიუხედავად ამისა, მათ საზღვარი და კანონი შეუპოვრად გადალახეს, ეწვივნენ საბჭოთა კავშირს, მოიარეს მთელი რიგი მხარეები, საკუთარი თვლით ნახეს საბჭოთა ხალხის თავისუფალი ცხოვრება, თავდადებული შრომა და საქმიანობა, გაეცნენ დიდი მშენებლობით გატაცებულ ხალხს და მონაწილეობას იღებდნენ „დიდ შრომითს კოლექტივში“, ყველაფერს უკვირდებოდნენ და სწავლობდნენ.

როდესაც უკანვე დაბრუნდა, მას ისევ მოუხდა შეუნელებელი ბრძოლა, შრომა და მოქმედება სამშობლოსა და ხალხის თავისუფლების მოსაპოვებლად.

ბ. ფუჩიკისათვის საბჭოთა კავშირში გატარებული ცხოვრება გადაიქცა „არა წარსულში ნახულ სიზმრად, არამედ მაგალითად“. მეტროპოლი მწერლისა და ჟურნალისტის წინაშე გადაშლილია სამშობლოს გულმომკვლევი მწუხარე სურათები, უმუშევართა მრავალრიცხოვანი ადამიანები, ქუჩებში უსახლკაროდ მოხეტიალენი, განიცდიან აუტანელ წამებას.

ბ. ფუჩიკი თავის სამშობლოში ხედავდა უკიდურეს გაჭირვებას, სასოწარკვეთილებას და სიკვდილს.

ჩიხი ხალხის დიდი პატრიოტი ბ. ფუჩიკი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გმირული მაგალითებით აღფრთოვანებული სიტყვით მოუთხრობდა თავის ხალხს საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების შესახებ.

ბ. ფუჩიკი მიმართავს — „საბჭოთა ამხანაგებს“, რომელიც წამძღვარებული აქვს წიგნს — „ქვეყანა, რომლის ხვალისდელი დღე ჩვენი გუშინდელი დღეა“, წერდა: „ეს წიგნი არაფერს არ ამაზინჯებს... ვინაიდან მისი მიზანია — სიმართლის თქმა, სრული სიმართლისა საბჭოთა კავშირის შესახებ, სიმართლისა იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც სოციალიზმს აშენებს, ქვეყნისა, რომელიც გამუდმებით იზრდება, ქვეყნისა, სადაც ერთნაირად სცემს ას სამოცი მილიონი ადამიანის გული... მას არ შეუძლია არ იმოქმედოს — როგორც აღმაფრთოვანებელმა მაგალითმა — თქვენთან ერთად, თქვენსკენ, ცხოვრებისაკენ!“

ბ. ფუჩიკის ნათელი გზა თავიდანვე მომავალი, თავისუფალი ცხოვრებისათვის ბრძოლის შეუღრეკელი რწმენით წარიმართა. ეს უტყუარი რწმენა მას

ჩაუნერგა ლენინ-სტალინის დიადმა მოძღვრებამ, რომელმაც ხელთ მისცა ქლი-
ერი იარაღი თავისი სამშობლოს ნამდვილი ნაციონალური თავისუფლებისა და
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ბრძოლის ამ დიად გზაზე საბჭოთა კავ-
შირი იყო ის შუქურა, რომელიც მას გზას უნათებდა.

იულიუს ფუჩიკმა წერილებსა და სტატიებში: „თვალგახელილი“, „გი-
მოსასვლელი დღე“, „ამერიკას არ ესმის“, „გმირებისა და გმირობის შესახებ“,
„ლენინგრაღის გაზაფხული“, „როდესაც მდინარე პიაჯზე ბინდდება“, „პოლ-
კოვნიკ ბობუნოვის ნაამბობი მთვარის დაბნელების შესახებ“, „ნახვამდის სსრ
კავშირში“ უდიდესი სიყვარულით, მაღალი პრინციპული შეგნებითა და ღრმა
რწმენით დაგვიხატა საკუთარი თვალთ ნახული და განცდილი ახალი ქვეყნის
დიადი გიგანტური მშენებლობა. იგი იძლეოდა სოციალისტური საზოგადოების
მშენებელ ადამიანთა ერთუზიანობის ბრწყინვალე სურათებს.

ი. ფუჩიკი საბჭოთა კავშირის გამოემშვიდობა 1936 წლის ივლისს. წერილ-
ში — „ნახვამდის სსრ კავშირში“ იგი წერდა: „როდესაც ექვსი წლის წინათ
პირველად ვშორდებოდი საბჭოთა ქვეყანას, მიმძიმდა, — ვგრძნობდი რომ რამ-
დენიმე წლით უკან ვიხვედი, ახლა ეს უფრო მძიმე განცდაა. მე შევეზარდე
სოციალიზმს, უკვე სოციალისტური ქვეყნის მოქალაქე ვიყავი, ახლა კი რამდე-
ნიმე ათეული წლით უკან, ახალი ისტორიიდან წინაისტორიულ ეპოქაში მიე-
ყვარ მატარებელს“.

საბჭოთა კავშირიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ი. ფუჩიკი ბევ-
დავდა მებრძოლ პოლიტიკურ წერილებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა
ქონდათ ჩეხი მშრომელი ხალხის ნაციონალური თავისუფლებისა და დამოუკი-
დებლობისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო მას
შემდეგ, რაც გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს ჩეხიის დედაქალაქი პრაღა
და მოახდინეს მთელი ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია. კომუნისტური პარტია კა-
ნონგარეშე იქნა გამოცხადებული. მჭინვარე ფაშისტური ტერორით ითრგუ-
ნებოდა თავისუფლებისმოყვარე ჩეხი ხალხის წინააღმდეგობა. კომუნისტური
პარტიის მეთაურობით ჩამოყალიბდა ერთი მთლიანი ნაციონალური ფრონტი და
ხალხი ჩაება ფაშისტ-დამპყრობლებთან გამართულ სამკედრო-სასიცოცხლო
ბრძოლაში.

1941 წლის გაზაფხულიდან გონზე ზიკასა და გონზა ჩორნისთან ერთად
იულიუს ფუჩიკი ხელმძღვანელობდა ჩეხიის კომუნისტური პარტიის ცენტრა-
ლურ კომიტეტს. და აი, სწორედ ამ საბედისწერო პერიოდში ი. ფუჩიკი აღმო-
ჩნდა ჩეხი ხალხის ნამდვილი ეროვნული გმირის მოწოდების სიმბოლურად.

არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებში ი. ფუჩიკმა 1940 — 1942 წლის
განმავლობაში, დაპატიმრებამდე, დაწერა მთელი რიგი მებრძოლი პოლიტიკური
წერილები: „ღია წერილი ფაშისტ მინისტრს“, „1941 წლის პირველი მაისი“,
„ბრძოლაში ჩაგვბათ ჩეხი ხალხის თავისუფლებისათვის!“ „ჩვენ ყველანი ვიბრ-
ძვით პიტლერის წინააღმდეგ“, „საჭიროა მოქმედება“, „28 ოქტომბერი და 7
ნოემბერი“, „ერთად, ორგანიზებულად და შეუბოვრად მივალწიოთ გამარჯვე-
ბას“, „ჩვენი საღამო წითელ არმიას“, „კომუნისმის დროში“, და სხვ. ეს წე-
რილები იბეჭდებოდა „რუდე პრაგოს“ განსაკუთრებული გამოცემების სახით
არალეგალურად, ცალკეულ ფურცლებად, ბროშურებად და ვრცელდებოდა
მთელ ჩეხიაში.

როდესაც ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრმა გებელსმა მო-
ინდომა ჩეხი ინტელიგენციის გადაბირება და მოსყიდვა, ი. ფუჩიკმა მას გამა-

ნადგურებელი პასუხი გასცა: „არასოდეს, გესმით თუ არა თქვენ, არასოდეს არ ეულალატებთ ჩეხი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას, არასოდეს არ დაედგებით თქვენს სამსახურში, არასოდეს სამსახურს არ გავუწევთ ბნელეთისა და მონობის ძალებს!“

იულიუს ფუჩიკის ღრმა რწმენითა და შეგნებით, ჩეხი ინტელიგენცია ურყევი კავშირით არის შეკრული თავისი ქვეყნის ხალხთან და მის შეხედულებებს გამოხატავს. ინტელიგენცია განუყრელად არის დაკავშირებული თავისი ხალხის ყველაზე პროგრესულ ძალებთან და ყოველთვის მასთან ერთად იქნება მთელი ცხოვრების მანძილზე.

აი, სწორედ ამ მოწინავე, პროგრესულმა, მებრძოლმა ინტელიგენციამ არ უღალატა ჩეხი ხალხის ინტერესებს და მასთან ერთად იბრძოდა ფაშიზმზე საბოლოო გამარჯვებამდე. ი. ფუჩიკი ფაშიზმის დაუძინებელი მტერი იყო. იგი მთელი მძულვარებით ებრძოდა დანაშაულებრივ ომს, რომელიც გერმანიის ფაშისტებმა გააჩაღეს, დაამთავრებდნენ „ხალხები, რომლებსაც რევოლუციური მუშათა კლასი მეთაურობს და რომლებიც ეყრდნობიან საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ძლიერებას“.

ი. ფუჩიკის ოცნებამ სინამდვილეში ფრთები შეისხა. მისი საყვარელი სამშობლო — ჩეხიაც ჩადგა ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების რიგში და ეროვნული დამოუკიდებლობისა და განვითარების ფართო გზაზე ქედავს თავისუფალ, ბედნიერ სოციალისტურ ცხოვრებას.

იულიუს ფუჩიკი განსაკუთრებული ენერჯით მუშაობდა სამწერლო ასპარეზზედაც. იგი ავტორია მთელი რიგი ნიჟიერად დაწერილ კრიტიკული სტატიებისა; მას დამსახურება მიუძღვის ჩეხური მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში. ფუჩიკის კალამს ეკუთვნის სტატიები: „ერის წმენდა და ჩეხური კულტურა“, „მკვდარი და ცოცხალი ჩაპეკი“, „ჩეხონია და შვეიკი“, „ორი ტიპი ჩეხურ ლიტერატურასა და ცხოვრებაში“, „როგორ წერდნენ ჩეხიაში სხვადასხვა დროს“, „დევნილი პოეტი“, „სტატია ჟურნალისტ ნერუდას შესახებ“ და სხვ.

— : —

ი. ფუჩიკი 1942 წლის 24 აპრილს, სალამოს, პრალაში, არალეგალურ ბინაზე დააპატიმრა ფაშისტების ეანდარმერიამ. წელიწადზე მეტი იჯდა პრალის სატუსალოში, სადაც ფარულად დაწერა „რეპორტაჟი სახრჩობელადან“. ეს იყო ი. ფუჩიკის უკანასკნელი ლიტერატურული შრომა, რომლის გამანადგურებელი სატირა მთლიანად მიმართულია გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ.

1945 წლის მაისს, ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ, იულიუს ფუჩიკის მეუღლე გუსტა ფუჩიკი შეუდგა ფაშისტების მიერ 1943 წლის 8 სექტემბერს ბერლინში სიკვდილით დასჯილი ქმრის ნაწარმოების „რეპორტაჟი სახრჩობელადან“ ტექსტის ძებნას. მან მოძებნა აგრეთვე ის უცნობი ჩეხი მეთვალყურე, რომელმაც თავის დროზე სატუსალოდან გამოიტანა სამამულო ომის დროინდელი მძიმე ცხოვრების ამსახველი დიდი მხატვრული ტილო — „რეპორტაჟი სახრჩობელადან“ და ხალხს მიაწოდა.

ი. ფუჩიკმა კალმის რამდენიმე მოსმით გამოკვეთა და დაგვიხატა ჩეხი ხალხის მებრძოლ გმირთა უცვლავი სახეები. მათი უმრავლესობა მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა. ესენი იყვნენ: შახტში მომუშავე შემანქანე კარელ მალეცი, მასწავლებელი იოზეფ პეშეკი, ვლადისლავ ვანჩურა — ჩეხი ხალხის ცნობილი

რეალისტი მწერალი, ბედრეის ვაცლავეკი — ცნობილი ჩეხი კრიტიკოსი, დოქტორი შტიხი, კროპაჩეკი, იოზეფი და მარია ელინეკები, ცოლ-ქმარი ვსლუშინლები, ანია ირასკოვა, ლიდა — გაბედული მტკიცე ქალიშვილი და სხვა მრავალი უსახელო გმირი.

ეროვნული

ამ დაუვიწყარ ადამიანთა გარდა, ი. ფუჩიკმა მკვეთრად გამოკვეთა აგრძელებით მირეკის სახე, იმ მირეკისა, რომელმაც, უცბად ბრძოლის ველზე „მტრებით გარშემორტყმულმა, მთელი თავისი ძალა დაკარგა და დაკარგა იმიტომ, რომ მხოლოდ თავის თავზე დაიწყო ფიქრი, თავისი ტყავის გადასარჩენად ამხანაგები გასწირა, სიმხდალემ დაიმორჩილა და სიმხდალის გამო გასცა ამხანაგები“.

ფუჩიკი გულისშემწარავი მძულვარებით იგონებს მირეკს, რომელმაც უღალატა ხალხის საქმეს, გამცემლობა ჩაიდინა და სახელოვან სიკვდილს სამარცხვინო სიცოცხლე არჩია.

წამებულ გმირთა სახეების გარდა, ი. ფუჩიკმა მკვეთრ სატირულ ფერებში დაგვიხატა ფაშისტური ციხის ჯალათთა მრავალი სილუეტი.

იულიუს ფუჩიკის ნათელი სული და დიდი გრძნობის ადამიანური ბუნება მთელი სიღიადით მოჩანს ამ წიგნის დასაწყისიდან უკანასკნელ სტრიქონამდე; იგი შეპნაროდა ადამიანურ სიცოცხლეს, მისთვის იბრძოდა: „სიცოცხლე მიყვარდა და მისი გულისთვის დავიწყე ბრძოლა, ადამიანებო, — გვეუბნება იგი, — მე თქვენ მიყვარდით და ბედნიერი ვიყავი, როდესაც იმითვე მიპასუხებდით... ვცოცხლობდი მხიარული ცხოვრებისათვის, ვკვდები მისთვის, და უსამართლობა იქნებოდა, რომ ჩემს საფლავზე მწუხარების ანგელოზი აღგემართათ“.

იულიუს ფუჩიკს მთელი გულით ახარებდა, რომ „ადამიანთა მილიონები გადაიწყვეტ ბრძოლას აწარმოებენ კაცობრიობის თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში ათასები დაეცემიან. მე ერთი იმათგანი ვარ. რა მშვენიერებაა — იყო მეომარი უკანასკნელი ბრძოლისა“.

სატუსალოს ბნელ საკანში გამოიწყვედებული ი. ფუჩიკი ნატრობდა, ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, ეხილა მზის ამოსვლა, მაგრამ ამას ვერ მოესწრო. „რა მოვა უფრო ადრე — ფაშიზმის სიკვდილი თუ ჩემი სიკვდილი“. — როცა ამას კითხულობდა, ი. ფუჩიკი დარწმუნებული იყო, რომ ფაშისტებს ცოცხალი ველარ გადაურჩებოდა, მაგრამ იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ფაშიზმის დღეებიც დათვლილია.

„რეპორტაჟი სახარჩობელადან“ დაიწერა გესტაპოს საპყრობილეში 1943 წლის გაზაფხულზე. მისი უკანასკნელი ფურცლები დათარიღებულია 9 ივნისით. ფაშიზმზე გამარჯვების ღრმა რწმენა, ქედმოუხრელი მებრძოლი სული, — აი რით არის აღსავსე ეს ნაჩქარევად ფანქრით დაწერილი „რეპორტაჟი სახარჩობელადან“. იგი გადაიქცა ჩეხური ნაციონალური ლიტერატურის შედევრად. მისი ავტორი უკვდავია, როგორც ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირი, რომელმაც თავი შესწირა მშობლიური ხალხის ნათელი და მზიური ცხოვრებისათვის ბრძოლას.

იულიუს ფუჩიკის სახელი უკვდავია პროგრესული კაცობრიობის თავისუფლებისათვის მებრძოლთა სახელებთან ერთად.



მოსე თოიძე

(1871 — 1953)



1953 ამა წლის 17 ივნისს გარდაიცვალა დედა-მოსილი მხატვარი, საქართველოში სამხატვრო განათლების საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართველი საბჭოთა მხატვრების მასწავლებელი, შესანიშნავი ფერმწერალი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, შრომის გმირი მოსე ივანეს-ძე თოიძე.

მ. თოიძე იყო უდიდესი რუსი მხატვრის ილია რეპინის მოწაფე. იგი თავისი დიდი მასწავლებლის შემოქმედებით მეთოდსა და ფერწერის თავისებურებას ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გაცნობდა და დაეწაფა.

მ. თოიძის ნამუშევარი პირველად საქართველოში 1901 წელს მუშტაიძის ბაღში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იყო წარმოდგენილი.

სურათმა „მცხეთობამ“ მაშინ ახალგაზრდა მხატვარს ხალხის სიყვარული მოუპოვა და სახელი გაუთქვა. „მცხეთობამ“ მხატვარს დამახორბულად მოუპოვა უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი და რეალისტი მხატვრის სახელი.

ეკლიანი და მძიმე იყო ის გზა, რომელმაც მშრომელთა დაბალი ფენებიდან გამოსული მხატვარი ამ გამარჯვებამდე მიიყვანა. ეს გზა ვანათებული იყო ხალხისადმი დიდი სიყვარულით და არტისტული წვით. მ. თოიძემ მთელი თავისი სიცოცხლე და შემოქმედება, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშრომელი ხალხის სამართლის მოპოვებაში.

მ. თოიძე დაიბადა ქ. თბილისში 1871 წლის 21 იანვარს, ჩუღურთის უბანში, მეურმე ივანე თოიძის ოჯახში. ივანე თოიძის წინაპრები ბატონის უღელს გამოქვეყნდნენ გურიიდან. მხატვრის დედა — მაკა დიდშელი — თურქესტანიშვილის ქალი იყო. მისი წინაპრებიც მთიულთიდან ლეკიანობის დროს ჩამოსახლებულან თბილისის მიდამოებში. დედის მხრიდან ერთი წინაპართავანი — ვრასტი თურქესტანიშვილი — ვასტანგ შეგვქსეს გაყოლია მოსკოვში და იქ ფილოსოფიური თხზულება „აპოკრიფიკა“ უთარგმნა

ქართულად, მეორე კი ვერკელე მეორის თეატრის მსახიობი ყოფილა.

მოსე თოიძე ექვსი თვის იყო, როცა დაობდა. დიდი სიღარიბის მიუხედავად, დედამ ყოველგვარი ღონე იხმარა, რომ შეიღებინათვის შესაფერისი განათლება მიეცა. პატარა მოსემ სწავლა დაიწყო კეკელიძე ე. წ. პაპილოვის საშუალო სასწავლებელში, სადაც მან თავისი ნახატებით ცნობილი ქართველი მოღვაწეების ი. წინამძღვრიშვილისა და დ. ყიფიანის ყურადღება მიიპყრა. ფერწერის ტექნიკის საიდუმლოებას მომავალი მხატვარი ბავშვობის წლებშივე გაცნობდა.

1884 წელს მოსე თოიძე სწავლას იწყებს თბილისის სახელსწრის სასწავლებელში. აქ მოსწავლეთა უმრავლესობას შეადგენდნენ გლეხთა და მუშათა წრიდან გამოსული ბავშვები. ამ სასწავლებელში მაშინდელი ქართველი პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები მოსწავლე ახალგაზრდობაში ახალ იდეებს თესავდნენ. მაგრამ მასწავლებელთა შორის იყვნენ რეაქციულად განწყობილი ელემენტებიც, რომლებიც ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ამ მუშაობას. სახელსწრის სასწავლებელში სწავლის წლებს მომავალი მხატვრის მომწიფებისა და ჩამოყალიბებისათვის არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქ მ. თოიძე ებმება საზოგადოებრივ მუშაობაში და მთელ თავის შემოქმედებით უნარს საზოგადოებრივ-პროგრესულ საქმიანობას ახმარს. 80-ან წლებში თოიძე ჰქმნის პორტრეტების რგოს, სადაც ასახული არიან რევოლუციონერი მოღვაწეები.

სახელსწრის სასწავლებლის დირექციამ მოსე თოიძე ამავე სასწავლებელში დატოვა ხატეხახუის მასწავლებლად. იმავე ხანებში, როცა მოსე თოიძე მასწავლებლად მუშაობდა, ვ. ჩოტაძემ, მ. გორკიმ, ა. ფერცელაძემ და სხვებმა „კერავცხოვის კომუნა“ დააარსეს. ამ კომუნის წევრი იყო მ. თოიძეც. კომუნა ღარიბ გლეხობას ეხმარებოდა უფასოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებაში და მოსახლეობაში

აგრეცლებდა მოსე თოიძის მიერ დახატულ რე-
 ეოლუციონერ მოღვაწეთა პორტრეტებს. იმ
 დროის ნამუშევრებიდან ჩვენ დრომდე შემონა-
 ხელია ერთი სურათი — დროშა კარლ მარქსის
 პორტრეტით. დროშაზე წარწერილია რუსუ-
 ლად — „გემარჯოს თავისუფალ რუსეთს“. ეს
 დროშა დაკულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტი-
 ტუტის ფილიალში. ამავე ხანებში ასრულებს
 მ. თოიძე პლაკატის მონტაჟს. ამ პლაკატზე
 წარმოდგენილია მეფის მთავრობის წინააღმდეგ
 მებრძოლთა ფოტოპორტრეტები. პლაკატის ფონი
 შეტუხების ციხის არქიტექტურულ ანსამბლს
 გამოსახავს. ამ პლაკატის სიმბოლოა: „მეფის
 რუსეთი — ხალხთა საპყრობილე“. ელზოვიციაში
 შეტანილია სახრწონელის გამოსახულება.

„ქვირაცხოვლის კაშხლში“ უოფნის დროს,
 როცა გოლა ჩიტაძე ავადმყოფობდა და თოიძე-
 ბის საბლში იწვა, თოიძეების ოჯახს გაუმწო
 მაქსიმ გორკი. 1891 წლის ნოემბერსა და დე-
 კემბერში ჩვენ გვთხოვის გემზორიგვეთვა ივან-
 შიშოვ გოლა ჩიტაძისათვის, — წერს როსტონი
 თავის მოგონებაში, — გოლა ჩიტაძე მაშინ ჩუ-
 ლურეთში თოიძეების ბინაზე იწვა. პირველ
 დღეს მე მარტო ვმორიგებოდი. მეორე დღეს
 მოვიდა ახოვანი ახალგაზრდა კაცი. იმ დღით
 ჩიტაძესთან ვიყავით მე და ფედა აფანასიევი.
 საუბრის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ახალ-
 გაზრდა კაცი პეშკოვი იყო“. ჩიტაძეების მე-
 შეგობით მაქსიმ გორკი დაუახლოვდა თოიძე-
 ბის ოჯახს.

ამ პერიოდში მ. თოიძე, როგორც მხატვარი,
 უახლოვდება ცნობილ ქართულ მწერალს
 გიორგი წერეთელს და იწყებს თანამშრომლობას
 ჟურნალ „ქვალა“ და „ჯეჯილში“. ამ ჟურნა-
 ლებში იბეჭდება მ. თოიძის მიერ დახატული
 სურათები. ახალგაზრდა მხატვარი ამ სურათებ-
 ში მაშინდელი თბილისისა და საქართველოს
 ყოფა-ცხოვრებას ასახავს. ჟურნალ „ქვალის“
 სათაურის წარწერაც და ნახატაც მასვე ეკუთ-
 ვნის.

„ქვალში“ თანამშრომლობის დროს მოსე
 თოიძე პქმნებს შ. რუსთაველის, რ. ერისთავის,
 ი. ტუქუაშის, ა. წერეთლის, ე. ნინოშვილის,
 ა. უახუტცის, დ. ჭონჭაძის და სხვათა ლიტერატურულ
 პორტრეტებს. ეს პორტრეტები დღემდე
 ქართული მხატვრობისა და მწერლობის მგებო-
 ბობის მისაბამი მავალითებია. პორტრეტებზე
 მიწერილია თვით მოსე თოიძის მიერ შეთხზუ-
 ლი პატარა ლექსები. ასე მაგალითად, ა. ყაზ-
 ბეგის პორტრეტზე მ. თოიძე წერს:

ბედმა გამოუხლდა უდროოდ
 ლეთიერის ცეცხლით აგზნებულს,
 მოსტება წვერი კალამსა,
 სისხლის მორვეში ჩაწებულს,

შეება გიოგა სიკვილიმა
 გონება — სულით წამებულს.
 საინტერესოა, აგრეთვე მინიშნულის
 პორტრეტზე მიწერილი ლექსები:

ვერ მოგვხო ლაქა სოფელმა,
 ქედცი ვერ მოგახრევენა,
 მაგრამ ჩაგაქვრო უდროოდ,
 ფრთები არ გაგამლევინა.

ამ პერიოდში მ. თოიძე გულდასმით ეუფლე-
 ბა ფერწერის საქმესაც. ამ დროიდან შემონახულ
 ფერწერულ ეტოულებში გარკვეული ჩანს, რომ
 მომავალში თოიძე დიდი დემონსტრაციული დადგე-
 ბოდა. ცოტა ადრეა შესრულებული ეტოულე-
 ბი — „ეზო“ და „კალო“. ახლა, როცა ამ
 ეტოულებს ვაკვირდებით, საუსებით გასაგებია, რა-
 ტომ მიაქციეს მაშინ დაწყებუ მხატვარს ყურა-
 დლება მშებმა ჩიტაძეებმა და ა. პეშკოვმა, შემ-
 დგევი ცნობილმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ.

„ეზოს“ ეტოული წუნეთში მცხოვრებ მხატვრის
 დიდებას კარნიზამოს ასახავს. ეტოულში გად-
 მოცემულია მხატვრულად არა მარტო ეზოს თა-
 ვისებურება, არამედ ასახულია აგრეთვე სოფ-
 ლის მღებბარობისა და ბუნების დამახასიათე-
 ბელი კოლორიტი. უფრო საინტერესოა „კალოს“
 ეტოული. სურათის წინააღმდეგ გამოსახულია
 მიწა, კალო გაღვილი თავთავით და სხვა დე-
 ტალები; დაწერილია გაბედულად და სრული
 სმიერებით: შორეული სივრცე და საჩივრეთის
 მთების გრეხილი პავროვნადაა გადმოცემული;
 მთლიანი ლანდშაფტი სამხრეთის ლაგეარდოვან
 ცის კაბადონს ეხვანება.

მ. თოიძე 1896 წელს გაემგზავრა პეტერბურგ-
 ში. მგზავრობისათვის საჭირო თანხის შეგრო-
 ვება მისმა მეგობრებმა ადრევე დაიწყეს. ამ
 საქმეში აღსანიშნავია შ. ჩიტაძისა და მაქსიმ
 გორკის მონაწილეობა.

პეტერბურგში მ. თოიძე მეკადნიეობდა რუს
 მხატვარ დიმიტრიევ-კავკასისკისთან. ამ მხატვრის
 სიყვარულმა ჩვენი ქვეყნისადმი არაერთხელ
 ჰპოვა გამოხატულება მის შემოქმედებაში.

დიმიტრიევ-კავკასისკის ატელიეში მ. თოიძეს
 დიღანს არ უშეკადინია. როგორც საარტიყო
 საბუთებიდან ჩანს, თოიძის საქმე პეტერბურგის
 სამხატვრო აკადემიაში დაუწყიათ 1896 წლის
 29 სექტემბერს.

მ. თოიძეს ავონდება მ. გორკის მიერ ნაამ-
 ბობი ებიზიდება დიდი რუსი დემოკრატი მხატ-
 ვრის ი. ე. რეინის შესახებ და გააღწევებს მი-
 მართოს დიდ რუს მხატვარს დახმარებისათვის.
 ახალგაზრდა მხატვარი რჩევა-დარიგებას სთხოვს
 დიმიტრიევ-კავკასისკისაც. ეს უკანასკნელი თავის
 მხრივ თოიძეს ურჩევს რეპინთან შეხვედრას.

„რეპინი იმ დროს სამხატვრო აკადემიის შინობაში ცხოვრობდა, — ივანებდა მოხუცი მხატვარი, — მე წავიღე რამდენიმე ეტიუდი, ჩემ მიერ საქართველოში შესრულებული, და გავემართე დიდი რუსი ფერმწერის ბინისაკენ, რეპინი სახლში არ დამიხვდა. კარისაკმა მიიხრა, რომ სახლში არ არისო... გულშეღონებული ვბრუნდებოდი უკან... უცებ ნაბიჯის ხმა შემომესმა. ვაეხსენებ, ჩემსკენ მოდიოდა პატარა ტანის აკტი. რატომღაც მე მას ვკითხე, ხომ არ იცნობდა იგი რეპინს. ჩემს შეხედვებაზე უტნობმა გაიღიმა და მკითხა, თუ ვინ ვიყავი მე... მეც ვუთხარე ჩემი ვინაობისა და ვაჭირვების შესახებ. მაშინ მან ჩემს ერთ-ერთ ეტიუდს დახედა, უკან დამიბრუნა და მიიხრა, წაგყოლოდი მას. როცა შენობაში შევედი, ვგრძობენი, რომ ეს მომდამართვალბიანი შამაკაცი თვითონ რეპინი უნდა ყოფილიყო. მან ნახა ჩემ მიერ საქართველოში დახატული ეტიუდები და აღტაცება ვერ შეეკავა. შემდეგ დაწვრილებით გამომიხატა თბილისის შესახებ. მეც ვუთხარე ყოველივე, როგორც ვიცოდი და რაც ვიცოდი“.

რეპინმა სწორედ ამ შეხვედრის საფუძველზე დაწერა საგანთო წერილი 1896 წლის დეკემბრის მეორე რიცხვში. წერილი შემდეგში, 1897 წელს, გახდა „Кавказ“-ში დაიბეჭდა. აქ დიდი რუსი მხატვარი გამოჩნდა არა მარტო შემოქმედელი ფერმწერალი, არამედ დიდი მოქალაქე და პედაგოგიც. რეპინი ასახულებს თბილისში სამხატვრო სასწავლებლის გახსნის აუცილებლობას.

დიდმა რუსმა მხატვარმა თოიძეს წერდა მიუწერა სამხატვრო აკადემიის კონფერენციადიანთან, გრად ე. ი. ტრალტოსთან. ამ წერილში რეპინი ტრალტოსს სთხოვს ჩარიცხოს მოსე თოიძე, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, „მლიაქინის ჯგუფში“. რეპინი აღნიშნავს იმასაც, რომ, თუ ვინაცოდა თოიძე დარჩება სასწავლებლის გარეთ, იგი საარსებო საშუალებას დაკარგავს. წერილში ლაბარაკია სტიბენდის დანიშვნის შესახებ. განსვენებული მხატვრის გადმოცემით, სტიბენდის იგი აღექვანდრე სარაჯიშვილისაგან ღებულობდა.

მ. თოიძე სამხატვრო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად ჩარიცხვის დღიდანვე იჩენს წარმატებებს. ჯერ კიდევ 1896 წლის 21 დეკემბრისათვის, საარჩევო მასალის მიხედვით, ჩანს, რომ ფერმწერის კლასში ნატურიდან „თავის“ შესრულებასათვის მეორე და მესამე თანრიგით გახლდა, ნატურიდან ბაქეში კი — მესამე თანრიგით, ხოლო ესკიზში — მეოთხე თანრიგით. ამ წარმატებათა გამო სამხატვრო საბჭოს დაუდგენია მოსე თოიძის ჩარიცხვა, მაგრამ ეს საქმე მაშინ რატომღაც ოფიციალურად არ გაფორმებულა. შესაძლოა, ამ გაფორმებას ზელი

შეუშალა მხატვრის საბი დღით დაპატიმრებამ. ეს დაპატიმრება, მ. თოიძის გადმოცემით, გამოწყვეტი ყოფილა ზელისტელბისადმი „არაკეთლსაიმედო საქმიანობის“ გამო. ყოველივე ამის შედეგად მ. თოიძე კავადმიიდან დათხოვეს. მხატვარი კვლავ მიმართავს აკადემიის საბჭოს მისი მიღების შესახებ. კიბუც მხატვარს, გარდა ი. რეპინისა, ზელს უწყობდა ცნობილი რუსი მხატვარი-გრაფიონი მატე.

აკადემიაში მ. თოიძემ იმავეთვე მიიქცია თავისი დიდი მასწავლებლის ყურადღება. პირველ კურსზე შესრულებულმა ნახატებმა და ეტიუდებმა იმავეთვე გამოავლინეს ზალასი ბუნებრივი ნიჭი, ცხადყვეს მისი მხატვრული თვალის თავისებურებანი, ინდივიდუალურობა და ფერმწერის უშუალო გრძნობა.

რეპინმა, დაიხალავა რა ახალგაზრდა ქართველი მხატვარი, საშუალება მისცა მას თავის სამხატვრო სახელისწოდება სიარულისა. ი. რეპინმა, სხვათაშორის, მ. თოიძის მიხედვით ჩახატა თავის „Иди за мной, сатана“-ში მაცხოვრის ფიგურა მთლიანად. მაცხოვრის გარეგნობასა და პირისახის იჭრში თოიძის იმდროინდელი გარეგნობა და პირისახე რეპინის მიერ უცვლელადაა გამოყენებული სურათში.

მოსე თოიძე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ირიცხებოდა 1899 სასწავლო წლის ბოლომდე, ვიდრე, რეპინის განცხადების თანახმად, იგი არ ჩათვალეს „აკადემიიდან გასულად“.

ამ წლებში მოსე თოიძის შემოქმედებაზე დიდ გავლენას ახდენდა რეპინი. ეს გავლენა ჩანს ისეთ ეტიუდებში, როგორცაა „რუსი გლეხი“ (1896), „თანაქრესტის პორტრეტი“ (1897) და „მზარეული“ (1898). აკადემიური ნიმუშეყრების მიხედვით დღისატურებულად შეიძლება ჩითვალოს, რომ თოიძეს გამახვილებული ჰქონია ყურადღება ფორმათა მოცულობითს ძერწყვაზე, საგნის მატერიალურობისა და ფაქტურის ფერწერულ გადმოცემაზე განსაკუთრებით საგრძნობა რეპინისებური მიდგომა ხახის მხატვრული გახსნის ამოცანისადმი. იგრძნობა, რომ მხატვარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პორტრეტულ ხელოვნებაში გამოსახავი პირის არა მარტო გარეგნულ წვდომას და მსგავსებითს გადმოცემას, არამედ მის ფსიქოლოგიურ, რეალისტურ გახსნასაც.

ი. რეპინის სკოლამ მ. თოიძეს შესაძლებლობა მისცა დაეწყო ფიქრი სადალომო შრომაზე („მუხეობა“). სურათის ესკიზის საბოლოო დამუშავებისა და დაზუსტების დროს თოიძე მონაწილეობას იღებს პეტერბურგელ სტუდენტთა გაფიცებში. აკადემიიდან ჩვიდმეტი სტუდენტი გაურიცხავთ, მათ შორის მოსე თოიძეც, და იგი ეტაპით გადმოუგზავნიათ სამშობლოში.

მოსე თოიძემ თბილისში ყოფნისას, 1900

წელს, დამთავრა თავისი „მცხეთობა“. მომდევნო წელს მან იმუშავა ზოგიერთი ფიგურის ფერწერულ დაუსტრებაზე და დამთავრებაზე „მცხეთობაში“ პირველად გამოიტანეს 1901 წელს უფილ მუშტადის ბაღში გამართულ სათბობლო გამოფენაზე.

„მცხეთობაში“ მოსე თოიძეს გამარჯვება მოუპოვა. მხატვარი ოქროს მედლით დაჯილდოვეს. სურათის კომპოზიცია წარმოადგენდა კლასობრივი წინააღმდეგობით დახასიათებული ქვეყნის, მისი უფილს ვახედულ და თამამ მხატვრულ ასახვას.

1903 წელს მოსე თოიძემ მონაწილეობა მიიღო „მომარე გამოფენათა ამხანაგობის“ მიერ გამართულ გამოფენაზე. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის დარბაზებში მოწოდებულ 31-ე მომარე გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თოიძის „კავკასიელი მრეცხავი ქალი“. სურათში დიდი რეალისტური ძალით ასახული იყო ქალის შრომის სიმამიე.

პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ მ. თოიძე მონაწილეობას იღებს „კავკასიელ მხატვართა საზოგადოების“ გამოფენაზე (1904 წ.). აქ ფართო საზოგადოების ყურადღებას იქცევს მ. თოიძის „შვიად სწავეს“ (1903), „ებრაელის პორტრეტი“ (1902), „ხელოსნის პორტრეტი“ (1901), „სამქედლო“ (1901) და სხვა. ეს სურათები ადამიანურებდნენ, რომ მხატვარი თავისი ქვეყნის ცხოვრებას კარგად იცნობდა და გრძნობდა, ისინი ემყარებოდნენ სინამდვილის უფლებობრივ შესწავლას, სინამდვილის მხატვრულ გააზრებას. გამოფენამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ მ. თოიძე დიდი თანმიმდევრობით იბრძვის ქართული რეალისტური, ხალხური ხელოვნების დამკვიდრებისათვის, მისი განვითარებისა და გაფორმებისათვის.

1910 წელს თბილისში პირველად იქნა ერთდროულად გამოფენილი გ. ვაბაშვილის „ალავერდობა“ და მ. თოიძის „მცხეთობა“. ამ პირველად შეხება ერთმანეთს ორი დიდი ქართველი მხატვრის ერთნაირი თემის საესებით განსხვავებული გაგება და გადაწყვეტა. ამ სურათების ურთიერთთან შედარებისას გამოუცდელი თელისიფისაც კი აშკარად ჩანს მათი მხატვრული განსხვავებულობა კომპოზიციაში, იდეურ მიდგომაში, საპეიზაჟო პასაჟის ფუნქციის მხატვრულ გაგებასა და გამოყენებაში, ფიგურათა ტიპაჟის სოციალური ბუნების გახსნასა და გადამოცემაში, ფერწერული ამოცანის, სურათთა კოლორიტისა და პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ დახასიათებაში. განსაკუთრებით შესამჩნევია განსხვავება, რაც სურათში მხატვრის ხედვის თავისებურებასთანაა დაკავშირებული. „ალავერდობაში“ მხატვრის თვალთვალთ განსახლება თემათა, მის კომპოზიციის ხედვას საერთო პლანით,

როგორც სანახაობას, რომელიც მის მიღმა ხდება. ამბავი „ალავერდობაში“ მხატვრის თვალთვალთ განსახლება, როგორც მცხეთის სანახაობა. კომპოზიციაში მოქმედება და პერსონაჟები, არაა დიფერენცირებული და საერთო პლანით მისობრივი მიზანსაყენის სახითაა წარმოდგენილი; სივრცე ვაშლიმეფულია როგორც სტენური არე — პასაჟი. ამ შთაბეჭდილებას განსაკუთრებით აძლიერებს სურათში ფიგურების განაწილება.

„მცხეთობაში“ მხატვარი საძირისპირთ თვალსაზრისზე დგას. კომპოზიცია აგებულია არსებითად ჯგუფთა დაპირისპირებაზე, ისინი სურათში ჩაწერილი არიან არა თანაბარი მასშტაბით, არა საერთო პლანით, მსხვილი პლანებით „მცხეთობაში“ წარმოდგენილი პერსონაჟები მოცემულია ტიპების ან ხასიათების სახით და მკვეთრად კონტრასტული არიან არა მარტო პლასტიკური დახასიათების მხრივ, არამედ ფერწერულადაც. თოიძე — მხატვარი თვითონ არის სურათში გამოსახული, როგორც მოქმედების მონაწილე, გ. ვაბაშვილი კი სურათში გამოსახულ მოქმედებას უყურებს შორიდან, როგორც სცენურ სანახაობას. ვინც კი იცნობდა მხატვარ გ. ვაბაშვილს, მისთვის ადვილი გასაგებია ეს თავისებურებანი, ასე ნათლად გამოვლენილი „ალავერდობაში“. ასევე გასაგებია „მცხეთობის“ თავისებურებანიც იმათთვის, ვინც კი იცნობდა მხატვარ მ. თოიძეს.

ამ ორ სურათში შესანიშნავადაა გამოხატული ორი დიდი ქართველი მხატვრის ხასიათი, მათი შემოქმედებითი ფსიქიკის თავისებურებანი. მხატვრული ამოცანის განსხვავებული გადაწყვეტა, ცხადია, ემყარება მათ განსხვავებულ მსოფლმხედველობას, მათი ცხოვრების პირობას, მათ განსხვავებულ მხატვრულ ამოცანას და მიზანდასახულობას. „ალავერდობაც“ და „მცხეთობაც“ ქართული რეალისტური ფერწერის დიდი მნიშვნელოვანი მოვლენებია, და ისინი შექმნილია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

მ. თოიძის შემოქმედებითი გზის განვითარების გასათვალისწინებლად შეტად მნიშვნელოვანია მისი 1915 წლის ინდივიდუალური გამოფენა. მაშინდელმა ქართულმა პრესამ ეს გამოფენა მოიწონა. აქ წარმოდგენილი იყო 120 სურათი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ: „განთავი“, „ბახახანა“, „ხევსურა“, „კოტორე XIII ანუ ვაი მკონარეთა“, „ახალი სხივი“, „სოლომონ ლეონიძე და მისი ცოლი სოფიო“, „ნ. ბარათაშვილის პორტრეტი“ („შემოღებება მოაწმინდაზე“), „ზიზია ხალათი“ და სხვ.

მ. თოიძის ამ პერიოდის შემოქმედებაში რამდენადაც თავი იჩინა „დაცემულობის“ მოტი-

ვებმა, რასაც შედეგად მოჰყვა ფორმის უბუნებულოფა, მაგრამ შემათა წრიდან გამოსულმა რეალისტმა მხატვარმა ეს განწყობილება მალე დაძლია. მ. თოიძის შემოქმედებაში უკვე 1916 წლდან მკვეთრად იჭრება სოციალური თემატიკა. ამ პერიოდში მ. თოიძე უახლოვდება ქართველ დემოკრატ მწერლებს და მათი ლიტერატურული იდეების გავლენასაც განიცდის.

ამ ხანებში ჰქმნის მხატვარი პირველ ესეიზს სურათისათვის — „რევოლუცია“, მოგზაურობს და ხატავს ქართლის, ხევსურეთის, ფშავის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის ბუნებას, მშრომელი ხალხის უოფაცხოვრების ამსახველ სურათებს.

შენწევების ბატონობის დროს საქართველოში ზედიზედ იფეთქა აჯანყებებმა მთავრობის წინააღმდეგ. მძიმე მატერიალურმა პირობებმა და პოლიტიკურმა შევიწროებამ მხატვარი დაარწმუნა არსებული პოლიტიკური სისტემის უფარვისობაში. იმ ხანებში შექმნა თოიძემ საქმიად მოზრდილი ზომის სურათი „რევოლუცია“. ეს სურათი რეაქციულად განწყობილია წრებში არ მიიღეს და მხატვრის შემოქმედებაში „ბოლშევიზმის გავლენა“ დანახეს; სურათი გამოფენიდან მოხსნეს და მხატვარს დევნა დაუწყეს. მ. თოიძე იძულებული გახდა დროებით ხელი აეღო შემოქმედებითს მუშაობაზე.

1921 წლის 25 თებერვალმა მხატვარს ფართო ასპარეზი გადართვა. მ. თოიძის სურათი „რევოლუცია“, როგორც რევოლუციური პროპაგანდის მონუმენტური ნიმუში, პირველად გამოფენილი იქნა საბჭოთა საქართველოს რევოლუციონერი მთავრობის (რევკომი) სახალის ფსაღზე.

მ. თოიძის შემოქმედებაში ამიერიდან უკვე წამყვანია ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის თემატიკა. მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა პორტრეტს, რომელშიც ნათლად აისახება ახალი ადამიანი, ადამიანი სოციალისტური ფორმაციისა; ფართო ასახვას პოულობს ჩვენი სოციალისტური ქალაქები, სოფლები; საბჭოთა ადამიანები, საბჭოთა აღშენებლობა. სოციალისტური სამშობლოს სინამდვილე მ. თოიძისათვის შემოქმედებითი შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ იქცევა.

1922 წელს მ. თოიძის ინიციატივით თბილისში იხსნება ქართული სამხატვრო სტუდია.

მოსე თოიძის „სახალხო სამხატვრო სტუდია“, რომელშიც ათი წელი იარსება, სანიმუშო სკოლას წარმოადგენდა. სტუდიამ შეუძნადა ნიადაგი საბჭოთა მხატვრების კოლექტივის შექმნას.

მ. თოიძე ავტორია ისეთი ტილოებისა, როგორცაა „ქვიშეთის კოლმეურნეობა“, „იკემირგამბელობა შთაში“, „მამიანის უღელტეხილზე“, „შეძლებული ცხოვრება“, „კვათერის ეტიოდების“ სურათი და სხვ. იგი ჰქმნის ქართული პოეტის ი. გრიშაშვილის, კინორეჟისორ მ. ქიურელის, სტახანოველ კიქნაძის, მ. ცხაკაიას და სხვათა პორტრეტებს. ამ პორტრეტებში მხატვარი ნათლად, დიდი დამაჯერებლობით ახვენებს ახალი ადამიანის სახეს, მის ჰუმანურ ბუნებას.

მ. თოიძის შემოქმედებაში განსაკუთრებულად ადგილი უჭირავს თბილისის პეიზაჟს, მის მშონ დღეებს და შთგარბან ღამეებს, კოლორიტულ ბაზრებს, მოედნებს, ქუჩებს, შესახვევებს და ჩიხებს. ამ სურათებით თოიძე თბილისის ბუნების შეუდარებელი პოეტი — მხატვარია.

მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი აქვს დათმობილი თოიძის შემოქმედებაში ა/კ ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის ამსახველ თემებს. სურათებში, სადაც ასახულია დიდი ბეზღის ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა, მთავარ მოქმედ ძალად ხალხია წარმოდგენილი. ამ მხრივ უფრადლებას იქცევს ესეიზი „ამხანაგი ი. ბ. სტალინის გამოსვლა ქ. ზონში 1905 წელს სურათის დასაფლავებაზე“. სურათში ისტორიული ამბავი დიდი რეალისტური დამაჯერებლობით, ექსპრესიით და ფერწერულად დასახული. ამვე დროს, უფრადლებას იქცევს მ. თოიძის ისეთი კომპოზიციები, როგორცაა „ი. ბ. სტალინი ბავშვობისას“, „ყრმა სტალინი ესარჩლება ქართველ გლეხებს“, „ამხანაგი სტალინი ქიათურელ მაღაროვლებს უეთხება“, „კომუნისტურ მანიფესტს“, „ი. ბ. სტალინი ესაუბრება იმერელ გლეხებს წყალტუბოში“ და სხვ.

მ. თოიძემ სამამულო ომისა და მის მომდევნო პერიოდში შექმნა არა ერთი და ორი შესანიშნავი მხატვრული ტილო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ამხანაგი ი. ბ. სტალინი ტრამვაზე“, „ს. ორჯონიძეზე დეპოტ მუშებთან“, „ბუშკინი საქარდველოში“, „სტახანოველი ბრიგადა შემღვდებელ ცხში“, „სიმღერა გამარჯვებისა“, თბილისის პეიზაჟები, პორტრეტი კინოშახობ თ. ციციშვილისა, „მსახიობი ი. თოიძე ეკატერინე ჰევეჯაძის როლში“ და სხვა მრავალი.

მ. თოიძე იყო ქართული სახვითი ხელოვნების დიდი წარმომადგენელი; იგი ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელია და პირველი დამამკვიდრებელი ფერწერის მრავალი თანრისა და ქართული საბუნერო ფერწერისა.

ქართული ენციკლოპედია



ჩვენში დიდი მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ დაცული იქნეს ყოველი წიგნი, ქუჩის, ვაზის, ვარდის, ვარგისი და სხვა სახის ბუნებრივი ნაწარმოების საკვლეველო ცალკეი შთამომავლობისათვის, ისტორიისათვის. ამავე დროს, მიღებულია ყველა ზომა, რათა დაიძვინოს და შეგროვილი იქნეს რევოლუციამდელი გამოკვებები, შექმნიან ბუნებრივი ნაწარმოების ფონდი, რომელიც ჩვენში განიხილება, როგორც ექსპონატი, სამუზეუმო ძეგლი. ეს მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს სსრ კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, რისთვისაც შექმნილია სპეციალური დაწესებულებები — წიგნის პალატები.

„ბუნებრივი ნაწარმოებთა ნაკვალავი რეგისტრაციისა და საბიბლიოგრაფიო მუშაობის“ მოწესრიგებისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1924 წლის 26 აპრილის დადგენილებით დაარსდა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა და ამით საფუძველი ჩაეყარა ვ. ი. ლენინის 1920 წლის 30 ივნისის ბრძანებით დადგენილ, — სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის შესახებ, — განხორციელებას საქართველოში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დაარსებით შესაძლებელი შეიქმნა არა მარტო შეგვეგროვებინა და დავეცვა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოცემული ყოველი სახის ბუნებრივი ნაწარმოები, რასაც კი წიგნის პალატა უფასოდ ღებულობს სტამბებიდან, არამედ დავეგდინა 1921 წლამდე საქართველოში გამოცემული ბუნებრივი ნაწარმოებები, დაგვექმნა ისინი და დავეცვა ბუნებრივი სიტყვის ხელნაწილებს ფონდში — საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ბუნებრივი სიტყვის სახელმწიფო არქივში.

მოგვარებულია სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული ორგანოს — „წიგნის მატინეის“ გამოცემა. ასევე მოგვარებულია ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის „საქურნალო სტატიებისა“ და „სავაზეთო სტატიების“ მატინეთა, აგრეთვე წიგნის ბარათული მატინეების გამოცემა.

წიგნის, საურნალო და სავაზეთო სტატიების მატინეებში აღწერილობები განლაგებულია საკავშირო წიგნის პალატის მიერ შემუშავებული

სტემის შესაბამისად, მეცნიერების დარგების მიხედვით, ამით მატინეები დიდ დახმარებას უწყვენ მკითხველს — ადვილად მოძებნოს მისთვის საჭირო წიგნი, საურნალო თუ სავაზეთო სტატია.

ჩვენი წერილის მიზანია გავაუმჯობესოთ ბიბლიოგრაფია, რომელიც ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებელთა ამაღლდნ თავიანთი კულტურული ღონე. დაეფლოს მარქსიზმ-ლენინიზმს, გაიმდიდრონ გონება ყოველივე იმით, რაც მოწინავე კაცობრიობას შეუქმნია სასურველი მანძილზე.

თუ გადავხედვით თვალს საქართველოში ნაციონალური ბიბლიოგრაფიის ისტორიას, ვნახავთ რა საგალო მდგომარეობა გვექონდა ჩვენ 1921 წლამდე ამ მიმართულებით.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილმა განმანათლებელმა მოღვაწემ სოლომონ დოდაშვილმა თავის ღვიძლ საქმედ გაიხადა ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგების შედგენა. მას შეუდგენია კიდევ 600-მდე ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია, რაც მტკიცდება მის მიერ 1828 წლის 28 დეკემბრის იონა ხელაშვილისადმი მიწერილ წერილში. აი რას სწერს დოდაშვილი ხელაშვილს: „...შევადგინე რეესტრი ქართული წიგნისა რიგებით ექვსასამდე, ვისგან, სადა და ოდეს და თითოეული რას იხარობს თავის შორის“. ამ კვრით წერილიდან ჩანს, რომ სოლომონ დოდაშვილის მიერ შედგენილი 600 ქართული წიგნის რეესტრი შეიცავდა ბიბლიოგრაფიას, რომელიც გადმოგვცემს თითოეული ამ წიგნის მოკლე აღწერილობას შინაარსის გახსნით და სათანადო ბუნებრივის ცნობების დართვით. სამწუხაროდ, ეს რეესტრი ჯერაც არ არის აღმოჩენილი.

გამსაკეთებელ უფრადღებებს აქცევდა ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენის საქმეს ეროვნულ-განმანათლებლებელ მობრძობის მეთაური საქართველოში ილია ჭავჭავაძე. იგი ამ დიდი მნიშვნელობის საქმის მოგვარებას სთხოვს ბერძონაზნებს. „...კარგი იქნებოდა და დიდს ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველი ლიტერატურის ისტორიას ცალკე და ცხოვრებისას საერთოდ, რომ ამ ძვირფასის განძის სიებში, კა-

ტალოგები შესდგეს, თვითნებად აღნუსხულ იქნას რა წიგნი, ვისგან არის შედგენილი, რადროს ეკუთვნის, რა ზედწარწერანი აქვს და სხვა. რასაკვირველია, ეს შეუძლიანთ ღირსეულად შესარულონ მართკ მათ, ვისაც ხელი მოეწედა. ბათ. ვინც ახლო უდგანან ამისთანა განძსა, ჩვენს ბერ-მონაზვნებს და სამღვდელთს, რომელთაც აბარაიონ სალარონი მონასტრებისა და ეკლესიებისა დიდს ვალს დასდებენ ჩვენს ქვეყანას, რომ ამ საკიროებას ყურადღება მიჰქციონ და რაც მათდამი მინდობილს სალარონი წიგნებია, იმის სია, ანუ კატალოგი შეადგინონ, როგორც ეთქვით, და რომელსავე გაზეთში დაბეჭდონ გამოსაქვეყნებლად. გვერწმუნონ, რომ ეს დიდი და სასახელი საქმეა, დიდს და სასარგებლო სამსახურს გაუწევია ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც. ამ სიების შემდგენელთა სახელი ყოველთვის მაღლობით მოიხსენიება „შთამომავლობის მიერ“ (ი. კუპევაძე, თხზულებანი, ტ. 2, თბ. 1944, გვ. 505).

სრული ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის იღწეოდნ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სტუდენტთა წრე, რომელიც დაარსდა 1908 წელს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ამ წრემ 1916 წ. გამოსცა ნაშრომთა კრებული, რომლის წინასიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ წიგნი შემზადდა იმ მიზნით, რათა ქართველს თანამედროვე მკვლევარს მეშაობა გაადვილებოდა და ხელშეწყობდა არ მომხდარიყო იმის გაკეთება, რაც უკვე გაკეთებული იყო. „ამგვარი საქმე ბიბლიოგრაფიის უჭიჭობის გამო — წერს ივანე ჯავახიშვილი, — ჩვენში არა ერთსა და ორს შეკლევას დამართავს“.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართულ ეროვნულ ბიბლიოგრაფიას ცალკეული პირები, საზოგადოებები სახელმწიფოს დახმარების გარეშე. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოში დასაბამი მისცა ეროვნული ბიბლიოგრაფიის განვითარების საქმესაც.

როდესაც ეროვნული ბიბლიოგრაფიის შესახებ ვლაპარაკობ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისეთი მეცნიერულ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომის გამოცემა, როგორცაა — „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, 1629 — 1920 წწ., ტ. I“.

როგორც ცნობილია, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელიც შეადგინა სტეფანე პოლინიზა ბერის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნაყოფორი ირბაქი) დახმარებით, გამოვიდა რომში 1629 წელს. მას მოჰყვა იმავე წელს გამოცემა — „ქართული ანბანი ლაციფორთ“, ხოლო ცოტა დაგვიანებით, 1670 წელს „ქართული ვნის გრამატიკა“. ყველა ეს გამოცემა მიზნად ისახავდა

შესწავლათ კათოლიკე-მისიონერებს — დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალისტების ამ აგენტებს, ქართული ენა, რათა თანეულად ემოქმედათ საქართველოში.

რომის შემდეგ ქართული წიგნის ბეჭდვა დაიწყო მოსკოვში (1705 წ.), ხოლო 1709 — 1722 წწ. საქართველოში — ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ სტამბაში.

სპარსელების შემოსევის გამო რუსეთში გადახვეწილმა მეფემ მოსკოვს და პეტერბურგში შექმლო ქართული სტამბის გამართვა და იქ ქართული წიგნების ბეჭდვა.

ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1749 წლამდე. რის შემდეგ კვლავ მოსახერხებელი შეიქნა ქართული წიგნის ბეჭდვა თბილისში.

მე-18 საუკუნის ბოლოს სტამბები არსდებოდა ქუთაისში, წესში, სანხერგეში. საქართველოს პარალელურად ქართული წიგნები იბეჭდებოდა ბაქოში, ბერლინში, ლონდონში, მონთაბანში, მოზღოვში, კავკავში, ვენეციაში, პარიზში, სტამბოლში, ტრიესტში და სხვაგან. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან წიგნები იბეჭდებოდა საქართველოს ისეთ ქალაქებშიც და დაბებში, როგორცაა ახალენაყი, ახალიციხე, ბათუმი, გორი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თელავი, სამტრედიო, საჩხერე, სიღნაღი, სუსუნში, ფოთი, ყვირილა, ხაშური...

1629 წლიდან 1921 წლამდე სულ გამოიცა ეჭვისი ათასზე ცოტა მეტი სახელწოდების ქართული წიგნი.

წარმოიშვა ატყვლებლობა, რათა შეგვედგინა ამ წიგნების ბიბლიოგრაფია. ამოცანა განხორციელდა 1941 წელს, როდესაც გამოვიდა ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია, ტ. I. წიგნში აღწესებულია 5833 ქართული წიგნი, გამოცემული 1921 წლამდე.

ამ წიგნის დიდი ღირსებაა, რომ იგი წარმოადგენს ქართული წიგნის შეერთებულ კატალოგს: მოცემულია 18 მსხვილ ბიბლიოთეკაში დაკული ქართული წიგნების აღწერილობა.

ნაშრომი იხსნება ერთეული შესავალი წერილით, რომელიც შეიცავს აღწერილი წიგნების ანალოზს, ქართული წიგნის ბეჭდვისა და სტამბების ისტორიას, ყურადღებას იმყრობს ამ წიგნის გამოცემის მაღალი კულტურა, ის ხშირად აშვენებდა მოსკოვისა და სხვა დიდი ქალაქების წიგნის გამოცემის სტენდებს.

ამ წიგნის გამოცემის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა გამოვლენებულიყო 370 სახელწოდების ქართული წიგნი, რომლებიც წიგნის შედგენის დროს არ იყო დაკული სსრ კავშირის 18 მსხვილ წიგნსაკეში და, მაშასადამე, არ იყო ცნობილი საზოგადოებისათვის. ნაყოფიერად მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა ძველად გამოცემული ქართული წიგნის დადგენა-დაცვის გარშემო.

ვახსნა ბევრი ფსევდონიმი და კრიპტონიმი. ყოველივე ეს გამოსახულებას იპოვის ამ წიგნის დამატებითი ტომის გამოცემაში, რომლის განხორციელება ვათვალისწინებელია 1953 — 54 წლისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ 1950 — 1951 წწ. განახორციელა მეორე რიგის, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის, ბიბლიოგრაფიული ნაშრომის გამოცემა: „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია ტ. II“, 1921 — 1945 წწ. ორ ნაკვეთად. წიგნის ნაკვეთებად დაგეგმვა გამოიწვია მასალის სიდიდემ.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს სსრ-ში 25 წლის მანძილზე გამოცემულ ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიას და მოიცავს 16.698 წიგნის აღწერილობას. ისევე როგორც წინამოდგენო ბიბლიოგრაფიის I ტომი, II ტომიც აგებულია შეერთებული კატალოგის პრინციპზე და თავს უყრის საქართველოს სსრ-ის საში დიდი წიგნსაცავის — საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალურსა და კარლ მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკებში დატული წიგნების აღწერილობებს. „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, 1921 — 1945 წწ.“ „მასალების განლაგების მხრივ ძირფესვიანად განსხვავდება I ტომისაგან. თუ პირველ ტომში წიგნების აღწერილობა განლაგებულია ქრონოლოგიურად, II ტომში ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი სისტემატურად არის განლაგებული საკავშირო წიგნის პალატის საკლასიფიკაციო სქემის მიხედვით.

II ტომის ორივე ნაკვეთის ყოველი განყოფილება, ეთქვას, მარქსიზმ-ლენინიზმი, ფილოსოფია, მედიცინა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა — დაყოფილია კიდევ უფრო წვრილ ქვეგანყოფილებებად. მაგალითად, ნაშრომის პირველი ნაკვეთის 5 — 45 გვერდზე მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის განყოფილება. გვ. 5 — 10 უჭირავს ამ განყოფილების პირველ ქვეგანყოფილებას: მარქსი და ენგელსი, მათი ნაწარმოებები და ლიტერატურა მათ შესახებ; გვ. 11 — 42 მეორე ქვეგანყოფილება: ლენინი და სტალინი, მათი ნაწარმოებები და ლიტერატურა მათ შესახებ, გვ. 42 — 46: მესამე ქვეგანყოფილება — შრომები მარქსიზმ-ლენინიზმის შესახებ და მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა. გვ. 423 — 509-ზე მოთავსებულია მე-15 განყოფილება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და მათემატიკა, რომელიც 5 მთავარ ქვეგანყოფილებად არის დაყოფილი.

საქართველოს ბიბლიოგრაფიულ ენციკლოპედიების წინაშე გამოიჭრება (ბრძანებული) საერთო — დამუშავებულიყო ქართული პერიოდული პრესა და გამოცემულიყო საცნობარო ხასიათის მეცნიერულ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომები. საჯარო ბიბლიოთეკამ სხვადასხვა დროს (1940 — 1952 წწ.) შეადგინა და გამოსცა პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ 1819 — 1820 წწ., „ქართული გაზეთი“ 1820 წ. ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, აგრეთვე „ქართული ეურნალებისა და კრებულების, ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის პირველი ნაკვეთი (1852 — 1877) 1940 წ. მეორე ნაკვეთი (1878 — 1892) — 1941 წ., მესამე ნაკვეთი (1893 — 1904) — 1944 წ. და სხვ.

განსაკუთრებთ უნდა შევხვრდეთ ამ ბიბლიოთეკის მიერ 1952 წელს გამოცემული „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ II ტომზე (პირველი ტომი მზადდება გამოსაცემად, რომელსაც საფუძვლად დაედება ა. აბრამიშვილისა და ტ. კასრაძის ნაშრომები — „თბილისის ვედომოსტები“ და „თბილისის უწყებანი“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები).

„ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. II, წარმოადგენს „დროებას“ (თბილისი, 1866 — 1885 წწ.) და „შრომაში“ (ქუთაისი, 1881 — 1883 წწ.) დაბეჭდილი სტატიების აღწერილობას. ეს ორი გაზეთი („დროება“ გამოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოში, „შრომა“ — დასავლეთ საქართველოში) წარმოადგენდა თითქმის პირველ ქართულ გაზეთებს, რომლებშიც თავსდებოდა საპოლიტიკო, სალიტერატურო, პოლიტიკური ხასიათის წერილები.

შრომაში მოთავსებულია 13827 ლიტერატურული წყაროს აღწერილობა. ეს დიდი მოცულობის მასალა განლაგებულია სისტემატურად, დარგების მიხედვით („რევოლუციური მოძრაობა რუსეთში“, „ენათმეცნიერება“, „ისტორია“, „რუსეთის ისტორია“, „ეკონომიკა“, „ქალი საკითხი“, „ეკონომიკა“, „მოგზაურობანი“ და სხვ. სულ მოცემულია 23 განყოფილება და კიდევ მეტი ქვეგანყოფილება). საქარების მიხედვით, ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი დენიფიკირებულია, გახსნილია დიდძალი ფსევდონიმი და კრიპტონიმი, დართული აქვს სხვადასხვა სახის საძიებლები.

ამ ღონისძიების განხორციელებით (ქართული ეურნალების, კრებულებისა და გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების შედგენა-გამოცემა) ბიბლიოთეკა არა მარტო დაეხმარა მკითხველთ, არამედ გადაარჩინა განადგურებისაგან ბევრი შემორჩენილი პერიოდული გამოცემების კომპლექტი.

გაზეთების, ეურნალების, კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას საჯარო ბიბლიოთეკა მოიყვანს 1921 წლამდე.

საბუთო პერიოდის გაზეთების, ეურნალების, კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაზე მუშაობს წიგნის პალატა, რომელსაც მზად აქვს გამოსაცემად 1921—1940 წწ. ეურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია ორ ტომად. მუშაობა მიმდინარეობს მესამე ტომის შესადგენად. ყველა ტომში სტატიების აღწერილობანი განლაგებული იქნება საკავშირო წიგნის პალატის საკლასიფიკაციო სქემის მიხედვით — სისტემატურად.

ნაციონალური ბიბლიოგრაფიის შემდგომი განვითარების მიზნით დღე მუშაობა ჩაატარა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, რომელმაც შეადგინა და გამოსცა „მეცნიერული ლიტერატურა საქართველოში, სოფლის მეურნეობა, 1921—1947 წწ.“ (რედაქტორი: პროფ. ლ. კალანდაძე). ამ ნაშრომის მიზანია 1921-47 წწ. საქართველოში ქართულ-რუსულ ენებზე გამოცემული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის აღნუსხვა. ამასთან, ქართულ წყაროს თან ახლავს მისი რუსული თარგმანი, რუსულს კი — ქართული. ბიბლიოგრაფიაში მასალები დალაგებულია დარგების მიხედვით, დარგებში კი ანბანურად.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა და საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ბიბლიოთეკამ გამოსცეს მსგავსი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „საქართველოს მეცნიერული ლიტერატურა. მედიცინა 1921—1947 წწ.“ (რედაქტორი: პროფ. კ. ერისთავი). წიგნი გამოვიდა 1951 წელს, შეიცავს 493 გვერდსა და 7196 აღწერილობას. ასე მოიქცა კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიც, რომელმაც გამოსცა „მეცნიერება საქართველოში 25 წლის მანძილზე. 1921—1946 წწ. ტექნიკა“ (რედაქტორი პროფ. ვ. კაკაბაძე).

გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკებმა მეცნიერული ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შედგენა-გამოცემის დარგში. მაგალითად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ 1952 წელს გამოსცა

ი. სტალინის შრომასთან — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ დაკავშირებით გამოქვეყნებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ — „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში დაცული დისერტაციების ბიბლიოგრაფია“ (1940—1951 წწ. რედაქტორი ვ. უზნაძე). გარდა ამისა, აკადემიის ბიბლიოთეკა 1949 წლიდან ყოველთვიურად ბეჭდავს ბიბლიოთეკაში „ახლადმომოსული ლიტერატურის საინფორმაციო ბიულეტენს“.

ახლანდინაია აგრეთვე აქარის ასსრ სახელგამის მიერ 1951 წელს გამოცემული „აქარის ბიბლიოგრაფია“ ხ. ახუდიაძისა. ამ დღე ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში მოცემულია ქართულ-რუსულ პრესაში დღემდე გამოქვეყნებული ლიტერატურული წყაროების ბიბლიოგრაფია, წყაროებისა, რომლებიც შეეხებიან აქარასა და სამხრეთ საქართველოს.

ნაშრომში აღწერილია 4087 ქართული და 3458 რუსული წყარო. ყველა აღწერილობა, რომელსაც ესაქაროებოდა მოხდებოდა, დემიფორირებულია და განლაგებულია სისტემატურად 19 განყოფილებაში; დართული აქვს სათანადო საძიებლებიც.

გარკვეული მუშაობა ჩაატარებული პერსონალური ბიბლიოგრაფიის დარგშიც. საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოცემულია ვ. ბაქრაძის „ი. ბ. სტალინის ბიბლიოგრაფია“, მ. ჯიღარის — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია“, ე. დიასამიძის — „ილ. ჰავეშაჰაძის ბიბლიოგრაფია“, ზოლო საჯარო ბიბლიოთეკის მიერ მ. კუბრაძის — „ა. პუშკინის ბიბლიოგრაფია“. ბიბლიოთეკათმოდინების და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის საქართველოს მეთოდ-კაბინეტმა გამოსცა ა. მ. გორკისა და მ. ი. ლერმონტოვის ბიბლიოგრაფიები, გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკამ — ი. ა. გოგებაშვილის ბიბლიოგრაფია და სხვა.

წიგნის პალატამ გამოსცა სპეციალური ბიბლიოგრაფიის სერიიდან ლ. კარბელაშვილის „მეხილეობა საქართველოში“, „საქართველოს მეცნიერელობის ბიბლიოგრაფია“ და სხვ.

ზოგეოდეც არასრული სიბა იმ ბიბლიოგრაფიული ნაშრომებისა, რომელთა შემდგენა და გამოცემა განზორციელდა საქართველოში უკანასკნელ წლებში.



რომანი პართიელ მუხატემაზე



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეცხრამეტე ყრილობამ დიდი ამოცანები დასვა გადასაწყვეტად კომუნისმის მშენებელ ადამიანთა წინაშე. ჩვენი პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი და ღირებულებები მოიცავენ საბჭოთა ცხოვრების ყოველ უბანს, როგორც სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, ისე კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, მთელი ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

მწერალი, როგორც ადამიანის სულის ინჟინერი, კომუნისმის მშენებელთა მოწინავე რიგებში უნდა იდგეს. მწერალმა უნდა ასახოს თავის მხატვრულ ნაწარმოებში ჩვენი დიდი ეპოქა, დაგვიხატოს კომუნისმის მშენებელი ადამიანის კეთილშობილური მორალური სახე, გვიჩვენოს მისი მგზნებარე პატრიოტული სულისკეთება იმ შემადგენლებელ გარემოებებთან მკაცრი ბრძოლის ფონზე, რაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ჩვენში და რაც ხელს უშლის სოციალისტური ქვეყნის ხალხს კომუნისმისაკენ მის ძლევაში სიღრმისაღებ წინსვლაში.

ეპეგარეშეა, რომ მარჯვედ მიგნებული თემა, რომელიც მხატვრულად უნდა დამუშავდეს გარკვეული იდეოლოგიური თვალსაზრისით, შემოქმედის გამარჯვების ერთ-ერთი წინასწარი პირობაა. მგერამ მთავარი მაინც შემდეგ იწყება: ნედლი მასალის დაგროვება, შერჩეული ფაქტების ფაბულად აკინძვა, სათანადო იდეური თვალსაზრისით მათი მხატვრულად გააზრება, სიუჟეტური ქსოვილის შექმნა, კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული მხატვრული ნაწარმოების აგება. ნაწარმოების, რომლის ცენტრში დგას ადამიანი მთელი თავისი მდიდარი სულიერი თვისებებით. ხასიათის ინდივიდუალური ნიშნებით, ცხოვრების მძაფრ კონფლიქტებში მოქცეული და ამ კონფლიქტთა ხლართისაგან თავის დაღწევისათვის მებრძოლი, — ყოველივე ეს განსაზღვრავს მწერლის შემოქმედების გამარჯვებას.

როგორ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს ლადო ავალიანის რომანის „ახალი პორიზონტი“ პირველი წიგნი? ავტორის რომანის თემად აღებული აქვს ჩვენი სახელოვანი მეზატეების შრომა და ცხოვრება. შრომის თემა განუყრელ მკიდრო კავშირში იმყოფება მშვიდობის თემასთან. იქ, სადაც შემოქმედებითი შრომის ფერხულშია ჩაბმული მთელი ქვეყანა, ბუნებრივია, რომ ამით ყველანი მშვიდობის დიად საქმეს ემსახურებიან, შრომობენ და იბრძვიან ადამიანის სასიხარულო ცხოვრებისათვის, საყოველთაო-სახალხო ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრებელი მოვლენა სოციალისტური ქვეყანასა და კაპიტალისტურ სამყაროს შორის. იმ დროს, როცა საბჭოთა ქვეყნის ხალხები დაუღალავად შრომობენ ახალი ცხოვრების განსამტკიცებლად, მსოფლიო იმპერიალიზმში მძინვარედ ემზადება ომების განსაზღვრებად.

სწორედ ამ მომენტს თვალისწინებს ლადო ავალიანის რომანის პირველი წიგნის დასკვნითი ნაწილი, სადაც აწერილია ის დღე მეზატეთა ქალაქში, როცა ფაშისტური გერმანია ვერაგულად თავს დაესხა მშვიდობიან შრომაში ჩაბმულ საბჭოთა კავშირს. ავტორი კარგად გადმოგვცემს იმ საზოგადო-სახალხო აღზევებას, რაც გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მშრომელებში სოციალისტური სამშობლოს განსაიდგმება, მისი საზღვრების გადმოლახვამ ფაშისტური ურდოების მიერ. ყველანი — ახალგაზრდა თუ ხნიერი, ქალი თუ კაცი, — ერთსულოვნად დადგნენ საყვარელი სამშობლოს დაცვებისა და თავისუფლების დაცვის საღარაჯოზე.

თანამემამულეებთან ერთად ბრძოლის ველზე გაემგზავრა ახალგაზრდა მეზატე შატბია არაბიძე. იგი მოხალისედ ჩააწერა საბჭოთა არმიის რიგებში. შინ დარჩნენ ხანმოკლე მშობლები და თამარელა, რომელსაც უყვარს შატბია და ამ უკანასკნელსაც თავისი გულის სწორად მაჩანია იგი. ზურგში დარჩენილ სხვა პატრიოტებთან ერთად შატბიას მამა, ძველი მეზატე ნიკო არაბიძე, გაძლიერებულ ენერგიით იბრძვის შრომის ფრონტზე სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად, მტერზე გამარჯვების გამოსაუვლად. ომში წასულ მეზატეთა ადგილი ბევრმა ქალმა დაიკავა. მათ შორის ვხედავთ თამარელასაც.

როგორც უკვე ვთქვით, მხატვრული შესრულებით ყურადღებას იმყრობს რომანის ის ადგილი, სადაც აწერილია შემხატეთა ქალაქის მიედანზე შეკრებილი ხალხის ერთსულოვანი სულიანობა თმის დაწყების პირველსავე დღეს. აქ შეკრებილმა ხალხმა გადაწყვიტა რომ წასული სემატეთა ადგილია დაკავება. სამშობლოს მოწოდებას პირველად თამარელა გამოეხმაურა. უკვე ტორი კარგად ავიწყებს ამ მომენტს:

„თამარელა ერთ წამს კიდევ იდგა ასე პაერში ამაყად გაშლილი ხელით. ხელში კი შატბიასაგან ნასახსოვრები ბროწეულის ყვავილი ეჭირა, თითქოს იმ ყვავილის სახით თავის სიყვარულს ფიცავდა. რომ მისი წადილი ისევე წრფელი და მხურვალე იყო, როგორც მისი სიყვარული შატბიასადმი. ეს ზღვა ხალხი ჯერ კიდევ გაკვირვებით შემოსიკვრიოდა ქალიშვილს, და ვისაც უკვე ეცნო იგი, თვალს არ უჯერებდა, რომ ის ნამდვილად თამარელა იყო, ახლობელი და შინაური, ლამაზი, თავმოშორნე, ხანდახან თამამიც, მაგრამ არც ისე გაბედული, რომ ახლა მხატვრი მუშობაზე პირველს გამოეთქვა სურვილი“.

თუ როგორ განავითარებს ავტორი მოვლენებს რომანის შემდეგს თავებში, ეს მის მხატვრულ ალღოსა და უნარზეა დამოკიდებული. ეფიქრობთ, რომ ზოგიერთი შენიშვნისა თუ რჩევის მიცემით გუადაღდილობა ავტორს ამ საპასუხისმგებლო და ძნელი საქმის შესრულებაში დაეხმოს?

დაიწყეთ კონფლიქტის საკითხიდან. ნაწარმოების კონფლიქტი არ არის იმდენად მძაფრი, იმდენად მწვევე, რომ მისი გადაწყვეტის მოლოდინმა შეამფთოთ მკითხველი, აღძრას მასში ძლიერი ინტერესი და ღრმად ჩაფიქროს იგი რომელიმე პრობლემის გაჩვენებისათვის. „ახალ პორბონტში“ კონფლიქტის მხოლოდ ცდებია მოცემული. ასეთია, მაკალითად, დავა ნიკო არაბიძესა და ქარქვაძის შორის სამთოსკოლელების სამუშაოზე განაწილების გამო. ეს ფაქტი მხოლოდ ერთ უმნიშვნელო ეპიზოდად ჩანს რომანში და, რა თქმა უნდა, კონფლიქტის მასალად არ გამოდგება. მეორე მომენტი, რომელიც კონფლიქტის ხასიათს უნდა ატარებდეს, ნიკო არაბიძის უკმაყოფილებაა იმით, რომ მის ვაჟს, შატბიას, არ სურს შემხატელ დარჩენა და მიზნად დღესახავს მოქანდაკე გახდეს. რომანის ეს მხარეც გაცივრით აქვს გაშუქებული ავტორს. ამდენად იგი მართოდენ ყრუ უკმაყოფილებად რჩება და კონფლიქტის დონემდე ვერ აღწევს.

დარჩა მხოლოდ ნაწარმოების სატრფიალო ხაზი. როგორც ვიცით, შატბია არაბიძესა და თამარელას ერთმანეთი უყვართ. მაგრამ შემხატეთა ქალაქში კლუბის მთავარი ფასადისათვის ბარელიეფის გამოსაძერწად ჩამოღის ახალგაზრდა ვაჟი სულიყო. მას თან ახლავს თავისი და მეგი. შემხატეთა ქალაქში მეგის ჩასვლის შემდეგ შატბიას სულიერი მდგომარეობა იცვლება. შატბიას ყურადღება მეგზე მიიპყრო. თამარელას ეჭვის საფუძველი გაუჩნდა. ამრიგად, კონფლიქტის საფუძვლად რომანში შეჩვენებულია გმირთა პირადი გრძნობები. ეს გაგრძობება რამდენადმე ამცირებს ნაწარმოების სოციალურ ელერას.

ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების იდეა საერთოდ პერსონაჟების საშუალებით მტლავნდება. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომქმედი პირების ხასიათს, საერთოდ გმირს, როგორც მხატვრულ სახეს.

როგორი მხატვრული სახეები არიან „ახალი პორბონტის“ მთავარი გმირები შატბია, თამარელა, მეგი, სულიყო და რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ტიპისა და ტიპური ხასიათისადმი წაყენებულ მოთხოვნებს?

შატბია არაბიძე ყოველნაირად ცდილობს, რათა არ შეარცხვინოს თავისი მამის, ძველი შემხატის, ნიკო არაბიძის სახელი. მაგრამ მარტო სწავლასა და შრომაში როდია შატბია მისაბამი. იგი საერთოდ კეთილშობილური თვისებებით არის შემკული. ასე, მაგალითად, სანიმუშოა შატბიას საქციელი, როცა ის სპირიტუალურ მდინარეში გადაეშვება ადამიანთა სიციცხლის გადასარჩენად. ნიჭიერი, მშრომელი, კეთილშეგარ, პატიოსანი და კეთილშობილი — ასეთია შატბია. ყოველივე ეს შატბიას წარმოგვიდგენს როგორც მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდას.

თამარელა სოფელი გოგონაა, გულწრფელი, პატიოსანი, მორალურად ფაქიზი ადამიანი. იგი ყველფერს პირდაპირ, ბუნებრივი გულუბრყვილობით უტყუროს.

მისა სრული ანტიპოდია მეგი. იგი საკუთარ თავში შეყვარებული ადამიანია, ხელუფერად კვლავობს, ფუქსაბატობს, სიყვარულის გრძნობასაც მსუბუქად ეკიდება.

ისევე უნდა ითქვას სულიკოს შესახებ. მეგისთან შედარებით სულიყო კიდევ უფრო ზერეულე ხასიათის ადამიანია, ამპარტყანი, თავის გამოჩენის სურვილით შემპყრობილი. ამიტომ გაკვირვებას იწვევს, რატომ შეარჩევს ასეთი არასერიოზული ადამიანი, ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი, ისეთი საპასუხისმგებლო საქმის შესასრულებლად, როგორც არის შემხატეთა ქალაქში კლუბის მთავარი ფასადისათვის ბარელიეფის გამოძერწვა? რომანის ავტორს კარგად ეხერხება ბეიზაყის ჩვენება. ბუნების სურათების აღწერის დროს იგრძნობა გემოვნება და ბუნების მოვლენების შემოქმედებითი განცდა. მაკალითისათვის მხოლოდ ერთ ნაწყვეტს დავასახელებთ: „როგორც მოულოდნელად დაიწყო, ისევე მოულოდნელად მისწყ-

და ქუბილი, წვიამაღ თანდათან იკო და, ბოლოს, გადაიღო; ცამდე თითქო გამურულე მძრის მოწმინდა, გაიკრია მეტი ღრუბლები; აქა-იქ ღურჯად გამოანათო ცის თალმა. მზის შუქიც ხან ერთგან ამოაჰყვებდა თვალს, ხან შეირევან. მზის შუქზე ბალახის ღეროებზე და ტახს უფრო-ლებზე ლაპლაი დაიწყეს. ახლა უკვე დაწმენილი, წვიმის წყლის გუბებზე სუფრემურთავედ-ყირა მოჩანდა ეა და ღრუბლების მოზიზინე ფთილები“. აქ უფროდ ჩანს მხატვრის დაკვირვებულ თვალს.

კარგად იკითხება ის ადგილები, სადაც მოცემულია უოფითი სურათები, მაგრამ ზოგჯერ ავტორი ვერ იცავს მხატვრულ ზომიერებას და მაშინ გაქიანრებულად გვეჩვენება ესა თუ ის ადგილი. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგს ფაქტს: წიგნის 32 გვერდი დათმობილი აქვს ქუბილის აღწერას კაჟო ზიზზიბაძის ოჯახში, მაშინ როცა თავისუფლად შეიძლებოდა აღნიშნული მომენტის გადმოცემა ორიოდე გვერდზე.

„ახალ პორიზონტში“ არცთუ ისე იშვიათად ვხვდებით კარგად დამუშავებულ მხატვრულ დეტალს. მაგრამ მათ გვერდით მოიპოვებან ისეთებიც, რომელთაც პლაკატური იერი დაჰკრავს ასეთი, მაგალითად, რომანის ადგილი (292 — 295 გვ.), სადაც აღწერილია ქვეწარმავლის მოცვლა შატბიას მიერ. ავტორს განუზრახავს გველის სახით ეჩვენებინა ფაშისტური ურჩხული. შეითხველი მაშინვე ამოხსნის ამ მხატვრულ ქარაგმას: შატბია, ალბათ, ომშიაც ასევე გასარესს ფაშისტური ქვეწარმავლის. ასე აშკარად პარალელის გაღება სიმბოლოების საშუალებით სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს არ შეეხებაშემა.

მხატვრული ლიტერატურის უპირველესი ამოცანაა მხატვრული სახეებით გაუზიაროს მკითხველს თავისი აზრები, თავისი ეპოქის მოწინავე იდეები, აღზარდოს იგი ამ იდეებით, მათი საშუალებით სრულყოფს ადამიანის გონება, დაუხვეწოს მას ესთეტიკური გემოვნება, აამაღლოს და კიდევ უფრო სატრაკი გახადოს მისი მორალური სამყარო. მწერალი მხოლოდ მაშინ შეძლებს ამ უღირესად დღემნიშვნელოვან მისიის წარმატებით შესრულებას, თუ რგი მოკრძალებით, სიყვარულით და პატრიოტულით მოეკიდება ამ მოწინავე იდეების გამოხატველ საშუალებას — ენას.

საშუათა ლიტერატურის ძირითად მასალას წარმოადგენს სიტყვა, რომელიც აფორმებს ყველა ჩვენს შთაბეჭდილებას, გრძნობას, აზრს. ლიტერატურა არის ხელოვნება პლასტიკურად ასახვისა სიტყვის საშუალებით. კლასიკოსები გვასწავლიან, რომ, რაც უფრო მარტივი, ცხადი, ზუსტია სიტყვის აზრობრივი და სახეობითი სისხვე, მით უფრო ძლიერი, მართალი და მტკიცეა პეიზაჟის გამოხატვა და მისი გულუნის ასახვა ადამიანზე, ადამიანის ხასიათის გამოხატვა ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულების ასახვა“.

„ახალი პორიზონტის“ ენა ძირითადად კარგია, ლიტერატურულად სწორი, ხშირად ხატოვანი და შთაბეჭედავად არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ამ მხრივ ჩვენ შიერ შემჩნეულ ხარვეზებს. ძირითადი ნაკლი სარეცენზიო რომანის ენისა არის ხელოვნურად დახლართულ წინადადებათა აგება მათი გაქიანრებისა და გართულების გზით. მაგალითად, რომანში არც თუ ისე იშვიათად შევხვდებით ასეთი მანერით აგებულ ფრაზას:

„შატბიას უნდოდა ეთქვა, — მარე მთელიდ, დაესდებ მუხის ძირას, რადიოც იქვე მუხაზე არის მოდგმული და ისე, განცხრომით მოუესმინოთო, მაგრამ ზედავად რა, მევის ასე ესაიპოვნებოდა დგომა და მოსმენა, სათქმელი გადაფიქრება, უდროო დროს ჩარევისათვის მევის რომ გუნებაში არ გაეციცხა იგი“. გეაჩრიოთ ეს ფრაზა მასში სიტყვის როლის ნათელსაყოფად ავტორის აზრის გადმოცემისათვის. ზემოთყვანილ ერთ ფრაზაში ავტორს განუზრახავს მოცეა შემდეგი აზრობრივი მომენტები: 1. შატბიას სურვილი — წამოეყენებინა წინადადება მუხის ძირას დახსლომის შესახებ; 2. მკითხველისათვის იმის შეტყობინება, რომ რადიო მუხაზე იყო შემოდგმული; 3. იმის ჩვენება, რომ დაშხრომანი უფრო განცხრომით მოუესმენდნენ რადიოს; 4. შატბიას დაწმენება იმში, რომ მევის ასე ესაიპოვნებოდა დგომა და რადიოგადამცემის მოსმენა; 5. შატბიას მიერ წინათ განზრახულის გადაფიქრება; 6. გადაფიქრების მიზეზის ჩვენება — მევის გუნებაში არ გაეციცხა იგი უდროო დროს ჩარევისათვის. ცხადია, რაკი მტკისმეტად ძნელია ექსი-აზრობრივი მომენტის მოთავსება ერთ ფრაზაში, ამიტომ გამოვიდა ეს წინადადება ესოდენ რთული, დახლართული და მძიმე. გვხვდება ასეთი სიტყვებიც: ჩინილანი პირსახოცი, ტუფლი, მოსე გზა, ბრეწნეტის კერტკა, ლოსის ტყავი და სხვა.

ნაწარმოების გმირთა სახელების შერჩევა ფრიად სერიოზული საქმეა. „ახალ პორიზონტში“ გმირთა ერთი ნაწილი ჩვეულებრივ, ადამიანურ სახელსა და გვარს ატარებს. მაგალითად, ნიკო არაბიძე, ასმათი, დარეჯანი, მეგი, კაჟო. მაგრამ ვფიქრობთ, არ არის მხატვრულად გამართლებული ასეთი სახელები თუ გვარები: ოდელია ჩანუნი, ჭიკოლა, ბაქუა ბრაქული, პლანეტა (ბაკუას ცოლი). სიტყვას საერთოდ და, კერძოდ, სახელს მხატვრულ ნაწარმოებში დიდი სიფრთხილით სჭირდება შერჩევა, რომ მისი იდეური მხარე არ შეიბღალოს და მხატვრული ქსოვილი არ შეიღახოს.

საერთოდ, როგორც უკვე ითქვა, ღადო ავალიანის რომანი „ახალი პორიზონტი“ თვალსაზრისით ადვილს დაიჭერს ქართულ ბელეტრისტიკაში. ჩვენ ვცადეთ ზოგიერთი წინასწარი შენიშვნის გაკეთება ამ რომანის მიმართ. მისი საბოლოო შეფასება კი მომავლის საქმეა. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა რომანი მთლიანად გამოქვეყნდება.

3. ბახტუმიძე

რომანი ახსენიის ცხოვრებაში



ი. პაპასკირი თავის რომანში „თემირი“ ძირითადად კოლექტივიზაციის ადრინდელ პერიოდს ასახავს, რომანის პირველი თავები კი კოლექტივიზაციის წინა პერიოდსაც ეხება. მწერალს აინტერესებს, დაგვიხატოს აღამიანები მთელი თავიანთი შინაგანი ბუნებით, გახსნას მათი ფსიქოლოგია, გამოავლინოს ინდივიდუალური ხასიათები.

ავტორი კარგად იცნობს სოფლის ცხოვრებას. ეს გარემოება მას ხელს უწყობს ღრმად ჩასწვდეს გლეხობის ყველა ფენის წარმომადგენელთა სულიერ სამყაროს, მათს მისწრაფებას და სურვილებს. ბრძოლა ახალ და ძველ სამყაროს შორის ამ ნაწარმოების თვითველ თავსა და სურათში იგრძნობა. მწერალმა დადებითი ტიპების კონკრეტული სახეები შექმნა. ესენი არიან მამა, თემირი, შაზინა, კანა და მრავალი სხვა უბრალო აღამიანი, რომლებიც შრომელი ხალხის სურვილებს გამოხატავენ და რომელთა ბრძოლას ძველი სამყაროს წინააღმდეგ კომუნისტური პარტია წარმართავს.

30-იან წლებში, საკოლმეურნეო წყობილების შექმნის პირველ ეტაპზე, მწვანე კლასთა ბრძოლა იყო განაღებული. მტრის მგლერ სახეს ნიღაბი ჩამოებდა. გამოშვლდა კლასიკა და მისი დამცველების ბუნება. ახალი ქვეყნის სიყვარულით გამსჭვალული გლეხთა ფართო მასები თავდადებით იბრძვიან ახალი, ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად. მაგრამ მათ წინ ელობებოდა მურზაყანის, მიკიქასა და მათი მსგავსი აღამიანების მტრული მოქმედება. მურზაყანმა მრავალი ღარიბი გლეხი გააუბედურა. მისი სიბოროტის, სიხარბის და გაუმადლობის მსხვერპლი გახდა თემირის მამა, პაპა.

ავტორმა მძაფრად დაგვიხატა ორი მოპირდაპირე კლასის აღამიანთა ცხოვრების სურათები, გადმოშალა ის დღეობის ცხოვრება, რომელიც ახრჩობდა შრომელ აღამიანს წარსულში. ამ ცხოვრებიდან გაშოსულია ახალი ეპოქის ახალგაზრდა აღამიანი თემირი თეანა.

თემირი მარტოხელა პატროსანი შრომელია. იგი სოფელში ყველას უყვარს. თემირს შეუყვარდება მეზობლის ქალიშვილი შაზინა.

ჩვეული სოციალური მოვლენები, რომლებშიაც მთელი სისაყნით შეღავნდება ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შექცება გააფთრებული მტრის წინააღმდეგ, ამ რომანის მაცოცხლებელი ძალაა. განა მიკიქა, რომელიც ახალ ცხოვრებას უბრისპირდება მტრული ძალების გამოხატულებას არ წარმოადგენს? განა შემთხვევითია, რომ მიკიქას სურს შაზინა გამოსტაცოს ხელიდან თემირს და წაბილწოს ამ ორი ახალგაზრდას სიყვარული? ავტორი ასე ახასიათებს მიკიქას მამას, კადირს: „მთელი სოფელი ანგარიშს უწყევდა მას, ეზარჩილებოდა მისი ფულის ძალას“. საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ ფულის ძალის ნამდვილი გამოხატულება მისი შეიღობა მიკიქა, იგი მამაზე უფრო მკაცრი, უხეში, გაუმადარი, ბოროტი და გაიჭვერა გახდა.

თემირი ახალი აღამიანის ტიპის განსაზღვრებაა, მაგრამ ამ ახალ აღამიანში წყველი წარსულის სიმახინჯე, მისი ადამიანურება თავს იჩენს მთელი თავისი სიმაფრით. თემირის ოჯახში მობდა დიდი უბედურება, — თემირის ძმა, მიტა, ვილაცამ მოკლა. თემირს ძველმა ადამიანურებმა ჩააგონეს, რომ მან მველელი უნდა აღმოაჩინოს და მისი სისხლი აიღოს. ეს არის ღრმად გაუფრთხილებელი თემირის. ის კარგად გრძნობს, რომ მას, ახალი ცხოვრების აღამიანს, სრულიადე არ შეუფერება სისხლის აღებაზე ფიქრიც კი. მაგრამ იმდენად ძლიერია წარსულის გადმონათობის შემეხილვა, რომ ახალგაზრდა აღამიანი პირველად ვერ ახერხებს მისგან თავის დაღწევას. ამ საქმეში საზიზღარ როლს ასრულებს მიკიქა. იგი თემირის სისხლის აღებისაკენ აქეზებს. თემირი

დროებით ხელს იღებს შაზინას შერთვაზე და მთავარ ამოცანად იხდის ძმის მკვლელობის აღმოჩენას, მის მოკვლას. ეს გარემოება შაზინაზე ცუდ გავლენას ახდენს. ქალი წებს, ცდილობს ზაგვონის თემირს, ხელი აიღოს ახალი დროისათვის შეუფერებელ ადამიანზე, მაგრამ ეს უკერპერობით მიზანს ვერ აღწევს.

მიკოპა შეიტყობს, რომ მიტას მკვლელი არის შაზინას მამა, ჰამათი. ამ ამბავს მიკოპა კიდევაც მიიტანს თემირის უკრამდე. თემირის ფიქრობს — როგორ შეერთოს ძმის მკვლელის ჰამათის ქალიშვილი? ამავე დროს რამდენადღაც ვადის დრო, თემირის ავტორიტეტი უფრო იზრდება საზოგადოებაში, მას უკრადღებებს მიაქცევენ სოფლის პარტუჯერედის მდივანი შიხა. იგი უკრ კოპერატივის გამგედ წამოაყენებს თემირს, შემდეგ კი სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ. თემირი თავისი პატიოსანი მუშაობით კიდევ უფრო კარგ სახელს მოიხვეჭს ხალხში, მაგრამ ფიქრა სისხლის აღებაზე მიიწვი გულს ხდრღინს. ამას მიხაყ ატყობს.

ამაღვეა კითხვა: ვისი უღრეა მიტას მოკვლაში? ვინ გააბრძოვა მშრომელი ადამიანი ჰამათი, თარღი აღემართა მიტას წინაღმდეგ? ამ საზიზღარ საქმეში მურზაყანის ხელი ტრიალებს, ზოლო შემდეგ კი ამ ფაქტს მიკოპა თავისი ბოროტი განზრახვების მისაღწევად იყენებს.

ჰამათის ერთი და ჰყავდა სახელად ანისია. იგი მურზაყანის მეუღლეს შეგლოდა საოჯახო სიჭკვებში. ანისია მურზაყანისაგან დაორსულდა, მაგრამ ბოროტების კვალის დასაფარავად მურზაყანმა მიტა უკრ ომში გავზანა და შემდეგ მას გადააბრადა ანისიას დაორსულება. როცა მიტა სამი წლის შემდეგ ომიდან დაბრუნდა, მურზაყანმა ჰამათის თოფი მისცა ხელში და ეს მშრომელი გლეხი პატიოსანი ახალგაზრდა ადამიანის მკვლელი გახდა.

ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება, საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი, კომუნისტური პარტიის ყოვლისშემძლე ძალა, ყველაფერი ეს საფუძვლიანად შეარყევს თემირის სულში აბოპოქრებულ ჭირიშხალს, ქვეყნის ზრდასთან ერთად, თემირიც იზრდება. გარდაქმნის გზაზე დგება.

თემირი ჩაუფიქრდა ღრმად თავის მოქმედებას: „კაცის მოკვლა შეიძლება ადვილიც არის, მაგრამ ამისთანა საქმე როგორ უნდა ექნა მე, მიხას შეგობარმა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ?“ თემირი კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი გახდა, იგი ვაშაგებობით ებრძვის კოლმეურნეების შექმნის მოწინააღმდეგეებს. მალე თემირს მოსკოვში გზავნიან აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში სასწავლებლად. მიღის თემირი მოსკოვისაკენ და შაზინასაღმი სიყვარული, თავისი ქვეყნისაღმი სიყვარული, თან მიჰყვება გაუნღებელი ცაცხლით.

რომანის მეორე ნაწილში შწერალი აგვიწერს თემირის მოსკოვში მისვლას, უნივერსიტეტში სწავლას, ორი წლის შეგებულებით სოფელში ჩამოსვლას, მის შეხვედრას ამხანაგებთან, მათ შორის შაზინასთანაც. ამ ნაწილში საინტერესოდ არის მოცემული კოლმეურნეობების ჩამოყალიბების გამო შექმნილი ურთიერთობა გლეხთა ფენებში. ნაწვენებია თუ როგორ ცდილობენ ძირი გამოუთხარონ კოლმეურნეობას მურზაყანი, მიკოპა, მამჭელი, და ხელი შეუშალონ მშრომელების კოლმეურნეობაში გასაერთიანებლად. განსაკუთრებით ძლიერად არის მოცემული მიკოპას ოჯახის ცდა — თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ საშუალო და ღარიბი გლეხები. მიკოპა ამით როდი კმაყოფილდება. ისა და მისი დამქაშები კოლმეურნეობაში მყოფ გლეხებს უჩიზინებენ კოლმეურნეობიდან გასვლას, არ შეასრულონ სახელმწიფო დავალებანი, არ იმუშაონ სოფლად გზების შესაკეთებლად, ცდილობენ გავლენა მოახდინონ პარტიიდან გარიცხულ წევრებზე, არ უერიდებიან დარღულ კრებების მოწვევას, აშკარად გამოდიან სოფლის საბჭოში მოწვეულ კრებებზე, შლიან სახელმწიფო ვალდებულების შესრულებისათვის დასახულ ღონისძიებებთან გატარებას, გადადიან ტერიტორიებზე; სადაც კი პირდაპირი მოქმედება არა სურს. იქ არაპირდაპირი მოქმედებენ, ათასნაირი ხრიკებით ცდილობენ ღარიბების გადაპირებას მათ მზარებზე, იყენებენ გლეხების ჩამორჩენილობას, ძველ ადამიანებს, სისხლის აღებას, ოღონდ კი მიზანს მიაღწიონ.

ყოველივე ამის ორგანიზატორი და სულისამდგმელია მიკოპა და მისი ოჯახი. მურზაყანი და მისი დამქაშები. მათგან მოტყუებული გლეხები — ჰამათი, არსანი, ჭუთი, მიტა, ლევარსა, ჭუნთა და სხვები მონჯარად შესიქრიან მათ. მათი მტრული მოქმედება და მათი სახეები მწერარს მკვეთრად იქვს გამოსახული.

ამავე დროს, ამ უარყოფითი ტიპების პარალელურად, ნაწვენებია კოლმეურნეობების განმტკიცებისათვის ბრძოლა, ახალი ადამიანების ზრდის, საშუალო გლეხების მერყეობიდან, საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე მტკიცედ დადგომის პროცესები, მიკოპასა და მურზაყანის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების თანდათანობითი გამოფხიზლების მომენტები.

რომანის ყოველ თავში თვალსაზრისად იგარჩობა, თუ როგორ ამსხერგვენ ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის მებრძოლი ადამიანები მტრის ოინებსა და ხრიკებს. მკითხველი სიამოვნებით ხედება იმ ამბავს, თუ როგორ გაიზარდა თემირი მოსკოვში, როგორ შთაინთქა მის გულში გაჩენილი ტრიაგვია ახალი ცხოვრების დღეილში. დღი ინტერესით იკითხება ის თავებიც, რომ

დესაც თემირი ბრუნდება სოფელში, განებრივად და სულეზრად გამდიდრებული, როგორ აქტიურად ჩაება თემირი სოფელ ბარტიულ მუშაობაში და ამოდგა გვერდით ამხანაგებს.

რომანის სიუჟეტი გამართული და კომპოზიციურად მტკიცედ შეკრულია. დამაინტერესებელი ეტყობა და მკაფიოდ არიან გამოხატული. აფხაზეთის ბუნება ორგანულად არის წარმოდგენილი. უხვად არის გამოყენებული აფხაზეთის ფოლკლორი, ბევრი ხალხური სიბრძნეა ჩაქსოვილი პერსონაჟების სიტყვა-პასუხში.

მაგრამ არ შეგვიძლია მწერალს არ მივუთითოთ ერთი პრინციპული ხასიათის შეცდომის შესახებ. ეს არის მწერლის მიერ რომანში სისხლის აღების გადაპარბეზულად წარმოსახვა. რამდენიმე ადგილას თემირი სისხლის აღებაზე ფიქრს რელიგიურ მისტიციზმშიც კი გადაჰყავს: ეს იზმარება მოკლედი ძმა, ეჩვენება მიცელებული მამა, ისინი ძონძებში არიან გახვეულნი, გამხმარი ძვლები უჩანთ, თემირს ტუქსავენ, რომ მან უღალატა აფხაზეთ ალათ-წესებს და არ მოკლა ძმის მკვლედი. ამის გამო პასევალი და მიტა შეაჩვენებენ თემირს, ახლოს არ მოკარებენ და გარბიან წყველა-კრულით. ამ შემთხვევაში მწერალი ზომიერების გრძნობას ვერ იჩენს.

ეს არის ამ რომანის ძირითადი ნაკლი.

მოლიანად „თემირი“ საინტერესო ნაწარმოებია და ჩანს, რომ მისი ავტორი ნიჭიერი მწერალია, რასაც ის ნაწარმოებებიც ადასტურებენ, რომლებიც ავტორმა შექმნა ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ.

სიმონ წმინდა

კარგი საბავშვო ლექსები



როდესაც დავით გაჩეჩილაძის საბავშვო ლექსების წიგნს კითხულობთ, უპირველეს ყოვლისა, ვიპყრობთ ლექსის ნათელი და მკაფიო სტრიქონები, სახის სიზუსტე და კონკრეტულობა, სხარტი ენა, აზრის მარტივი ფორმულირება. ლექსებში ნათლად ხედავთ პეიზაჟს, საგნებს, რომელთა შესახებ მოგვითხრობს პოეტი ან რომელთაც გვიჩვენებს.

დავით გაჩეჩილაძე მშვენივრად ახერხებს ბავშვის სახის დახატვას. მის მიერ შექმნილი ბავშვთა სახეები არ არის სტერეოტიპი. თუმცა ამის ვერ ვიტყვით წიგნის ყველა ნაწარმოებას გამოიხედავ.

წიგნში უმთავრესად შეტანილია დიდაქტიკური ხასიათის ლექსები. მწერალი კონკრეტულ მაგალითზე უჩვენებს ბავშვებს, თუ რა ცუდი შედეგი მოსდევს დაუფიქრებელ საქციელს, გაუფრთხილებლობას, გაუგონრობას, ტყუილს და ყუფილობას.

ასეთი ხასიათის ლექსები საკიროა, მათ აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვთ. წიგნში შეტანილი ლექსები ბევრ ბავშვს დაუფიქრებს და სათანადო დასკვნებს გააყვებინებს.

წიგნში არის სხვა ხასიათის ლექსებიც — „მზვერავი კი ენ ვანი“ და „კემბერტი ისიდორი“. ამ ლექსებში პოეტი გვიყვება საშობლოს სიყვარულის, მგობრობის, მოვალეობის გრძნობის და პატრიოტიზმის შესახებ. ყველაფერი ეს მოყოლილია საინტერესოდ, ექსპრესიით, მომხიბლავად.

საშობლოსათვის თავდადების გვიხატავს პოეტი საკმაოდ მოზრდილ ლექსში „მზვერავი კი ენ ვანი“. თერთმეტი წლის კორეელი ბიჭუნა საშობლოს სიყვარულში, მურისეების დიდმა და მადლმა გრძნობამ გმირად აქცია. „ის ახლა პარტიზანებთან დადის მთასა და ბარში. ჭირი და ლხინი რახმელთა მშურად გაიყო მანაც, წყალშიაც გადაუარდება, თუ მეთაურმა ბრძანა“. და ლხინი რახმელთა მშურად გაიყო მანაც, წყალშიაც გადაუარდება, თუ მეთაურმა ბრძანა“. ცოტა ხნის წინათ კი ეს პატარა პარტიზანი ნახირს მწყემსავდა. სიციცხლითა და ენერგიით სახე ბავშვი მთელი სოფლის თვალი იყო.

ერთ დღეს საძოვრებიდან დაბრუნებულ კიშს თავისი სოფელი მტრის მფრე მიწასთან ვას-წორებული დაუხვდა, ნაბარტუტადაა ქცეული მისი საბლკარი, დაუხვიათ მისი ღელ-მამა, და-მამა. ბავშვსაც საფრთხე მოეღოს. არც მას დაინდობს მტერი. მოხუცი პაქენ, ბოქსეტირევით, კიში ტყვის მისცემს თავს, რათა შემდეგ მტერს შოველინოს „შერისძიების ტისხვადი“ (დუკავთ-ხაროს სამარედ მათ მიწა კორეისა“.

პოეტი დინჯად და ლაკონურად ჰყვება კიშ ენ ვანის გმირულ თავგადასავალს. მშვენიერა-დაა ილწერილი კიშის პირველი შეხვედრა პარტიზანებთან, მისი საუბარი მეტაურთან. ბავშვი სთხოვს პარტიზანებს, მიიღონ მათ რაზმში:

— ეს ციქნა ბავშვი რას ამბობს? —

იტყდა ხარხარი წამსვე,

მეთაურმა კი პატარას

ხელი დაადო მხარზე:

— შენ პატარა ხარ, ბიჭუნავ,

ჯერ უნდა გაიზარდო,

ჩვენ მეომარი გვეპირდება

გამხედავი და სანდო.

მაინც რა იცი?

— რა ვიცი?! —

კიში დააღებს ხახას:

მწყემსობა ვიცი...

— კარგია,

მაგრამ ნახირი არ გყვავს.

კიშია მოგების გზაც იცის. მაგრამ ეს გზები პარტიზანებმაც იცნან. თურმე კიშია ძალღვივთ ყველაც იცის, მამალღვივთ ყვილიც ეხერხება... და აი, კიში პარტიზანთა მხვერავია. მის ნიშანზე პარტიზანები მუსსის ავლებენ მტერს.

ერთხელ კიშია ტყეში შენიღბულ მტრის ბანავს მიაგნო, მაგრამ ამერიკელმა ჯარისკაცმა შეიპყრო და პატარა კორეელი ბოლკოენის წარუდგინეს. კიში არ გამოტყდა. იგი დასახვრეტად წაიყვანეს, მაგრამ კიშს მიუსწრო მისმა მეგობარმა ძაღლმა და გადაარჩინა სიკვდილს.

ბევრი ბავშვი მიხადავს კიშს, ინატრებს და ისურვებს, იყოს ისეთი თავდადებული თავისი სამშობლოსათვის, როგორც კიშია.

კიშ ენ ვანის თავგადასავალი ნაჩვენებია დიდი სიწრფელით და სიმართლით, ამავე დროს, სადად და დიდი უმუალობით. წიგნი ბავშვებისთვისაა დაწერილი, მაგრამ მას დიდებიც დიდი ინტერესით წაიკითხავენ.

კარგ ლექსში აქა-იქ გვხვდება ისეთი სტრიქონები, რომლებიც არ ეთანბრებიან ნაწარმოებ-ბის საერთო ტონალობას. „მაგრამ ამაზე დიდი რის სინათლე წმინდა“, ან „ბრინჯის ტბორიან ყანაში“, „ბიჭმა დაჰყვია და ეს ხმა ლეკვის ზმას ისე ჰგავდა, რომ შიშით ხიდან ყორანი კინა-ღამ ჩამოვარდა“.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ წიგნში უმთავრესად დიდაქტიკური ხასიათის ლექსებია თავმოყრილი. დიდაქტიკური ჩვენ მათ ვეწოდეთ ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ლექსებში „ჩხი-კვის ბრაღია“, „საქანელა“, „თხუპნია“, „პუმბერტ ისიღარი“ და „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“ შორალი მოცემულია არა მსჯელობებით, არამედ იგი გამომდინარეობს ნაწარმოების გმირია მოქმედებიდან, მისი საქციელიდან, სიუჟეტის განვითარებიდან.

ლექსში „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“ ვიამ და მზიამ ბებო მოატყუეს. ღველფში შეწევს მათი საუფარული ყინტორა ქათმის, ჯუჯის კვერცხი. ამ ქათმის კვერცხს ბებო სანაშენოდ აგ-როვებდა და ბავშვებს აგრძალული ჰქონდათ კვერცხის ბუდიდან აღება. ვიას და მზიას ჯუჯის კვერცხი არ ენახათ და იგი რაღაც განსაკუთრებული ეგონათ. ერთხელ, როცა ბებო წყაროზე წაიდა, გადაწყვიტეს ბუდიდან ამოეღოთ ჯუჯის კვერცხი, შეეწვათ და ენახათ მისი გემო. კვერცხი ღველფში იწვის, ბავშვები განცხრომით შესცქერიან, მაგრამ შემოუსწრებთ ბებო-ვიასა და მზიას საქციელი წაუხდებათ. უცებ გასკდა კვერცხი და ღველფიდან ბურთივით ამო-ვარდა. შეშინებული ბავშვები უნებლიეთ ამბობენ ტყუილს: თითქოს მათ ცეცხლთან ნახეს ჯუჯი. „და ვაშლა ბებომ ხელი, ამბობს სახეშეცვლით: — როგორ! ნუთუ ამ ლღარში ჯუჯიმ დადო კვერცხი?!“ ბავშვებს ჰგონიათ, რომ ბებომ დაიჯერა მათი ნათქვამი, მაგრამ ბებოს მოტ-ყუება არც ისე იოლი საქმეა. ბებო დაიბერს ჯუჯის, ვიასა და მზიას მოუყვანს დასაკლავად.

ჯუჯი ეშმაკი რომ არ იყოს, კვერცხს ღველფში არ დადებდაო. „თუ დასცალდა, იქნებ ბოლოს კვერცხიც დასლოს შავი. პოდა დაგვალთ, აგერ ჯიჩკზე წაუდევით თავი“. ვია და მზია შემოთდებიან. ოღონდ ჯუჯი ისინან საკვილისაგან და მზად არიან გამოტყდნენ ტყუილში.

„ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“ კარგი საბავშვო ნაწარმოებია, მას ამზადებდნენ მწიფე ნელომა ექნება ბავშვებისათვის. პატარები აქ დაინახვენ, თუ რა შეიძლება მოკვეთს ტყუილის თქმას, რა დიდი დანაშაული და ბოროტებაა იგი.

შემინებული მზია ეკითხება ბებოს: მართლა გვამს ეშმაკი? „ბებომ უთხრა, ეშმაკია ყველა პატყუარა, შენ ეშმაკი იყავ წლან და ახლა კი არა“.

კარგადაა დიწერალი „ჩხიკვის ბრალია“, „თხუპნია“ და „საქანელა“. მაგრამ ამ ლექსებში ვერ იგრძნობთ, რომ მათი გმირები საბჭოთა ბავშვებია. ეს არა ჩანს არც მათ საქციელში, არც ხასიათში, გარეგნულ საბჭოეც კი. ამ ბავშვებს არ აქვთ ზვენი ბავშვებისათვის დამახასიათებელი თვისებები. ის, რასაც ამ ლექსებში ბავშვები აკეთებენ, რასაც ისინი სჩადიან, შეიძლება გააკეთოს და ჩაიდინოს ყველა სხვა ქვეყნის ბავშვებმაც.

ამას ვერ ვიტყვით დ. გაჩეჩილას მიერ ს. მისალკოვიდან გადმოკეთებულ „გატეხილ ვაზაზე“.

სამმა გოგონამ — თამარმა, თინამ და ზინამ — ვაზა იყიდა თავისი მსწავლებლისათვის. მსწავლებელს მოღვაწეობის საშოცი წელი შეუსრულდა და კლასმა ვაზა საჩუქრად უნდა მიართვას. მაგრამ ბავშვებს მალაზიიდან გამოსვლისას ვაზა გაუტყდათ. ატირდნენ ბავშვები. გამვლელზე გაიგებენ მათი ტირილის მიზეზს და მსწავლებლისათვის თვითონ ყიდულობენ ვაზას. და აი, ბავშვებს მთელი საბჭოთა ხალხის სახელით შიაქვთ მხცოვან მსწავლებელთან ვაზა. ამ ლექსში ეხედავთ საბჭოთა ბავშვებს, საბჭოთა ხალხს. ადამიანები, რომლებიც აქ მოქმედებენ, კომუნისტური მორალის ადამიანებია. ბავშვები პიონერებია, თუმცა სიტყვა პიონერი არსად არ არის ნახსენები. ის რაც „გატეხილ ვაზაში“ ხდება, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შეიძლება მოხდეს; ის თვისება, რომელიც ამ ლექსის პერსონაჟებს აქვთ, მხოლოდ საბჭოთა ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი. ასეთ ლექსებს თხოულობენ ჩვენი ბავშვები საბჭოთა პოეტისაგან.

ღაერთ გაჩეჩილას ლექსის სინათლე, სისადავე და ლირიზმი პოეტს ზღის ბავშვებისათვის საუკრებულ მწერლად. ეს კი მას ავალბებს, უფრო ახლო იკნობდეს ბავშვების ცხოვრებას: მათ ზრახვებს, მისწრაფებებს, როგორ სწავლობენ, როგორ ცხოვრობენ, როგორი არიან შინ და სკოლაში, ამხანაგებში, მტრებთან და მეგობრებთან. მაშინ პოეტს ნაწარმოებთა გმირებიც ერთფეროვანი არ იქნებოდნენ.

86. ჩიქოვანი

ახალგაზრდა პოეტის ლექსები



ახალგაზრდა აფხაზი პოეტის კონსტანტინე ლომის ლექსები გამოირჩევა თავისებური კოლორიტით. პოეტს შეუძლია გულწრფელად და უშუალოდ განიცადოს მოვლენა, ცხოვრების ფაქტი, დაინახოს მთავარი და არსებითი, გახსნას მოვლენის აზრი.

მაგალითად, კრებულში დაბეჭდილია ლექსი „ღედა“. ამ ლექსის ლირიკული გმირი იფონებს ბავშვობას, როცა იგი ტოლებთან ერთად ერთობოდა, გვიან დაბრუნებულს ზღვებოდა შემოთვთებული ღედა ჭიშკართან, თვითონ კი დარცხენილი მალალ ბუნჩებს ეფარებოდა. ბავშვობის წლები ახლა შორს არის, ოდესღაც ცეცქი ბავშვი უკვე ვაჯაკია. შორს არის მისგან მშობლიური კარ-მიღამოც, — იგი ახლა მოსკოვში სწავლობს და აი, ფოსტალიონში მოუტანა დედის წერილი:

მწერს: შეილო ჩემო! სანატრელო, შეთვალა ბიჭო, როგორ ხარ, ღედა, ერთი წიგნი რად არ მომწერე? არ გასაყვედურობ, იყავ ისე, როგორც შენ გიჯობს, მაგრამ, მგონია, დიდი დროა შენს წასვლის მერტ.

მზრუნველი დედის ფრთხილი საყვედურით შეწუხებული პოეტა ნანობს, რად არ მისწერა ერთი წერილი, თუმცა იქვე დასძინა:

მაგრამ რომ ვარჩევ სიტყვებს მისას, ის არ წუხს ჩემს, ზემოთ
ეს არ იგრძნობა, ეს არსად ჩანს მის მართალ ზმამ.

რატომ? იმიტომ, რომ დედას მისი შეილი მოსკოვში ეგულება და არა ოკეანის გაღმა. იმიტომ დასაცენის პოეტო:

აქედან ჩემგან ერთი წელიც რომ არ იხილოს
ბართი ჩემი, მაგერა, იგი არ შემოთვალდება.
მომღერავი კი, აღმათ იგი გათვლის მინდორს
ჩემი ზევობა და ანცობა მოაგონდება.

განსაზღვრია, რომ საბჭოთა დედა არ წუხს და არ შოთავს თავის შეილზე, რაცა იგი მოსკოვში ეგულება. მას, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, სჯერა და სწამს, რომ მოსკოვი დაცავს მისი შეილის ბედნიერებას, ჩვენი აღამიანების მშვიდობიან ცხოვრებას.

ქ. ლომია გულწრფელი ხმით უმღერის ხალხთა მეგობრობას, ეს თემა ორგანულადაა შესული მის ლექსებში. ამ ლექსების ლირიკული გმირი ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტია, რომელსაც გულს სიღრმემდე უყვარს დიადი სოციალისტური სამშობლო და ამყოფს მისით.

შე ვოლგის წაპირს მივეყვები ფრთხილად,
გული ძვერს, როგორც მშობლიურ მთებში, —

ამბობს პოეტო ერთ-ერთ ლექსში („ვოლგის წაპირთან“). პატარებლით მიმავალი პოეტო ვაყურებს მინდვრებს, „უზარმაზარ რუსეთის მიწას“, აკვირდება „ამ უნაპიროდ გაშლილ ვაყეს“ და წერს:

არ ვეუბნები: თქვენ, სტეპებო, მიმიღეთ მეთქი,
ვთქვი აქ ჩემი სამშობლოა, სამშობლო დიდი.
დიდო რუსეთო! ქალაქებო, უხვო სიკეთით,
ღაღო სოფლებო! საყვარელო, დილა მშვიდობის,
(„გზაში“).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსი „სიმღერები თბილისიდან“. მღელვარე და წრფელი პოეტური განწყობილება, ლირიკული სიმბო, ნათელა, შთაგონებული პოეტური აზრი, — აი, რა ქმნის ამ ლექსის ძალას.

მოსკოვი, ზამთრის ღამეა ახლა,
ისევე თოვს და თოვს შეუსვენებლად,
არყის ხე საჩუქელს ამოწედა მალა
და მიკაქუნებს სველი ხელებით.

რუსული ზამთრის ღამაში ღამე დანახულია ლექსის ლირიკული გმირის თვლით, ნაგრძნობი და განცდილია მის მიერ. ეს კონკრეტული განცდა ლექსის მომღერეო სტრაქონებში გამოხატულია მღელვარე და ღრმა ლირიკული განწყობილებით:

ეს რა სკოდნია რუსეთის ზამთარს,
წელს მაინც ძლიერ მაგრად დათოვა,
თითქოს ვისმენდე არყის ზის ნათქვამს,
რომ ჩემთან ერთად უნდა გათბობა.

იგი სტეპების დედოფალია,
ეს ამაყებს — ყელს რომ იღვრებს.
შე ვრთავ რადიოს, ვღელავ ძალიან,
ჩემს თბილისიდან ვისმენ სიმღერებს.

ავტორმა შეიღო პატარა ლირიკულ ლექსში დიდი აზრის ჩატევა. საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ერთა მეგობრობის თემა აქ ნაზღვენებია კონკრეტული განცდისა და შთაბეჭდილების მხატვრული განხორციელებით, მკაფიო და ღამაში პოეტური საღებავებით.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ლექსები: „სიყვარულის ნაკაიდი“, „თანასოფლელები“, „მღე-

ნარე გუმისთა“, „გზაში“ და სხვები. საერთოდ, კ. ლომიას ბევრი ლექსი ემოციურია, მათ ახასიათებს შინაგანი სიბორო, მელოდორობა.

კ. ლომიას ლექსის კომპოზიციის კარგი გრძნობაც აქვს. კომპოზიცია არ არის მხოლოდ ტექნიკური საშუალება, იგი შემოქმედების ორგანული ნაწილია. კომპოზიციურად უჩერხველო ლექსი არ შეიძლება ოდნავდაც მაინც სრულყოფილი ნაწარმოები იყოს. კ. ლომიას თავის სატექნო ლექსებში ახერხებს შექმნას მთლიანი შთაბეჭდილება, რელიეფურად, მკვეთრად გამოაჩინოს მთავარი აზრი, პოეტური ჩანაწერი.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ კ. ლომიას ლექსები უნაკლოა, რომ კრებულის ავტორი დასრულებული, გამორკვეული შემოქმედებითი ინდივიდუალობაა. კარგი ლექსების გვერდით ამ კრებულში ბევრია უფერული, ზერეფე ნაწარმოებებიც.

მაგალითად, „სიმღერა კომუნისტზე“ გაბრძნული ფრაზები უფროა, ვიდრე ლექსი. იგივე შეიძლება ითქვას ლექსზე „ფიცი ჯარისკაცისა“, რომელშიც მხატვრობა შეცვლილია მდარე პუბლიცისტიკით, პოეტური შეტყველება — ტრაფარეტული სახეებით. ხოლო ლექსი „პოეტის ხმა“ უფერული გამოირჩევა იმისა, რაც ბევრჯერ თქმულა და დაწერილა სამშობლო ეპოქის დიდი პოეტის ე. მიაკოვსკის შესახებ.

სუსტია კრებულში დაბეჭდილი პოემა „კაცური გული“. არსებითად იგი არცაა პოემა. ეს არის რაღაც უფორმო მონათხრობი, რომელიც ძნელია მხატვრულ ნაწარმოებად მივიჩნიოთ, ისე ბევრია მასში დეკლარაციული განცხადებები, ყოველგვარი ემოციური შემოქმედების უნარს მოკლებული მორალისტიკა, წყალწყალა და მკლე მსჯელობები და სხვა. ახალგაზრდა პოეტის ამ ნაწერებს ამკარად აჩნევია ზერელობის ევალი. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ამ „პოემის“ ერთ-ერთი პერსონაჟის — გუფტარონის ქალიშვილის საქციელი. ცხოვრებაში შეიძლება მართლაც მოხდეს, რომ რომელიმე ამერიკელი სენატორის ქალიშვილმა შეიყვაროს ზანგი კომუნისტი, მაგრამ როცა ასეთ ფაქტს მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივად ვაჭყვეთ, ამას სჭირდება სათანადო ფონის შექმნა, მხატვრული საშუალებებით ახსნა და დასაბუთება, პოეტური აზრით გაშუქება. ნაწარმოებში კი იგი ასე უცნაურადაა ახსნილი:

შერი ჯონს ევერის და ეუნუნება:
 — ჯონ, ვხედავ ბედმა დადი დაგვაოს,
 მაგრამ ვერ შეეცვლით ჩვენ ჩვენს ბუნებას,
 რაც არის, არის, ჩემო ძვირფასო.
 სანამ ცოცხალ ვართ — ტრფობამ გვიანთოს,
 ხალხთა მშვიდობის ვიყოთ ერთგული.
 ნუ შევუდრკებით გზას სახიფათოს,
 სიკეთისათვის ვეიცემდეს გული. (1)

ახალგაზრდა პოეტმა კარგად უნდა გაითვალისწინოს, რომ ზერელობა და შემოქმედებისადმი ხელისნერი დამოკიდებულება ხელოვნების შემეცნებითი როლის დაქინებას და შტამების შემუშავებას იწვევს.

არ შეიძლება საყვედური არ ვუთხრათ მთარგმნელებს. მათ მართებდათ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობითა და სიყვარულით მოპყრობოდნენ ახალგაზრდა აფხაზი პოეტის ლექსთა ქართულად თარგმნის საქმეს. მაშინ კრებულში არ დაიბეჭდებოდა ასეთი უაზრობა:

ხმა პოეტური, სხივოსანი მიაკოვსკის,
 ჩვენი მწერლობის შუქად ანათებს,
 ხელს უშლის მუდამ შავ საქმეებს
 სისხლიან მტრისას,
 მის თავს აბრუნებს, ატრიალებს
 და უნგრევს კუთხებს.
 („პოეტის ხმა“).

კ. ლომია ახალგაზრდა პოეტია. საჭიროა იგი არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, ყოველნაირად განავითაროს თავისი პოეტური უნარი, უფრო ღრმად შეისწავლოს ჩვენი სინამდვილე. საბჭოთა საზოგადოების შინაარსიანი ცხოვრება.

შენიშვნები ნიკარაგუის პოემის ქართული თარგმანის გამო



ერკონესული
ზიზლიოზრაფია

დიდი რუსი პოეტის ნ. ნეკრასოვის პოემა „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ ვეიხატავს რუსი უღარიბესი გლეხობის მძიმე მდგომარეობას; ამ პოემის მთავარი გმირიც თვითონ შრომელი ხალხია.

პოემის შესავალში დასმულია კითხვა: ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გლეხები მოიხვლიან რუსეთს, ეძებენ მასში თავისუფალ და ბედნიერ აღაშინს, მაგრამ ამაოდ. ბედნიერი აღაშინი ძველ რუსეთში არა ჩანს.

პოეტის აზრით, ბედნიერია ის, ვინც იბრძვის დაზარალებული ხალხის უფლებებისათვის. ასეთია სწორედ პოემის უკანასკნელ ნაწილში გამოყვანილი გმირი — გრიშა დობროსკლონოვი. იგი გამსჭვალულია უბრალო ხალხისადმი ღრმა სიყვარულით.

მართალია, მას ბედი უშვადებდა

როგორც ხალხისთვის თავდადებულ კაცს,
სახელოვან გზას, საქვეყნო სახელს,
ქლექსა და ციმბირს...

მაგრამ სწორედ დაზარალებული ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლა შეადგენს დობროსკლონოვის ნამდვილ ბედნიერებას. ბატონუშობის მოსპობა მას შიანია შემდგომი ბრძოლის გამოსავალ წერტილად:

ძალ-ღონეს იყრებს რუსი ხალხი,
ეუროფრთხობს შიში,
და მოქალაქედ როგორ გახდეს,
ის სწავლობს ახლა.

ასეთი ღრმა რწმენით და გამამზნვევებელი კილოთი მთავრდება პოემა.

პოემის თარგმანი შესრულებულია ცნობილი ქართველი პოეტების გ. ცეცხლაძის, ალიო შირცხელავის და რ. გვეტაძის მიერ. თარგმანის ავტორები მოხდენილად იყენებენ ქართულ ანდაზებს, ხალხურ თქმებს, რაც ხელს უწყობს თარგმანის ვინის ხალხურობას. ასეთი ადგილები მრავლად გვხვდება ალიო შირცხელავის მიერ შესრულებულ თარგმანში. მაგალითად: „სხვისი კიართი — ღობეს ჩხირი“ (136 გვ.); „დამწვარს მღელარე გადაახსესო“ (153 გვ.); „სიშართლის მოქმელსა ყოველთვის მართებს თან ცხენი ჰევედეს შეკაშულიო“ (189 გვ.); „თივას აქებდე დე-ზენებელსა, ბატონს — კუბოში ჩასვენებულსა“ (196 გვ.); და სხვ.

ცოცხლად, პოეტურადაა გადმოცემული მრავალი იდეალი. ასეთებია: „პროლოგი“, „ბედნიერები“ (მატრენა ტომოვეენას ტირილი), „საელე, წმინდარუსეთის ვოლიათი“, „ღემუშკა“, „მძიმე წელიწადი“, „კარგი დრო — კარგი სიმღერები“ და სხვ.

თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის მდიდარი პოეტური საბეები, პლასტიკა, ლექსის მუსიკალობა.

ლამაზად ეღერს ქართულად:

საგაზაფხულო დარი დგებოდა,
მწვანედ არყისზე იფურჩქნებოდა —
შინ მზიარულად რომ წამოვედით...
ტყე იფურჩქნება,
მდელო ბიბინებს,
ტბორებში წყალი
კრთის სარკესავით,
ო, ღეთის გაჩენილ

ნ. ნეკრასოვი, „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“, თარგმ. გ. ცეცხლაძისა, ალიო შირცხელავის და რ. გვეტაძისა, რედაქტორები გ. ლორთქიფანიძე და ლ. კალანდაძე, სახელგამო.

ერეულ ქვეყანაში
 კარგია ყოფნა
 თავისუფალი,
 გულში შვება დგას,
 სულში -- ნათელი.
 წყალზე მივეყრაე
 თეთრი გდღვიოთ,
 ველზე მივგოგაე
 ღამაზ მწვერივით.



(166 — 7 — 8. თარგმ. ა. შირცხულავასი).

კარგად აქვს გადმოცემული პოეტის ნატურა გრ. ცეცხლაძეს:

...ებ, ნეტავ როდის როდის მოვა დრო,
 (მოდი, მოგვლით, დროე სასურველო)
 როდის იქნება, რომ გლები კაცი
 სურათებს შორის სცნობს განსხვავებას, —
 ნეტავი როდის ეცოდინება,
 რომ ყველა წიგნი არაა ერთი?
 და ის ბაზრიდან არა ბლიუხერს,
 და არა მილორდს, ვილაც სულელსა, —
 ბელინსკისა და გოგოლის წიგნებს
 წაიღებს შინა? (37 გვ.)

გვინდა გვაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა. თარგმანში გვხვდება ორიგინალის აზრის არაზუსტი გადმოცემა. მაგალითად, თარგმანის 23-ე გვერდზე მღვდელი უამბობს მოგზაურ გლებებს, თუ რა შეადგენდა სამღვდლოების სიმღიდრის წყაროს, და განაგრძობს:

У нас крестили детушек,
 К нам приходили каяться,
 мы отпевали их.

თარგმანშია:

თავიანთ ბავშვებს ჩვენთან ნათლაფდნენ,
 ცოდვებსაც ჩვენთან ინანიებდნენ
 და შენდობასაც ჩვენგან იღებდნენ.

Отпевали არ ნიშნავს „შენდობასაც იღებდნენ“. იგი ნიშნავს საეკლესიო წესის ანუ ინდერქის აგებას მიცვალებულისათვის, რის გამოც მღვდლებს განსაკუთრებული გასამრჯელო პქონდათ შემოღებული.

მნ-ე გვერდზე შემამულე უამბობს გლებებს:

Я в воскресенье светлое
 Со всей своей вотчиной
 Христосовался сам!

თარგმნილია:

ყოველ ათორმეტ დღესასწაულზე
 ჩავერეოდი ჩემს შინაყმებში
 და ქრისტეს მიმართ მეც ელოცებოდი.

რუსულ ტექსტში Воскресенье светлое ნიშნავს აღდგომის (ერთ-ერთ ათორმეტ დღესასწაულთაგანს), ხოლო христосоваться — გადმოგვეცემს ძველ რელიგიურ ჩვეულებას — აღდგომის დღესასწაულის ამბორისყოფით მილოცვას და არა ქრისტეს მიმართ ლოცვას. ორიგინალის აზრიც სწორედ ამას მოითხოვს: მემატონე ობოლობოლდევეი ცდალობდა აღერსითა

და ფლიდობით მოეგო ყმების გული. მათ აღდგომას უღოცაედა პირზე ამბობით, როგორც ვითომდა გლეხების კეთილისმყოფელი. აზნაის მომღვენო სტრიქონშიც ზომ აღდგომის მილოცვაზეა ლაპარაკი.

თავში „მწირნი და წმინდა ადგილთა მომლოცველნი“ (233 გვ.) გადმოცემულა ერთგორ ისმენენ მწირის მოთხოვნილ ამბავს გლეხის ქობში სმენადგადაქცეული დისასხლისი მოხუცე და ბავშვები. ბავშვებს პოეტის ასე ახსიათებს:

Лиц не видать, завешаны
Спустившимися прядями
Волос — не нужно сказывать
Что желтые они.

ეს ადგილი თარგმანში ასე იკითხება:

სახე არ უჩანთ, დაფარული აქვთ
წინ გადმოცევილ (1), ხშირ, გრძელი თმებით.
რა საჭიროა ახლა აღვნიშნოთ,
რომ მათი თმები ყვითელი არი.

ცხადია, პოეტის სურს დავეხატოს შიმშილისაგან ფერმხილ ბავშვთა სახეები. დედანშა ლაპარაკია სახის, თარგმანში კი — თმების სიყვითლზე.

241-ე გვერდზე („გლეხის ცოდვა“) შემამულე, მოხუცი ადმირალი, სიკვდილის წინ რვა ათასი ყმის „განთავისუფლების“ ანდერძს უტოვებს მამასახლისს:

გაბარებ ამ ყუთს, მამასახლისო,
შიგ არის ზემო სურვილი წმინდა:
რვა ათასი ყმა სამარადისოდ
თავისუფალი რომ იყოს მინდა.

შებატონე გარდაიკვალა. მას დამარბავს შორეული ნათესავი. ამ ნათესავმა ოჭროსა და აზნატონის მოწმობის დაპირებით მოისყიდა მამასახლისი გლეხი. ანდერძი დასწევს, ვაგლახეთელი გლეხები იმედგაცრუებულნი, ისევ მშვიერ-მწუჟრვალნი დარჩნენ:

Остались вахлаки
Досыта не едавшие,
Не солоно хлебавшие,
Которых вместо барина
Драть будет волостной.

თარგმანშია:

დარჩნენ ვაგლახეთლები
მშვიერ-მწუჟრვალნი,
მარილიან წვესს დანატრებულნი,
რომელთაც გულქვა ბატონის ნაცვლად,
ახლა გაძარცვავს თემის უფროსი.

Не солоно хлебавши თარგმანში (მარილიან წვესს დანატრებულნი) სრულ უაზრობას შეიცავს. აქ უნდა იყოს „იმედგაცრუებულნი“, ანდა, როგორც იტყვიან, „პირში ხალავამოვლებულნი“.

242-ე გვ. „სასიშვილოში“ — მეორე ხანის პირველი ტაემის აზრია: ხის ქერქის ჳამით გლეხი სივდება:

С коры его
Распучило,
Тоска-беда
Измучила.

თარგმანში კი პირველი ტაევის შინაარსი შეცვლილია:

არ ეტყვა
შეკრდში გულა.



248-ე გვერდზე ეგორ შუტოვის ცემით დასჯაზე ლაპარაკი. ორიგინალში ასეა:

Тут- деревень четырнадцать,
Чай через все четырнадцать,
Прогнали, как сквозь строй.

თარგმნილია:

კიდევ თოთხმეტი სოფელი არის,
და თოთხმეტივე სოფელმა ცემით
აღეიაში ის გაატარა.

„აღეიაში გატარება“ უაზრობაა, უნდა იყოს „ალაია“.

წიგნში გვხვდება ზედმეტი სალექსო ხანაც. მაგალითად, ორიგინალის ოთხი სტრიქონი თარგმნილია რვა სტრიქონით:

Доля народа,
Счастье его,
Свет и свобода
Прежде всего...

თარგმნილია:

ხალხს სასიკეთოდ
და თავის წილად
თავისუფლება სურს უწინარეს,
ხალხს სხვაზე უფრო
და უწინარეს
თავისუფლება
სურს თავის წილად. (256 გვ.)

ზოგან გამოტოვებულია ცალკეული სტრიქონები (იხ. გვ. 21, 151, 180 და 200).

ერთ ადგილას (75 გვ.) გლეხები სთხოვენ მღვდელს, განაგრძოს ამბავი, თუ როგორ ახდენდნენ ამბოხებას გლეხები:

დაამთავრე შენ ისტორია,
სოფელ დაშლეთის მკვიდრი გლეხები
როგორ ამბოხდნენ, როგორ აჯანყდნენ.

არ შეიძლება ითქვას „ამბოხდნენ“. სიტყვა „ამბოხებას“ ჭარბულ ბუნებრივ მეტყველებაში არ უხერხდება ზმნის პირიელი ფორმა. უნდა იყოს „ამბოხებას ახდენდნენ“.

საჭიროა აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება პოემის შემდგომ გამოცემის დროს.

პასო გორგაძე

ბიბლიოგრაფია გამომჩენილ საბჭოთა მსახიობზე

საბჭოთა მკვლევარებს ახსოვს უშანგი ჩხეიძის მიერ შექმნილი მკვეთრი შემოქმედებითი ინდივიდუალობით აღბეჭდილი სახეები: ღრმა ტრაგეზმით აღსავსე და იდამიანტროპიით გამოთბარი პამლეტი, რბილი იუმორით და განსაცვიფრებელი გონებამახვილობით დახატული ყვარყვარე

ა. თ ვ ზ ა ძ ე, უშანგი ჩხეიძე, „ხელოვნება“, 1952 წ.

თუთაბერი, რევოლუციური რომანტიკით გამსჭვალული გოდუნი (მ. ლაერენციუსის „რედუკა“) და ბიუროკრატიებით ხაზმოდებული კვეყენაჲ (მ. დადიანის „კაკალ გულში“).

რაც უფრო დიდად შემოქმედდი, რაც უფრო მეტად უყვარს იგი ხალხს, მით უფრო გაზრდილ მოთხოვნილებებს უყენებს მკითხველი ამ შემოქმედებზე დაწერილ მონოგრაფიას. „საბჭოთა“ ელამიანები ვერ ურიგდებიან უფროულობას, უიდეობას, სიყალბეს, ისინი მალად მოთხოვნებს უყენებენ ჩვენი მწერლებისა და მხატვრების შემოქმედებას“ (გ. შალენკოვი). სწორედ ამ გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად უნდა შევაფასოთ ა. თევზაძის მონოგრაფია უშანგი ჩხეიძეზე.

შსახიობზე დაწერილმა მონოგრაფიამ პასუხი უნდა გასცეს საბჭოთა თეატრის მსოფლიოების წინაშე წამოჭრილ საკითხებს: რა შემოქმედებითი ინდივიდუალობით აღბეჭდა მსახიობმა ესა თუ ის სცენური სახე, რა ხერხებით შეძლო მან პიესის ძირითადი იდეის გახსნა და მაყურებელამდე მისი მიტანა. მონოგრაფიის ავტორს უნდა შესწევდეს უნარი მკითხველის წინაშე გააცოცხლოს მსახიობის მიერ შექმნილი სახე, გაარკვიოს აქტიორის შემოქმედებითი თავისებურება. ცნობილია, რომ მსახიობის ხელოვნება მხოლოდ შემოქმედებითი პროცესში ვლინდება. ბელინსკის სიტყვით, „сценическое искусство есть искусство неблагоприятное, потому что оно живет только в минуту творчества... игра актера жива для того, кто ею был потрясен“. მონოგრაფიის ავტორის კეთილშობილი მოვალეობაა, აღწეროს აქტიორის თამაში ამა თუ იმ როლში, რაც სათანადო პროფესიულ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. ეს ამოცანა განსაკუთრებით რთულდება, თუ ავტორი არ ყოფილა მომსწრე აქტიორული შემოქმედებისა, უშუალოდ არ განუცდია ბრწყინვალე შესრულებით გამოწვეული მძაფრი ემოცია, სულიერი და გონებრივი აღდგენა. ავტორს, როგორც თვითონ აცხადებს, უშანგი ჩხეიძე მხოლოდ სამიოდ რაღაც უნახავს. ესენია: ურიელი („უბრაოდ აქოსტაში“), ბეგლარს („როგორში“) და კვეყენაჲ („კაკალ გულში“). ავტორის წინასიტყვაობა ფართული პოლემიკის ხასიათს ატარებს „მწერლობაში ხელმოკლე ან შემთხვევით მიტანსებელ“ იმ ადამიანებთან, „რომლებიც მხოლოდ ნედლ მასალას ავარჯიებენ „წიგნებად“ ყოველგვარი გაზრებისა და კრიტიკული ანალიზის გარეშე“ (გვ. 9). მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ თვითონ ა. თევზაძე ვერ ასცდა ამ ნაკლს და მისი წიგნი გადატვირთულია (რამ არა ეტყვათ „შეყოწიწებულია“), არაფრის მოქმედი რეცენზიებიდან უამრავი ამონაწერებით. მაგალითად: „უშანგი ჩხეიძის ინფინერი წელმავარი და გამართულია“ (გვ. 27), „ელისბარი — უშანგი ჩხეიძეზე, პატარა როლში, ოლიმპიურ სიმბოლოზე ასწია“ (გვ. 28), „სინათლეში“ უშანგი ასრულებდა მეფე ჯიმშერის როლს, რომელშიც, — როგორც ა. თევზაძე წერს, — „იგი კიდევ უფრო წინ წაივდა არტისტიული შემოქმედების თვალსაზრისით“ და ძურ. „თეატრი და ცხოვრების“ დამოწმებით, „ზომიერად იმორჩილებს ხმას“ (გვ. 28) და სხვ.

მაგრამ არ ვიქნებით მართალი, თუ არ აღვნიშნავთ, წიგნის დადებით მხარეს. ავტორს გულმოდგინებით შეუტროვებია მასალები, სისტემაში მოუყვანია ისინი. ყოველ ფურცელზე იტარება სიყვარული და მოწიწება უშანგი ჩხეიძისადმი. ავტორი ცდილობს საინტერესოდ გადმოგვცეს მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი მომენტი.

ავტორი ეხება უ. ჩხეიძის ბავშვობასა და მის პირველ ნაბიჯებს სცენაზე. პირველი ძლიერი შთაბეჭდილება უ. ჩხეიძეს მამის კუიათურის თეატრში მომწეშავე ვალ. შალიკაშვილისაგან მიუღია. სცენაზე პირველად ქუთაისის გიმნაზიაში გამოხსულა 1918 წელს პიესაში „პანისონის ზღუდეთა შორის“. აქედან მოყოლებული უ. ჩხეიძემ მთელი თავისი შემოქმედებითი უნარი ქართულ თეატრს შეაღია. ვიდრე ქართულ სახელმწიფო თეატრებში მივიდოდა, იგი ერთხანს გ. ჯაბდარის თეატრალურ სტუდიაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ (1919 — 1920 წწ.) ავჭალის აუდიტორიაში და აელაბრის თეატრის წარმოდგენებში მონაწილეობდა.

ქართულ კლასიკურ რეპერტუარში გამოსვლამ (დ. კლდიაშვილის „იონეს ბედნიერება“ — ეიტორი, „დარისპანის გასაგონი“ — ოსიკო, „სამანშვილის დედინაცვალი“ — არისტო) ახალგაზრდა მსახიობი რეალიზების გზაზე დააყენა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უშანგი ჩხეიძე კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს. სწორედ კ. მარჯანიშვილი იყო პირველი, რომელმაც აღმოაჩინა და იწამა უშანგის აქტიორული ტალანტი, მისი დიდი ემოციურობა და შემოქმედებითი ფანტაზიის ვაჟანება.

წიგნის ავტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, თუ როგორ იზრდებოდა უ. ჩხეიძე, როგორ აქტიორი, რა განზრთი ვითარდებოდა მისი ნიჭი, ვიდრე პარლეტის ურთულეს როლს შეასრულებდა. ამ მომენტის ახსნა კ. მარჯანიშვილის „შინაგანი ხილვით“ (გვ. 31) არ კმარა. დიდ შემოქმედს უფრო მეტი ობიექტური საფუძველი ექნებოდა ამისათვის და არა მხოლოდ „სახიფათო ექსპერიმენტი“, როგორც ეს უშანგის მეგობრებს ეგონათ.

ა. თევზაძე სწორად იქცევა, როდესაც უშანგის მიერ პარლეტის როლის განსაზიერებას ხასი-

ათის ინტერპრეტაციით იწვევს. მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ რა უმძიმესი პროცესია მსახიობისათვის „ერთ საღამოს მინც ჰამლეტი გახდეს“ (ა. ლუნაჩარსკი).

ჰამლეტის განსახიერებას უ. ჩხეიძის აქტიორულ შემოქმედებაში უდავოდ უმნიშვნელოა ადგილი უკავია: ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ წიგნის ავტორი ამ საკითხს 32 გვერდს უთმობს. ჰამლეტის გაგება კოტე მარჯანიშვილის მიერ მოცემულია შემდეგს სიტყვებში: „მე მინდა შენი ჰამლეტი უპირველეს ყოვლისა იყოს იდამიანი, ადამიანი უბრალო, მაგრამ უაღრესად კეთილშობილი“ (გვ. 36). უ. ჩხეიძემაც, როგორც ამას ვაზ. „კომუნისტს“ (1925 წ. 14 ნომერში) წერს, „ახალი შექმნილი განათა ჰამლეტი. მან მის დასწრეულად არსებში გამოაქვან სალი იდამიანის დამახასიათებელი ელემენტები და დანიის უიღბლო მეფისწულის მიერ ტრაგედია ადამიანურ გრძნობათა პრიზმაში გაატარა“ (გვ. 43). „ეს არის სიციცხლით და ენერჯით აღსავსე სტუდენტი. ცეცხლოვანი ტემპერამენტით, ხასიათის ოდნავ დემონური შტრიხებით. მის თამაშში ჰამლეტი არ არის ქალური, რბილი, გაუბედავი, შერყევი გაბრუნული ხასიათით, არა, ის არის შერიცხებით აცეცხლოვებული ადამიანი, ახალგაზრდა, მოუღუნებელი, ძლიერი და ვაბეღელი სული“ (გვ. 55). ამაგარად, ა. თევზაძე მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე ადგენს ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტს— მსახიობის თეალსაზრისს, მის დამოკიდებულებას განსახიერებელი გმირისადმი. და სამართლიანად დაასკვნის: „სწორედ ამიტომ გაიზარდა უშანგი ჩხეიძემ ჰამლეტის როლში, რომ მან თავისებურად, ახალი საკაცობრიო იდეის თეალსაზრისით წარმოსახა იგი, რომ მასში შეიტანა თანამედროვე საბჭოთა ადამიანის მოწინავე აზრები, გრძნობები და კეთილშობილება“ (გვ. 57). მაგრამ ეს საკითხის ერთი, თუმცა აუცილებლად საჭირო, მხარეა. მეორეა, თუ როგორ, რა ხერხებით, რა დამახასიათებელი დეტალების შეტანით სცენურ მოქმედებაში შეძლო სწორედ ამ თეალსაზრისის ხორცშესხმა, მისი გამოვლენა სცენურ ფორმაში.

თეატრისმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, სპეციფიკურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაადგინოს, განაზოგადოს ის ხერხები და საშუალებანი, რომლებითაც ერთი სახის ხელოვნების ნაწარმოები— პიესა— გარდაიქმნება სცენურ ნაწარმოებად— სპექტაკლად. სავსებით სამართლიანად წერდა კოტე მარჯანიშვილი: „საქმე მარტო ის კი არაა, „რას თამაშობ“, არამედ „როგორ თამაშობ“... და ამ „როგორ თამაშში“ მელაენდება ფორმა და შინაარსი“ (კ. მარჯანიშვილი. „მემუარები და წერილები“ გვ. 82). ამაგარად, ა. თევზაძის წიგნში მოცემულია, თუ „რას თამაშობს“ უ. ჩხეიძე, ხოლო თითქმის უგულვებელყოფილია ის, თუ „როგორ თამაშობს“.

ავტორი 45-ე გვერდზე წერს: „თუ როგორ შეასრულა უშანგიმ ჰამლეტის ურთულესი როლი, რა თავისებურება შეიტანა მასში, რით განსხვავდება, ან რით ჰგავდა მსოფლიოში სახელგანთქმულ შემსრულებლებს, ამაზე ქვემოთ ვაიქნება ლაპარაკი“. 53-ე გვერდზე ისევ იმავე კითხვას სვამს: „საინტერესოა ვიცოდეთ, თუ უშანგი ჩხეიძემ... რა ახალი გაგება და ორიგინალური ნიუანსები შეიტანა მის შესრულებაში, რით განსხვავდება ჰამლეტის როლის როგორც მართლაც და რუსი, ისე უცხოელი გამოჩენილი შემსრულებლებისაგან, ან საერთო რა პქონდა მათთან“. მაგრამ მე-60 გვერდზე (ჰამლეტისადმი მიძღვნილი თავი კი 62 გვერდით თავდება) ავტორი წერს: „საინტერესოა გავიგოთ, თუ როგორ შექმნა უშანგი ჩხეიძემ ჰამლეტის ასე მიმზიდველი სახე“. და რადგან თვითონ ავტორს ვერ გაურკვევია, თუ როგორ შექმნა უ. ჩხეიძემ ჰამლეტის სახე, ცხადია, ვერც მკითხველი გარკვეულა ამ საკითხში.

შართალია, წიგნის ავტორი არ ყოფილა მომსწრე უ. ჩხეიძის მიერ ჰამლეტის როლის განხორციელების, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებული მასალის საფუძველზე შესაძლებელი იყო ზოგიერთი მეტად საინტერესო მომენტის აღგვანა. ამისათვის თვით უ. ჩხეიძის წიგნი ძილვად საკმარის მასალას. უ. ჩხეიძე ბრწყინვალედ ახერხებს, პროფესიული ოსტატობით გადმოსცეს კ. მარჯანიშვილის რეცისორული მეთოდისა და სტილის თავისებურება. ამავე დროს, იგი ახერხებს გადმოსცეს სპექტაკლის ნაკვეთების გადაწყვეტა, მიზანსცენების ბუნებრივობა, აქტიორთა განწყობა და მდგომარეობა სცენურ ვითარებაში: „მარჯანიშვილის დიდი ტემპერამენტის მაჩვენებელი იყო აგრეთვე. — წერს უ. ჩხეიძე. — ჰამლეტის“ მესამე მოქმედებაში სცენა— სცენაზე (ნათავგადა). რომელიც მას დიდი ექსპრესიით და ემეციური სინავსით ჰქონდა გაგებული. მოქმედების დასაწყისიდანვე იგრძნობა უკვე ნერვული და დამბული მდგომარეობა, რასაც შემდეგ კიდევ უფრო ამახვილებს ჰამლეტის ორპიროვანი და ტყვიავით მკვეთრი სიტყვები. როდესაც სცენაზე მკვლელობის გათამაშების დროს შემოთვთებელი მეფე ფეხზე წამოვარდება, სასაბლეში სამინელი მღელვარება ატყდება, ხმები — „სინათლე, შესწყვიტეთ წარმოდგენა“, და როგორც ქარიშხალით ავარდნილი კორიანტელი, ისე ამშლებოდა ყველაფერი, ამოძრავდებოდნენ ჩირაღდნები, შეშინებული ქალები ერთმანეთს ეცკროდნენ, შეიარაღებული ამაღა გაბს შე-

მოგრტყემბოდა მეფეს. დამტრთალი აქტიორები სცენიდან გარბოდნენ, ორკესტრის მღელვარე ხმები აძლიერებდა საერთო განგაშს. მეფე და დედოფალი მთელი აშლის თანხლებით სსსრ-ადონ კარებისაკენ გაეშურება, მაგრამ მათ წინ გადაუღობება პამლეტი. მისი გეგმომწვევი ქრე მამხილებელი სახე აძლებს მეფეს უკან გაბრუნდეს. ესაა მეფისა და პამლეტის პირველი აშკარა შეტაკება. მეფე იბრუნებს პირს, ვაილოს რამდენიმე მანძილს და პატარა სცენის (სცენა სცენაზე) გადაჭრით ლამობს ისევ გაქცევის. მაგრამ ისევ პამლეტი განდებდა მის წინ და უფრო მეტის გადაფორებით აქაც გადაუღობება გზას. უკვე მიმხედარი მეფის გაქცევის მიზეზს, პამლეტი იწყებს მიუთრიდებელ სარკასტულ ხარხარს. სიცილი თანდათან თავშეუთავებელი ხდება, ნერვაული, აღზნებული და დიდხანს გრძელდება ამ სიცილის დროს მეფე-დედოფალი თავისი აშლით სცენიდან გარბიან. პამლეტი ვერ მეფის ტახტზე მიიჭრება, იქიდან ვასცქერის გაქცეულ მეფე-დედოფალს, შემდეგ პატარა სცენის აშლილებულ ადგილზე ავარდება და მთელი ამ სცენის მანძილზე განაგრძობს თავშეუთავებელ ხარხარს. ხარხარს რომელიც დიდხანს გრძელდება, ძლიერდება და მუსიკასთან ერთად აღწევს ექვლინაიურ წერტილს. ამ უკმაღ შეწყდება მუსიკა. სიცილი, რომლის შემდეგ ერთქონს დაგრაოვილი ბოღმა, გულისტკივილი და სიშწარე ერთად აღმოიწმინდება მთელის სიძლიერით წარმოქმნილ სიტყვებში: „დაქრილ ირემს ცხველები სდის, ნუკრი ცქრიალებს, რა უყო, რომ ეს ქვეყანა ასე ტრიალებს“ (უ. ჩხეიძე, „კოტე მარჯანიშვილი რეჟისორი და ხელმძღვანელი“, 1949 წ., გვ. 47 — 48).

განა ამ ნაწყვეტიდან არა ჩანს უშანგის მთელი მგზნებაარება და ტემპერამენტი, მისი პამლეტის ეპეკატორი და ადამიანური სული, ის ძლიერი პირიონება, რომლის შეგრძნებას ვერაერთარი მშრალი რეცენზია ვერ მოგვეცემს?

წიგნის ავტორი დიდ მსახობთავან ასახლებს ედმუნდ კინს, სარა ბერნარს და ე. კაჩალოვს, რომლებს აქტიორულ შემოქმედებაში პამლეტის როლს მაინცდამაინც დიდი ადგალი არ ეკავა, და სრულიად არაფერს ამბობს პ. მონალოვზე, რომლის შესახებ ბელინსკი წერდა: „Мы увидели шекспировского Гамлета воссозданного великим актером“. ავტორი არც კი ასხენებს ბელინსკის წერილებს მონალოვის პამლეტზე. მაშინ როდესაც ცნობილია, რომ ბელინსკის ამ წერილებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს რუსულ და საერთოდ მსოფლიო შექსპიროლოგიაზე.

ავტორი სრულიად უსაფუძვლოდ დავით ვარაიის პამლეტს უწოდებს „ლანარ პამლეტს“. ლიტენინერგის წერილი არ იძლევა ამისათვის არავითარ საბუთს. პირიქით, საბუთთა შექსპიროლოგიაში სულ სხვა აზრი არსებობს დ. ვარაიის პამლეტის შესახებ: „Этo не был безвольный Гамлет, который появился позднее, в 19 веке. Напротив, он был активен, в нем чувствовалась большая жизненная энергия, угадывалась интенсивная работа мысли“ (იხ. Н. Миш. Давид Гаррик. 1939. გვ. 75 — 76).

გაზ. „კომუნისტის“ 1925 წლის რეცენზია უ. ჩხეიძის პამლეტს აბარებს მის. ჩხეიძის პამლეტთან, მაგრამ ავტორი ედება, როდესაც სრულიად უკრტიკოდ იმეორებს რეცენზენტის აზრს, „ასევე (ე. ა. ჩხეიძისებურად) ასახიერებდნენ პამლეტს ქართულ სცენაზე“ (გვ. 43). რა აქვს საერთო, მაგალითად, ლალი მესხინიშვილის რომანტიკულ პამლეტს მ. ჩხეიძის პათოლოგიურ, კლინიკურ პამლეტთან?

წიგნის მე-4 თავი მიეძღვნება ა. გლებოვის „ზაგმუქსა“ და ბ. ლავრენიოვის „რღვევას“.

ა. გლებოვის „ზაგმუქში“ უ. ჩხეიძე არადეას როლს ასრულებდა და თვით ავტორის აღიარებით, „იგი ამ როლში განსაკუთრებულად საყურადღებო სახეს არ ქმნიდა“ (გვ. 63). ისმება კითხვა: რა საჭირო იყო ამ როლის ცალკე გამოყოფა და ერთ თავში გაერთიანება ისეთ მნიშვნელოვან როლთან, როგორცაა გოდუნე ბ. ლავრენიოვის „რღვევაში“.

ა. თევზაძის მოქმედი ქ. მარჯანიშვილის მართებული აზრი, რომ „თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობს“, მაგრამ ვერ გამოიყენა იგი გოდუნის სცენტრ-მატერული სახის ანალიზის დროს. ავტორი კმაყოფილება საერთო ფრაზებით „რღვევის“ მნიშვნელობისა და წარმატების შესახებ. რევოლუციური რომანტიკით აღსავსე გოდუნის სახე კი მსახობის ზრდისა და ჩამოყალიბებისათვის დიდ შესაძლებლობას იძლეოდა. ასეთი როლები განსაზღვრავენ მსახობის შემოქმედების სოციალურ პათოსს, ანიჭებენ მას საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც.

ცნობილია, თუ რა ფართო დიაპაზონისა და შემოქმედებითი გაქანების მსახობი იყო უ. ჩხეიძე. მისი კომედორი სახეები პამლეტისა და ურიად აკოსტის არ ჩამოყარებოდნენ მატერული განსახიერების სიძლიერით. ძნელი არაა თარიღდ სიტყვით თქვა, რომ უ. ჩხეიძემ „შევენიერად შეასრულა კვეყენაძის როლი“, უ. ჩხეიძე „მარწინვალე იყო ყვარყვარე თუთაბერი“. საქმე ისაა, შეიძლება აგრძნობინო შესრულებული სცენური სახის მომხიბლობა. ქ. მარჯანიშვილმა, როგორც დიდმა შემოქმედმა, იცოდა, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება მსახობისათვის ქართული საბუთთა დრამატურგიას. იგი ცდილობდა უ. ჩხეიძის შე-

მოქმედება იმ გზით წარმართა, რომ მას შეექმნა ქართული ცხოვრებიდან აღმშენი მხატვრული სახეები, მაგრამ იმდროინდელი ქართული დრამატურგია ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. კ. მარჯანიშვილი ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავდა კვეციანძისა და ყუარყუარეშვილების სცენურ ღირსებებს.

სამწუხაროდ, ავტორმა აქცენტი გადაიტანა უ. ჩხეიძის უცხო რეპერტუარზე, არაგის აზრად არა აქვს, უარყოფს უმანგის დიდი წარმატება დასავლეთის კლასიკურ რეპერტუარში, მაგრამ ავტორს არანაკლები ყურადღება უნდა მიექცია ქართულ ორიგინალურ და საბჭოთა დრამატურგიის სცენური სახეების განხორციელებისათვის. ყუარყუარე თუთაბერის შესახებ ავტორს მოუვათ ამონაწერები იმდროინდელი ეურნალ-გაზეთების რეცენზიებიდან და შემდეგ წერს: „ეფექტობთ, ზედმეტი იქნება ჩვენა მრავალსიტყვაობა“ (გვ. 84). მართალია, მკითხველს „მრავალსიტყვაობა“ არ ესაქვირება, მაგრამ იგი სამართლიანად მოითხოვს როლის ანალიზს და მხატვრულიდოლოგიურ დახასიათებას, რასაც ავტორის მიერ მოყვანილი არც ერთი რეცენზია არ იძლევა.

წიგნის შემდეგი თავები — „ქუმბარტებისათვის წამებული გმირი“ და „ფრანკესკო ჩენჩი“ წინა თავებთან შედარებით უფრო სრულყოფილად არის დამუშავებული.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მონოგრაფიის მანძილზე უ. ჩხეიძის შემოქმედება განხილულია რაიმე სერიოზული წინააღმდეგობისა და მტრურობის გარეშე. თითქოს უმანგი ჩხეიძის შემოქმედებაში არსებობდეს შინაგანი წინააღმდეგობის გამომრიცხველი, ერთიანი განვითარების ხაზი.

ზოგჯერ ა. თევზაძე შეგნებულად ტოვებს ციტატაში იმ ადგილს, სადაც მსახიობის ნაკლოვანებებზეა მითითებული. ასე, მაგალითად, ვაზ. „კომუნისტის“ (1924 წლის 5 მარტის) რეცენზიიდან ტოვებს ადგილს: „პირველ მოქმედებაში ის (უ. ჩხეიძე ნ. გ.) არ გამოსულა სქემატურობის ფარგლებიდან“. ან კიდევ: „მოქმედების შემდეგ განვითარებაში მსახიობი ვეღარ იწარჩუნებს საესტეტიკო თავიდან აღებულ ხაზს“ (იქვე, ლაპარაკია გ. კიხიძის „გაზის“ გმირ-ინჟინერზე). თით უ. ჩხეიძე თავმდაბლურად წერს ერთ ადგილას, რომ თავდაპირველად კ. მარჯანიშვილი არ იყო კმაყოფილი ჩემი ურელობით. „კოტე მართალი იყო, ურეილი გაუკეთებელი მჭონდა, საესტეტიკო ჩაჯარბებით“ (იხ. კ. მარჯანიშვილი, სიუჟეტიკო კრებულ 1948 წ. გვ. 176). ა. თევზაძე კი უ. ჩხეიძეს იცავს თვით უ. ჩხეიძის „თავდასხმებისაგან“, მაგრამ ავტორის მხედველობიდან გამორჩა, რომ უმანგი ლაპარაკობს, თავდაპირველად არ მჭონდა სათანადოდ გამართული როლით.

საინტერესო მასალა მონოგრაფიაში მოთავსებული პასუხები, რომლებიც გაუცია უმანგის ა. თევზაძის მიერ დასმულ კითხვებზე. კითხვაზე, თუ რომელ მსახიობს ანიჭებს უპირატესობას — განცდისას თუ წამბაქველისას — უმანგი უპასუხებს: „სცენური სიმართლისა, გულწრფელობისა და ბუნებრივობისაგან, ურომლისოდეს არა მწამს აქტიორის შემოქმედება. სწორი გზა, მე მგონია, შინაგანი განცდის საშუალებით მიიშრება... მხოლოდ განცდა, რასაკვირვებელია, არა ნატურალისტური გავებით, რადგან ნამდვილი განცდა (ცხოვრებაში) და სცენური განცდა, სულ სხვადასხვა წარმოშობისა და ხასიათისაა.

აქვე უნდა აღინიშნოს: შინაგანი-განცდის აღიარება როდი გულისხმობს გარეგნულ საშუალებათა უარყოფას, რადგან აქტიორის მუშაობაში არის შემთხვევა, როდესაც იგი გარეგნული საშუალებებით ცხადყოფს მხატვრული ხაზის შინაგან ბუნებას“ (გვ. 143).

აქ მოკლედ და მოხდენილად არის გადმოცემული უ. ჩხეიძის თეორიული კრედი აქტიორული შემოქმედების სფეროში.

ერთ-ერთ თავში — „უკანასკნელი გავლენა“ ა. თევზაძე განიხილავს იაგოს როლის შესრულებას. ავტორს აქაც უხვად მოჰყავს ამონაწერები ეურნალ-გაზეთებიდან, და არაფერს ამბობს შესრულების თავისებურებაზე.

საინტერესო მასალა თავმოყრილი თავებში: „უკრაინისა და რუსეთის პრესა უ. ჩხეიძის შესახებ“. — უ. ჩხეიძე კინოში, რადიოში, საზოგადოებრივი მოღვაწეობაში, „უმანგი ჩხეიძე ქართულ მოეზაში“.

წიგნს თანახლავს შესრულებული ბოლების არასრული სია და უ. ჩხეიძის ნაწერების ბიბლიოგრაფია.

ა. თევზაძის მონოგრაფია „უმანგი ჩხეიძე“ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აქ თავმოყრილია ამ მსახიობზე სხვადასხვა დროს ეურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი მასალა. წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს იმას, ვინც მოინდომებს შემდგომში იმუშაოს უ. ჩხეიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

წიგნი შალვა დადიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღ. ბურთიკაშვილის წიგნი „შალვა დადიანი“ შეეხება ჩვენი მსოფიანი მწერლისა და გამოჩენილი თეატრალური მოღვაწის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

წიგნის პირველ თავში ავტორს მოჰყავს შალვა დადიანის ბავშვობისა და აღზრდის შესახებ საინტერესო და დღემდე უცნობი მასალები.

შალვა დადიანის მამა, ნიკო დადიანი, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, როგორც საზოგადო მოღვაწე, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი და კარგი მოქალაქე. ნიკოს ოჯახის სწორი სტრუქტურები იყვნენ ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია და სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. ამ საზოგადო მოღვაწეების საუბარო მაშინდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ აღიკვეთდა ბავშვში პატრიოტულ გრძნობებს, სამშობლოსადმი სიყვარულს. პატარა შალვა თავიდან გაუტაცია თეატრალურ ზელოვნებას: ის ბეთლემში, თავისი სახლის ეზოში აწყობს წარმოდგენას ღია ცის ქვეშ.

1892 წელს შალვა სცემს ლექსთა კრებულს „ნაპერწყალს“. ახალგაზრდა პოეტი ამით არ კმაყოფილდება და აქართულებს ა. დოდეს პიესას „თეთრი ზამბახები“. შალვამ მაშისაგან მიიღო თეატრში მუშაობის ნებართვა. ამიერიდან მას გაეხსნა თეატრის კარები. მაგრამ ნიკომ და შალვამ ბევრი საყვედური მიიღეს ახლობლებისაგან იმის გამო, რომ ყოფილი ფეოდალის შვილმა თეატრში დაიწყო მუშაობა. „ეი სირცხვილო, ანტონ წულუკიძის შოლიშვილი! — კომედიანტი! — მოსტყვამდნენ შალვას დღიღები. ტარიელ დადიანის ბაღში და ჯამბაზი! — ბანს აძლევდნენ დადიანები. — სანამ უნდა დავეს ადამიანი? არა, ნიკოს ბრალიც არის. უბაჟი თავის ნებაზე მიუშვა და აი შედეგი“. ასე სასირცხვილოდ მიაჩნდა ფეოდალურ არისტოკრატის თეატრში მუშაობა და მოღვაწეობა. ყოველივე ამას შალვამ უურაღებდა არ მიაცქია და ერთხელ დასახულ მიზანს სასახელოდ მაღწია.

წიგნის ავტორს მრავალი მასალა დაუგროვებია შ. დადიანის სასცენო ასპარეზზე გამოსვლის შესახებ. სცენით გატაცებული უბაჟი ასრულებს გრძელ დე ვიარეს როლს ა. დოდეს „მარჯაობა გოტიეში“. დებიუტმა ბრწყინვალედ ჩაიარა. სასცენო ასპარეზზე „ჭუჭის“ ფსევდონიმით გამოსულს „ივერიის“ რეჟისორმა ქება უძღვნა: „ამ არტისტს პირველად ვხვდებით ჩვენ სცენაზე, სცენის ნიჭი უტყობა და შეუძლია კარგი არტისტი დადგეს“. ილიას „ივერიის“ ეს პროგრესი გამოართდა და შალვა დადიანი გახდა არა მარტო კარგი მსახიობი, არამედ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

შემდეგს თავში ავტორი ეხება შ. დადიანს, როგორც პროზაიკოსს, დრამატურგს და პუბლიცისტს. შალვა დადიანის, როგორც პროზაიკოსის, შესახებ ჩვენს ეურნალ-გაზეთებში მრავალი წერილი დაიწერა. სიტყვის შესანიშნავი ოსტატის შ. დადიანის ენა ლაკონიურია, ფრაზა ჩამოქანდაკებული. მდიდარია მწერლის ლექსიკონი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი უფრო ვრცლად უნდა შეხებოდა შ. დადიანის დრამატურგიას. ცნობილია, რომ შ. დადიანმა გაამდიდრა ჩვენი დრამატურგია ისეთი პიესებით, როგორიცაა „გემპეკორი“, „გუშინდელი“, „თეთნული“ და სხვ. „ნაპერწყალიდან“ საბჭოთა კავშირის მრავალი თეატრის სცენაზე იდგმება. კარგი იქნებოდა, შეხებოდა ავტორი შ. დადიანს, როგორც ისტორიული რომანების ავტორს.

შ. დადიანი ახალგაზრდული ენერჯით განაგრძობს შემოქმედებითს მუშაობას ქართული ლიტერატურისა და თეატრალური ზელოვნების დარგებში.

წინასიტყვაობაში ავტორი თავის ნაშრომს ბიოგრაფიულ ნარკვევს უწოდებს. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ წიგნს, უნდა ითქვას, რომ ავტორს თავისი ამოცანა კარგად შეუსრულდება. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ შალვა დადიანზე მომავალში უფრო ვრცელი ბიოგრაფია უნდა დაიწეროს, საჭიროა ისეთი წიგნი, სადაც მოკლებული იქნება შ. დადიანის ყველა ნაწარმოების ღრმა ანალიზი. ამიტომ აღ. ბურთიკაშვილის წიგნი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც შალვა დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვის ერთ-ერთი პირველი ცდა.

აღ. სიგუა

„საისტორიო შოაზის“ მიხედვით




სარეცენზო წიგნი იხსნება შ. ხანთაძის შრომით, რომელიც განიხილავს მე-19 საუკუნის მოღვაწის დიმიტრი მელვინთხუცესიშვილის წერილებს მარი პრუსესადმი. გამოქვეყნებულია 18 საარქივო დოკუმენტი, რომელთაგან 17 აღმოჩენილია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში (ლენინგრადი), ხოლო მე-18 საქართველოს სსრ სახელმწიფო მეზღვის ხელნაწერთა განყოფილებაში. ეს წერილები ამჟამად ამ მოღვაწის ნაყოფიერი შემოქმედების მხოლოდ ერთ მხარეს.

დ. მელვინთხუცესიშვილი ჩვენი მკითხველისათვის დღემდე უცნობი იყო. მას მ. ბროსემ მიუძღვნა ყურადღება და ერთ-ერთი მოგზაურობის დროს (1848 წ. გორის რაიონში) წაიყვანა, როგორც მასალების შემკრები.

ამჟამად გამოქვეყნებული წერილები საველე მუშაობის მოკლე სამეცნიერო ანგარიშია, საიდანაც ვეცნობით მელვინთხუცესიშვილის მუშაობის ხასიათს და ცვლევითს შეთოდებს საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგში. დიმიტრის მოგზაურობის ამსახველი წერილებიდან საყურადღებოა უფლისციხეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგი წერილებიდან დაიხსნას და კლდემი ნაკვეთი სახიზრების მოკლე აღწერილობა. მკვლევარი დაასკვნის: „დარწმუნებული ვარ, რომელ უფლისციხის სიძველენა მიიღებენ თავის დროის არა უკანასკნელს აღავს იშვიათთა შორის“ (წერილი № 14, გვ. 28). მკვლევარის ეს რწმენა გაამართლა შემდგომში ისტორიულმა ძიებამ: კლდემი ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე ჩვენი სამშობლოს სიძველეთა შორის ძვირფას ძეგლად ითვლება.

დიმიტრი აქტიურად იყო ნაბმული ქართული თეატრის მუშაობაშიც, როგორც დრამატურგი და რეჟისორი. იგი ქართული დრამატურგიისა და თეატრის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის უახლოესი თანამშრომელი იყო, რასაც ადასტურებს დიმიტრის მიერ მ. ბროსესთან გაგზავნილი მე-10 წერილის შინაარსი (გვ. 18—20).

კრებულში დაბეჭდილია XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანე სიენიელის (სტეფანოს ორბელიანი) დიდი ისტორიული თხზულების „სისაქანის ისტორიის“ 66 (65) თავის ქართული თარგმანი, ტექსტი გამოკლევითურთ დასაბუქდად მოამზადა პროფ. ლ. მელაქსეთეცმა და მას უწოდა „სტეფანე სიენიელის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია“. პროფ. ლ. მელაქსეთეცის ნარკვევიდან ვიგებულობთ, რომ „წარმოშობით იგი (სტეფანე სიენიელი ვ. ი.) ორბელთა (ორბელიანთა) „გასომეხებელი“ შტოს წარმომადგენელი იყო, რის გამოც ის „სტეფანოს ორბელიანი“-ად იწოდება, ხოლო თანამდებობით იყო სიენიელის ანუ სისაქანის მღვდელმთავარი — ეპისკოპოსი (მეტროპოლიტი)“ (გვ. 33) ლ. მელაქსეთეცს დადგენილი აქვს სტეფანე სიენიელის გარდაცვალების თარიღიც (გარდაიცვალა 1303 წ.).

ნარკვევში დიდი ადგილი ეთმობა სტ. ორბელიანის სამეცნიერო შემკვიდრების შესწავლას. საინტერესოა პროფ. იასე ცინცაძის შრომა „ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელრობა რუსეთში (1752—1754)“, რომელსაც თანდართული აქვს 31 საარქივო საბუთი. შრომა ეხება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობის ხანაში რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის სწორი დახასიათებისათვის ი. ცინცაძე აღნიშნავს, რომ 1783 წ. მფარველობით ტრაქტატი უწყაბდად გადაწვეტილი კი არ იყო, არამედ „თითქმის მთელი მე-18 საუკუნის მთავრ ნახევრის განმავლობაში საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გარკვეულ პროცესებთან შეფარდებით, როგორც რუსეთი, ისე ქართლ-კახეთის სამეფო ერთმანეთთან ურთიერთობის პირობებს სინჯავდნენ, შესაძლებლობის ფარგლებში ერთმანეთს ზეგარდნენ და პირობების შესაბამისად მოქმედებდნენ“ (გვ. 85).

შრომის შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად იხასიათებს მე-18 საუკუნის მთავრ ნახევრის საერთაშორისო მდგომარეობას (გვ. 85—89).

გამოქვეყნებული მასალებისა და ნარკვევების კრიტიკულმა ანალიზმა და მათი ავტორების (პ. ორბელიანი, პ. ბუტკოვი და სხვ. გვ. 92—93) შეხედულებათა განხილვამ პროფ. იასე ცინცაძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის რუსეთში მოქმედების შესახებ დღემდე გამოქვეყნებული ცნობები ოდნავადაც არ იძლევიან იმას, რაც არსებითი ხასიათის არის დღევანდელი ისტორიკოსისათვის“ (გვ. 93).

ამ ხარვეზის შევსება შეძლო ი. ცინცაძემ იმ დოკუმენტების გამოვლენებით, რომლებიც იხსნება მოსკოვის ძველ საბუთთა სახელმწიფო არქივის „Грузинские дела“-ს ფონდში.

ო. ცინცაძე დაწერილებით აღწერს ელჩების მომზადებისა და მოგზაურობის ამბებს. ირკვევა, რომ ვარდა საქართველოს მეფის კარზე შედგენილი ოფიციალური დოკუმენტებისა და ელჩებს სიტყვიერი დანაბარებები ჰქონდათ იმის შიშით, რომ საქართველოდან ასტრახანამდე მოგზაურობის დროს არ გაეძარცვათ ელჩები და არ გამოიმტკიცებულყო დიპლომატიური საიდუმლოება, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის დინტიერესებს დაუძღვრებული სპარსეთის ხელში ჩაგდებათ.

საინტერესოა, რა შედეგები მოუტანა ამ ელჩობამ საქართველოს? როგორ განხილულა საბუთებიდან ირკვევა რუსეთის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა მისი საერთაშორისო მდგომარეობა, კერძოდ მისი თურქეთთან დამოკიდებულების ხასიათი. ქართველი მეფეების მიერ აღძრულმა საკითხმა არსებითად რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის საკითხის დაზუსტება გამოიწვია რუსეთის სამეფოს კარზე, ხოლო თვით საქართველოს საკითხი ამ მთავარ საკითხს დაეკავშირებოდა, იმდენად, რამდენადც ქართლ-კახეთის სამეფოები განიხილებოდნენ, როგორც ერთნაირ პრობლემა რუსეთ-თურქეთის დამოკიდებულებაში" (125).

ნაშრომის დასკვნის ნაწილში გარკვეულია ქართველი პოლიტიკოსების ორიენტაციის საკითხი გარეშე სახელმწიფოების მიმართ, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული და პროგრესული იყო ქართველების მიერ მაკედონური სახელმწიფოსაგან ზურგის შექცევა და ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოება.

საუურადღებო მასალებია გამოქვეყნებული ა. იოვიძის მიერ ცნობილი ქართველი შერლისა და პუბლიცისტის გიორგი წერეთლის შესახებ. საბუთები დაყოფილია ოთხ ნაწილად. მასალების ერთა წეება გიორგი წერეთლისა და მისი მამის ექვთიმეს ბიოგრაფიის შევსება და აშუქებს მათი ოჯახურ-სამხატვრობრივი მდგომარეობის დღემდე უცნობ მომენტებს (გვ. 179 — 187).

მასალების მეორე რიგი გ. წერეთლის საურსნაო მოღვაწეობას ასახავს და ქართული ეურნალისტიკის ისტორიისათვის მდიდარი ფაქტიურ მასალას შეიცავს. კერძოდ, აქ წარმოდგენილია ცნობები გაზეთ „დროების“, „სასოფლო გაზეთის“, ეურნალ „ერებულის“ და ეურნალ „კანდელის“ გამოცემის შესახებ (გვ. 188 — 214). მასალების მესამე წეება ასახავს გ. წერეთლის ბრძოლას მეფის ცენზურის წინააღმდეგ (გვ. 215 — 223), ხოლო მეოთხე ჯგუფს (გვ. 224 — 228) განეკუთვნება ცენზურის მიერ აკრძალული მასალები: 1) გიორგი წერეთლის მიერ ჩაწერილი ვაღბოცემა სოლომონ მსაჯულის შესახებ და 2) ორიგინალური ნაწარმოები „ღაპარი“, რომელიც ურთუნულ-გამათავისებლებელი მოძრაობის თემაზე აგებულია.

მნიშვნელოვანი საკითხები აქვს შესწავლილი დოკ. შ. გოცაძეს ქართული პრესის ისტორიიდან. ავტორი ეხება პირველი ქართული ეურნალის ასალიტერატური ნაწილი ტფილისის უწყებთაში — ს. დაარსებასა და როლს მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების საქმეში. სათანადო ცნობების განხილვიდან ირკვევა, რომ ეს ეურნალი დაარსდა 1832 წ. სოლომონ დოდაშვილისა და მის გარშემო დაჯგუფებული მოწინავე ქართველი მოღვაწეების — ალ. ქავთაძის, ელ. ერისთავის და სხვათა ინიციატივით. ეურნალი ფართო გვგვით მოქმედებდა და იმდროინდელი საზოგადოების ინტერესების გამოხატველი იყო. განსაუთრებდა საურსნაოდებოა ს. დოდაშვილის წერილი — „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც დაიბეჭდა ეურნალის პირველ და მეორე ნომრებში (გვ. 269 — 276) და რომელიც წარმოადგენს მშობლიური მხატვრული ლიტერატურის ღრმა მეცნიერულ მიმოხილვას.

ეურნალის სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნდა აგრეთვე ს. დოდაშვილის პოლემიური წერილი (გვ. 291 — 293) რუსი ეურნალისტის გორდევის სპასუხოდ. გორდევმა 1832 წლის „Тифлисские ведомости“-ს პირველ ნომერში მოათავსა სტატია საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესის შესახებ.

საუურადღებოა აგრეთვე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ეურნალის № 3, 263 — 287, № 4, 249 — 296), რომელიც დღემდე სოლ. დოდაშვილის ნაწარმოებად ითვლებოდა, მაგრამ, შ. გოცაძის მტკიცებით, ეს შრომა დაუწერია დავით ბაგრატიონის რუსულ ენაზე. ს. დოდაშვილს კი თავის ეურნალში გამოქვეყნებია მისი ქართული თარგმანი საქართველოს გმირული წარსულის პოპულარიზაციის მიზნით.

შ. გოცაძე ეხება ეურნალის ნაკლოვან მხარესაც. ეურნალი არ ასახავდა ეპრობისა და წარმოების განვითარებას; ეურნალს უწლიდა კლასთა ბრძოლის საკითხებს და გაუშუქებელს ტოვებდა შესივლია და ფოლკლორის განვითარების ისტორიას.

„სასიტორიო შოამბის“ საბრეველო ტომი მთავრდება თ. მკვათარიანის შრომით, რომელიც მიქედნა გამოწინაო ქართველი პუბლიცისტისა, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ვაზ. „Обзор“-ის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას. ახალი საარტიყო მასალებისა და

დღემდე გამოქვეყნებულ ცნობათა საფუძველზე იტყვება, რომ გაზეთის გარემო შემოკრებილი იყვნენ ისეთი მოწინავე ეურნალისტები, როგორცაა ვ. უსპენსკი, ნ. სიმბორსკი, ე. სვედენცი (რუსი ეურნალისტები), ა. რომფორი, ი. ზურაიე (ფრანგი ეურნალისტები) და სხვა. „საისტორიო მოამბის“ მეექვსე ტომის სახით ჩვენს საისტორიო მეცნიერებს საყურადღებო წიგნი შეეძინა.

3. ითონიშვილი

ითონიშვილი ნაკვეთი ქართული მებაღეობის ისტორიიდან



ცნობილია, რომ რკინა შედარებით მოგვიანო ხანის კულტურული მონაპოვარია; მასზე უფრო ძველია სპილენძი და ბრინჯაო. მეცნიერებაში ყარგა ხანია ღვას პრობლემა, თუ ღვამიწის რომელ კუთხეში ჩაისახა თავდაპირველად რკინის კულტურა, ვინ არის რკინის პირველი აღმოჩენი, როდის აღმოაჩინეს იგი. ეს საკითხები საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

არჩან მკვლევარები, რომლებიც მელითონეობის კულტურის უძველეს ცენტრად წინა აზიის ქვეყნებს მიიჩნევენ. ამ თეორიის მიხედვით, რკინის გავრცელება მომხდარა აღმოსავლეთიდან დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. მეორე თეორიის მიხედვით კი, ეს კულტურა თავდაპირველად დასავლეთის ქვეყნებში ჩაისახა და აქედან გავრცელდა სამხრეთისაკენ. დაგროვდა მრავალი ფაქტი როგორც ერთი, ისე მეორე თეორიის სასარგებლოდ.

პრობლემათა ამ რკალში განსაკუთრებული ადგილი უკავია. კერძოდ, წინა აზიისა და კავკასიის მელითონეობის საკითხს, ხეთების, ტუბალ-კაინების, მუსკების, ხალიბების და სხვათა როლი ამ დიდი კულტურის ისტორიაში სრულიად უდავოდ ჩანს. ეს ხალხები კი, როგორც ცნობილია, ქართველთა წინაპრებად არჩან მიჩნეული.

იგი ჯავახიშვილი და სხვა მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ მადნების სახელები სხვა ხალხებს ქართველი ტომებისაგან შეუთვისებიათ. ამ გაუმოუბას უზრადლებას აქცევდა აგრეთვე ცნობილი ენათმეცნიერი ი. შრადერი. ასე, მაგალითად, აღიარებენ, რომ ევროპული ტერმინი „ბრონზე“ წარმომდგარია სპარსული „ბირინჯი“-საგან, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული. ესაა ქართული „სპილენძ“-ი, სენური „სპილენჯ“, მეგრული „ლნჯ“, რაც უდრის „სპირ ენძს“, და ნიშნავს სვერის ანუ ისპირის მადანს. ამავე დროს, ბერძენი ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები სწორედ ამ ქვეყნებიდან გამოქონდათ; ელბაში სპილენძის ნაკლებობა იყო და მადნებს უზომავრესად აზიიდან ეზიდებოდნენ. თითბრის სახელები ევროპულ ენებზე („მესინიგ“, „მესინიგ“ და სხვა) ეტიმოლოგიურად მოსინიჯის ტომის სახელს უკავშირდება. მოსინიჯები კი თითბრის ხელთონი განთქმული იყვნენ. თითონ ქართული სახელწოდება „თითბერი“ წმინდა ქართული ძირია და ნიშნავს „თეთ“-ფერი, ე. ი. შთვარის (მეგრულად „თეთა“, ქართულად „თთუე“) ფერის მადანს. ისიც აღსანიშნავია, რომ, როგორც იგი ჯავახიშვილი შენიშნავს, რკინის, განსაკუთრებით ფოლადის, მომზადებაც ბერძენებს პირველად ქართველი ტომებისაგან შეუღწავლიათ. ეს ყარგად ჩანს ფოლადის ქართული სახელიდანაც: „ხალიფს“, „ხალიბიფს“ წარმომდგარია ხალიბების ტომის სახელწოდებიდან და ნიშნავს „ხალიბურს“. მართლაც, ხალიბების მიერ გაკეთებული რკინის ნივთები განთქმული იყო.

ეს ენათმეცნიერული დასკვნები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში გარკვეული ღვაწლი მიუძღვით. არ არის შემთხვევითი, რომ ქართველურ ენებში მადნეულობის ტერმინები (ჩქარო, ვერცხლი, რკინა, ტყვია, ზემოდსახელებული; თითბერი, სპილენძი) ძირითადად ქართულია, არც ერთი მათგანი სხვა ენებიდან ნასესხები არაა (გარდა სიტყვისა — ელა).

რკინის, და სავარაუდოდ მელითონეობის, პრობლემის კვლევა-ძიება მარტოოდენ ენათმეცნიერულ დასკვნებს ვერ დაემყარება. აუცილებელია ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება.

ძველი ასურული წყაროები გვაძენობენ, რომ მკირე აზიაში მუსკები და ტაბალები (ქართველთა წინაპრები) ხარკად იხდიდნენ თითბრის კურკულს ან რკინეულ ნივთებს. „დაბადებაც“ („ბიბლია“) ამოწმებს, რომ ამ ტომებს თავის დროზე შეუქმნიათ დაწინაურებული საოქალაქო ცხოვრება და განთქმული მელითონეები ყოფილან. მოამდევნო ხანებში კი (განსაკუთრებით მე-7

6. რეხვიაშვილი, მკვდლობა რაკაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953.

საეკენიდან მოყოლებული ბერძენი და რომელი ავტორები აღასტურებენ ამიერკავკასიაში ქრისტიანულ და საერთოდ ლათინის დამუშავების ფაქტებს.

ეს გაკვლევა მტკიცდება ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგადაც.

უდავოა, რომ ზემოხსენებული პარტბლების შესასწავლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საქართველოში რკინის ძველი წარმოების ძეგლების ეთნოგრაფიულ გამოკვლევას.

ამ დარგში კი ყურადღებას იქცევს ახლანდელ გამოქვეყნებული წიგნი — „მკვლელობა რაჭაში“, რომელიც დაფუძნებულია ავტორის — დოცენტ ნ. რეხვიაშვილის — მიერ შეგროვილ მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე. ეს მასალები უმთავრესად მოპოვებულია რაჭაში საექსპედიციო მუშაობის შედეგად.

რა მხრივად საინტერესოა რაჭა ქართული მეტალურგიის ისტორიის თვალსაზრისით?

წიგნი რაჭაში მოპოვებულა რკინის საბადოები; ადგილობრივი მოსახლეობა რკინის ამ მადნებს უხსოვარი დროიდან ამუშავებდა. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რკინის მწარმოებელ მთელ ზეობას „სარკინეთი“ ეწოდებოდა, ხოლო რკინის მწარმოებელთა — „რკინის კაცები“. რკინის კაცებს ადგილობრივი საბადოებიდან მადნეული გამოჰქონდათ და მას საგანგებოდ გამართული „ქელბაჭები“ რკინდ წერავენდნ. სარკინეთში დამზადებულ რკინას „წედური რკინა“ ეწოდებოდა, იშვიათად — „სარკინეთული“. წედური რკინისაგან რკინის კაცები სხვადასხვანაირ ხელაღებს სკვდნენ. აქ დამზადებული „ხელნაქნარი“ რკინეულის ნაწილი ადგილობრივ მოსოხიერლებებს აქმყოფილებდა, ჰარბი ნაწილი ალებ-მიცემობის სავანო იყო; იგი ვაჭრობდათ როგორც მახლობელ, ისე შორეულ ადგილებში (ჩრდილოეთ კავკასიაში და სხვაგან) და სკვდონენ საჭირო საგნებზე. „წედური რკინის“ დამუშავება ფაქტობრივად სულ ბოლო დროს (მე-19 საუკ. 70 — 80 წწ.) მოილია. ამდენად, ძველი ქართული მელითონობის უძველესი წესები მასში ცხოვლად უნდა იყოს შემონახული.

მონოგრაფიაში მთელი სიღრმით და საფუძვლიანობით არის გამოკვლეული ქართული მელითონობის ამ უკანასკნელი კერის ეთნოგრაფიული სინამდვილე, ნახევარში, რომ რაჭაში დამოუკიდებელი მკვლელობა ქართული ხალხის ძველი მელითონობის ერთ-ერთი საყურადღებო განტოტებას წარმოადგენს და შეიცავს მნიშვნელოვან ევლტურულ მონაბოეარა.

მონოგრაფიაში დაწერილებით განხილულია რაჭის სარკინეთში რკინის მადნის მოპოვება და დამუშავება, რკინის მადნის კერები, დამუშავების ცენტრები, რკინის მადნის გადამამუშავების წესები, რკინის ჰედვის ხასიათი, რკინის იარაღები (ქართული ცელი, ქართული ნაჯახი, სასხლავო, წალი, თოხი, წერაქვი...) ყურადღებას იქცევს თავი: „რკინის ცელტის გადმონახვაში“, სადაც აღხასიათებულია რკინის დამზადებასთან დაკავშირებული საწესო ჩვეულებანი, თქმულება „სარა-მკვდელზე“ და სხვ.

წიგნში ნაჩვენებია, რომ რკინის დამუშავებასთან დაკავშირებით რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულია მრავალმხრივ საყურადღებო რწმენანი, წეს-ჩვეულებანი და თქმულებები. ამ მიმართებით რაჭის არეალზე რკინის ევლტი საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ თანხარო სახით არის წარმოდგენილი. თუმცა ზოგიერთი თავისებურების შემკველიცაა რაჭის მკვლელობის დღემდის დაუცავს მდიდარი ცნობები, სადაც აშკარად მკლავდება რკინისა და რკინის მონელებლობისადმი გარკვეული პატივისცემა.

საგულწინძო მასალას შეიცავს რკინისა და, საერთოდ, მკვლელობის შესახებ რაჭელი ფოლოლორი. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თქმულება „სირა-მკვდელზე“. ირკვევა, რომ ეს თქმულება ამირანის შესახებ თქმულებათა ერთ-ერთი ვარიანტია. აქ მკვდელი წარმოდგენილია, როგორც შემოქმედი, და მოხელე შაიურის ანუ „გამპურლობის“ ნივთთა, მას შეეძლია მომაკციონობელი ზეგაილენე ქონიოს ადამიანზე, თქმულება ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ მასში ნათლად მოჩანს გარკვეული კავშირი მკვლელობას და ამირანს შორის.

წიგნში უკლებლად წარმოდგენილი მელითონობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. საყურადღებოა მთელი გადამავალი წიგნზე დართულ „ტერმინთა სამიებელს“, რომ დაერწმუნდით, რა დიფერენციურული ტერმინები შეუქმნია ხალხს საუკრეთთა განმავლობაში რკინის ევლტურასთან დაკავშირებით. რა ნაირნაირი ცნებებია გამომუშავებული, საერთოდ, მელითონობის სფეროში, და ამ მხრივ რაჭული დილექტი ძვირფას მასალას აწეღის ქართულ ლექსიკოლოგიას. ტერმინები ქართული წარმოშობისაა და ეს გაკვლევაზე მოწმობს ძველი ქართული მელითონობის განვითარების მაღალ დონეს.

ამრიგად, ნ. რეხვიაშვილის მონოგრაფია მნიშვნელოვანი შენაძენია ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მეტალურგიის ისტორიული ფესვების შესასწავლად. იგი საყურადღებოა, აგრეთვე, ლექსიკოლოგიისა და ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით.